

მეცნე

ენისა და
ლიტერატურის
სერია

3.1974

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენისა და ლიტერატურის განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение языка и литературы

ა
ა
,

თბილისი-1974 ТБИЛИСИ



МАЦНЕ

ВЕСТНИК

Серия
языка и
литэратуры

3.1974

ქვეყნე



ენისა და
ლიტერატურის
სერია

3.1974

წიგნიანი გამოცემის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სა რედაქციო კოლეჯია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
ა. გამყრელიძე, ალ. გვახარია (პოეტი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкრелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигури Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. გლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.VIII.74; შეკვ. 1501; ანაწყოების ზომა 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 18,2; საარტიცხო-საგამომცემლო
თაბახი 16,2; უე 00985; ტირაჟი 1 500.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ა რ ი ლ ა ბ ი

| | |
|--|-----|
| ს. ყიფშიძე, კ. მაცაშვილის შემოქმედებითი ლაბორატორიიდან (ლირიკა) | 7 |
| ბ. შაროშვა, ლიტერატურათმცოდნეთა და კრიტიკოს-იდეალისტთა მოდერნისტული კონცეფციების კაპიტულაცია 20-იანი წლების პირველ ნახევარში | 23 |
| 5 ტახტაძე, ილია ქაუჭავაძის პუბლიცისტური ოსტატობა (ფელეტონ „სხარტულას“ (II) მიხედვით) | 34 |
| 6 კობახიძე, ალექსანდრე ხახანაშვილი და „ტარიელიანის“ საკითხები | 44 |
| 7 <u>ქადაგიანი</u> , ბეათე საყუენის ქართული კიმნოგრაფები (სტეფანე სანანოაძე ჰეონ-დიდელი) | 54 |
| 8 მამასაშვილი, „შამ-ნამეს“ ქართული ვერსიების ახალი ხელნაწერის გამო | 67 |
| 9 ლაშაძე, გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების XVIII—XIX საუკუნის ქართულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართება | 79 |
| 10 კივიციანი, საბჭოთა კავშირის შეცნობებთან აკადემია და ქართველური ენების შესწავლა | 86 |
| 11 ბაგვაშვილი, ძველი ქართული ტერმინის გამო (სახარვა) | 92 |
| 12 ჩხუბიანი-შვილი, ძველი ქართული ლექსიკიდან (ბურთუ, ბირთუ) | 99 |
| 13 შაბაძე, რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძის მქონე ტოპონიმის ისტორიისათვის | 108 |
| 14 ბურჯულაძე, გემინატა პოზიციური ცელილებსათვის ლაკურში | 120 |
| 15 ქახიანი, ბორჯომის მიდამოებში აღმოჩენილი ორი არაბულენოვანი ეპიტაფიის შესახებ | 127 |

ც ნ ო ბ ა ბ ი და შ ე ნ ი შ ვ ნ ა ბ ი

| | |
|---|-----|
| 16 ბუღუშვილი, რამდენიმე შენიშვნა გალაკტიონის აკადემიური გამოცემის გამო | 132 |
| 17 ბაგვაშვილი, ტოპონიმები ა. ანტონოვსკაიას რომან-ეპოპეა „დიდ მოურავეში“ | 139 |
| 18 ქუთათაძე, იოანე იალღუზისძის ჩამატებული სახას „სიტყვის კონაში“ | 151 |
| 19 ტაბაღაძე, ახალი ცნობა ლუი XIV-ის მიერ სულხან-საბას მიღების შესახებ | 158 |
| 20 ქაფიანი, ქართული სასულიერო პოეზიის ისტორიიდან (ბორჯა) | 161 |

ქ რ ი ტ ი ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

| | |
|--|-----|
| 21 შაბაძე, ილია ჭავჭავაძე და გლეზთა განთავისუფლების საკითხი | 170 |
| 22 შაბაშვილი, გეოგრაფიულ სახელწოდებებთან ერთი ლექსიკონისა და მისი შესავალი წერილის შესახებ | 186 |

ქ რ ო ნ ი ა და ი ნ ფ ო რ მ ა ტ ი ა

| | |
|---|-----|
| 23 ჩხატიანი, დისკუსია ქართული ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკის საკითხებზე | 196 |
| 24 ლეონტიძის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში | 197 |

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

| | |
|---|-----|
| Ц. КИПШИДЗЕ, Из творческой лаборатории Коте Макашвили (лирика) | |
| Т. ШАРОВА, Капитуляция модернистских концепций литературоведов и критиков-идеалистов в первой половине 20-х годов | 23 |
| И. ТАБИДЗЕ, Публицистическое мастерство Ильи Чавчавадзе | 34 |
| Н. КОТЕТИШВИЛИ, Александр Хаханашвили и вопросы «Тармелиани» | 44 |
| Ц. ДЖАМАЯ, Грузинские гимнографы X века | 54 |
| М. МАМАЦАШВИЛИ, Новый список грузинских версий «Шах-наме» | 67 |
| Л. ГВАЛАЗЕ, Взаимоотношения грузинских рукописей XVIII—XIX вв. жизни Григория Просветителя | 79 |
| А. КИЗИРИА, Академия наук СССР и изучение картвельских языков | 86 |
| И. ГАГУЛАШВИЛИ, К древнегрузинскому термину «Заговор» | 92 |
| Д. ЧХУБИАНИШВИЛИ, Из древнегрузинской лексики | 99 |
| А. ЧКАДУА, К истории нескольких топонимов общекартвельской основы | 103 |
| Г. БУРЧУЛАДЗЕ, К позиционному изменению геминат в ласком языке | 120 |
| Ц. КАКИАНИ, Относительно двух арабоязычных надгробий, обнаруженных в Боржомском ущельи | 127 |

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

| | |
|--|-----|
| М. ГИГУШВИЛИ, Некоторые текстологические замечания в связи с академическим изданием сочинений Галактиона Табидзе | 132 |
| Г. ГАВАШЕЛИ, Топонимы в романе-эпосе А. Антоновской «Великий Моурави» | 139 |
| Л. КУТАТЕЛАДЗЕ, Дополнения Иоанна Иалгузидзе к словарю Сулхана-Саба Орбелиани | 151 |
| И. ТАБАГУА, Новые сведения о приеме, оказанном Людовиком XIV Сулхану-Саба Орбелиани | 158 |
| Л. КАПИАШВИЛИ, Из истории древнегрузинской духовной поэзии (Борена) | 161 |

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

| | |
|---|-----|
| В. ЖВАНИЯ, Илья Чавчавадзе и вопрос освобождения крестьян от крепостной зависимости | 170 |
| М. ЧАБАШВИЛИ, Об одном словаре географических названий | 186 |

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

| | |
|---|-----|
| Р. ЧХАРТИШВИЛИ, Дискуссия по вопросам литературоведения и критики | 196 |
| В Комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре» | 197 |

შ ე რ ი ლ ე ბ ი

სისანა ყიფშია

კოტე მაცაშვილის შემოქმედებითი ლაბორატორიიდან

(ლირიკა)

კოტე მაცაშვილის შემოქმედებას გარკვეული ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მისი მოღვაწეობა გასულ საუკუნის ბოლო წლებში რწყება და თითქმის ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების ბოლომდე გრძელდება. ეს პერიოდი შეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენებით აღინიშნა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რამაც გარკვეული დიდი დასავა კ. მაცაშვილის შემოქმედებას.

„კოტე მაცაშვილის შემოქმედება, რომლის ძირიც ქართული ცხოვრებისა და ლიტერატურის წიაღში ჩნდება და მტკიცდება, საქმარისი სიცხადით იღებს საწარდოს როგორც ქართველი რომანტიკოსებისა, ისე თერგდალეულთა და 900-იან წლებში დემოკრატიული მწერლობის ანაკადებული შემოქმედებიდან. კოტე მაცაშვილი საბოლოოდ ამთავრებს ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული რომანტიკული — სეფდინა განწყობალების მოტივის გამოხატვას. მასთან ერთად დიდი ენერჯით ზანს აძლევს, დაწყებული ბრძოლის მიმართულებას და თავის პოეტურ შემოქმედებაში რეალურ ფერებში ასახვებს თავისი ეპოქის საქმარბოროტო მოვლენებს. ამრიგად, მის შემოქმედებაში ორა მიმართულება — რომანტიკული და რეალისტური ერთმანეთს ექსოვება, თუმცა რეალისტური უდავოდ ბევრად სქარბობს“¹.

თუ კ. მაცაშვილი, ერთი მხრივ, პესიმისტურადაა განწყობილი, მეორე მხრივ იგი საოცრად მგზნებარე მებრძოლად გვევლინება. ეს ერთგვარი „გაორჩება“ ნიშნეული იყო XX საუკუნის პირველი ათეული წლების სხვა ქართველი პოეტებისთვისაც, რადგან ეს იყო დიად რევოლუციურ მღელვარებათა წლები.

კოტე მაცაშვილი საბოლოოდ ექცხლში ატარებდა მახეჩ, მანკიერ მოვლენებს. რასაც ადგილი ჰქონდა მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის ბევრ სატირულ ლექსს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა ელერადობა და ემოციური ძალა.

კოტე მაცაშვილმა ამაგი დასდო ქართული ლექსის განვითარებასაც. მან „საყურადღებო წვლილი შეიტანა ქართული პოეზიის განახლებებასა და ქართული ვერსიფიკაციის საქმეშიც. სწორედ ღრმად გამჭდარი ხალხურობის გამო გახდა შესაძლებელი კოტე მაცაშვილის ზოგიერთი ლექსის შეცდომით ხალხურად მიჩნევა, მაგალითად „ლაღესი“. კოტე მაცაშვილმა ერთ-ერთმა

პირველმა შემოიტანა ქართულ პოეზიაში სონეტი. მისივე დამსახურებაა ჩვენში დაქტილური ლექსის დამკვიდრება და ამ საზომით დაწერილი ლექსის (უსიკალური სრულყოფა. მანვე გამოიყენა რომანსიცი, როგორც თავისებური შინაგანი ანღერების მქონე მცირე ზომის ლექსი, ღრმა განცლით ამეტყველებული“².

პატრიოტული მოტივია ქ. მყაშვილის პოეზიის ძირითადი მოტივი. პოეტის ერთადერთი საზრუნავი სამშობლოს კეთილდღეობაა. მისი თითოეული ნაბიჯი, თითოეული კალმის მოსმა სამშობლოსადმი უძირო სიყვარულითაა გამსჭვალული. ქ. მყაშვილი იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, „რომელიც ნიკრძალებით, რაღაც წმინდა სასოებით უცქერდნენ თავის სამშობლოს, როგორც წმინდა ეროვნულ სასახლეს, რომლის გამშვენიერებასა და გასლიერების სამსახურში ხედავდნენ თავიანთი ცხოვრების არსსა და დანიშნულებას“³.

კოტე მყაშვილი, რომელიც თავისი შემოქმედებითა და საზოგადოებრივი საქმიანობით ქართველი ინტელიგენტის იდეალურ ტიპს წარმოადგენდა, თანამედროვეთა შორის განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. 1923 წელს გაზეთ „ლომისში“ ლეო ქიაჩელი წერდა: „უწინარეს ყოვლისა, ჩვენი კავშირის დიდი ფიგურა კოტე მყაშვილია. რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ იგი თავმჯდომარეობს ამ კავშირს. კოტე მყაშვილი ერთადერთია, რომელიც განსაკუთრებული თავისებურებით განიცდის საქართველოს“⁴.

ქ. მყაშვილის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს 1913 წელს გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებული ცნობა, სადაც იგი თავის ხელისმომწერლებს პრემიად აღუთქვამდა კოტე მყაშვილის ლექსთა კრებულს „ლირიკას“, რომელიც იმზანად გამოსაცემად მზადდებოდა.

კოტე მყაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე. ქ. მყაშვილის ეს თანამდებობა სიცოცხლის ბოლომდე არ დაუტოვებია. მთელი ათი წლის განმავლობაში უძღვებოდა იგი ამ ძნელსა და საპატიო საქმეს. ეს იყო თავისებური დუღილით აღსავსე პერიოდი ჩვენი მწერლობისა. ქ. მყაშვილი მისთვის ჩვეული ტაქტისა და გულისხმიერების წყალობით ისე უძღვებოდა საქმეს, რომ კავშირში შემავალ ყველა ჯგუფში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა.

კოტე მყაშვილი იყო აგრეთვე სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურული კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე; მუშაობდა თბილისის კომუნალურ ჰანკში, საადგილმამულო განყოფილების დირექტორად; იყო ერთ-ერთი დამაარსებელი სიტყვაკაზმული მწერლობის, ფილარმონიული, საისტორიო-საეთნოგრაფიო და დრამატული საზოგადოებებისა. სწორედ იმის გამო, რომ იგი ძალიან დატვირთული იყო საზოგადოებრივი საქმიანობით. წას დრო აღარ რჩებოდა ლიტერატურული მუშაობისათვის და ცოტას წერდა. საზოგადოება მონატრული იყო მისი ნაწარმოების გამოქვეყნებას.

ქ. მყაშვილის რუსული აღზრდა ჰქონდა მიღებული და პირველი ლექსიც ცხრა წლის ასაკში რუსულ ენაზე დაწერა. პოეტი ძალიან მტკივნეულად გა-

² გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, კოტე მყაშვილის შემოქმედება. მნათობია, 1956, № 7, გვ. 115.

³ მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, კოტე მყაშვილი, 1972, გვ. 563.

⁴ გაზ. „ლომისი“, 1923, № 18, გვ. 1.

ნიცილიდა ქართულის არცოდნას. წერილში „ვანო ჭავჭავაძის შვილი“ კ. მყაყვილი წერს: „მე ბავშვობიდანვე (6 წლიდან) მშობლიურ კერას მოწყვეტილს. აღზრდილს ქართულის არმცოდნეთა საზოგადოებაში, ისე საფუძვლიანად მაქვს დაიწყებული დედაენა, რომ გარდა გარეგანი იერისა, ქართველს სხვა არა მიგავს-რა. ვანო ჭავჭავაძის შვილი გაცნობისას ქართულად მელაპარაკება, მრცხვენიან, რომ ქართულადვე პასუხის გაემა არ შემძლიან“⁵. ყრობისას პოეტი ბევრს სწერდა: „17 წლისა მე უფრო ბევრს ვწერდი, ვიდრე ეხლა ვწერ, — აღნიშნავს პოეტი ერთ-ერთ პირად წერილში, — მაგრამ სამწუხაროდ არც ერთი არ გადაურჩა ცეცხლს, რომელიც ჩემი საუკეთესო კრიტიკოსი იყო“. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ იმ მრავალრიცხოვანი რუსული ნაწერებიდან ალიან მცირედლა შემორჩენილი: ორი დასრულებული, რამდენიმე დაუმთავრებული ლექსი და რამდენიმე ნაწყვეტი.

კ. მყაყვილმა გადაწყვიტა ამ სერიოზული ნაკლის გამოსწორება და იურიდიული ფაქულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო აღმოსავლური ენების ფაქულტეტზე, მაგრამ სტუდენტთა გამოსელების გამო იგი უნივერსიტეტიდან დაითხოვეს. მაშინ მან დამოუკიდებლად განაგრძო მუშაობა: გატაცებით კითხულობდა „დაბადებას“, „სახარებას“, „ვისრამიანს“, ზარათუსტის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებებს. მან ბევრი დრო და ენერგია დახარჯა და სასურველ შედეგსაც მიადგინა: იგი რამდენიმე ხნის შემდეგ საფუძვლიანად დაეუფლა ქართულ ენას, მის ყოველ ნიუანსს, მისი სიტყვა სხარტია და მოქნილი.

კ. მყაყვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ინახება აკად. ვიორგა ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. აკად. ი. გრინაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში, ხოლო მცირე ნაწილი დატულია პოეტის ოჯახში.

კ. მყაყვილის ნაწერების უმრავლესობა გაფანტულია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში. მისი ნაწერებიდან ცალკე წიგნებად გამოცემულია: 1903 წელს — პატარა სატირული პოემა „კრება ანუ ბიბლიოთეკის დაპყრობა“, 1914 წელს — ლექსთა კრებული „ლირიკა“ და 1926 წელს — გახმაურებულ სატირული პოემა „ემშაკი საქართველოში“. ეს არის და ეს.

პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1927 წელს გაზეთ „კომუნისტში“ (№ 199, 3 სექტ.) გამოქვეყნდა ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ გადაწყდა კ. მყაყვილის ნაწარმოებთა გამოცემა. მისი განხორციელება დაეჯალა „სახელგამს“. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვადაწყვეტილება ვერ შესრულდა. გულისტყვილით აღნიშნავდა მიხეილ სანდუკელი: „მუშარეაით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება კოტე მყაყვილის შემოქმედების სრული გამოცემა. პოეტის არქივი. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში რომ ინახება, არის საკმარისი. საინტერესო მასალა, რომელსაც ჯერ არ უნახავს შუქი. ეფიქრობთ. საქიროა კოტე მყაყვილის შენჭიმელება მთლიანად დაიბეჭდოს, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს მკითხველისათვის. ამას მოითხოვს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის ინტერესები, ამასვე გვავალებს მწერლისადმი სათანადო პატივისცემა“⁶.

⁵ კ. მყაყვილი. ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1926. № 17—18, გვ. 35.

⁶ მ. ზანდუკელი, თხზულებანი, ტ. 1, 1972. გვ. 569.

ჩვენც ამ მოტივით ვხელმძღვანელობდით, როდესაც დავიწყეთ კოტე მაყაშვილის ნაწარმოებთა გამოცემისათვის მზადება. ამ მიზნით გულდასმით შევისწავლეთ 1900—1927 წლების ჟურნალ-გაზეთები. აღმანახები, კრებულები. მოპოვებული მასალების საფუძველზე მომზადდა გამოსაცემად კოტე მაყაშვილის თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. პირველ ტომში შევიდა 106 გამოქვეყნებული, 48 გამოუქვეყნებელი ლექსი და ორი პოემა, ხოლო მეორე ტომში — ერთი ორიგინალური პიესა, ერთი ნათარგმნი პიესა, პროზაული ნაწარმოებები, პუბლიცისტური წერილები, სიტყვები და ეპისტოლარული მემკვიდრეობა.

კ. მაყაშვილი 1901 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე თანამშრომლობდა შემდეგ პერიოდულ გამოცემებში: „ივერია“, „ცნობის ჟურნალი“, „პატარა გაზეთი“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო გაზეთის“ სურათებიანი დამატება, „სახალხო ფურცელი“, „მეგობარი“, „სახალხო საქმე“. „თემი“, „ისარი“, „დროება“. „საქართველო“, „საქართველოს“ სურათებიანი დამატება, „პოეზიის დღე“, „ქართული სიტყვა“, „ლომისი“; ჟურნალებში: „საქართველო“. „ფასკუნჯი“. „კლდე“, „ლეილა“, „ბუნება და ხელოვნება“. „საფირონი“. „პრომეთე“. „ლომისი“, „ისპირი“, „ახალი კავკასიონი“, „ჩენი შეცხიერება“. „პოეზიის დღე“. „ერი“; კრებულში „გრდემლი“; აღმანახში „ნიაი“.

განსაკუთრებით ნაყოფიერად თანამშრომლობდა კ. მაყაშვილი გაზეთებში: „ივერია“, „სახალხო ფურცელი“ და „ლომისი“.

როდესაც ტომები მზად იყო გამოსაცემად, ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში აღმოჩნდა კ. მაყაშვილის ლექსთა კრებული (№ 2823), რომელიც ათლიანად ჩასწორებულია ავტორის მიერ. ამ მასალის ვათვალისწინება ტომების მომზადების პერიოდში შეუძლებელი იყო, რამდენადაც იგი დამუშავდა და ჩვენთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ 1973 წლის გაზაფხულზე გასდა.

ჩვენ მიერ მომზადებულ პირველ ტომში შევიდა ყველა ის მასალა, რომლებიც ხანგრძლივი ძიების შედეგად მოვიპოვეთ (27 წლის მანძილზე პოეტის მიერ გამოქვეყნებული პერიოდულ პრესაში), ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული ლექსების კრებული კი არაა ასეთი სრული. ჩვენ მიერ მომზადებულ ტომთან შედარებით ამ კრებულს ბევრი ლექსი აკლია, ჩვენთვის უცნობი კი აქ მხოლოდ ორი ლექსი აღმოჩნდა — „ჩენი ვინტი“ და „სატანას ტრიუმფი“.

კრებულში მოთავსებული ლექსები ამოჭრილია წიგნებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან და ჩასწორებულია პოეტის მიერ. ბევრია ავტოგრაფიც (სხვადასხვა სომრებით ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში ინახება ცალკეულ ლექსთა ავტოგრაფებიც). დიდი ი. გრიშაშვილის დამსახურება ამ საქმეში: მან კოტე მაყაშვილის უმცროსმა მეგობარმა, შემოგვიანხა პოეტის ლექსთა კრებული, ავტორის მიერ შედგენილი და ჩასწორებული.

კრებულს თავფურცელზე, რომელიც ი. გრიშაშვილის ხელითაა გაფორმებული, გაკეთებულია შენიშვნა: „უნდა დაიბეჭდოს ისე, როგორც აქ არის გამართული. ასე შესწორებებით დასტოვა ვანსვენებულმა კოტე მაყაშვილმა და ჩვენც ასე გავმართეთ. ამ წიგნშია მისი ლექსები I წიგნიდან და II წიგნიდან. ი. გრ.“. ი. გრიშაშვილის სიტყვებში „ჩვენც ასე გავმართეთ“, ალბათ, იგულისხმება წიგნის გარეგნული გაფორმება, ლექსთა განლაგება, ზოგიერთი

უსათურო ლექსის დასათურება (რომლებიც ჩვენ, როგორც არააეტიორისე-
წლი, მხედველობაში არ მიგვიღია), თორემ სხვა მხრივ ტომში ყველაფერი
მაცაშვილისეულია. როგორც ზემოთ მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, ი. გრიშაშვი-
ლი ასახელებს კ. მაცაშვილის მეორე წიგნსაც. პოეტის მეორე წიგნი კი, სა-
ერთოდ. არ გამოსულა. ამიტომ ი. გრიშაშვილის განცხადება, რომ ლექსები
I და II წიგნებიდანაა ამოკრეფილი, სინამდვილეს არ შეეფერება.

ამ მასალების საფუძველზე ჩვენ მიზნად დავისახეთ კოტე მაცაშვილის
პოეტური შემოქმედების ზოგიერთი ტექსტოლოგიური საკითხის შესწავლა.

მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლას დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს. ყველაზე მკაფიოდ მწერლის მუშაობას ხელნაწერები ასახავს.
ამიტომ აუცილებელი და პირველი საფეხური შემოქმედებითი ლაბორატო-
რიის შესწავლისა არის ყველა ხელნაწერი წყაროს გამოვლენა და მათი სა-
ფუძვლიანი შესწავლა-დამუშავება. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია აგრე-
თვე ნაბეჭდი წყაროები, რადგან, როგორც წესი, ავტორი ტექსტზე მუშაობას
მისი გამოქვეყნების შემდეგაც განაგრძობს და ცვლის მას გამოცემიდან გამო-
ცემამდე. ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროების სრულად გამოვლენის შემდეგ
ავტოგრაფები და ნაბეჭდი წყაროები უნდა დალაგდეს ქრონოლოგიურად. ეს
საშუალებას მოგვცემს თვალნათლივ წარმოვიდგინოთ თანდათანობითი დახ-
ვეწა-ჩამოყალიბება ნაწარმოებისა.

მწერლის ლაბორატორიაში შექრა ბევრ საინტერესო საკითხს ახდის
უარდას და გამოავლენს ბევრ ისეთ რამეს, რასაც თვით ავტორი არასდროს
გამოიტანდა დღის სინათლეზე. ნაწარმოების შექმნა თავისთავად ხაზგარძლი-
ვი და რთული პროცესია. შემოქმედებითი მუშაობის დაძაბულობასა და სიჭ-
ხელზე მიუთითებს ი. ჭავჭავაძის შემდეგი სიტყვები: „ლიტერატურული
მოღვაწეობა ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღემუდამ უკან დევნა
უნდა. დღემუდამ მის სფეროში ტრიალი, დღემუდამ ფიქრსა და ტვინის მოჭ-
რობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი“⁷. ამ განუწყვეტელი ფიქრისა და
მუშაობის კვალი ნათლად ჩანს, უპირველეს ყოვლისა, მწერლის არქივში. მის
სამუშაო სახელსნოში, სადაც ხდება მასალების პირველადი დამუშავება,
ნაწარმოების კონტურების მოხაზვა. თემისა და იდეის დაზუსტება, სახეთა
სისტემის გამოკვეთა და საბოლოოდ ჩამოყალიბება. მწერალი ნაბეჭდ წყა-
როებზე განაგრძობს შემოქმედებითს მუშაობას, იყენებს ნაბეჭდ წყაროს, რო-
გორც ხელნაწერს და ხეწს მას. ეს მუშაობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,
საკმაოდ სანაგრძლივია და ხშირად მწერლის გარდაცვალებამდე გრძელდება.
„მხატვრული ნაწარმოებები უტბად არ იქმნება, — წერს ბ. ტომაშვესკი, —
მის შექმნას წინ უძღვის რთული და ხანგრძლივი მუშაობა, რის შედეგად
მოიღება მეტ-ნაკლებად დამთავრებული ტექსტი ნაწარმოებისა. მიიღწევს რა
იდეისი ნაშრომის დასრულების გარკვეულ ეტაპს. ავტორი განაგრძობს მუ-
შაობას ნაწარმოების სრულყოფისათვის. ამ მუშაობის ხასიათი დამოკიდე-
ბულია მწერლის მხატვრულ ხერხებსა და იმ მოსაზრებათა ბუნებაზე, რომ-
ლებიც იწვევენ ამა თუ იმ ცვლილებებს როგორც დეტალებში, ასევე მთელ
ნაწარმოებებში“⁸.

7. ჭ ა ე კ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, 1928, IX, გვ. 29.

8. Б. В. Томашевский, Писатель и книга, М., 1959, გვ. 5.

ტექსტოლოგი გულდასმით სწავლობს ნაწარმოების თავდაპირველ სახეს, აკვირდება იმას, თუ რა ხასიათის ცვლილებები შეიტანა მასში ავტორმა, რით იყო გამოწვეული ეს ცვლილებანი, რას ემსახურება ისინი — ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ თუ ენობრივ-სტილისტურ დახვეწას. ხელნაწერთა შესწავლა გვიჩვენებს მწერლის მუშაობას ამა თუ იმ ნაწარმოებზე და გასაგებს ხდის ამ ცვლილებათა და შესწორებათა შეტანის მიზეზებს. შემოქმედი ზოგჯერ მცირე ცვლილებებით შემოიფარგლება, ზოგჯერ კი რაღაც შემოქმედებით მუშაობასთან გვაქვს საქმე, რაც მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ნაწარმოების ავტოგრაფებსა თუ ნაბეჭდ წყაროებზე. თითოეული ავტოგრაფი თუ ჩასწორებული ნაბეჭდი წყარო ასახავს მწერლის ჩანაფიქრის განვითარების პროცესს, მხატვრული გამოსახვის საშუალებათა ძიებას, მისი მუშაობის თავისებურებებსა და მეთოდებს.

ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ კ. მაყაშვილის რთული და ხანგრძლივი შემოქმედებითი მუშაობა პოეტურ ნაწარმოებებზე, — ის ცვლილებანი, რომლებიც შექმონდა ავტორს მათი იდეურ-შინაარსობრივი თუ მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისით.

კოტე მაყაშვილის არქივი მცირეა: ზოგი ლექსი ერთი ავტოგრაფითაა წარმოდგენილი. ზოგი — ორით, ზოგ ლექსს ავტოგრაფი სულ არ გააჩნია. ბევრ მათგანში შესწორებები უმნიშვნელო ხასიათისაა. ბევრი კი საფუძვლიანადაა გადაამუშავებული. ყველაზე დიდი ცვლილებებია ავტორის მიერ ბოლო წლებში მომზადებულ კრებულში, რომელიც გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში ინახება. ჩვენ შევისწავლეთ და გავაანალიზეთ ეს ცვლილებები.

კოტე მაყაშვილის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლამ ნათელადაა პოეტის შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებანი.

მაყაშვილი ხშირად ცვლის სიტყვიერ მასალას, ცალკეულ გამოთქმებს, ზოგჯერ მთელ წინადადებებსაც. ყველაფერი ეს ემსახურება ტექსტის დახვეწას. ლექსის მხატვრულ სრულყოფას, ტექსტში მეტი აზრობრივი სინათლას შეტანას. ერთ-ერთ უსათაურო ლექსს („ყველაგან ტირილი, კენესა, ჩივილი...“) საკმარის ცვლილებები განუტოლია საბოლოო ავტოგრაფში. ლექსის მე-8 სტრიქონში აღრე იყო: „ლომგულთა შეილნო“, მაგრამ ეს სიტყვები წარმოაჩინა მანპარების სიდალეს. მათ ღირსებას, პოეტს კი სურს ქებით მოიხსენიოს სამშობლოსათვის თავდადებული შვილები. რომლებიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებიან. ამიტომ პოეტმა ასე-

შესწორება შეიტანა — „ლომად შობილნო“. რაც უკვე ამ ახალი, რევოლუციური თაობის გმირულ ბუნებაზე მიგვანიშნებს.

მხატვრული სრულყოფის მიზნით კ. მაყაშვილი მთელ სტროფს ცვლის საბოლოო ტექსტში:

იყო
წყელადს, სიფილდეს
ჯანყვის მაგარ კლდეს
ვასტებს, მტერად აქეთეს
გულისა გრდემლი!

ჩასწორდა
წყვილის ბუდეს,
სიფილის ზღუდეს,
მტერად აქეთეს ნების
ურო და გრდემლი!

გარდა მხატვრული სრულყოფისა, აქ უკვე გამოკვეთილადაა ნათქვამი, რომ ნებისყოფა მთავარი ბრძოლაში: მებრძოლი ადამიანის უფრო ნიშანდობლივ თვისებაზე ამხვეილებს პოეტი ყურადღებას.

• საბოლოო ავტოგრაფში ან „საბოლოო ტექსტში“ ჩვენ ყველან ეგვილისხმობთ ი. კრიშტიანის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ კრებულს, რაზედაც შემოქმედი აღარ მიუთითავს.

ამავე ლექსის ბოლო სტროფში ადრე იყო: „ვერ დაგვაცნინებს, ვერ შევქაშინებს. მასშინ ჩვენ თვითონ მძლავრი სატანა!“ საბოლოო ავტოგრაფში კი უფრო გააოკვეთილად. უფრო თამამადაა მითითებული სატანაზე ხალხის განარჩევების რწმენა:

ვინ გაგაწბილებს!
სისხლიან კბილებს
ჩვენზე დაიბტურეს თვით მძლე სატანა!

ბრძოლისაყენ მომწოდებელ ლექსში „პასუხი“, რომელიც 1903 წელს დაწერა პოეტმა. ასეთი სტრიქონები იყო: „დავაქციო, მტერად ვაქციო და მოვეუღო იმას ბოლო!“. ნაცვალსახელი „იმათ“ აზრს აბუნდოვანებდა, არ ჩანდა გარკვევით. თუ აქ ვის გულისხმობდა მწერალი, ამიტომ პოეტმა იგი შეცვალა სიტყვით: „ვერაგთ“ („დავაქციო, მტერად ვაქციო და მოვეუღო ვერაგთ ზოლო“). რამაც აზრობრივი სინათლე შეიტანა ტექსტში.

ამავე ლექსის ბოლო ნაწილი ავტორმა მთლიანად შეცვალა საბოლოო ტექსტში. პირველ ვარიანტში პოეტი წერდა: „ჩვენს მშოშოშელ ხალხს ბრძოლით და ცრემლებით გადაუხადოთ ვალიო“. ჩასწორების შემდეგ მივიღეთ (ბრძოლა და ცრემლით შეუთავსებელი ცნებებია): „არა ცრემლით, არამედ ბრძოლით გადავიხდით წმინდა ვალსო“. ამასთან ერთი სტრიქონი, რომელიც ზედმეტი იყო, ამოვიარდა. ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიტანთ ნაწყვეტს პირველი ვარიანტიდან და საბოლოო ტექსტიდან:

ი ყ ო

დროა დაჩაგრულს
დამწეარ-დადაგულს
შმიერ-შიშველს, უბედურსა,
ობოლს, ეულს.
ტანჯვად ქცეულს.
ყველა ბელშაჟს და უძლულსა,
ჩვენს მოყვანსა,
მშობელ ძმანს,
გადუხადოთ წმინდა ვალი,
ბრძოლით. მსხვერპლით,
სისხლის ცრემლით,
უდარდელი,
უტანჯველი,
მოუღმზადოთ მომაეალი!

ჩ ა ს წ ო რ დ ა

დროა ჩაგრულს
ჭვარზე გაკრულს,
ჩვენს მარჩენალს, ხალხსა მშრომელს,
მაშვარალს, ეულს,
თუშა ძლეულს,
მაგრამ უტებს, დაჯცხროზელს,
არა ცრემლით,
ბრძოლით, მსხვერპლით
გადუხადოთ წმინდა ვალი,
უტანჯველი,
უდარდელი
მოუღმზადოთ მომაეალი!

ლექსი „სიმღერა“ ძლიერია სატირაა ზოგიერთი გადაგვარებული ქართველის წინააღმდეგ. აქ თავმოყრილია ყველა ის უარყოფითი თვისება, რაც დამახასიათებელი იყო ასეთი ადამიანებისათვის: ადგილ-მამულის ვალებში გაყიდვა, მლიქვნელობა, ფარისევლობა, თანამდებობისა და საკუთარი კეთილდღეობის მისაღწევად ყოველივე წმიდათა წმიდის ფეხქვეშ გათელეა. სურათს ამძაფრებს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში უდარდელობისა და მხიარულების გამოშხატველი რეფრენის ხმარება:

ჰერი, ჰერი, ჰერი,
მიხაროან, ემღერი,
სამშობლოს ვერაჟ ტლინკს, ოლონდ კი
ვიყო ზღღნიერი!

ჰერი, ჰერი, ჰერი,
ვლოთობ, მედგრად ვმღერი,
ჩემს იღვალს და რწმენას,
მოეფინა მტვერა!

პოეტი ეძებს სიტყვებს, რომლებიც უფრო ზუსტად გადმოსცემენ აზრს. ჩანაფიქრს. სხვა სწორებათა შორის ერთი ასეთია: იქ, სადაც წერია „ტლინკს“, ადრე იყო „წიხლს“ („სამშობლოს ვკრავ წიხლს, ოლონდ კი“). შეცვლილი სიტყვა კიდევ უფრო უსვამს ხაზს ამ საქმის ჩამდენის სრულ გადაგვარებას.

ლექსი „ლაჩრებს“ რეაქციის წლებშია დაწერილი. ლექსში პირველად აღწერილია ის იმედიანი განწყობილება, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ გამოიწვია პოეტში:

შუა ზამთარში, მკაცრ სციეეში,
დადგა ორი დღე როგორღაც თბილი,
გამოცოცხლებულ გულის სიღრმეში
ჩვენ სასოება აღვეძრა ტუბილი.
შორიდან სხივი მზის დაეინახეთ,
მან გაუღიმა ჩვენს სულს გალახულს!

ადრე ბოლო სტრიქონში იკითხებოდა „მან გაუღიმა ჩვენს სულს გაყინულს“. სიტყვა „გაყინულს“ პოეტმა შეცვალა „გალახულით“, რაც კიდევ მეტად უსვამს ხაზს ხალხის დაბეჩაეებულ, დამცირებულ მდგომარეობას, ხოლო ცოტა ქვემოთ „სასტიკი ქარი“ შეცვლილია „აფთარი ქარით“, რაც იმაზე ეძიეთთებს, რომ ეს ქარი (რომელშიც პოეტი მეფის რუსეთის თვითმპყრობელობას გულისხმობს), მხოლოდ სასტიკი კი არ არის, არამედ ყველაფრის მომსპობი, გამანადგურებელია, რომელსაც ძნელად თუ რამე გადაურჩება. ლექსი ასე მთავრდება:

და ისევ შიშა, კენესა-გოდებას,
მივეციოთ თავი ფერმიხდილებმა,
შეჩვეულებმა ფეხებქვეშ გვებას,
მონებისავე მხალაშა შვილებმა!

მესამე სტრიქონში „ფესქვეშ გვებას“ ნაცვლად იყო „შეჩვეულებმა“. მხოლოდ მონებას“. ამ უნუგეშო მდგომარეობით გულმოკლულმა პოეტმა უფრო მეურაცხმყოფელი სიტყვები იხმარა ხალხის, მათ შორის თავისი თავის მიმართაც. კ. მყავშიღიმა კარგად იცის, რომ არ არის მოსაწონი კენესა-გოდება და მონობა, რომ ეს ლაჩრობაა და სიმხდალე, მაგრამ პოეტი გულწრფელად აღიარებს, რომ თვითონაც ამ ლაჩართა შორისაა.

ლექსი „მე“-ს ერთ-ერთი ავტოგრაფი (№ 5594), რომელიც გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში ინახება, ძალიან ნასწორებია. ეს არის ერთი იმ იშვიათ შემთხვევათაგანი, როდესაც საქმე გვაქვს პირველ, შავ ავტოგრაფთან, პოეტის პირველი ჩანაფიქრის განხორციელებასთან.

პოეტი აღტაცებულია ცხოვრების სიმშვენიერით, აღსაყვება შენებისა და შემოქმედების სურვილით, მაგრამ გრძნობს, რომ ვილაცის უხეში ხელი ურღვევს მას ბედნიერებას. იგი მუდამ გრძნობს ამ გამანადგურებელ სევდახალევს და მისი ბრძოლისა და მოქმედების პათოსიც ქრება. ამ განწყობის გამოსახატავად დიდი მუშაობა ჩაუტარებია პოეტს. ლექსის პირველი სტროფი აღნიშნულ ავტოგრაფში ასეთი იყო:

როს ექმნი და ვაგებ სუმბულ-ნარდებით,
ახალ ქვეყანას, შექმენარ ნესტარს,
ბარეღეფით, ნაზ ჩუქურთმებით,
როს სიყვარულით ვკაზმავ სელის ქნარს.

პოეტი ცვლის სიტყვიერი მასალას, უფრო აკონკრეტებს შენების საგანს. მას აღარ მოსწონს „სუმბულ-ნარდებით“ აგებული ქვეყანა და სტროფი საბოლოო ვარიანტში ასეთ სახეს იღებს:

ოდესაც ვაგებ აღფრთოვანებით,
მაღალ შენობას ტურფას და ნარნარს,
როს სიყვარულის სხივ-ფერადებით,
ვაშვენიერებ მძლავრსა სელის ქნარს.

ლექსის მე-5 სტრიქონი ასე იკითხება: „ამ დროს ვიღაცა შმაგი და ხელი“. ავტორს შეუშინეველი არ დარჩა ტავტოლოგია და საბოლოო ავტორგრაფში იგი ასეა შეცვლილი: „ამ დროს ვიღაცა უხეში, ხელი“.

„საქართველოს“ სურათებიან დამატებაში 1916 წელს გამოქვეყნდა კ. მავაშვილის ლექსი „ლოცვა, წმინდაო ნინო“. ამ ლექსში ის აზრია გატარებული, რომ სამშობლოს ხსნა, მისი აღდგენა შეიძლება მხოლოდ ქართველების გაერთიანებით, თავდადებული, უანგარო სამსახურით სამშობლოსათვის. ამ საქმეში პოეტი ერთ-ერთ გადაწყვეტ როლს ანიჭებს ქართველ ქალს, მზექალს, „ერის შვენებას, შვენების ნახატს“. მე-17 სტრიქონი ასე იკითხებოდა: „ბურუსი ზღუდავს მძებნელსა თვალსა“. საბოლოო ვარიანტში იგი ასეა შეცვლილი: „და ეფინება ბურუსი ჩემს თვალს“. ნაბეჭდ ტექსტში ამ სტრიქონს მოსდევდა — „არსადა ვხედავ ნანატრის კვალსა“. იგი ზედმეტია, მეხუთეა სტროფში და საბოლოო ტექსტში აღარ შეუტანია ავტორს. 35-ე სტრიქონი — „გამოცოცხლდება კვლავ ყვავილნარი“ შეცვლილია სიტყვებით „გაიფურჩქნება დამქანარ-დამდნარი“. მომდევნო სტრიქონში „იმედი გულსა“ შეცვლილია „იმედი დაგულს“. 43-ე სტრიქონში „კვლავ მოგვევლინე“ შეცვლილია სიტყვით „გამოგვეცხადე“. 44-ე სტრიქონში „ციხე-ნგრეული“ შეცვლილია „სულის სიმტკიცით“ და ა. შ. საბოლოო ტექსტში საოცნებო ივერთ ასული-სადმი მიმართული სტრიქონები ასე ჩამოყალიბდა:

— ოჰ, არა, არა! მწამს დრო ცელება,
ცა ნისლს გადიყრის, გაიწმინდება!
სიმწარის ჯამი მთლად დაიკლება!
სულის მზე ისევე ამობრწყინდება!
გაიფურჩქნება დამქანარ-დამდნარი,
იმედი დაგულს კვლავ გააღიმებს,
ივერთ ასული მკედრებით აღმდგარი
კერაში ერის ცეცხლს გააღვივებს!
ნორჩი სიცოცხლე სწრაფის კეთებით,
მაღე გაარღვევს შეაქედის ზღუდეს,
უღანნოს მორწყავს ცხოველ წვეთებით,
სევდა-კაემნის ამოსწავს ზღუდეს!
გამოგვეცხადე, კვლავ დაგვიბრუნდი,
სულის სიმტკიცე რომ აღვიღვინო,
რომ მოაშორო ერს რკინის ზღუდი.
ჩვენო ჩვენთვისა, წმინდაო ნინო!

ლექსი „თამარ მეფეს, თამარ წმინდას, თამარ მშვენიერს!“ 1916 წელს გამოაქვეყნა კ. მაყაშვილმა. იმ მრავალრიცხოვანი ჩასწორებებიდან, რომლებიც პოეტს შეუტანია ლექსის საბოლოო ავტოგრაფში, ქვემოთ მოვიყვანთ ისეთ ნაგალითებს, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ტექსტის აზრობრივად ვამართვისა და ლექსის მხატვრულად დახვეწისათვის:

რ ე ლ

რათაელის ღვთაებრივი
ყალამიც რომ მოვიხზარო.

საქართველოს კაეშანი
მერძნობიარე გულით დამაქეს.

მოიღრუბლა, დაგვიბნელდა,
ცა ოღესღაც სვეტა-წყნარი.

საქართველოს ლამაზ სხეულს
ნაქანდაკეებს შენის ხელით.

ტურა, მგელი დავხეია,
ყველამ გაჭრა ბასრი კბილი.

რჭელისათვის წარმართთ ურდომ
სად და როგორ არა ვეჩეხა.

იქ ისმოდა კათალიკოზთ
მამობრივი ქადაგება.

ჩვენის სულის ქანდაკება
გავეითელა, დაგვიწვია.

ღმერთს ვერ ასმენს თავის სევდას
ერი ჩაგრულ-დატანჯული,

მიწნურის და მსუნავისა
შორის არ ჩანს უკვე ზღვარი.

ჰა, ირკვევა, შენ გაღვიძებს.
კელავ იესება ლომის ძალით.

მობრძანდები სხივოსანი
მომღიმარი, მშვენიერი.

მზე დაჰხარის მთა და ბარსა
ხაერლოვანს, ზურმუხტ მდელოს,
ზღვიდან ზღვამდე გრგვინავს მძლავრად:
„გაუმარცოს საქართველოს!“

ჩ ა ს წ ო რ ლ ე

რათაელი: ღვთაებრივი
ყალამიც რომ მოვიმარჯუო.

საქართველოს კაეშანი
მტყიენული გულით დამაქეს.

მოიღრუბა, დაგვიბნელდა.
ცა ელვარე და მცინარი.

საქართველოს ლამაზ სხეულს
ნაქანდაკეებს ნათალ ხელით.

ტურა, მგელი დავხეია,
ყველამ გაჭრა იმას კბილი.

ველურთ ურდომ არა ერთხელ
ჩვენ სახლ-კარი დაგვიმეხა.

იქ ისმოდა წმინდა მამათ
აღმაფრენი ქადაგება.

ჩენი სულის ქანდაკება
გავეითელა, დაგვიმსხერია.

ცას ვერ ასმენს თავის სევდას
ერი ჩაგრულ-დატანჯული.

მიწნურის და აეხორციისა
შორის არ სჩანს უკვე ზღვარი.

და ეს გული გაგაღვიძებს
აიესება ლომის ძალით.

მობრძანდები სხივოსანი
მომღიმარი, ლმობიერი.

მზე დაჰხარის მთათა გვირგვინს,
ხაერლოვანს ბარს და მდელოს,
ზღვიდან ზღვამდე გრგვინავს: „ევაშა,
თაისუფალ საქართველოს!“

66-ე სტრიქონის შემდეგ (... ცრემლთა ფრქვევა) ნაბეჭდ ტექსტში ემატებოდა ორი სტრიქონი:

ტანჯვა-ფიქრის, განცდის შემდეგ საყუარლები ერთდებოდნენ,
აჩაღებდნენ თავის კერას, გმირებს ზრდიდნენ და სტკეპობდნენ.

ეს მდარე და ტრივიალური შინაარსის სტრიქონები პოეტმა საბოლოო ტექსტიდან ამოიღო.

„ჩემი სევდაც“ „საქართველოს“ სურათებიან დამატებაში გამოქვეყნდა (1916 წელს). აქაც შეიტანა პოეტმა საბოლოო ჩასწორებები. აღრიხდელ ლექსები 21—24 სტრიქონები ასე იკითხებოდა:

მე პირაჯად არ მავლია
ვარჯი, თუნდა ია,
სარკე არის ქვეყნის სეველი:
ჩემი ვული ღია!

კ. მაცაშვილის თავაზიანი და მოკრძალებული ბუნებისათვის უსერბული იყო თავის თავზე ასეთი განცხადება. რომელიც, შეიძლება, ზოგიერთს ქედ-მალლობაში ჩანოერთმია. რისგანაც პოეტი შორს იდგა. ჩვენი აზრით, ეს იყო ამ სტრიქონების შეცვლის მიზეზი საბოლოო ავტოგრაფში:

ვეალია, არა ია
ჩემი თვალის ბია
და სარკეა ქვეყნის სეველი:
ჩემი ვული ღია!

2. კ. მაცაშვილის შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებად უნდა ჩაი-
თვალოს ტექსტის გავრცობა. იგი ტექსტს ხშირად ამატებს ბუნების სურა-
თებს თუ სხვა პასაჟებს. გავრცობის მაგალითად გამოგვადგება ლექსი „პარ-
ასი“. რომელიც კ. მაცაშვილის პოეტური მოღვაწეობის დასაწყისს განე-
კუთვნება. ლექსი ალეგორიული ხასიათისაა. მასში გადმოცემულია ის უსა-
მართლობა და ძალმომრეობა, რაც ვამეფებულა იყო მაშინდელ საქართველო-
ში. არსებობს ლექსის ორი ავტოგრაფი. დაცული გ. ლეონიძის სახ. ლიტერა-
ტურულ მუზეუმში. აღრიხდელ ავტოგრაფი ლექსისა (№ 3594) საგრძნობ-
ლად განსხვავდება ნაბეჭდი ტექსტისაგან. ძათი შედარება გვაჩვენებს, თუ რო-
გორ განავრცო ავტორმა თავდაპირველი ტექსტი. რათა უფრო დამაჭერებ-
ლად დაეკინატოს ის ბედნიერი დრო. როცა ქვეყანაზე სამაროლიანობა და
პედნიერება სუცევედა. თუ რამდენად ცვლიდა ავტორი ტექსტს. ამის ნათელ-
სყოფად პოეტიანთ ნაწყვეტებს ჰირველი ავტოგრაფიდან და ნაბეჭდიდან
(1914 წლის კრებულ „ლირიკაში“ გამოქვეყნდა):

ავტოგრაფი
იქ მუდამ ისმის მესიკა,
ცეკვა, თამაში, სიცილი,
და ხანაც სევდით აღსავსე
ზოგიერთ მუზთა ტოილი.

ნაბეჭდი
იქ არის იგი სამოთხე
დამაზი გაზაფხულით
და სულის მალხინებელი
უმანკო სიყვარულით.
იქ ჰეყავის ბეგო მტენარე.
ტურფა და სურნელოვანი,
ქონს ეუბნება ბუნება:
სულთ ხორო კეთილხმოვანი.
ეს უაღერსებს იმ ადგილს,
ვით სატრფოს შეყვარებელი
და ლეივარდივას ვულ-მკერდში
ჰეყავს იგი ჩახუტებული!
არ მრდილავს იმას ღრუბელი.
არც შავი ღამის წყეღიად
და ვანთიადის მზე მუდამ
მას თავ-ველება დაიდა.
ამ უცხო მთაზე ცხოვრობენ
მუზები ტბილად მტყვევლენ,
კაცობრიობის ეების
და ლხენის ვამოყუყუენ

როგორც ვნახეთ. საბოლოო ტექსტი პირვანდელთან შედარებით ხუთჯერაა გაზრდილი.

ლექსი „ღამიანის სიმღერა“ რეაქციის პერიოდშია დაწერილი და გამოქვეყნებული. მასში ლაპარაკია პოეტის უიმედო, უსიხარულო არსებობაზე:

დღენი შირბიან, დღენი მიქროან,
უკვე მოსჩანან ჩემი საზღვრები,
სიცოხლის ბუნჩის ღესეებსა ღრინან
აფი თაგვები, გაუმაძღვრები.
დღენი მიქროან საით და რაჟა?
მათთვის მე რა ვარ? ან კი ვარ რამე?

ავტოგრაფში ამ სტრიქონებს შემდეგი სტრიქონები მოსდევს:

რას მიქადიან, საღ მიმართევენ?
გრძობა-გონების ნაშენ-ნაქნართა
რისთვის მისპობენ, რისთვის ანჯრევენ!

ეს სტრიქონები პოეტმა შემდეგში განავრცო:

თუ სინათლე რამ თან ახლავთ მათა,
რათ გაიმეფეს მამ გულში ღამე?
რათ მარევენებენ ცრეკლსა მდულარეს?
ტანჯის კოცონზე ალსა მგზვნარეს?
ოხვრასა მწარეს, რისხვას მქუხარეს,
სულის ღმერთს მოკლულს, პირქვე მდებარეს?
რათ მიმაღავენ მზესა ეღვარეს,
სითხო-სინათლს: ღრმისა მდინარეს,
სიყვარულს, აღვრსა, ტპილმონარეს,
სახეს მშვენიერს, პირმოკინარეს.
პასუხი ვისგან. . . დღენი მიქროან,
ახ, რათა სდუმენ აქამდინ მკედრები!

როგორც ვხედავთ, სხვაობა მნიშვნელოვანია. ასეთი სახით დაიბეჭდა ლექსი 1908 წელს გაზეთ „ღრობაში“. პოეტი კვლავ განავრცობს ლექსზე მუშაობას და ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულ ავტოგრაფში კიდევ ერთი შესწორება შეაქვს: სტრიქონები

რათ მიმაღავენ მზესა ეღვარეს,
სითხო-სინათლს: ღრმისა მდინარეს!

ასეა შეცვლილი:

რათ მიმაღავენ მზესა ეღვარეს,
სიცოცხლს დიდს და ღრმისა მდინარეს!

შეცვლილი სტრიქონები აზრობრივად და მხატვრულობის თვალსაზრისითაც უფრო გამართულია და დახვეწილი. პირველ ავტოგრაფსა და გაზეთ „ღრობაში“ ლექსი უსათაუროა, ხოლო 1914 წლის კრებულსა და საბოლოო ავტოგრაფში პოეტმა იგი დაასათაურა.

ლექსი „მქუხარე კლდე“ ორჯერ დაიბეჭდა კ. მაყაშვილის სიცოცხლეში: 1912 წელს „სახალხო გაზეთის“ სურათებიან დამატებასა და 1914 წელს კრებულ „ლირიკაში“. ორივე ტექსტი იდენტურია, ხოლო საბოლოო ავტოგრაფი მათგან განსხვავებულია: პოეტს იგი საგრძნობლად ჩაუსწორებია. სწორებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია 70—82 სტრიქონებში შეტანილი ცვლილებები: ჯერ ერთი, პოეტს ტექსტი გაუვრცია და, მეორეც, ამ ახალ ვარიანტში ზღვის სურათი ისე ბრწყინვალედ და დახატული, რომ მსგავსი სტრიქონები, სადაც ასე უხვად იყოს წამოყენებული ამდენი შესანიშნავი პოეტური სახე,

წედარება, მეტაფორა, ალბათ, იშვიათად მოიძებნება ქართულ პოეზიაში (იგი თავისი ხატოვანებით, ექსპრესიულობით გვაგონებს გიორგი ლეონიძის ცნობილ სტრიქონებს „ბრწყინავს ბალი, ქართლის ბალი...“). ქვემოთ მოვიყვანთ ამ ნაწყვეტს:

ხან აწწანდება ზურმუხტის ახვად
და ნორჩ ქეჩილად აბიბინდება,
ხან მარგალიტის ეუეუნებს მძოვად,
ხან გულჩათხრობილ გიშრად ბზინდება,
ხან ბრილიანტის აინთვის ცეცხლად,
ხან საფირონად წაეძინება,
ხან კაფითრდება უეცრად ვერცხლად,
ხან იაგუნდად გაეცინება.
ხან ოქროშველით ნაკერ ძოწვეულს
გადაშლის ფართეთ და წამოსხამს,
ხან აღმასკურიან ჩილასა გრძნეულს
ქარვისფერთმიან თავზე დაიღვამს!
ხან სადაფისა უცხოს, მრავლის ფერს
ააღვილეებს და ააჭრელებს
და ხან დასწვდება თავის მყუდრო ფსკერს,
იქიდან ისერის ფირუზის ჰეკლეს!..

3. გვხვდება საწინააღმდეგო მოვლენაც: პოეტი ამცირებს სტრიქონთა რაოდენობას, კვეთავს ტექსტს. მაგალითისათვის ავიღოთ ლექსი „ამირანი“ ცენზურამ 1914 წლის კრებულიდან ეს ლექსი ამოიღო, მხოლოდ სათაურია ზიგნში დატოვებული, სტრიქონები კი წერტილებითაა აღნიშნული. ლექსის ტექსტი ჩვენ აღვადგინეთ 1905 წლის გაზეთ „ივერიის“ ფურცლებიდან, ბოლო წანებში კი ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში აღმოჩნდა ჩასწორებული ტექსტი. პოეტს საბოლოო ვარიანტში 14—17 სტრიქონები აღარ შეუტანია. აი, ეს სტროფები:

დაუმსხვრევით ჩაქვები,
შეუხვევით წყლულიო,
კელა ჩვენთვის ამგვრებულა
ამაყი, მძლავრი გულიო.

ეს სტროფი სამართლიანად ამოიღო პოეტმა ლექსიდან, რადგან იგი ლოგიკურ წინააღმდეგობაშია მომდევნო სტრიქონებთან: „მოდის, მოგრგვინავს მთა კაცი, ამირან უძლეველიო“. დაუძღურებული და დაიარებული ამირანი გრგვინვით და ბასრი ხმლის ტრიალით ვერ წამოვიდოდა. ლექსი მთავრდება მძლავრი საბრძოლო მოწოდებით, რაც გახდა მიზეზი ცენზურის მიერ მისი აკრძალვისა:

აღსდგით, წელში გასწორდით,
ღვენილო, დაჩაგრულბო,
მტარვალთა ფეხქვეშ მკენესავნო,
ბედისგან ტანჯულ-კრულბო!
წინ, ბრძოლის ველზე, ვაკაცნო,
ბუერი რამ მოგვითმენია,
მავრამ ვეუოფა წააღება,
აწ გამარჯვება ჩვენია!
წინ, ნუ შედრკებით, არწინო!
გმირთ ელის ხალხი ტანჯული,
ძველი კერპები დავამხეთ,
ეხლა ეიწამოთ სხვა რჯული!

კოტე მაცაშვილი განსაკუთრებული სიყვარულითაა გამსჭვალული ილია ქაქუცაძისადმი. საქართველოს გლოვის დღეებში, რაც დიდი პოეტის ვერა-გული შეკვლეობით იყო გამოწვეული, კ. მაცაშვილმა მას მიუძღვნა დიდი, სიუფეთიანი ლექსი. საბოლოო ავტოგრაფში პოეტმა ეს ლექსი საფუძვლიანად გადაამუშავა, ბევრგან შეცვალა ცალკეული სიტყვები თუ წინადადებანი. ლექსის მე-3 თავის პირველი ოთხი სტროფი მთლიანად გადაამუშავებულია, ტექსტი დახვეწილია, სტილისტურად მნიშვნელოვნად შესწორებული, სტრიქონთა რაოდენობა შემცირებული. ამის ნათელსაყოფად მოვიტანთ ტექსტს წაბეჭდიდან და საბოლოო ვარიანტიდან:

წ ა ბ ე ჯ დ ი

აი, აი, სუ! ყური დაუგებო.
 ამ გლოვის ზარსა, ვოდებას.
 შეხეთ პოეტის გარშემო
 ეცხად გაჩენილ ცრემლის ტბა
 შეხეთ ივერთა დიდებას,
 შექმენსა, ღეთსწორი რეაგენ-
 თა მწუხარებით დასკერო!
 ილიას სახეს ჩეღანათელს!
 ციურ ნამსავით ცრემლს აიუ,
 იმის დატანულ გულზეა
 და ჰკოცნის თავის შექვიდრეს
 ტყვიით განკმირულ მუხბლზეა.
 თაუდაუბაღლა ერისთავი,
 მეფე დიმიტრიც იქვე დგას.
 მკოცნის წელულთავან მჩქეფაო
 სისხლითა ლამობს შეწყვეტას.

ჩ ა . წ ო ო ე ბ

ძაგრამ, სუ, შეხეთ, ვლიობო!
 აჩრდილნი სტუქურთიანი,
 შეხეთ ივერთა დიდებას,
 როვორ სწუხს! შოთა მზაინი!
 ციურ ნამსავით ცრემლს აფრქვე,
 ილიას გულის წყლულზედა
 და ჰკოცნის თავის მწველიარე
 ჩატეხილ, ნათელ მუხბლზეა.
 თაუდაუბაღლა დიმიტრი
 იქვე დგას სვედითა ძუხუხბაო,
 და სცდილობს სისხლი შეწყვიტოს,
 მკოცნის კეერდიან მჩქეფარე.

69—70 სტრიქონებს შორის (მდუღარე... მუშა...) ავტორს ერთი სტროფი ამოუღია:

მუხბლოდოცა... ცრემლოც
 ცრემლი მთლად ვამოქეფა!
 გაბრო ეს ელო და ციე ევაძ
 ქეთინითა გადახვევა.

მე-3 თავის 160—161 სტრიქონებს შორის (მქონდა... აქვენ...) 6 სტრიქონი პოეტმა საჭიროდ აღარ მიიჩნია:

არ დამცალდა ყველა ღუქით
 კრძნობათ ვამოთქმა,
 ვამიგმირეს! გულ-მუხლი,
 ჩამიწყვიტეს ხმა!
 ვამიგმირეს ტყვიითა
 ქერდულად, ძალით!

ამ სტრიქონებში მეორდება წინა სტროფებში გამოთქმული მოსაზრებანი.

4. ზოგჯერ პოეტი დიდ დროს კარგავს ტექსტის გადაამუშავებაზე, მაგრამ შემდეგ აღარ მოსწონს ტექსტში შეტანილი სწორებანი და კვლავ ძველს უბრუნდება. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება „სონეტები“. ლექსის საბოლოო ავტოგრაფი თვალნათლივ გვიჩვენებს იმ დამაბულ მუშაობას, რომელიც პოეტს ჩაუტარებია ტექსტის გაუმჯობესების მიზნით. ლექსის პირველი სტროფი ასეთია:

ვიწიქ გულაღა და ეოცნებობდი. . .
 მძინარე ცაზე ვარსკვლავნი კრთოდნენ.
 რალე იღუმალს სევდასა ვგრძნობდი,
 მაშვარლ თვალთაგან ცრემლები რბოდნენ. . .

მიუხედავად სტროფის საემაო პოეტურობისა (ლამაზია მეტაფორულა თქმა „მძინარე ცა“), ეტყოზა, იგი პოეტს არ აკმაყოფილებდა და მას გვერდით ახალი სტრიქონები მიუწერა:

ვიწიქ გულაღა და ეოცნებობდი. . .
 ცა ბინდებოდა ოქროს ნაფერი,
 თვალები მქონდა ცხელი და მშრალი,
 სტიროდა ჩემში თუმც ვველაფერი.

პოეტს არც ეს სტროფი მოსწონებია და კვლავ პირვანდელი სტროფი აღუდგენია. ასევე მე-7—8 სტრიქონების — „უსისარულო, დავიწყებული, ვითა უმწეო მქკნარი ფოთოლი“ გვერდით მიუწერია: „ბედისგან ფეხქვეშ ამოდებული, ვიყავ დამქკნარი, როგორც ფოთოლი“. მხატვრულობის თვალსაზრისით ეს სტრიქონები გაცილებით მდარეა, ვიდრე პირველი ვარიანტი, ამასთან აზრობრივადაც არაა სწორი: „ვიყავ დამქკნარი, როგორც ფოთოლი“, გამოდის. თითქოს მქკნარობა ფოთლის თვისებაა. პოეტსაც უგრძნვია ეს და კვლავ პირველი სტრიქონები აღუდგენია.

5. ბოლო წლებში შეტანილ შესწორებებში იგრძნობა ტენდენცია ემფატიკური ა-ს მოცილებისა. იგი, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს რ. თვარაძე, არის „მეცხრამეტე საუკუნიდან შემკვიდრეობით მიღებული ხელწერა“¹⁰ და ძალიან დამახასიათებელი იყო მე-20 საუკუნის დასაწყისის პოეტებისათვის. კ. მყაშვილის პოეტური ალლო და გემოვნება ვერ ეგუებოდა ემფატიკური ა-ს გულისწამლებ ერთფეროვნებას და ბოლო წლებში შეძლებისდაგვარად ცდილობდა ლექსის გადამუშავებისას მის ჩამოცილებას. ლექსი „ქეშმარიტება და გენიოსის“ საბოლოო ტექსტში სხვა ცვლილებებთან ერთად ესეც არის გათვალისწინებული:

იყო

სიმრუდეს და სიბილწეს
 გამეფებულსა
 და ჭოჭოხეთს მოლხენულს
 გამარჯვებულსა!

ჩასწორდა

სიმრუდეს და სიბილწეს
 აოკირამვებულს,
 მტარეალობას მოლხენილს
 და გამარჯვებულს!

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, სტროფი უფრო დაიხვეწა და ლექსმაც სხვა ელერადობა მიიღო.

ლექსი „მეს“ ბოლო სტრიქონიც ამ მიზნით გადაამუშავა პოეტმა:

ტუჩებსა შორის ეგრძნობ. . . მხამიან გველს!
 ოდეს მამერალი ტანჯვით ტყუენილი,
 ჩეზ ლმერტს შევედრო, შეჩვილ-შევეტირი
 ლოცვისა წმინდა ცრემლით დეენილი,
 ოდეს სწორდება გულს სევედა-პირი!

სხვა ხასიათის სწორებებთან ერთად პოეტმა კვლავ ემფატიკური ა-ს ჩამოცილებაზე იზრუნა და სტროფმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

¹⁰ რ. თვარაძე, გალაკტიონი, 1973, გვ. 52.

ბავთ შორის ვერანოზ გველს, შხამის დამცერელს,
ოდეს მაშვრალი, ტანჯით ტუქვენილი,
ზეცას შეეჩვიე, ვგლოვობ და ესტირი,
ან ლოცვის წმინდა მადლით დენილი,
ოდეს მშორდება შე ყველა ჭირი.

კ. მყაყშილი, ეტყობა, ძალიან განიცდიდა ემფატიკური ა-ს უარყოფით როლს ლექსში და ბოლო წლების სწორებებში ყველგან იცილებდა მას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „ნაყარქექია“, რომელიც მხოლოდ ამ მიზნითაა ნასწორები. მარცვალთა დაკლება, ბუნებრივია იწვევდა ერთმარცვლიანი სიტყვების დამატების აუცილებლობას. ქვემოთ ჩამოვთვლით მხოლოდ იმ სიტყვებს, სადაც პოეტმა ამ ხასიათის სწორებანი შეიტანა: გარეთა — გარეთ კი, ალბათა — ალბათ იქ, ქვეშა — ქვეშ ის, რაინდსა — თეთრ რაინდს, მხარზედა — ცალ მხარზედ და სხვ.

6. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ლექსი დიდია მოცულობით, პოეტი ცალ-ცალკე ნაწილებს ამუშავებს. მაგალითად, „სიკედლის ნადიმი“ დიდი, სიუჟეტური ლექსია. იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება. ლექსი მხოლოდ ერთბელ გამოაქვეყნა ავტორმა: 1914 წელს „სახალხო ფურცლის“ სურათებიან დამატებაში. მას აქვს ოთხი ავტოგრაფი. ამ ოთხიდან ერთი ავტოგრაფი¹¹ შეიცავს ლექსის მხოლოდ მესამე ნაწილს, მეორე ავტოგრაფი¹² კი პირველი თავის 23 სტრიქონს. ასეა სხვა დიდ ლექსებშიც, როგორცაა: „სამი სურათი“. „პოეტის სტუმრები“ და სხვ.

ამრიგად, აქ წარმოდგენილი მასალა ნათელ სურათს იძლევა კოტე მყაყშილის შემოქმედებითს მუშაობაზე. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, პოეტი დიდ მუშაობას ეწევა ლექსის სრულყოფისათვის. იგი მართო სტილისტური სწორებებით არ კმაყოფილდება, ხშირად ცვლის ცალკეულ სიტყვას თუ წინადადებას, ზოგჯერ საფუძვლიანად გადააკეთებს ნაწარმოებს. კ. მყაყშილისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ტექსტის გავრცობა, ახალ პასაჟების ჩამატება ტექსტში. ზოგჯერ პირიქითაც ხდება: პოეტი ამცირებს ტექსტს, იღებს ლექსიდან არა მართო სტრიქონებს. არამედ მთელ სტროფებსაც. არის შემთხვევები, როდესაც პოეტი მუშაობს ამა თუ იმ ნაწარმოებზე, მაგრამ საბოლოოდ კვლავ ტექსტის პირვანდელ სახეს ალადგენს, ე. ნაწარმოების პირვანდელ სახეს უბრუნდება. პოეტი ყველა შესაძლებელ შემთხვევაში ცდილობს ემფატიკური ა-ს მოცილებას ლექსებში. დიდი ლექსის ვადამუშავებისას კ. მყაყშილი მხოლოდ რომელიმე გარკვეულ ნაწილს ეხება. ამიტომ არის, რომ პოეტის არქივში ბევრი ნაწყვეტი ინახება, რომლებიც ამა თუ იმ ნაწარმოების ცალკეული ნაწილების ვადამუშავების ცდას წარმოადგენს.

¹¹ № 5682. ავტოგრაფი ინახება ლენინის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში.

¹² № 5719, ინახება იქვე.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში)

М. Гершензона и др. — иррационализм был окрашен в мистические тона.

Бывший декадентствующий литератор и философ, будущий белоэмигрант Л. Шестов, «специалист» по религиозному сознанию Ф. М. Достоевского и Л. Н. Толстого, дошел до пределов полного скептицизма, эстетического и философского релятивизма, изощренного религиозного иррационализма. «Человек чувствует себя червяком, — вздрагивает он современников, — боится, что слова обратится в прах, из которого он создан, и лжет, притворяясь, что его убожество ему не страшно... Побеждают штыками, пушками, микроскопами, логическими доводами, но микроскопы и логика вещают ограниченность»¹.

Сами философские и литературные домыслы Л. Шестова пассивно метафизичны. Вместо обещающего реализма творчества Ф. М. Достоевского, он видит «извечную» раздвоенность духа, «наполеонизм», ницшеанство и иррационализм его этики, философии («Все в Достоевском — от самого Достоевского. Только от него!..»²). Вместо Чехова-демократа, естествоиспытателя, материалиста он бездоказательно «рождает» полого Чехова-непавистника «позитивистского материализма»³, а впоследствии марксизма — с героями-неврастениками, пессимистами, посетителями «духа смерти и разрушения». Как Л. Шестов, так и В. Розанов — самые ярые враги Советской власти, революции, марксизма-ленинизма. Обвиняя марксизм в «примитивности», «отсталости» и представляя мир содержанием знания, интуиции субъекта, Л. Шестов и В. Розанов по-прежнему по-веховски проклинаят Беллинского—Чернышевского за привитые ими русскому человеку нигилизм, атеизм, материализм. Перехав в 1918 г. в Сергиев-Посад, В. В. Розанов создал вслед за «Вехами» наиболее ренегатскую декларацию — «Апокалипсис нашего времени». Еще раньше в журнале «Книжный угол» он не двусмысленно проклинал ранее чтимый им русский народ — «богочеловек» за совершившуюся революцию, а русских классиков за подтачивание основ русской государственности: «После того, как были прокляты помещики у Гоголя и Гончарова,.. администрация у Щедрина — русскому человеку не осталось ничего любить, кроме прибауток, песенок и сказочек. Отсюда и произошла революция. Что же мне делать? Что же мне наконец делать? Все — вдребезги!!!»⁴. К концу своей литературной деятельности В. Розанов заверял современников, что газеты непременно пройдут, как «прошли» крестовые походы, и надо выбросить из журналов всю новейшую беллетристику — «ерунду в повестях» и заполнить их «чеходаном» старых писем. А отсюда, руководствуясь методом фрейдовского психоанализа, можно будет написать любопытную повесть «смутного времени». Восхищающийся им сам иррационалист Э. Голлербах его приравнивает в области эстетической теории к Ницше. Его «ницшеанство», мечта о подавлении большевизма силой «власти сверхиндивидуальности», выступало как утопическая форма примирения иррационализма с религией. Как нифия, он сетовал, что «все мы медленно, но верно умираем, уходим в ночь, в небытие, в могилу и притом — как фанфароны, как актеры, без креста и молитвы»⁵.

Этими же эсхатологическими чаяниями конца большевизма, революции, материализма была пронизана брошюра А. Л. Вольнского, по-

¹ Л. Шестов. Начала и концы, СПб, 1908, стр. 192—193, 197.

² Там же, стр. 91.

³ Там же, стр. 52.

⁴ «Книжный угол», Пг., 1918, № 4, стр. 7, 8, 9.

⁵ Э. Голлербах. В. В. Розанов, Пг., 1922, стр. 61.

четного гражданина города Милана, метафизика, иррационалиста, религиозного интуитивиста — «Что такое идеализм» (1922). Как заявил сам мистик, создатель метафизических книг о Достоевском и Лескове, о Леонардо да Винчи и Рембрандте, он хотел использовать рационализированную веру и интуицию вместе с православной церковью для «преодоления» классовых и национальных противоречий, для «уничтожения» большевиков. Ломоносов и Державин, «притянутые» А. Вольтским к религии, превращенный в мистика Лермонтов, «иконографические» Алеша, Зосима, Мышкин, Аким, П. Каратаев, «слепой аполог церковного единства» В. Соловьев — вот те, кто, по мнению А. Вольтского, помогут русскому народу преодолеть ужасы разрухи культуры «ползучими» материалистами: «Метафизическое понимание мира не только не потрясено в своих основах, но получило возможность, применяя свои мерилы к принципам гражданской войны и раскатам неутраченной военной бури, особенно глубоко проникнуться пафосом иных, моральных настроений. История, несомненно, выводит нас на дорогу чистых исканий бога и света»⁶. Так же аморфно сочетается, как и у А. Вольтского, эстетика модернизма с мистицизмом у другого иррационалиста и метафизика Ю. Айхенвальда. Известный своими «Силуэтами русских писателей» Ю. Айхенвальд соединил свои девять статей — мистических медитаций в книге «Похвала праздности», которую критик В. Полянский в журнале «Под знаменем марксизма» (1922, № 4) назвал «Бессмертной пошлостью». Он пользуется слепо терминологией и аргументацией З. Фрейда, доказывая, что художник — неразумное, демоническое, бессознательное игральное страсти, «он — и то, и се, ни то, ни се». В момент сублимации художник, освобождаясь из-под гнета разума, впадает в мистический экстаз и выражает свои извечные инстинкты как творческое вдохновение. Но трагедия духа художника (в основу кладется стихотворение Тютчева «О смертной мысли водомет...») наступает, когда прекращается мистический экстаз. Подобно Ю. Айхенвальду, рассматривают творческий процесс и А. М. Евлахов («Реализм, или ирреализм? Очерки по теории художественного творчества», 1914), и М. С. Григорьев, профессор Московского высшего литературно-художественного института («Психоанализ как метод исследования художественной литературы», «Красная новь». 1925, № 7), всячески старающиеся дискредитировать рационализм реализма и возвеличить иррационализм фантазии художника. Для них неудовлетворенность и невроз — истинные источники и стимулы искусства; «всякое душевное явление стремится реализоваться в некоторое движение организма»⁷; творчество Достоевского — идеальное практическое приложение теории З. Фрейда, герои Достоевского носители «магнетической энергии», неудовлетворенности субъекта, демонические разрушители реальности, принципа детерминизма. Мысль о неизменности эмоциональной природы человека, непреодолимости «эдипова комплекса» — излюбленное детище не только З. Фрейда, но и его русских истолкователей — Ю. Айхенвальда, М. Григорьева и др., при этом психоанализ З. Фрейда у них неизменно соединяется с мистицизмом В. Соловьева. В вопросах этики и соотношения прекрасного с этическим он для них непререкаемый авторитет, «духовный из духовных».

Эта же гипертрофия узко личных настроений и чувств, настойчивая изоляция художника от объективного мира отличают литературу:

⁶ А. Вольтский. Что такое идеализм. СПб., 1922, стр. 4.

⁷ М. С. Григорьев. Введение в поэтику, ч. I, М., 1921, стр. 12.

ведческие изыскания М. Гершензона и А. Горнфельда; они больше тяготеют к бергсопианству. Вслед за А. Бергсоном М. Гершензон в статье «Видение поэта» («Мысль и слово», М., 1918—1921) анализирует стихотворение М. Ю. Лермонтова «Ангел» как эстетическое переживание души поэта, освобожденной от интеллектуальности и вспоминающей забытые слова «небесной песни».

В книге «Мудрость Пушкина» (М., «К-во писателей», 1919) он видит лишь в творчестве «поэта действительности» летопись автономных переживаний: «Художник видит во вне не то, что есть, а то, что совершается в нем самом»⁸. Отсюда он полагает, что Пушкин изображал многократно встречу неполноты, ущерба с совершенством, покоем (Ангел и Демон, Гирей и Мария, Онегин и Татьяна). Впоследствии, печатаясь в журнале белоэмигрантов — парижских «Современных записках», он продолжал прославлять творческое откровение «кугасамой личности», образок пророка Ильи и теократию В. Соловьева. Несомненно переключка М. Гершензона с А. Горнфельдом, единодушно признанным русским интуитивистом, бергсопианцем отечественной разновидности. Как презрительно он заявляет: «Власть разума не выше разума власти: сила разумного довода немногим выше силы принуждения»⁹. Объясняя вечные образы человечества — Чацкого, Гамлета, он ограничивается иррационалистически, бергсопиански понятыми категориями «внушение», «симпатия», «видение».

Характерна эстетическая и литературная позиция неокантовца, интуитивиста по теософии Штейнера и иррационализму А. Бергсона, А. Белого, встретившего Октябрьскую революцию выпуском четырех мистических литургий из цикла «На перевале» — «Кризис жизни», «Кризис мысли», «Кризис культуры» и «Кризис слова» (в издательстве «Алконост»). Об этом недавно справедливо писал Б. Соловьев на страницах «Октября» (1972, № 1). Поистине символические заголовки, тем более, что А. Белый — создатель до революции таких катехизисов русского символизма, как «Луг зеленый», «Арабески», «Символизм», «Свершено мистически-иррационалистических четырех «Симфоний» — считал революцию выражением великого кризиса человеческого духа. Противник принципов партийности, демократичности, народности искусства, еще до Октября, он громогласно заявил в дореволюционное время: «Когда дразнит нас многосмысленным лозунгом соединения с народом в художественном творчестве, нам все кажется, что одинаково хотят нас сделать утопистами и в области политики и в области эстетической теории»¹⁰. После революции поэт-идеалист, с одной стороны, воспринимал в духе теургического служения искусству молодых пролетарских поэтов в литературной студии Пролеткульта, предпочитая быть, по его собственному выражению, «маленькой живой лягушкой, чем раздавленным пополам интеллектуалом» («Записки мечтателей», № 5), а с другой стороны, публиковал эссею о революции и редактировал излюбленный журнальный орган идеалистов, эгоцентриков, аристократов «Человек искусства» Вяч. Иванова, Ф. Сологуба, А. Ремизова, В. Ходасевича, М. Гершензона, Е. Замятина и др. — «Записки мечтателей». В каждом номере, а их вышло за 1919—1922 гг. всего шесть, А. Белый печатал свои теоретические «опусы» об аполитичности, надклассовости, интуитивизме подлинного искусства. Здесь и

⁸ М. Гершензон. Видение поэта, М., 1920, стр. 10.

⁹ А. Горнфельд. Новые словечки и старые слова, «Дом искусства», Пг., 1921, № 2, стр. 85.

¹⁰ А. Белый и, Луг М., 1909, стр. 43.

совсем бергсонизански-кочевское прославление абсолютно свободного от общества и интеллекта самовыражения художника, и снятие вслед за А. Бергсоном проблемы истины в эстетике, адекватности искусства объективной реальности, и антиисторическое отождествление футуризма, символизма, анархизма и марксизма «как субъективных импровизаций на тему об истине», наконец, тут и обвинение большевизма в нивелировке личности: «У стволов деревьев волшебные бабочки; если же лес превратим в коммунистический забор из стволов, то исчезнут и пчелы, и птицы, и бабочки; только из братства рождается душа свобода»¹¹. Мистифицированный процесс мышления как иллюзии ряда искажающих зеркал и лабиринтов, бесконечный поток произвольных ассоциаций и ощущений, фиксация «потока сознания» вслед за А. Бергсоном и З. Фрейдом отличают и две книги самой субъективисткой эпопеи А. Белого «Я» («Рассказать о себе, вывернуть себя наизнанку, показать себя в четвертом, пятом, шестом измерении») — смысл эпопеи, по словам О. Мандельштама). Не забудем, что она появилась до «Улисса» Дж. Джойса и «Понсков утраченного времени» М. Пруста. «Записки чудака» и «Котик Летает» — это исповедь мистика, прагматика об утраченной антропософской культуре для избранных. Сначала в «Записках чудака» А. Белый благоговейно описывает общину Р. Штейнера, строившую в Швейцарии «Иоанново здание». Затем стиль становится судорожно-гротескным, так как «я» героя и автора предчувствует кризис, взрыв старого мира и старых верований, приближение революции, губительной для сознания мистического индивидуалиста. Так как по восприятию современников (В. Шкловский и др.) эти романы представляют из себя «этажи» автономных «метафорических рядов», то оказывается, например, что А. Белый ушел не за границу Швейцарии, а за границу самого себя. Каламбур А. Белого — «Был за границей. За границей сознания», — по сути дела, выражал его методологично крайнего релятивиста, бегущего в «катакомбы души» от разрушителей культуры.

В. Я. Брюсов в рецензии на книгу А. Белого «Глоссалогия» (Поэма о звуке, К-во «Эпоха», Берлин, 1922) возмущенно критиковал доведенную до абсолюта интуицию А. Белого как метод художественного творчества. Для него интуиция А. Белого — ничто, так как безудержное скитание в области произвольных фантазий и субъективных призрачных приводит теософа-мистика к тупику интуитивного постижения согласных и гласных звуков. Так, А. Белый заявляет, что звук «М» — это «живая вода, изливаемая в нас, элексир, река жизни, животная мудрость...» (стр. 119). Для А. Белого «З» — «розоватость, заря, рассичатость и простертость лучей от блистаний и ясностей «С»» (стр. 108). Следовательно, бывший соратник А. Белого по символизму раскрыл всю «научообразность» теософско-интуитивистских прозрений поэта, для которого субъективистская вселенная, как «расплавленное море», зыбится, напрягается и стынет в опустошенной душе теурга. А. Белый неоднократно пытался на страницах «Записок мечтателей», «России» «ралоблачить» реализм, отождествить его с фотографическим копированием быта, желанием «устроиться с самоварчиком на ковре-самолете» («Росния», 1924, № 2) в то время, как интуиция художника якобы не терпит ограничений.

¹¹ «Записки мечтателя», 1920, № 1, с. 122, 6.

О. Мандельшт

«Записки чудака», «Красная

1923, № стр. 403.

Отсюда закономерно, что на страницах ультраиррационалистического журнала начала 20-х годов «Записки мечтателей», редактируемого А. Белым, широко популяризировался и автор ожесточеннейшего «Слова о погибели Русской земли» («Скифы», 1918, № 11) А. Ремизов, создатель доморощенной «Обезьянней великой и пыльной палаты» — «Обезвелволпал», противопоставленной «смутной» поро революции. Искусный стилизатор старины А. Ремизов защищал границы обезьяньего царства как царства истинной свободы в годы красного террора и «поругания» личности. Оказывается, «...в погибельный год жизни — в смуту, разбой... Асыка первый, верховный властитель всех обезьян и тех, кто к ним добровольно присоединился, презирая гнусное человечество, объявил хростатым и бесхвостым обезьянам.., что здесь в лесах и пустынях нет места гнусному человеческому либермерию...»¹³. Это уже проявление настоящего духовного маразма несправедливого Советского власти и пролетарской культуры, для которого русские революционеры — «зверье с человеческими громкими псевдоименами», а героическое время Октябрьской революции — «мрак духа, чернь души...»¹⁴.

Рядом с А. Ремизовым стоит его своеобразный эпигон, оппозиционно настроенный к революции и марксизму, инженер-кораблестроитель, прошедший ренегатствующий путь от участника революции 1905 г. до добровольного белоэмигранта и «обогативший» антисоветскую литературу такими рассказами-пародиями, как «Мамай», «Пещера», «Дракон», «Церковь божия», «Арапы», романом-памфлетом «Мы». Недаром в № 5 «Записок мечтателей» рассказ Е. Замятина «Пещера» занимает центральное место. Название рассказа символично. Революционный Петроград возвращен большевиками к ледниковому периоду с рядом оконечивших пещер и ползуамерзших, потерявших человеческий облик людей.

Вот как фальсифицирует Е. Замятин действительность великих лет борьбы и созидания: «Между скал, где века назад был Петербург, ночами бродил сероухотый мамонт. И завернутые в шкуры, в пальто, в одеяло, в лохмотья люди отступали из пещеры в пещеру. На Покров Мартин Мартинювич и Маша заколотили кабинет, на Казанскую выбрали из столовой и забились в спальне. Дальше отступать было некуда...»¹⁵. Для крокодиального пещерного бога — пещки Мартин Мартинювич крадет дрова у соседа, потом оставляет пузырек с ядом для Маши и уходит в петроградские улицы — в огромную пещеру, где проходят «мамонтейшие мамонты» и «краснокожие драконы» с виштовками, «с дырой в тумане: рот». Это уже из другого рассказа «Дракон». И борьба «краснокожих» с «черными» (то «черные» «искровавят» и «зажарят» «краснокожих», то наоборот) бессмысленна и стихийна. Это уже из третьего рассказа «Арапы». А все три рассказа искусной рукой реакционера-идеалиста направлены против «драконов»-большевиков, которые одни виновны и в пещерной жизни, и в кражах, и в гибели Маши. Совсем уже контрреволюционную окраску приобретает роман-памфлет Е. Замятина «Мы» о будущем первой в мире страны Октября. Дискредитация коммунизма, материализма, легицизма — внутренний пафос памфлета Е. Замятина, рисующего автоматизированное, интегрально-дифференцированное, обезличенно-коллективистское государство под огромным стеклянным жюльпаком. Все остеклянено — стеклянные дома,

¹³ А. Ремизов. Тудумбас. «Записки мечтателей». 1919. № 1, стр. 143—144.

¹⁴ А. Ремизов. Среди мурья. М., 1917, стр. 85, 229.

¹⁵ Е. Замятин. Огневичие. П.-Берлин, 1922, изд. 3-е, стр. 140.

стэклаанне неба, людзі-автаматы без адежды, пакрытыя блэстячай шерстью, любячыне па розовым талончыкам і пятаючыне нефтыной едой. І над всем государство, умертвляющее индивидуальную волю, государство-тиран. Как отметил в свое время А. Воронский, «Замятин написал памфлет, относящийся не к коммунизму, а к государственному бисмарковскому, реакционному, рихтеровскому социализму»¹⁶. Мы бы добавили — скорее это шпенглеровский вариант социализма как воплощения воли к власти, подавления желаний индивидуума. Это коллективизация и шивелировка личности в прусском духе через «волю повиноваться», все подчинить машинной технике, господствовать, побеждать, все проинтегрировать, согласно прусскому здоровому смыслу. Прямой антикоммунистической направленностью отличалась и декларация Е. Замятина «Я боюсь», где он, не стесняясь, заявлял, что настоящую литературу делают «безумцы, отшельники, сретники, мечтатели, буштары, скептики». А так как наше время — время торжества политической и гражданственности, «я боюсь, что у русской литературы одно только будущее: ее прошлое»¹⁷. Недаром представители различных поколений зарубежных «советологов» — Г. Струве, М. Слоним, Ю. Рюте считают декларацией «свободного» искусства памфлет Е. Замятина «Мы» и статью «Я боюсь».

Опять-таки в основу всех этих клеветнических замятинских домыслов положен гносеологический и эстетический релятивизм. «Революция — социальная — только одно из бесчисленных чисел»¹⁸, — провозглашает так называемый «бытовик» Е. Замятин, на самом деле, настоящий иррационалист, релятивист, подменяющий истину частным суждением, выработанный в журнальной полемике 20-х годов в борьбе против реализма, материализма, связи искусства с жизнью целый декантско-иррационалистический кодекс. Об этом говорит и его статья «О литературе, революции, энтропии и о прочем», великом направленная против революционной действительности — будто бы одиозное эмпиризма и передоношницы. Он и пессимист, не верящий в торжество культуры, и реакционер, проклинаящий революцию, и метафизик, склоняющийся к апологии смерти.

Характерно, что, кроме произведений Е. Замятина, А. Ремизова, А. Белого, литературоведы и критики «падпартийных» журналов начала 20-х годов: «Записок мечтателей», «Русского современника», «Дома искусства», «России», «Новой России» и др. — усиленно пропагандировали творчество Б. Пильняка, гиперболизацию им фрейдистских биоимпульсов, иррационалистической стихийности у героев романов и рассказов, «модернистский стиль» изображения. Доморощенная Русь с медведями, волками, лешими, людьми во власти звериных инстинктов возникает в превознесенном модернистской критикой романе Б. Пильняка «Иван-да-Марья». Здесь чекниста Ксения Ордынина даже фрейдистски «препарировать» труды К. Маркса и заявляет: «К. Маркс учел только полод физический. Он не учел другого двигателя мира: любви..., пол, семья, род, — человечество не ошибалось, обоготворяя пол»...¹⁹.

«Эрос» З. Фрейда и героев Б. Пильняка — это потребность, которая не может быть удовлетворена, внутреннее желание, которое остается в своем нутриином «я», не имея никакой подлинной опоры в жизни

¹⁶ А. Воронский. Литературные силуэты. «Красная звезда», 1922. № 6, стр. 319. «Дом искусства», 1921. № 1, стр. 45.

¹⁸ «Писатели об искусстве и себе». М.-Л., 1924. стр. 40.

¹⁹ «Красная звезда». 1922. № 4. стр. 255.

ни. Диалогия слепой силы, неразрывно связанная с законами фрейдистской эстетики, также проявляется: в другом романе Б. Пильняка «Голый год», отрывки из которого публиковались на страницах «Красной повести» и в сменовеховских журналах. Такого же типа, как чеканка К. Ордынина, и Архип Архипов — «кожаная куртка», на собраниях уютноблещущий иностранные слова в таком пародийном звучании: «антифонограмма», «фукцирозать» «энергично», «константировать» и т. п. Этот «одномерный» руководитель полого типа в трактовке Б. Пильняка «зубрит» с утра «Капитал» К. Маркса, алгебру Киселева, «финансовую науку» Озерова и словарь иностранных слов, «составленный Гавжиным», и соглашается равнодушно, как с биологической неизбежностью, — с самоубийством отца. Неслучайно один из лидеров американской «советологии» М. Слопим в «Очерке русской литературы» (Нью-Йорк, 1959) всячески противопоставляет описание Б. Пильняком «кожаных курток», «математического рационализма» коммунистов, якобы враждебных народной жизни, всей советской литературе. Теория естественного бегства, революционный народ, действующий «сплошным гудом» и схваченный зоологическими фрейдовскими импульсами, синтез модернистски ожившего пейзажа в разгулявшейся метели, уподобленной революции, и «сплошного зыбка» крестьянской Руси — все эти черты модернистской прозы Б. Пильняка получили положительные отзывы у критиков-идеалистов в сменовеховских журналах, в альманахах «Парфенон», «Свиток», «Пересвет» и др. Положительно был импониен и типичный для разорванной, фрагментарной, импрессионистической прозы Б. Пильняка рассказ «Мать сыра-земля» (альманах «Круг», 1925, № 4). По-прежнему его главные герои — коммунист-лесничий Никульев и кожевница Арина Арсеньева находятся во власти из вечных звериных инстинктов, впитавшихся в них из самой земли. Таковы и их любовь — непреодолимая фрейдовская сила, и фатальное убийство Ариной лошади, и натуралистическая расправа мужиков с ней, посадивших ее на кол. Из романов Б. Пильняка «Голый год», «Иван Москва», из его рассказов «Тысяча лет», «Ледоход», «Метель», «Сторона пенашицкая» входила в первой половине 20-х годов в художественную продукцию журнальной периодики подмена реалистического изображения героической эпохи бытовым антуражем, антропоморфизмом, иррационалистическими страстями, поднимаемая на шит критиками — интуитивистами. Опять-таки самую резкую полемику вызвал опубликованный в журнале «Красная повесть» (1927, № 6) роман Б. Пильняка «Иван Москва», в котором причудливо и хаотично сочетались истории директора радиевого комбината и воака Александры, египетской мумии, привезенной профессором Чаадаевым, и фрагментарные с элементами «клинической психопатологии» (стр. 65, 44) описание быта Москвы — «города III Интернационала». Следовательно, порочная фрейдистско-бергсоновская эстетическая платформа оказала влияние не только на теоретические положения А. Белого, А. Волынского, М. Гершензона, но и на творческую практику А. Ремизова, Е. Замятина, Б. Пильняка в первую очередь, которые культивировали в прозе модернистское представление о жизни как о хаосе ощущений, стихийных зоологических начал.

Типично как для литературоведов-иррационалистов, так и для писателей и поэтов-модернистов начала 20-х годов, что к каким бы разным литературным группировкам не принадлежали — В. Розанов и А. Белый, М. Гершензон и Ю. Айхенвальд, А. Ремизов и Б. Пильняк, Ф. Сологуб и М. Волошин, редактор «Книжного угла» В. Хвнин и изощрен-

ный эстет М. Алданов, — все они обращались к эстетике модернизма, все они пытались обосновать автономность и независимость искусства от жизни, безграничный произвол художника. С мистическим экстазом Ф. Сомогуба и его идеалистической декларацией: «нематериальная работа человеческой души и создает весь наш мир»²⁰ — переключались строки поэмы М. Волошина «Путями Каина», где он проповедовал надклассовый гуманизм и права поэта на интуитивизм и иррационализм художественной фантазии. Б. Зайцев в альманахе «Шиповник» (1922, № 1) поместил рассказ «Улицы святого Николая», а в альманахе «Пересвет» (1922, № 1) — «Душу». Эстетический знаменатель обоих рассказов — стирание всех граней, подобно теории Б. Кроче, между правдой и мистификацией, между художественным и ирреальным. Политический же знаменатель этих рассказов так же, как повести Е. Чирикова «Опустошенная душа» («Русская мысль», Прага, 1922, № 3—4) — вообще революционный, пролетариата в разрушении культуры, апология вытупации, имманентности, «надклассовости», «надпартийности» искусства. Из анализа литературоведческих и критических статей, художественной продукции органов «надпартийной» печати начала 20-х годов: «Былого» и «Книжного угла», «Жизни» и «Начал», «Записок мечтателей» и «Русского современника», альманахов «Пересвета», «Петербургского альманаха», «Парфенона» и т. д. — становится ясным, что литературно-эстетическая платформа последних представителей идеализма сначала в России, затем в эмиграции — это антисоветская идеологическая агрессия и одновременно агностицизм, крайний субъективизм, иррационализм, интуитивизм, почти всегда переходящий в мистицизм.

Такие выразители эстетики обанкротившегося идеализма, как литературоведы Л. Шестов и Ю. Айхенвальд, А. Горюфельд и А. Евлахов, создатель претенциозных книг о Л. Толстом и Р. Роллане, парадоксальной статьи «Огонь и дым» о большевизме А. Франса и Р. Роллана, К. Аксакова и В. И. Ленина, М. Алданов²¹ и одержимая зоологической ненавистью к советской стране З. Гиншус, — типично пытались, энигонски следуя эстетике модернизма, узаконить право художника на отчуждение от жизни, воссоздание своих суггестивных переживаний как единственно существующих, активно выражали свое неприятие революции и социализма.

Субъективистский, индивидуалистический пафос интуитивистской эстетики А. Бергсона и З. Фрейда оказал свое разрушительное влияние не только на литературоведов и критиков идеалистической ориентации, но и на известного марксистского критика А. К. Воронского и на критиков созданного им литературного объединения «Передел» А. Лежнева, Д. Горбова и С. Пакентрейгера, пришедших к иррациональному «незаинтересованного», «искреннего» искусства, «нового гуманизма». Даже соратник В. Воровского и М. Ольминского по партийной критике В. Полянский (П. И. Лебедев) попал под влияние эстетики модернизма и в статье «Механика творчества и литературная критика» («Под знаменем марксизма», 1923, № 10) всячески зашицал от нападок (Фрейдский психоанализ, предлагающий его соединить с марксизмом).

Таким образом, очевидно, что первоочередной задачей советского литературоведения и критики в первой половине 20-х годов, когда еще

²⁰ «Искусство» М. 1922 г.

²¹ Показательно определение А. М. Горьким писательской специфики М. Алданова (судой, как евангельская смоковница, т. 30, стр. 21) и дифирамбическое сопоставление его книг Н. Ли (США) с «Войной и миром» Л. Н. Толстого. Комментарии изданы.

существовали журнальные органы выраженной буржуазной ориентации, была борьба с модернистскими взглядами на природу художественного творчества, на стихийность и иррационализм дара художника-творца, с противоречивыми рассуждениями об аполитичности, «надклассовости» и «надпартийности» искусства. Журналисты, публицисты и критики ленинской школы — Н. К. Крунская, А. В. Луначарский, Е. М. Ярославский, М. С. Ольминский, И. П. Стенанов-Скворцов, Н. Л. Мещеряков и др. в процессе создания и роста первых советских журналов: критико-библиографического — «Книга и революция», толстых литературно-художественных журналов («Красная новь», «Сибирские огни», «Молодая гвардия» и др.) — неуклонно отстаивали принципы реалистического познания действительности, высокую идейность социалистического искусства и пресекали почти что каждую попытку модернистских конструкций разного вида в искусстве. Уже № 1 за 1921 г. журнала «Печать и революция» открывался статьей А. В. Луначарского «Свобода книги и революция», в которой выдающийся литературовед разоблачал мифы о «надпартийности» искусства, вред модернистских рассуждений об изоляции художника от жизни. Там же были помещены обзоры русской белоэмигрантской печати, сделанные Н. Л. Мещеряковым и Вяч. Полонским, вскрывавшие всю беспочвенность апелляции белоэмигрантов к эстетике модернизма. Показателем № 7 журнала «Печать и революция» за 1922 г., подводящий итоги кризису модернистского литературоведения и намечающий пути советской науки о литературе. Здесь Г. Баммель показывал идейный тупик проповедников иррационализма в философском журнале «Мысль». В Брюсов в статье «Вчера, сегодня и завтра русской поэзии» объявлял «вчерашним днем» русской поэзии модернистские «опусы» Ф. Сологуба, А. Белого, утративших свое значение как поэтов из-за «нежизненности» и абстрактности их литературоведческой теории. Будущее за пролетарской поэзией — вывод В. Я. Брюсова, бывшего метра символизма. В этом же номере Н. Асеев с едким сарказмом критиковал теоретические положения и прозу Е. Замятина («Это был Окурова плюс стилизация сказок А. Ремизова»), модернистские романы Б. Пильняка. В частности, он доказывал, что роман Б. Пильняка «Иван-да-Марья» — это типичный кризис модернизма, «загнившего до снежных пелен» и «бешеных судорог импрессионистического штампа» (стр. 74). В этом же номере А. В. Луначарский в статье «Театр РСФСР» вскрывал художественное бессилие модернизма, оказавшего влияние на В. Э. Мейерхольда, А. Я. Таирова, Ф. Ф. Комиссаржевского, занявшего место на «задворках» разрушающегося лондонского театра. В определяющем ключе — разоблачения эстетики модернизма были написаны и другие статьи А. В. Луначарского: «Западная интеллигенция» («Печать и революция», 1922, № 2) и «Тезисы о задачах марксистской критики» («Новый мир», 1928, № 6), в которых критик предостерегал советских писателей, журналистов, художников от безыдейного подражания образцам европейского модернизма. Видный вульгарный социолог В. Фриче и редактор журнала «Печать и революция» Вяч. Полонский неоднократно пытались затеять критику фрейдизма по проблемам искусства в марксистских позициях. Из-за вульгарной интерпретации социологического метода В. Фриче не мог в статье «Фрейдизм и искусство» (1925 г.) вскрыть социальные корни психоанализа, но он указал на порочность фрейдовой трактовки искусства, делающей из искусства — общественной трибуны «фабрику сна». По сравнению с В. Фриче Вяч. Полонский расширил область полемики с русскими фрейдистами, широко оперируя в кри-

тике интуитивизма политическими аналогиями, показывая ограниченность сердцевины психоанализа — «эдипова комплекса». На страницах «Печати и революции», «Нового мира» он систематически подчеркивал, что пагубное влияние эстетики З. Фрейда превращает романы Б. Пильняка в «шахматы без короля», а самого писателя в «самого сумбура», самого нестройного и какофонического писателя нашей эпохи»²². Его эротика, «понстине зоологическая, удушливая и тяжкая»²³, перетирка» и романах модернистских «тюбиков» А. Ремизова, А. Белого, Е. Замятина и даже «яда» В. В. Розанова, «мрачная волчья романтика», опирающаяся на философию О. Шпенглера, эстетику З. Фрейда, приводят писателя к искажению правды искусства и правды жизни. Поэтому партийность художника, его активная общественная позиция, передовое мировоззрение, по мысли Вяч. Полонского, необходимы для подлинной объективности и правдивости художественного отражения.

Таким образом, в журнальной периодике 20-х годов, в статьях А. В. Луначарского, Н. Л. Мещерякова, Вяч. Полонского и др. постепенно вскрывались бессилie и порочность модернистских схем литературоведов и критиков-идеалистов автономного и якобы независимого искусства, попыток подменить логическое мышление алогическим, случайным, бессвязным, отказаться от познания жизни, народа и его героической борьбы. Понятия, выдвигаемые эпигонами эстетики модернизма 20-х годов — «деформация», «видение», «эксперимент», «искусство — форма самовыражения», — еще в 20-е годы были дискредитированы перед читательскими массами.

Следовательно, из анализа литературоведческих изысканий русских эпигонов модернизма не только видны эмпиризм их воззрений, слабость методологии, эклектизм философских и эстетических посылок, абсолютный произвол субъективистских критических построений, но и полная историческая беспочвенность русских «авангардистов», ограниченность художественного видения, обнаружившиеся еще в первой половине 20-х гг.

Отсюда тщетны всякие попытки современных ревизионистов — от Д. Биллингтона, К. Гаспоровской до А. Брюкнера и Э. Блоха — подновить обветшалые, выцветшие, давно отодвинутые историей в прошлое «творения» верных последователей эстетики модернизма, литературоведов от интуитивизма начала 20-х гг. Живые и творческие силы мирового искусства обращают свой взор к эстетике социалистического реализма, а не к теориям русских критиков-иррационалистов начала 20-х гг., лишенных жизненности творческого потенциала.

²² «Новый мир». 1927, № 10, стр. 133.

²³ Там же, стр. 171, 192.

(Представил Институт истории грузинской литературы имени Шота Руставели АН Грузинской ССР)

ნოდარ ტაბიძე

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ოსტატობა

(ფელეტონ „სხარტულას“ (II) მიხედვით)

ილია ჭავჭავაძე ქართული პუბლიცისტიკის მეტრად არის აღიარებული. მისი სტატიების, მიმოხილვების, ფელეტონებისა თუ რეცენზიების შინაარსზე არცთუ ცოტა დაწერილა. ამას ვერ ვიტყვით ფორმაზე. ნაწარმოებთა სიძლიერეს კი სწორედ ფორმა-შინაარსის დიალექტიკური ერთიანობა განსაზღვრავს.

„სხარტულა“ (II) ი. ჭავჭავაძის ტიპური ფელეტონია. ამდენად, მისი ხალხით არა მხოლოდ ხსენებული თხზულების დახასიათებას ვესწრაფვით, არამედ რამდენადმე ილიას პუბლიცისტიკის ძირითადი თვისებების წარმოჩენასაც.

„სხარტულაში“ არსებითად ქართული ენის სიწმინდისა და ლიტერატურის დანიშნულების საკითხებია დასმული. რაც მთავარია, ისინი დაკავშირებულია სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემასთან და ფართო ასპექტით განიხილება.

ილიას არ მოსწონს გ. თუმანიშვილის ქართული და სასტიკადაც აკრიტიკებს ახალგაზრდა მწერალს. იმ დროს გ. თუმანიშვილზე ნაკლებგანათლებულნი და ზოგჯერ უწიგნურნიც კი გამოდიოდნენ ასპარეზზე, ბლაღადნენ დედანის სიწმინდეს. და თუ მაინცდამაინც გ. თუმანიშვილი გახდა თავდასსმის ობიექტი, ეს შემდეგითაც აიხსნება: გ. თუმანიშვილის „ალმანახს“¹ ფართოდ გამოეხმაურა ადგილობრივი პრესა. პუბლიცისტებმა ქებით მოიხსენიეს თუმანიშვილის ნაღვაწი. „ალმანახის“ ამგვარი რეკლამირება კი მახინჯი ენობრივი ფორმების პოპულარიზაციის საფრთხესაც ქმნიდა. ამიტომ აიმაღლა ხმა ილიამ. ამ ფელეტონის შექმნას გარკვეულად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ გ. თუმანიშვილმა გააკრიტიკა „ივერია“ და ზოგიერთი არასწორი მოსაზრება განავითარა, რასაც ბუნებრივად მოჰყვა შესაბამისი რეაქცია. მხედველობაში ისიცაა მისაღები, რომ ამ პერიოდში ნ. ნიკოლაძესა და ი. ჭავჭავაძეს შორის დაძაბული ურთიერთობა არსებობდა და ილიამ „სხარტულა“ ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ მიმართა. მაგრამ ეს არ ყოფილა არსებითი, გადაწყვეტი. ვერ გავიზიარებთ პ. ინგოროყვას მოსაზრებას, თითქოს „... გ. თუმანიშვილმა აქ მხოლოდ საბაბია, უმთავრესად კი ეს პამფლეტი მიმართულია ნიკო ნიკოლაძის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს გაზეთ „ობზორის“ რედაქტორად იყო“². სინამდვილეში ფელეტონი თითქმის მთლიანად „ალმანახის“ გარჩევას,

¹ პირველი წიგნი გამოვიდა 1878 წ., მეორე — 1879 წ.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ათ ტომად. ტ. III, 1953. გვ. 503.

თუმანიშვილის განქიქებას შეიცავს, ხოლო ნ. ნიკოლაძე, ისევე როგორც დ. ერისთავი, მეორე პლანზეა.

სამართლიანად იწუნებს თუ არა ილია გ. თუმანიშვილის მიერ თარგმნილ „ქორე დანდენს“? თარგმანი ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით უთუოდ სუსტია, რაც აშკარად ჩანს არა მარტო რეცენზენტის მიერ მოყვანილი მაგალითებიდან, არამედ სხვა ადგილებიდანაც.

საგულისხმოა, რომ მოლიერის ამ კომედიის პირველი ორი მოქმედება დაიბეჭდა 1877 წლის „დროებაში“, „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ შემდგენლები მთარგმნელად გ. თუმანიშვილს მიიჩნევენ³, მაგრამ ეს არ მტკიცდება. თვით გ. თუმანიშვილი მიუთითებს, რომ ამ კომედიის პირველი ორი მოქმედება ერთხელ კიდევ იყო სხვისაგან (ხაზი ჩვენა. — ნ. ტ.) ქართულად ნათარგმნი და დაბეჭდილი „დროებაში“⁴.

მართლაც, „დროებასა“ და „ალმანახში“ დაბეჭდილი ტექსტების შეპირისპირებამ აშკარაყო მათი პრინციპული სხვაობა.

აღსანიშნავია, რომ „დროებაში“ გამოქვეყნებული კომედიის პირველი მოქმედება (№№ 30, 31) თარგმნილია გაცილებით მაღალ დონეზე, ვიდრე მეორე მოქმედება (№№ 32, 33, 34). ჩვენთვის უცნობია, სხვადასხვა პირებმა თარგმნეს ეს ნაწილები, თუ სხვადასხვა სტილისტ-რედაქტორებმა გარანდეს. ფაქტია, რომ ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

„დროებაში“ გამოქვეყნებული პირველი მოქმედება ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით ჭაბნის გ. თუმანიშვილის თარგმანს. ნაწილი იმ შეცდომებისა, რომლებიც ილიამ გ. თუმანიშვილის თარგმანში შენიშნა, აქ არ გვხვდება. ამდენად, ი. ჭავჭავაძეს უფრო მეტი უფლება ჰქონდა გაეკრიტიკებინა გ. თუმანიშვილი.

გ. თუმანიშვილმა „დროებაში“ პასუხი გასცა ი. ჭავჭავაძეს, მაგრამ ვერ შეძლო ფელეტონისტის ძირითადი დებულებებისა და მოსაზრებების უკუ-ვლდება. მაგალითად, ილიას მიერ მოყვანილი უამრავი შეცდომიდან გ. თუმანიშვილი ორზე შეჩერდა, დანარჩენი უპასუხოდ დატოვა (ერთი შეცდომა კორექტურულ ლაფსუსად მიიჩნია და ამით იმართლა თავი. ამ შემთხვევაში სწორია). გ. თუმანიშვილმა არაარსებითზე გაამახვილა ყურადღება, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს ილიას ხაზის სისწორეს.

აქვე დავსძენთ, რომ „ალმანახს“ ჰქონდა გარკვეული ღირსებაც. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისმა გამოცემამ საზოგადოებრივი აზრის გაცხოველება გამოიწვია.

„სხარტულაში“ ი. ჭავჭავაძე ეხება აგრეთვე მწერლობის დანიშნულების საკითხს. გ. თუმანიშვილმა სოციალური საკითხების აქცენტირება მოითხოვა. ეს მოსაწონია. მაგრამ ვერ მოზომა, მხედველობიდან გამორჩა საქართველოს სპეციფიკური მდგომარეობა და ეროვნულ-პატრიოტული თემატიკისადმი, მოტივებისადმი ერთგვარი ნიპილისტური დამოკიდებულება გამოამჟღავნა. მან დაიწუნა ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებული“, აკაკის „ორი ქართველი“ და სხვ. სამშობლოს სიყვარულზე ღალობა, როცა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები გვაწუხებს, „ვერათრად გვექაშნიკებაო“. ეს გადახრა ჭერ კიდევ აღრე

³ „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, ტ. II, 1952, გვ. 779.

⁴ „ალმანახი“, შედგენილი გიორგი თუმანიშვილისაგან, 1878, გვ. 87.

ა. კუონიამ შენიშნა⁵. ფელეტონისტს არ მოსწონს თუმანიშვილის ამგვარი მსჯელობა. ილია თერგდალეულთა მრწამსის უერთგულესი დამცველია, ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად კატმოყვარეობისა და პატრიოტიზმის ქადაგებას, გმირობისა და თავისუფლება-ძმობისაყენ მოწოდებას მიიჩნევს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ილია ცდება, როცა სოციალური საკითხის გამახვილება-გამოყოფას ზედმეტად თვლის, რადგან ეს საკითხი ეროვნულის შემადგენელი ნაწილიაო.

ამრიგად, ნაწილობრივ გასაგებია „სხარტულას“ თემატიკა და პათოსი ამიტომაც გარკვეულად შეგვიძლია ვიმსჯელოთ გზის არჩევის სისწორეზე. ილია ჭაუჭავაძემ იცის, რომ მოვლენის არსი განსაზღვრავს მისადმი მიდგომის ხარისხს. ცალკეული ამბები, ფაქტები განსაკუთრებით საშიშია და ამიტომაც საჭიროა მათდამი არა კრიტიკული, არამედ სარკასტული დამოკიდებულება. ზოგ შემთხვევაში კი იმდენად სუსტია არასასურველი პიროვნების მსჯელობა, იმდენად პრიმიტიულია მისი მოქმედება, რომ სერიოზული კამათი საფუძველშივე გამოირიცხება. ამიტომაც მიმართავს აბუჩაღამგდებ ტონს. ამ შემთხვევაში რელიეფურად ვლინდება მოწინააღმდეგის ხასიათი და მისწრაფებები. მისი უსუსტრობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია სწორად და დროულად იმარჯვებს ფელეტონს.

ახლა ვნახოთ, რა გზებსა და საშუალებებს მიმართავს მიზნის მისაღწევად.

„სხარტულაში“ ირონია ბატონობს. ფელეტონისტი ქებით განაჩიქებს მოწინააღმდეგეებს. მოცემულ შემთხვევაში ეს ხერხი ფრიალ მომგებიანია. საკუთარი უპირატესობის გრძობა ოსტატურად არის შენიღბული და მკითხველის ყურადღება იძაბება, წარმოსახვა ცხოველდება. დიდი მოცულობის ფელეტონში კი ამ გარემოებას არცთუ უმნიშვნელო როლი ეკისრება. ეს შესამჩნევად ამცირებს მონოტონურობის საფრთხეს და, ამდენად, ხელს გვიწყობს თხზულების ბოლომდე წყაითხეაში. ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე გონებამახვილობის ცალკეული მაგალითები, რომლებიც ფეიერვერკივით იხთება.

ილია მისთვის ჩვეულ გზას მიჰყვება: აღშფოთებული კაცის პოზას იღებს და „კიცხავს“ „ივერიის“ რედაქციას, რომელმაც ვერ დაინახა გ. თუმანიშვილის ღვაწლი. სინამდვილეში გაიციხვა დაცვის ფარდია. ავტორი ამბობს ერთს და გულისხმობს მეორეს. ამ პოლემიკურ ხერხს სიმძაფრე შემოაქვს და უკეთ უსვამს ხაზს ავტორის ჩანაფიქრს, ამასთანავე ნაწარმოების ღინამიკურობას ზრდის. პოლემიკურ ტონს აცხოველებს ჩანართები: „ახლა კიდევ ამას იტყვიო“, „ახლა არც ეგ მოგეწონებაო“, „ამას დაიჭინებო“ და ა. შ.

ირონიული განწყობილება უმეტესად კლასიკური ფორმით არის გადმოცემული, როცა ფრაზა ლოგიკურია და წინააღმდეგობა მხოლოდ სიტყვებსა და გააზრებას შორის იქმნება. მაგალითად, „... მოხიბლული, მოჯადოებულ ვარ იმ ახალის სიტყვიერებით, რომლითაც გ. თუმანიშვილმა გაამდიდრა ჩვენი ღარიბი ენა და მისი მიმოხვრა“⁶.

ზოგჯერ ირონიის გამოვლენის უფრო რთულ ფორმასთან გვაქვს საქმე: „როგორ გაბედეთ და ისე წარამარად ახსენეთ იმისთანა გამოჩენილი კაცები,

⁵ „დროება“, 1879, № 33.

⁶ „ივერია“, 1877, № 2, გვ. 176.

როგორც დ. ერისთავია და ბატონი ნიკოლაძე? ჰა, როგორ გაბედეთ? „ვილაყ ერისთავიო“. რა პასუხია! როგორ თუ „ვილაყი“! კაცმა ორი ფელეტონი დაწერა „Тифлисский Вестник-ში“ და მაინც ამბობთ, ვილაყაო! კაცს ორი თუ სამი წელიწადი ადმინისტრატორობა ჰქონდა „Тифлисский Вестник-ისა“ და მაინც ამბობთ, ვილაყაო! კაცმა ისე მშვენიერად უადმინისტრატორობა, რომ კინაღამ ბოლო არ მოუღო „Тифлисский Вестник-ისა“ და მაინც ამბობთ, ვილაყაო!“. აქ შინაარსობრივად ურთიერთის გამომრიცხავი წინადადებების გაერთიანებაა, რაც ბუნებრივად ბადებს კომიზმს.

„სხარტულასათვის“ ნიშანდობლივია შემდეგი გარემოებაც: სატირულ კვალიფიკაციას უცილობლად ახლავს დოკუმენტალური არგუმენტაცია. ეს გამოწვეულია, ჯერ ერთი, მკითხველის დონითა და საერთო ატმოსფეროთი. XIX საუკუნის მეორე ნახევარს თამამად შეიძლება ვუწოდოთ დებატების ეპოქა. კამათობენ მართალნი და მტყუანნი, კამათობენ არსებითსა და წერილმანზე, კამათობენ ურთიერთპატივისცემითა და ქილიკობით... ასეთ ვითარებაში მკითხველი ზოგჯერ გაურკვეველა რჩებოდა და საზოგადოების ერთი ნაწილი პოლემიკისადმი ინდიფერენტისმს იჩენდა. მაშასადამე, საჭირო იყო ობიექტური, დამარწმუნებელი მსჯელობა.

მხედველობაში მისაღებია გ. თუმანიშვილისა და მისი მომხრეების არცთუ პატარა ავტორიტეტი, რაც ბუნებრივად ბადებდა მათა მოწინააღმდეგეებისადმი ერთგვარ უნდობლობას. უნდობლობის გაქარწყლების რეალურ გზას კი მყარი არგუმენტაცია წარმოადგენდა.

„სხარტულასში“ ილიას ოცზე მეტი ციტატა მოაქვს და თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რამდენად ცოდავს გ. თუმანიშვილი. ფელეტონისტი გაურბის გამოთქმებს: „არ ვარგა“, „უკუდი“ და ა. შ. მან კარგად იცის, რომ ამგვარი დეკლარაციული განცხადებები ნაკლებეფექტურია, მოწინააღმდეგეს რამდენადმე მაინც რჩება უკანდასახევი გზა. ამიტომაც გასწორებულ ციტატებს ვეთავაზობს და საშუალებას ვვაძლევს მავალითთა შეპირისპირების საფუძველზე უკეთ ჩაწვდეთ ქეშმარიტების არსს. რაც ნთავარია, ეს კეთდება ფელეტონური მანერით.

„გ. თუმანიშვილი 15 გვერდზედ ალაპარაკებს ყოვლ დანდენს თავისთავსად და ჰსურს ათქმევინოს, შენ აზნაურობამ ხელ-ფეხი შეგიკრაო და ამის მაგიერ აი რა ლამაზად ლაპარაკობს: „აზნაურობა შენ ვინახავს ხელ-ფეხ-შეკრული““

ახლა კიდევ ახირლებით და იტყვიო, გ. თუმანიშვილს ერთის თქმა უნდოდაო და სულ სხვას ამბობსო. ჰსტყუით! თქვენ რომ „ახალი“ არ გესმოდეთ, გ. თუმანიშვილისა რა ბრალია. აბა რუსულად ჰსთარგმნეთ, თუ ცუდად არის ნათქვამი“⁷.

ან: „ერთს ადგილს კიდევ ჩვენი მშვენიერად მეტყველი გ. თუმანიშვილი აა, რა მშვენიერად ათამაშებინებს სიტყვას ყოვლ დანდენს: „მე! მე უნდა მოვსთხოვო ბოდიში იმის უკან...“ (ამ სიტყვანზედ ათავებს თავის გაოცებას დანდენი).

ძველი ქართული ასე გამოჰსთქვამდა: „მე! მე უნდა მოვსთხოვო ბოდიში იმის შემდეგ...“⁸.

⁷ „ივერია“, 1879 № 2. გვ. 190.

⁸ იქვე, გვ. 175.

⁹ იქვე, გვ. 177.

ამგვარი მანერა კიდევ უფრო ზრდის ფელეტონის პუბლიცისტურ სიმახვილეს და მიზანსწრაფულობას.

ირონიული დასაბუთება იმითაც აიხსნება, რომ ნაწარმოებში ცენტრალური ადგილი უკავია არა პერსონაჟებს, არამედ აზრებს, იდეებს. ამასთანავე დასაბუთება გარკვეულად შეიცავს გაშლილ მსჯელობას და ერთი შეხედვით ლოგიკურობის ილუზიასაც კი ქმნის. მაგრამ მისი ირონიული ხასიათი მყისვე მკლავდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკუგდებულია საკმაო საფუძვლის კანონი, ე. ი. წინამძღვრები არ წარმოადგენენ საკმაო საფუძველს დანასკვისათვის.

ზოგჯერ „სხარტულაში“ ფაქტი ავტორიტეტით არის შეცვლილი. მაგალითად, ილია სხეთა გამონათქვამებს ეყრდნობა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ავტორიტეტები დისკრედიტირებულია და მათი დამოწმებით გზა ეხსნება სატირულ განწყობილებას. „ერთის სიტყვით, თქვენ ჰსტყუით და გ. თუმანიშვილი მართალია. თუ მართალი არ იყოს, „დროების“ კრიტიკოსი (ა. სარაჯიშვილი. — ნ. ტ.) რად იხსენებდა გ. თუმანიშვილს „კვიან კაცად“? რუსული „КАМКАЗ“-ი რად გადაუხდიდა ქართველების მაგიერ მადლობას? ბატონი ხიკოლაძე რად იკადრებდა გ. თუმანიშვილის ნაწერის განხილვასა. ბატონი ნიკოლაძე!.. თქვენ ეს უკანასკნელი საბუთი ცოტა გგონიათ. ერთ დროს ლუი ბლანს დარიგებას აძლევდა როგორ უნდა მოველოს საფრანგეთსა. ხუმრობაა!...“¹⁰.

ამ მაგალითიდან ისიც კარგად ჩანს, რომ თვით ავტორიტეტის აბუჩად აგდება ვარკვეულ ობიექტურ მონაცემებს ეყრდნობა. ფელეტონისტმა ურთიერთს დაუპირისპირა ნ. ნიკოლაძე და ლ. ბლანი. ვერ ვიტყვით, რომ საერთოდ შეუძლებელი იყოს ამგვარი დაპირისპირება და ირონიაც აქედან მოდიოდეს. მამ რა მოხდა?

პეგელი კომიკურობის ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს პიროვნების სწრაფვას სუბსტანციურობისაკენ, როცა მას ამის უნარი და საშუალება არ გააჩნია. ფელეტონისტმა ნ. ნიკოლაძე სწორედ ამგვარ სიტუაციაში ჩააყენა, რაც ხაზგასმულია ლ. ბლანთან შეპირისპირებით. სად საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი შემოქმედი — ლუი ბლანი და სად ამ პოლიტიკისაგან შედარებით შორს მყოფი ნ. ნიკოლაძე. პირველს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სუბსტანციურობისაკენ სწრაფვის ლოგიკური პრეტენზია გააჩნდა. მეორეს კი არა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ნ. ნიკოლაძის ზოგიერთი შენიშვნა, გამოთქმული ლ. ბლანის მისამართით, საფუძვლიანია. მაგრამ ილიამ ამ კონკრეტულ მოსაზრებებს გვერდი აუარა და მკითხველს საშუალება არ აქვს დაადგინოს ნ. ნიკოლაძის სისწორე-სიმკდარე. ხოლო ზოგადი შეპირისპირება ამჟამად წამგებიანი აღმოჩნდა ნ. ნიკოლაძისთვის.

ასევე საინტერესოა შემდეგი მაგალითი: „გ. თუმანიშვილი!.. იცით, გესმით რა დიდი ღვთის წყალობა მოგვევლინა, რომ თქვენგან დაწუნებულმა გ. თუმანიშვილმა ჩვენი ღარიბი ლიტერატურა იკადრა და მის მოღვაწეთ გა მოვიდა!.. მაგისტანა მწერალი ჯერ არ უნახავს ქართველობას, ქართველობას მეთქი?!.. ქართველობას კი არა მთელს ევროპას“¹¹.

¹⁰ „ივერია“, 1879, № 2. 120—181.

¹¹ იქვე. გვ. 174.

ერთ მხარესა თუმანიშვილი, მეორეზე კი — ქართული და ევროპული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები. მეორე მხარის სიძლიერე საყოველთაოდ ცნობილია. ქართველ და ევროპელ კლასიკოსთა ავტორიტეტი მაღალია. ცხადია, მათთან გატოლების ძალა და უნარი თუმანიშვილს არ შესწევს; ამიტომაც კნინდება. ერთი სიტყვით, მოწინააღმდეგის კრიტიკული ჩვენება სხვადასხვა რაკურსით ხდება.

ზემომოყვანილ ერთ ციტატაში საყურადღებოა ისიც, რომ ილია გ. თუმანიშვილთან ერთად თავს ესხმის „დროების“ თანამშრომელს, გაზეთ „კავკასუს“ და ნ. ნიკოლაძეს. მაგრამ კონკრეტული საბუთი მხოლოდ ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგაა მიმართული. ხომ არ ასუსტებს ეს ავტორის პოზიციას?

ილიამ ოთხივე მოწინააღმდეგე ერთ დონეზე დააყენა. გარკვეული თვალსაზრისით მათ შორის ტოლობის ნიშანი დასვა და, ამდენად, ერთის კრიტიკით გზა გაეხსნა დანარჩენთა განქიქებასაც.

ამგვარ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო უწყობს ხელს ის გარემოება, რომ წინა გვერდებზე ხაზგასმულია ნიკოლაძე-თუმანიშვილის მსგავსება-ერთიანობა. „განა იმისთანა პირთუვნელი, მიუდგომელი, სახელგანთქმული მწერალი ბატონი ნიკოლაძე თავის ძვირფასს კალამს ხელში აიღებდა, რომ გ. თუმანიშვილი ცოტათი მაინც არა ჰგვანებოდა ბატონს ნიკოლაძეს ჭკვითა და სიღრმითა?“¹².

ფელეტონისტის ოსტატობაზე მეტყველებს ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი ლექსის სატირულ ყაიდაზე გადაკეთება. ასეთ შემთხვევაში დაცინვა უფრო გასაგები, ემოციური და ძლიერი ხდება, რადგან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გაკილეაში მონაწილეობდნენ პოზიტიური ლექსის ავტორი და ამ ლექსის მოტრფიალე საზოგადოებაც. მაშასადამე, ობიექტზე პრაქტიკა თავდასხმის ილუზია ჩნდება.

ეს ხერხი მით უფრო მომგებიანია, რაც უფრო პოპულარული ნაწარმოებია შერჩეული პერიფრაზისთვის. ილია „ვეფხისტყაოსანს“ დაესესხა და ამგვარი არჩევანით საკმაოდ გაიწაღდა გზა. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ რუსთაველის სიტყვები შესანიშნავად გადააკეთა.

იყო ქართლ-კახეთს, იმერეთს ნიკოლაძე სვიანი,
ერთი ცულღუტი. მანქანა, ვულ-მშრალი. ენა-წყლიანი.
„მწიკვი-რა“ რედაქტორი. ტყიბულთ ნახშირანი.
და თვით ტრანაზხა. უებრო. რალაც ჩხაუანა ხშიანი.
ერთხელ ბრძანა: „გეტყვით საქმეს ერთვან სასაუბნაროსა,
ჩემი სახელი ამ ქვეყნად რამ უნდა დაამჟღავნოსა?
მე ვარ, რაცა ვარ მწერალი მწერალთა სახალწაროსა,
მინდოდეს ხელეუ დავკლები სენატის შალღ თაროსა.“

და ა. შ.

როგორც პროფესორი გ. კიკნაძე მიუთითებს, „არასატირულად ცნობილი თხზულების სატირულ სიბრტყეზე გადაწაცვლება გონებამახვილობაზე მიუთითებს, ხოლო განმტკიცებული ტონის საპირისპირო შინაარსობრივი მიმდინარეობა, რაც სრულიად არ იყო მოსალოდნელი, გზას უხსნის სიცილს“¹⁴.

¹² „ივერია“, 1879, № 2, გვ. 174.

¹³ იქვე, გვ. 191.

¹⁴ გ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, 1953, 315.

აქვე შეენიშნავთ, რომ ქართველ ფელეტონისტთაგან ხსენებული ხერხი პირველად ი. ჯავჭავაძემ გამოიყენა (იხილეთ 1863 წლის „სხარტულა“).

რადგან პირველობაზე ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც დავსძენთ, რომ ჩვენს სინამდვილეში სატირულ-იუმორისტული განწყობილების ვასაძლიერებლად სქოლიოს მოშველიების პრიორიტეტიც ილიას ეკუთვნის. მაგალითად, ძირითად ტექსტში ვკითხულობთ: „დ. ერისთავი დიდი ხანია განუხედ გაუჭდა ქართულს ლიტერატურას, ოთხი-ხუთი წელიწადი არა უწერია რა“¹⁵. აქვე სქოლიოს ნიშანია, სქოლიოში კი აღნიშნულია: „როგორ არ უწერია: ორი ფელეტონი დასწერა. რედ.“¹⁶.

რას მიაღწია ავტორმა ამგვარი გადახვევით? შეიძლებოდა იგივე ფრაზა პირდაპირ ან გარკვეული ტრანსფორმაციით ტექსტშივე ჩაერთო. მაგრამ მაშინ მნიშვნელოვნად შესუსტდებოდა გამოყოფა-ხაზგასმა. მოცემულ შემთხვევაში კი აზრი უკიდურესად აქცენტირებულია. გარდა ამისა, რედაქცია თავის მომხრედ გამოჰყავს და ერთიორად ზრდის სატირის სოციალურ მხარეს. სხვათა შორის, ანალოგიურ მანევრს ხშირად მიმართავდა მ. სალტიკოვ-შჩედრინი.

„სხარტულა“ ფელეტონი-სტატიაა. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მხატვრულობის იმგვარად გამოვლენა, როგორც ეს ნიშანდობლივია ფელეტონ-ნოველისათვის. მახვილი გადატანილია ცალკეულ დეტალებზე, ხატოვან, აფორისტულ ვამოთქმებზე. მხატვრულ საშუალებებს განწყობილების შექმნისა და შთაბეჭდილების გაძლიერების ფუნქცია აქისრია.

ერთ შემთხვევაში ეპითეტ-მეტაფორათა ნამდვილი შინაარსი დაფარულია. ისინი ირონიულია. ე. ი. აღიქმებიან საპირისპირო მნიშვნელობით. ი. ჯავჭავაძე გ. თუმანიშვილს უწოდებს „სახელოვან მწერალს“, „ღირსეულ კაცს“, „ლაზათიანად მოუბარს“ და ა. შ., ხოლო გ. თუმანიშვილის მოწინააღმდეგეებს — „უმეცრებს“, „საწყლებს“, „ბრძებს“, „ბამბით ყურგამოტენილებს“. სართული გამჭვირვალეა და მკითხველი ღრმად წვდება ავტორის ჩანაფიქრს.

მეორე მხრივ, „სხარტულაში“ ობიექტის პირდაპირი კვალი ფიქციაა ხდება. ეს მაშინ, როცა ავტორი ივერიელებს ამეტყველებს: გ. თუმანიშვილი მეცნიერებას უარყოფს, მაშასადამე, „გიჟია“; თუმანიშვილის მსჯელობაში „ლოლიკა არ არის“; ნ. ნიკოლაძე „ცრუპანტელა“ და „ტრაბახაა“. ფელეტონისტი თითქოს არ ეთანხმება ასეთ დახასიათებას. „იცავს“ კიდევ თუმანიშვილ-ნიკოლაძეს. მაგრამ იმგვარად, რომ ზემომოყვანილი შეფასება ძალაში დარჩეს.

ეპითეტ-მეტაფორათა ეს ორგვარი წყობა ფელეტონის ირონიულ-პოლემიკური ნირით არის განსაზღვრული.

პუბლიცისტი არჩევს ფრაზებს, ითვალისწინებს როგორც გაკილვის ობიექტთა ხასიათს. ასევე ნაწარმოების სტრუქტურულ-სტილისტურ სპეციფიკას. ილია მიისწრაფვის დაიცვას სტილის ერთგვარობა. არსებითად კარგადაც აღწევს მიზანს. მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში იგრძნობა ჩამუხლება. „სხარტულაში“ ვკითხულობთ: „ეხლანდელს მწერლობას ასე ჰსწუნობს გ. თუმანიშვილი: „გიყვარდეს მოძმე შენო, თავგანწირვით გიყვარდეს სამშობლო, ამგვარ უეჭვო კემშარიტებაზე (საეჭვო კემშარიტება რასაკვირველია უმჯობესი იქნებოდა) სიმღერა ეხლა, როდესაც თავში ვვერევა (მწერლობის რა

¹⁵ „ივერია“, 1879, № 2, ვ. 189.

¹⁶ იქვე.

ბრაღია რომ გერევათ) ათასი ძნელი გადასაწყვეტი საგანი; სწორედ მოგახსენოთ ვერაფრად შექაშნიკება“¹⁷.

აქ სატირული დამოკიდებულება ღია ტენდენციურობით არის გამკლავებული, რაც არსებულ კონტექსტში არცთუ მისადაგებულად გვეჩვენება. ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებს დისონანსი შეაქვს მწყობრში, ირონიული სტილის შელახვას იწვევს.

ძნელია ი. ჭავჭავაძის ოსტატობის ყველა მხარის ზუსტი აღნუსხვა. „სხარტულაში“ ძალზე საინტერესო მავალითები გვხვდება, რომლებიც პუბლიცისტური სიმახვილითა და სატირული ელვარებით გამოირჩევიან. ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ფრაზაში ღრმა აზრია ჩაქსოვილი.

საგულსხმოა ფელეტონის კომპოზიციაც.

სათაური კარგად ამკლავნებს ქანრის სპეციფიკას. იგი გარკვეულად მიგვანიშნებს, რომ ნაწარმოებში მოვლენები, პიროვნებები თუ საგნები სხარტად, მოსწრებულად, მახვილგონიერულად შეფასდება. მაგრამ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ეს სათაური ზოგადია და რუბრიკად უფრო უპრიანი იქნებოდა“¹⁸.

საყურადღებოა ქვესათაური «„ივერიის“ რედაქციას». მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ირონიული სტილის გაგებისა და ნაწარმოების დედაზრის სწორად აღქმისათვის. ქვესათაური და ტექსტი ურთიერთს ავსებენ. ავტორი „ეკამათება“ „ივერიის“ რედაქციას და გ. თუმანიშვილისადმი ტენდენციურ დამოკიდებულებას „უსაყვედურებს“. ქვესათაურიც სწორედ ამ პოლემიკურ ნირსა და მოკამათის ვინაობაზე მიგვანიშნებს. ქვესათაური რომ არაა. შეიძლება ტექსტის ცალკეული ადგილები არასწორად გაეაზრებინა მკითხველს.

ფელეტონი ოსტატურად იწყება: „ბატონებო! როცა ამ ნომერში დაბეჭდილს წერილს „ფიქრი და შენიშვნა“ სინჯადით მთელის რედაქციის კრებით დაეხედვით თუ არაო. მეც ვიყავ მსინჯველთა შორის, როგორც ერთი მუდანი თანამშრომელი „ივერიისა“. დიდი ბაასი ატყდა ჩვენს შორის მაგ წერილის თაობაზედ. ზოგი ამბობდა, რომ გ. თუმანიშვილი არა ღირს იმათაო. რომ მასზედ წერილი დაიბეჭდოსო და მერე ისეთის პატივისცემით დაწერილიო, როგორც დამწერს დაუწერიო; გ. თუმანიშვილი ბავშვს ჰგავს, რომელსაც ენა ესლა ამოუდგამსო და რაც ენაზედ მოჰსდგომია, არახუნებსო. ამიტომ მასზედ დარბაისლურად ლაპარაკი არა პატივ-საცემს კაცს არ შეუშენისო. მე ძალიან გამაფიცხა ამისთანა საუბარმა“¹⁹.

აქ მკაფიო მინიშნებაა ავტორის პოეზიაზე. მეორეც, ამგვარი დასაწყისი დამაინტერესებლობის თვალსაჩინო ფუნქციით გამოირჩევა.

იგი ძაბავს მკითხველის ყურადღებას, რადგან ფიქსირებულია ორი თვალსაზრისი და დასკვნა გამოტანილია მათი გაშლა-დასაბუთების გარეშე. რამდენადაც თუმანიშვილის გაკიცხვა ზოგადად ხდება, მკითხველს ბუნებრივად ებაღება კითხვები: რას უწუნებენ გ. თუმანიშვილს მოწინააღმდეგენი? მართებულია თუ არა მათი საყვედური?

პასუხის მოსაპოვებლად საჭიროა ტექსტის გაცნობა. ინტერესს ისიც აღვივებს, რომ ცოტა ქვემოთ ფელეტონისტი დასაბუთებულ მსჯელობას პირ-

¹⁷ „ივერია“, 1877. № 2, გვ. 185.

¹⁸ „სხარტულა“ უწოდა. ამ ორ ნაწარმოებს შორის ძალზე დიდი მსგავსებაა.

¹⁹ „ივერია“, 1877. № 2, გვ. 173.

ღება მკითხველს. „თქვენ ნუ გგონიათ, მე ცარიელის სიტყვების ძალით გამოვიდე „ივერიის“ რედაქციასთან საბრძოლველად. სხვა ქვეყანაში რომ ვიყო, ეს სამ-გზით ქებაც გ. თუმანიშვილისა სამყოფი იქმნებოდა, რომ მე ჩემი თავი გამემართლებინა და გ. თუმანიშვილი დამეყენებინა თქვენს თვალში იმ სიმალღეზედ, რომელიც სიმართლით ეკუთვნის. მაგრამ თქვენთან კაცი რას გააწყობს? „დროების“ კრიტიკოსის სიტყვას არ იწყნარებთ, „კავკასს“ ყურს არ ათხოვებთ, და თქვენი გამბედაობა იქამდის მიდის, რომ ჩვენს ბატონს ნიკოლაძესაც კი არ უჭერებთ ფიცს, რომ დიდო მწერალი ვარო. არა, მე სხვა საბუთებსაც წამოგიყენებთ, რომ თავი მოვაქეპინოთ და ჰსთქვათ: „ეს რა ღმერთი გაგვიწყრა. გ. თუმანიშვილი რატომ ვერ ვიცანითო“²⁰.

„სხარტულას“ დასაწყისს მხოლოდ ერთი დატვირთვა როდი გააჩნია — მკითხველთა მიზიდვა და დაინტერესება. მას თემის ემოციურ-სახოვანი განვითარების ფუნქციაც აკისრია. იგი განსაზღვრავს ნაწარმოების მთელ ტონალობას. ამასთანავე ხელს უწყობს ასოციაციების წარმოშობას და შეპირისპირების გზით სატირული განწყობილების გაცხოველებას.

მოხდენილი ექსპოზიციის შემდეგ ილია მიმართავს ფაქტებს. ისინი ორა რიგისაა. ერთ შემთხვევაში ილია ენას უწუნებს თუმანიშვილს, მეორე შემთხვევაში კი აზრებს. მაგალითებიც შესაბამისი განტოტებითა და ლოგიკური თანმიმდევრობით ლაგდება. სწორედ აქ იჩენს თავს სიძნელე, რომლის გადალახვა ოსტატობას მოითხოვს.

„სხარტულა“ დინამიკურ ამბავზე არ იგება, რომ ეს იძლეოდეს ეპიზოდთა თანდათანობითი აღწერით სიტუაციის დაძაბული, საფეხურებრივი განვითარების შესაძლებლობას. ფელეტონისტმა სტატიკურ მაგალითებზე დაყრდნობით უნდა მიადგინოს მიზანს. მაგალითები საკმაოდ ბევრია და ეს ქმნის ტექსტის ვადატვირთვისა და, აქედან გამომდინარე, მკითხველის გადაღლის საშიშროებას.

ილია თავს აღწევს ამ საფრთხეს. იგი მოხერხებულად აჩვენებს მაგალითებს და, რაც მთავარია, მახვილგონივრული კვალიფიკაციით აცხოველებს წარმოსახვას. მას მოძებნილი აქვს გასადები: გ. თუმანიშვილის ქართულს უწოდებს „ახალს“, ხოლო ლიტერატურულ, გამართულ ქართულს — „ძველს“. ეს შეფასება სხვადასხვა ვარიანტითა და რეფრენის სახით გასდევს ნაწარმოებს. თითქმის ყველა მაგალითს ახლავს დაახლოებით ასეთი კვალიფიკაცია: „ღმერთო ნუ იცის თქვენი თავი. „ახალი“ ქართულია და ეს არის“. ან: „არც ეს „ახალი“ ქართული მოეწონათ? ფუ! თქვენს სიბრძავეს!“ ამ თავისებური რეფრენით ავტორი აკავშირებს ცალკეულ მაგალითებს, აძლიერებს ძირითად ხასს და ზრდის ემოციურობას. „სხარტულაში“ ხსენებული ხერხი წარმატებით არის გამოყენებული მეორე რიგის მაგალითების მოშველიების დროსაც.

რა გზას მიმართავს ავტორი პირველი და მეორე რიგის მაგალითების დასაკავშირებლად? იგი წერს: „ეს ხომ დაგიმტკიცეთ, რომ გ. თუმანიშვილი ენის შესახებ პირველი მოენეა ჩვენში და „ახალის“ ქართულის დამადგენელი. ახლა მისი სიბრძნისა, ცოდნისა, აზრების და ზნეობის სიანლეს და წარჩინებულებას დაგიმტკიცებთ“²¹.

„ივერია“, 1879, № 2, გვ. 174—175.

²¹ იქვე, გვ. 179—180.

ასეთი გადასვლა გამართლებულია ფელეტონის ე. წ. ეპისტოლური ფორმით. ხსენებული ფორმა საშუალებას აძლევს ავტორს ხშირად შეეხმიანოს და გაეკამათოს ადრესატს. ამასთანავე იგი ხელს უწყობს სხვადასხვა ნაწილის, კომპონენტის ადვილად დაკავშირებას. ამიტომაც გვეჩვენება ბუნებრივად ბევრე რიგის მაგალითებიდან შემდგომ ნაწილზე ასეთი გადასვლა: „ამით ვათავებთ გ. თუმანიშვილზედ ბაასს. ახლა სხვა მხრივ მოგივლით, ბატონო „ივერიის“ რედაქციავ“²².

როგორც ვხედავთ, „სხარტულაში“ სიუჟეტი ვითარდება დებულების ილუსტრაციის გზით. ილიამ სიუჟეტი ააგო დაპირისპირების ხერხის გამოყენებით. ამან კი საშუალება მისცა უარყოფითის ბუნება დოკუმენტალურ საფუძველზე გაეხსნა.

რაც შეეხება „სხარტულას“ დასასრულს, იგი ერთი შეხედვით კულმინაციის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ, თუ უფრო ღრმად დაუვყვირდებით. შევამჩნევთ, რომ საკმაოდ ლოგიკურია. ავტორმა საჭიროდ არ ჩათვალა ძირითადი დებულების პერიფერაზირება, მით უფრო, რომ ისინი საკმაოდ აქცენტირებულია თვით ტექსტში. დიდაქტიკური დასკვნის უკუგდება ნაწილობრივ მოტივირებულია ნაწარმოების ჰამფლექტური ნირითაც.

„სხარტულას“ მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ი. ქავჭავაძე ფელეტონს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების გასარკვევად იყენებს და არა წერილმანი ყოფითი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მისი ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია პრობლემურობა. როგორც „სხარტულაში“, ასევე ილიას ბევრ სხვა ფელეტონში აქცენტირებულია ლიტერატურა-ჟურნალისტიკის საკითხები. ამ მხრივ ილია თვალსაჩინოდ განსხვავდება მრავალი პუბლიცისტი-საჯან.

„სხარტულაში“ ი. ქავჭავაძე უმთავრესად ირონიას მიმართავს. ხსენებული მომენტი მძლავრად იჩენს თავს მის ბევრ ფელეტონში, რაც შემთხვევითი არ არის. ირონიას გააჩნია სხვა მხრივ გამოუთქმელის გამჟღავნების დიდი უნარი. ამიტომ იმ საზოგადოებაში, სადაც პირდაპირი მხილების გზები მოჭრილია, ის ფრიად ხელჩასაჰიდა. ამასთანავე ირონია ძლიერია, რამდენადაც მკითხველის აქტივობას უღლისხმობს: მისგან მოითხოვს საჭირო დასკვნების გაკეთებას. ასეთ შემთხვევაში შთაბეჭდილება ძლიერდება, რადგან აღმოჩენის საკუთრივ მიკვლეული განსაკუთრებით მოსწონს და ამასსოვრდება. თვით-აღმოჩენის ხერხი დამარწმუნებლობას უხსნის გზას. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ირონია, როგორც შემოვლითი გზა — საკუთარი უპირატესობის შემნიღბველი, ფაქიზია და ესთეტიკური მომენტების შემცველი.

ილიას ფელეტონში შეპირისპირება-დაპირისპირების პრინციპი წარმართველობს. აქედან გამომდინარე ინაკეთება შინაგანი წინააღმდეგობა და გზა ეხსნება დაცინვას. ხსენებული პრინციპის სიძლიერე დოკუმენტალურობასა და ქეშმარიტების განფენის სისრულეში მდგომარეობს.

იდეური სიღრმით, სატირული გააზრებითა და გადაკერებით, სიუჟეტის საინტერესო განვითარებით „სხარტულა“ და საერთოდ ილიას ფელეტონები მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენენ და მოწონებას იმსახურებენ.

²² „ივერია“, 1879, № 2, გვ. 190.

ნ ა ნ ა კ ო ბ ა ბ ი შ ვ ი ლ ი

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი დ ა „ტ ა რ ი ე ლ ი ა ნ ის“ ს ა კ ი ტ ხ ე მ ზ ი

აღიქსანდრე ხახანაშვილი ეკუთვნის იმ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს, ვინც დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას. წლების მანძილზე მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი — სამართლიანად ითვლება ქართველოლოგიურ მეცნიერებათა ერთ-ერთ ფუძემდებლად. მეტად მრავალმხრივი იყო მისი სამეცნიერო მოღვაწეობა: მისი კვლევის სფეროს წარმოადგენდა ქართული ლიტერატურა და ენა, ისტორია და ეთნოგრაფია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური შრომები — „ქართული სიტყვიერების ისტორია“ და „Очерки по истории грузинской словесности“ ოთხ ტომად.

აღ. ხახანაშვილი დიდი ინტერესით იკვლევდა რუსთველოლოგიურ პრობლემებს, მათ შორის რუსთაველის ბიოგრაფიისა და პოემის სიუჟეტის საკითხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ აღ. ხახანაშვილის რუსთველოლოგიურ ნაშრომთა შორის დღევანდელი თვალსაზრისით ყველაზე ფასეულია ის გამოკვლევები, რომლებიც მკვლევარმა სპეციალურად უძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წყაროთა კვლევას. იმ ხანებში ეს საკითხი ძალზე მტკივნეულად იდგა ქართული მეცნიერების წინაშე და არაერთი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრიც იყო გამოთქმული. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ პოემა ორიგინალურია (ვახტანგ VI, დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, მოსე ჭანაშვილი, სიმონ ჭვარიანი და სხვები). მეორენი მას გადმოთარგმნილ ნაწარმოებად თვლიდნენ. ეს მოსაზრება პირველად წამოაყენა ნიკო მარამ, რომელიც შემდეგ გაიზიარა იუსტინე აბულაძემ და სხვ. სწორედ ამ დროს აღ. ხახანაშვილმა გამოთქვა სრულიად განსხვავებული ორიგინალური ჰიპოთეზა „ვეფხისტყაოსნის“ ფოლკლორული წარმომავლობის შესახებ. მკვლევარს რუსთაველის პოემის უშუალო წყაროდ ხალხური „ტარიელიანი“ მიაჩნდა.

ამ პერიოდისათვის უკვე არსებობდა გარკვეული აზრი „ტარიელიანის“ ლიტერატურულ პოემასთან მიმართების შესახებ. 1887—1888 წლებში გამოქვეყნდა „ტარიელიანის“ პირველი ჩანაწერები და გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ხალხური ტექსტები ლიტერატურულიდან უნდა მომდინარეობდეს. მართალია, ამ პერიოდის ვარიანტები წარმოადგენენ ნაწყვეტ ლექსებს, მაგრამ მათი დამოკიდებულება პოემისაგან აშკარა იყო. „ვეფხისტყაოსნის“ დიდ პოპულარობაზე მიუთითებდა ნ. ურბნელის შენიშვნა, რომ „მთაში... ყველა გამოჩენილმა მეფანდურემ იცის საუკეთესო ადგილები ამ პოემისა“¹. ხალხში ლიტერა-

¹ ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი (ხიზანიშვილ), წეროლო რედაქციის მ-მართ,

წ. № 154, 2 აგ.

ტურელი ნაწარმოების გასვლა კი განაპირობებდა ვარიანტების შექმნას, მის გარდაქმნას ხალხური პოეზიის ზემოქმედებით. ამას აღნიშნავდა პ. უმიკაშვილი, რომელიც ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლად რუსთაველის ლექსებს აღიარებდა². ამავე აზრს იზიარებდა ალ. ნანეიშვილი. იგი წერდა: „ის უფრო საფიქრებელია, რომ რუსთაველის ნაწერი გავრცელდა და ჩაინერგა ხალხის გულში“³.

სწორედ ამ დროს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ალ. ხახანაშვილმა ხელი მოჰკიდა ამ საკითხის მეცნიერულ კვლევას. მანამდე კი გამოთქმული იყო სავარაუდო მოსაზრება, რომელსაც არ გააჩნდა მეცნიერული დასაბუთება. ალ. ხახანაშვილი წლების მანძილზე იკვლევდა ხალხური „ტარიელიანისა“ და პოემის ურთიერთობის საკითხებს⁴. მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წყაროს ხალხურ ფესვებში ეძებდა. მისი აზრით, მხოლოდ ხალხურ „ვეფხისტყაოსანს“ შეეძლო გადაეწყვიტა გაუთავებელი ბაასი საიდან არის აღებული შინაარსი ამ ძვირფასის ნაშთისა⁵. ალ. ხახანაშვილს უნდოდა თავისებურად აეხსნა ის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა, რასაც განიცდიდა ქართველი ხალხი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ. „ერს იმიტომ მოსწონს და უყვარს შოთა, რომ იმის გულიდან ამოიღო შინაარსი თავისი პოემისა“⁶.

რადესაც ალ. ხახანაშვილი იწყებდა ამ საკითხის შესწავლას, მას ხელთ ჰქონდა მცირე მასალა, ხალხური პოემის რამდენიმე აღრეული ვარიანტი. ეს იყო ფშავის, სოფ. ბიწმენდისა და ყიზლარის ჩანაწერები. ეს აღრეული ტექსტები წარმოადგენდნენ ნაწყვეტ ლექსებს, რომლებიც ძირითადად ერთნაირ ეპიზოდებს შეიცავდნენ და დასაწყისიც ერთნაირი ჰქონდათ. მათ შორის გამოირჩეოდა ბიწმენდის ვარიანტი, სადაც ნაწყვეტ ლექსებს შორის პროზაული კავშირიც იყო. ამ ვარიანტებში მსგავსი ეპიზოდების არსებობამ ორი ძმისა და კოკლი მონის შესახებ მკვლევარი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არსებობდა ერთი საერთო წყარო. „ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილა ლიტერატურულ პოემად“⁷.

დიდი შინაარსობლივი მსგავსება ამ ორ ნაწარმოებს შორის (რუსთაველის მიერ ზღაპრული ელემენტების უხვად გამოყენება) და დიდი განსხვავება ფორმის მხრივ — ალ. ხახანაშვილს მიაჩნდა თავისი დებულების დამამტკიცებელ არგუმენტებად. ტარიელის გმირული თავგადასავალი, მისი ტრავიკული სიყვარული ნესტანისადმი, მკვლევარის აზრით, წარმოადგენდა იმ ძირითად ღეროს,

² პ. უმიკაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნა, „ივერია“, 1887, 19 აგვ., გვ. 4.

³ ა-ნა-ლი, „ივერია“, 1888, № 52, 11 მარტი, გვ. 1—2.

⁴ ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდან (თუშეთი, 2—28 ივლ., „ივერია“, 1888, № 165, 6 აგვ., გვ. 3; ხალხურ დარჩენილ „ტარიელის ამბავი“ და შოთას „ვეფხისტყაოსანი“, „ივერია“, 1890, 1 თებ., № 25, გვ. 2—3. Грузинский поэт XII века Шота Руставели и его поэма (Барсова кожа), ეურნ. ЖМНП, 1895, XII, отд. II, გვ. 209—212, ცალკე ამონაბეჭდი; Шота Руставели и его поэма Барсова кожа, წიგნში: Очерки по истории грузинской словесности, вып. II, Древняя литература до конца XII в., Москва, 1897, გვ. 243—298; შოთა რუსთაველი, წიგნში: ქართული სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1904, გვ. 348—375.

⁵ ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდან (თუშეთი 23—28 ივლ.), „ივერია“, 1332, № 165, 6 აგვ., გვ. 3.

⁶ ალ. ხახანაშვილი, ხალხში დარჩენილ „ტარიელის ამბავი“ და შოთას „ვეფხისტყაოსანი“, „ივერია“, 1890, № 25, 1 თებ., გვ. 2—3.

⁷ იქვე.

რომელზედაც აგებულია ეს ნაწარმოებები. ნესტანი ხელში ჩაუვარდება ქაჯებს, საიდანაც მას იხსნის ტარიელის „ბიძა“ (ბიწმინდული ვარიანტით დეიდაშვილი) აეთანდლილი. საერთოა მოქმედი გმირები: ტარიელი, აეთანდლილი, ნესტან-დარეჯანი, ფრიდონი, მამიდა (პოემაში დავარი), გეოგრაფიული სახელები: არაბეთი, ქაჯეთი.

დიდ მსგავსებასთან ერთად არის დიდი განსხვავება პოემასა და ხალხურ „ტარიელიანს“ შორის. გვხვდება განსხვავებული ეპიზოდები. ალ. ხახანაშვილის აზრით, პოეტმა ხალხური ტექსტიდან აიღო მხოლოდ ძირითადი, რაც შემდეგ შეავსო და გადმოგვცა უფრო თანმიმდევრულად. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მკვლევარს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი პოემიდან და ხალხური ტექსტიდან. პოემაში მეფე მიმართავს ტარიელს:

ხეარაშშას სისხლი უბრალო
სახლად რად დამადებინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა
რად არა შემაგებინე.
მე ბერსა შენსა გამზრდელსა
სიოცხლუ მარაშებინე,
დღედ სუველიამდე შენიცა
თავი არ მახლებინე.

ხალხურ ტექსტში მოკლედ ნათქვამია:

ტარიელ დაგსვი ევზირად,
სიტყუა შენ გაგაბჭობინე,
გიყვარდა ნესტან--დარეჯან
რატომ არ შემატუობინე.

აღსანიშნავია აგრეთვე უცხო მოყმის ნახვის ეპიზოდი. პოემაშია:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე,
ჭდა მტირალი წყლისა პირსა.

ხალხურ ტექსტშია:

ერთი კაცი ზღვისა პირსა
ნამტირალი გვანდა გმირსა.

ალ. ხახანაშვილი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ხალხურ ტექსტში მოხსენებულ ორ სახელზე — ედემ და ომარე. ეს სახელები პოემაში არ გვხვდება. მისი აზრით, პოეტმა საჭიროდ არ ჩათვალა მათი ხსენება. ხალხურ ტექსტს კი შემორჩა ისინი, მისი აღრეულობის დამამტკიცებელ საბუთად. მეფე გზავნის მათ უცხო მოყმის მოსაყვანად.

ადექით, აიყარენით,
ქმანო: ედემ და ომარე,
ის კაცი აქ მომიყვანეთ,
ვინ არის ველთა მდგომარე.

ალ. ხახანაშვილს მოჰყავს ანალოგიური მაგალითები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან. მრავალმა კლასიკოსმა მწერალმა თავის ნაწარმოებს საფუძვლად დაუდო ხალხური თქმულება. მათ შორის აღსანიშნავია შექსპირის ჰამლეტი, გოეთეს ფაუსტი, ბაირონის დონ-ჟუანი და სხვ.

ალ. ხახანაშვილის აზრით, პოემის შინაარსი შეიძლება ზეპირი თქმულების სახით აზიიდან იყოს გადმოსული და ხალხში გავრცელებული. შეიძლება ხალხური და ლიტერატურული „ვეფხისტყაოსანი“ ეკუთვნოდეს იმ ციკლის ნაწარმოებებს, რომლებიც აგებულია ე. წ. მორალურ სიუჟეტზე, როგორც, მაგალითად, სოლომონ ბრძენი, სიბრძნე ბალავარისა და სხვ.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მდიდრდებოდა ფოლკლორული არქივი „ტარიელიანის“ ახალ-ახალი ტექსტებით. 1890—1894 წლებში გამოქვეყნდა „ტარიელიანის“ ახალი ვარიანტები, ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის, თედო სახოკიას, სოსიკო მერკვილაძის, სოლოლაშვილის და სხვათა მიერ კახეთში, ქართლში, ხევსურეთში და სხვ. 1902 წ. დაიბეჭდა „ტარიელიანის“ სევანური ვარიანტი^ა. ამ ახალ ვარიანტებს შორის არის პროზაული ტექსტებიც: „ტარიელის ამბავი“, „ვეფხისტყაოსნის ზღაპარი“, „ტარიელი და ნესტარ-დარეჯანი“.

სევანურ ვარიანტში ტარიელის სახელი შემორჩენილია იმ იშვიათი ფორმით, რომელიც მოხსენიებული აქვს პოეტს: „რა ფრიდონ უთხრა ავთანდილს ტარიას მოციქულობა“. სევანური ვარიანტით ტარიელი და ავთანდილი ძმები არიან, სხვა ვარიანტებით კი დეიდაშვილები.

შემოაღნიშნული ადრეული ვარიანტებისაგან განსხვავებით, ამ პერიოდის პროზაულ ტექსტებში ჩნდებიან ახალი გმირები, ახალი ეპიზოდები. ეს ვარიანტები მეტ ზღაპრულ ელემენტებს შეიცავენ.

ამ ახალი მასალის საფუძველზე ალ. ხახანაშვილმა კიდევ უფრო გააღრმავა თავისი მოსაზრება. ამ პერიოდის პოეტურ ვარიანტებს შორის იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ხევსურულს, რომელიც შედარებით სრული იყო. მკვლევარის აზრით, ხევსურული ვარიანტის არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებდა მის მოსაზრებას. მკვლევარი აღნიშნავდა, რომ მთაში ლიტერატურის გავლენა ნაკლები იყო და არ შეიძლებოდა, რომ ხევსურული ტექსტი შექმნილიყო პოემის გავლენით.

ალ. ხახანაშვილი წერდა, რომ რუსთაველმა ისარგებლა „ტარიელიანის“ ხალხური გადმოცემით ისევე, როგორც მოსე ხონელმა ამირანის ზეპირი თქმულებით. ამირან დარეჯანის ძის გოლიათობის ამბავი გავრცელდა ხალხში ზეპირი გადმოცემის სახით. ამირანის ბრძოლა ბაყბაყდედთან ეკლესიის კედლებზე-დაც კი არის გამოხატული^ბ.

ალ. ხახანაშვილს მოჰყავს ადგილი ფშაური ვარიანტიდან:

ერთ კაცი ზღვისა პირსა
 სამკირალსა ჰვეანდა გმირსა:
 დაეთრთვილა დიდ მინდორი
 იმის თელთა ნადენ ცრემლსა;
 გვერდით ება თავის რაში,
 ისაცა ჩნდა ნიავე-ქრისა,
 წვრილად ესხა მარგალიტი,
 იმის ტახტა-უნაგირსა.

ხალხური პოემა უფრო მოკლედ ახასიათებს უცხო მოყმეს. არაფერია ნათქვამი ვეფხისტყაოსნზე. ხახანაშვილის აზრით, გმირის ვეფხისტყაოსნით შემოსვა

^ა ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 356.

^ბ ლ. შერვაშიძე, კედლის მოხატულობანი „ამირანდარეჯანიანის“ სიუჟეტით სევანეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შიგნით, 1956, ტ. XVII, № 5, გვ. 471.

შეიძლება ჰომეროსის გავლენით იყოს. ილიადაში პარისი გამოდის ბერძენთა გმირებთან საბრძოლველად „ვეფხისტყავე-წამოსხმული“¹⁰.

მკვლევარი აღნიშნავს აგრეთვე, რომ პოეტი სარგებლობს ხალხური ზღაპრით პოემის ასაგებად და ხშირად იყენებს ხალხურ ლექსს ან რომელიმე ეპითეტს და მეტაფორას. პოემაში ავთანდილს უამბობენ „უცხო მოყმის“ ამბავს სამნი ძმანი, ტარიელის მიერ დაკოდილნი.

ანაზღად მოყმე გამოჩნდა,
კუშტა პირ-გამქუშავია,
ზედა სქდა შეასა ტაქსა
მერანი რამე შავია.

ხალხურ ტექსტში შერჩენილია ეპითეტი „პირქუში“:

ერთმა პირქუშმა მოყმემა
ცხენ ხეთქეთ ჩამოარა.

აღ. ხახანაშვილს მოჰყავს მსგავსი ადგილები პოემიდან და ხალხური ვაჩინტებიდან. პოემაში როსტევანის მიერ გაგზავნილი კაცები ტარიელმა დახოცა:

კაცო კაცსა შემოსტყორცნა.

ხალხურ ტექსტშია:

ცხენი ცხენს ჰკრა, კაცო კაცსა.

პოემაში როსტევანი უამბობს თინათინს ტარიელის ამბავს:

სპანი სრულად დამიხოცნა
ეთა ეშმა დამეკარგა,
არ კაცურად გარდამყოცნა.

ხალხურ ტექსტში მეფე ამბობს:

ვინც მე უმანი დამიხოცნა
არ იქნება კაცთაგნ ისა.

მსგავსია ადგილები ტარიელის საძებრად წასული ავთანდილის მოგზაურობისა. პოემაში ნათქვამია:

ისრითა მოკლის ნადირა,
როსტომის მკლავ-უგრძესთა,
შამბისა პირსა გარდაჰხდა,
ცუცხო დააგზო კვესითა.
ცხენსა მისცა საძოვარი,
ვირემ მწვალა შეიწოდეს.

ხალხურ ლექსშიაც არის ავთანდილის მოგზაურობის ამბავი — „ავთანდილ გადინადირა ქელი მაღალი, ტყიანი“:

ნახტომსა თხასა ფერდსა ჰკრა,
ისარი ორბის ფრთიანი,
ჩამოხტა მუხის ძირასა,

¹⁰ ა. ხახანაშვილი, ქართული სტუდიების ისტორია, გვ. 353.

ცეცხლი დაანთო ძრიანი,
სანამ მწვადი შეიწოდა,
ცხენსა მისცა საძოვარი¹¹.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოეტმა ხალხურიდან აღებულ ამბავს მისცა მეტი დრამატული სისრულე. მან შემოიტანა პოემაში ახალი სახელები: როსტევანი, დავარი, ფატმანი, შერმადინი და სხვ. გმირება, ხალხურისაგან განსხვავებით, დააკავშირა ერთმანეთთან მეგობრული სიყვარულით.

აღ. ხახანაშვილის აზრით, პოეტი თავისი პოემის სიუჟეტს სპარსულს არქმევს („ესე ამბავი სპარსული...“) იმიტომ, რომ სპარსეთიდან საქართველოში მრავალი ეპიკური ნაწარმოები შემოვიდა წერილობით და ზეპირი თქმულეების სახით.

ზეპირმა თქმულებამ მისცა სიუჟეტი პოეტს, — აღნიშნავს აღ. ხახანაშვილი, — და პოეტის ქმნილებამ თავის მხრივ იმოქმედა ერის გრძნობა-გონებაზე. მისი ფილოსოფიური აზრები ვრცელდებოდა ხალხში და ანდაზების ხასიათს იღებდა. მისი გმირული აფორიზმები შეითვისა ხალხმა და ხალხურ ლექსში ჩაურთო.

აღ. ხახანაშვილის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ ფართო გამოხმაურება პოვა. მრავალმა მკვლევარმა გაიზიარა ლიტერატურული პოემის ხალხური „ტარიელიანიდან“ წარმოშობის თეორია: დ. კარიჭაშვილი, ი. აბულაძე, მელიტონ კვლენჭერიძე, ვ. ვ. ბარსოვი, თათარყან დაღეშქელიანი, ი. კარგარეთელი და სხვები.

აღ. ხახანაშვილის მიერ წამოყენებული თეორია გააკრიტიკა ვაჟა-ფშაველამ თავის წერილში „ვეფხისტყაოსნის შესახებ“. მისი აზრით, ხალხური „ტარიელიანი“ პოემიდან უნდა მომდინარეობდეს; პოემა ქართული წარმოშობისაა და გეიხატავს ისტორიულ ეპოქას. რომლის დროსაც ცხოვრობდა პოეტი. ვაჟა-ფშაველა წერდა: გალექსილი „ტარიელის ამბავი“ რომ ყოფილიყო ხალხში, რუსთაველი არ დაარქმევდა მას სპარსულს და ალარც გალექსვა იქნებოდა საჭირო. ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ „ტარიელის ამბავი“ არ შეიძლება შემოტანილი იყოს უცხოეთიდან. როგორც ამას ფიქრობდა აღ. ხახანაშვილი, „იმდენად ქართულია, იმდენად აღებულია ქართველის გულიდამ. იმდენად გამოხატულია მთელი ერის არსებისა“¹².

ვაჟა-ფშაველა აღ. ხახანაშვილის მოსაზრების საპირისპიროდ მიუთითებს დიდ მსგავსებაზე პოემასა და ხალხურ ტარიელიანს შორის ფორმის მხრივ. ის აღნიშნავს, რომ ხალხური „ტარიელიანის“ სხვადასხვა ტაეპს ლიტერატურული პოემის მსგავსად სხვადასხვა რითმა აქვს. ხალხურ ლექსებს კი ეს არ ახასიათებთ. როგორი დაბოლოებაა აქვს პირველ სტრიქონს. იგივე დაბოლოება რჩება ლექსის ბოლომდე. გარდა ამისა, ჩვენს ხალხს არ უყვარს ლექსად ზღაპრები და ვერ იპოვით ქართულ გალექსილ ზღაპარს. ვაჟა-ფშაველას აზრით, „ლიტერატურული „ვეფხისტყაოსანი“ წინადად ყოფილა გავრცელებული ხალხში, ხალხს შეყვარებია პოემა და რაც დაჰვიწყებია პოემიდან ის თვითონ უკეთებია და უმატებია“¹³. ხალხურ ტექსტში ნახსენები ორი სახელი ედემ და

¹¹ ავთანდილის ლექსი სრულად ჩაწერილი აქვს იაკობ გოგებაშვილს „ღღაენაში“, აღნიშნავს აღ. ხახანაშვილი.

¹² ვ ა ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (ორიოდ სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს), „ივერია“, № 39, 21 თებ., გვ. 1.

¹³ იქვე, ავ. 2.

ომარე, რომლებიც ალ. ხახანაშვილს თავისი მოსაზრებებს ერთ-ერთ დამამტკიცებელ არგუმენტად მოჰყავს, ვაჟა-ფშაველას აზრით, შეცდომით არის გაგებული „აბჯარი თქვენ საომარეს“ ნაცვლად.

ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს, რომ მცდარია აგრეთვე ის მოსაზრება, რომ ხალხურ პოემაში მოკლედ გამოთქმული აზრი ლიტერატურულში უფრო შევსებულია. მისი მტკიცებით, ხალხური პოემა უფრო მოკლეა იმიტომ, რომ ხალხმა ვერ დაიმახსოვრა პოემიდან ყველაფერი.

დღეს მკვლევართა უმეტესობა ხალხური „ტარიელიანის“ წყაროდ მიიჩნევს რუსთაველის პოემას. ჯერ კიდევ 1924 წ. კორნელი კეკელიძე წერდა: „დამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ხალხური ვეფხის-ტყაოსანი აღმოცენდა ლიტერატურულ ნიდაგზე“¹⁴. ალ. ბარამიძის აზრით, „ტარიელიანი“ მხოლოდ ძალზე მკრთალი ანარეკლია გენიალური „ვეფხისტყაოსნისა“... „ტარიელიანი“ შექმნილია ვეფხისტყაოსნის მასალაზე პოემის ხალხში ზეპირად გატარების შედეგად“¹⁵. ალ. ბარამიძე აღნიშნავს, აგრეთვე, რომ „რუსთაველი კარგად იცნობდა და შესაფერისად სარგებლობდა ხალხური შემოქმედებითი წყაროებით, ქართული მითოლოგიით“¹⁶.

„ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ „ტარიელიანთან“ ურთიერთობის საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ი. მეგრელიძემ „Руставели и фольклор“, სადაც წერს: „Руставели создавая „Вепхисткаосани“, использовал ряд мотивов народной словесности, — и Руставели же дал народу поэму „Вепхисткаосани“, которая повлияла на народное творчество, породила в нем цикл народных сказок «Тариелиани»“¹⁷.

ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა მ. ჩიქოვანიძე. მას ხალხური შემოქმედება XII საუკუნის კულტურულ-ისტორიულ პირობებთან ერთად მიაჩნია იმ საფუძვლად, რომელიც შესანიშნავად გამოიყენა პოეტმა „ვეფხისტყაოსნის“ შესაქმნელად¹⁸. ცალკეული ეპიზოდების შედარებისას მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში „ფოლკლორული თხზულება არაა დამოკიდებული მწიგნობრულისაგან და განვითარების საკუთარი გზები გააჩნია“¹⁹.

ხალხური „ტარიელიანის“ ზოგიერთ ვარიანტში გვხვდება ლექსი „ავთანდილ გადინადირა“. ამ ლექსის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. მ. ჩიქოვანის აზრით, „ავთანდილ გადინადირა“ სრულყოფილი ბალადური სიუჟეტის შემცველი ნაწარმოებია“²⁰. შესაძლებელია „ამგვარი ბალადა შოთა რუსთაველამდე არსებობდა და მან თავისი ასახვა კპოვა ლიტერატურაში“²¹.

¹⁴ ი. კეკელიძე, ვეფხისტყაოსანი, წიგნში: ქართული ლიტერატურის საბრძოლო, ტ. II, საერო მწერლობა, XI—XVIII სს., ტფილისი, 1924, გვ. 112.

¹⁵ ალ. ბარამიძე, ხალხური ვეფხისტყაოსანი, წიგნში: შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 590.

¹⁶ იქვე.

¹⁷ И. Мегрелидзе, Руставели и фольклор, Тбилиси, 1937, стр. 173.

¹⁸ მ. ჩიქოვანიძე, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, 1966, ტ. II, გვ. 102.

¹⁹ იქვე, გვ. 82.

²⁰ იქვე, გვ. 27.

²¹ იქვე, გვ. 28.

მკვლევართა უმრავლესობა ლექსის წყაროდ „ვეფხისტყაოსანს“ თვლის. ს. ცაიშვილის აზრით, «„ავთანდილ გადინადირას“ ეს ლექსი ხალხური „ტარიელიანის“ ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია და როგორც „ტარიელიანის“ მთელი თქმულება ეს ეპიზოდით „ვეფხისტყაოსნიდან“ იღებს სათავეს»²². ს. ცაიშვილი აღნიშნავს, რომ 1688 წ. გადაწერილ ხელნაწერში არის სტროფი „ავთანდილ გადინადირადან“ — ოდნავ შეცვლილი სახით. მკვლევარის აზრით, „ეს არის პირველი ჩანაწერი ხალხში თქმულებად გასული ტარიელიანისა“²³.

დიდია მსგავსება ამ ლექსის ლიტერატურულ და ხალხურ ვარიანტებს შორის. ხალხური ტექსტი ზოგიერთ ადგილას თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება ლიტერატურულს.

ცხენსა მისცა საძოვარი, ვირე მწვალა შეიწოდეს.

ხალხურშია:

სანამ მწვადი შეიწოდეს
ცხენსა მისცა საძოვარი²⁴.

აღსანიშნავია ამ ლექსის ორი ვარიანტი. ერთი მთავრდება ავთანდილის გარდაცვალებით და გვხვდება ზოგიერთი ტექსტის ბოლოს („ტარიელიანი“, „ტარიელი და ლერწამ-დარეჯანი“).

ამ ლექსის მეორე ვარიანტი, სადაც გადმოცემულია მხოლოდ ავთანდილის ნადირობის ამბავი, აღრეულ ტექსტებში ჩართულია იმ ადგილას, როგორც პოემაშია, როდესაც ავთანდილი მიდის ტარიელის საქებნელად (ხევსურული „ვეფხისტყაოსანი“, „ვეფხისტყაოსნის ზღაპარი“, „ტარიელი და ნესტარ-დარეჯანი“).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ეს ლექსი არსებობდა სწორედ იმ სახით, რომელშიაც არ იყო შეტანილი ავთანდილის გარდაცვალების ამბავი. პირველად „ავთანდილ გადინადირა“ გვხვდება ხევსურულ ვარიანტში (1890 წ.), სადაც ეს ლექსი ასე მთავრდება.

ლაძლა ამხანაგებო,
თაო ზის გულჯაიურიანი.

აქ არაფერია ნათქვამი ავთანდილის სიკვდილზე.

ამ ლექსის მეორე ვარიანტი, როგორც ჩანს, უფრო გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის. ხალხმა ის თანდათან შეავსო და ბოლოს მან მიიღო დამოუკიდებელი ბალადის სახე.

თუ თვალს გადავავლებთ ხალხური „ტარიელიანის“ ტექსტების განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ გვიანდელი ვარიანტები უფრო ახლოს დგანან პოემასთან. როგორც ჩანს, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად იკიდებდა ფეხს ლიტერატურული პოემა, მით უფრო ავსებდა ხალხი ზეპირ თქმულებას ახალი ეპიზოდებით, ახალი გმირებით, რომლებიც უშუალოდ პოემიდან გადმოჰქონდა.

²² ს. ცაიშვილი, ხალხური ტარიელიანის პირველი ჩანაწერი, „სახალხო განათლება“, 20 მარტი, 1957, № 12, გვ. 4.

²³ იქვე.

²⁴ ვ. კობეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1961, გვ. 116.

ხალხურ ტექსტზე დაკვირვებისას სშირად შეინიშნება ცდა — შენარჩუნებულ იყოს ის შედარება, ეპითეტი, რითმა ან ცალკეული გამოთქმა თუ სიტყვა, რომელიც გვხვდება პოემაში. ამის შედეგად ზოგჯერ ხალხურ ტექსტში გვხვდება შეუსაბამობა, რომელიც სშირად გაუგებარს ხდის აზრს. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ „ვეფხისტყაოსნისა“ და ხალხური „ტარიელიანის“ ზოგიერთი მსგავსი ეპიზოდების ურთიერთშეპირისპირების რამდენიმე მაგალითს:

შავი ცხენი სადავითა
ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა. (3).
დილას ადრე მოვიდა
იგი ნაზარდი სოსანო,
ძოწვეულითა მოსილი
პირად ბროლ-ბალახშოსანი. (71).

ხელთ ევ რა შავი რაში
ელში და ლომი გმირსა. (1888, ყიზლარი).
დილას ადრიან შობრანდა
იგი ნაზარდი შროშანი;
ბროწველით ამოესილი,
პირსა მზე ბალახ-სოსანი. (1890, ქართლი).

ხალხური ტექსტის ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გაუგებარია — ვის ეხება ეპითეტი „ედემი და ლომი“. ან რას ნიშნავს „ბროწველით ამოესილი“. ცხადია, აქ პოემის ტექსტია დამახინჯებული. ასევე პოემის ტექსტის სახეცვლილებას წარმოადგენს გამოთქმა „პირსა მზე ბალახ-სოსანი“.

ხალხურ ვარიანტში პოემის ზოგიერთი სიტყვა შეცვლილია ხალხში უფრო გავრცელებული სიტყვით.

სშირად ესხა მარგალიტი
ლაგამ-აბჯარ უნაგირსა (83).

წერილად ესხდა მარგალიტი
იმის ტახტა-უნაგირსა. (1882, ფშავი).
სშირად ესხდა მარგალიტი
ლაგამ-აუშარ-უნაგირსა. (კახეთი).
სშირად ესხა მარგალიტი
აღვირ-აუშარ-უნაგირსა. (1894, ჰალა).
ტურფათ ესხდა მარგალიტი
ლახტი, ლაგამ-უნაგირსა. (1924, ტფილისი).

ვინაიდან ამ სტრიქონში ლაპარაკია ცხენის აკანშელოზაზე, ხალხურმა მთქმელმა ბუნებრივად ჩათვალა სიტყვა „აბჯარის“ მაგივრად „აუშარის“ ხმარება. „აუშარა“, — ულაგმო აღვირი (ქ. გ. ლ), იხმარებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში და უფრო გასაგები იყო ხალხისათვის.

მსგავსი ეპიზოდების შედარებისას ჩვენ ვრწმუნდებით, რომ მსგავსია რითმა. მეორდება სარიტმო სიტყვები. პოემიდან ხალხურ ტექსტში გადასულია ხანდახან მთელი გამოთქმები. ხან შეუცვლელად, ხან ოდნავ შეცვლილი სახით.

ნახეს უცხო მოყმე ვინმე
ქდა მტირალო წყლისა პარსა.
შავი ცხენი სადავითა
ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა. (37).

ხვარაზმას სისხლი უბრალო
სახლად რად დამადუპინე? (555).
... მოყმე ამაყად ყიოდა,
შემოირბედა ზღვის პარ-პარ,
მას თურე წყლული სტყოდა. (585).

წყლისა პარსა მოყმე; ვსახე
დამტირალო ჰგენდა გმირსა. (1882, ყიზლარი).
ერთი ვინმე მოყმე ვსახე,
მომტირალო ჰგენდა გმირსა. (1890, კახეთი).
ერთი კაცი ზოვისა პარსა,
ნამტირალსა ჰგენდა გმირსა. (1838, ფშავი).
ქიქაველთ მეფის თავ-სახლი
თავზედ რად დამადუპინე? (1297, ხუცესტეთი).
დილას რო კარჩი გამოველ,
კვებელ ქორიეთ ყიოდა.
მე მონადირე მეგონა,
იმას თუ წყლული ჰტყოდა. (1290, ხუცესტეთი).

ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი
სამუშაითოდ მზრდილიან. (1389)
შეი მკედარსა გნახავ, დაიწვი,
ერთა აბელი კვესითა. (1288)

ღელა-მამანი წმინდანი
ცოდელა-პირითა მზრდილიან. (1888, ფშაეი).
თუ არ მოვიდა, დაიწვი
ერთა აბელი კვესითა. (1887, კახეთი).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ „ტარიელიანის“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტები შექმნილია „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველზე. პოემის მსგავსად „ტარიელიანის“ სხვადასხვა ტაეპს სხვადასხვა რითმა აქვს, რაც არ არის დამახასიათებელი ხალხური ტექსტისათვის (მღრ. ვაჟა-ფშაველას ზემოაღნიშნული აზრი). მსგავს ეპიზოდებში მსგავსია რითმა. ხალხურ ვარიანტებში პოემიდან გადასულია მთელი გამოთქმები და ცალკეული სიტყვები. შეინიშნება მათი უცვლელად შენარჩუნების ცდა მაშინაც, როდესაც მთქმელისათვის გაუგებარია ესა თუ ის სიტყვა.

რუსთაველის მიერ ზღაპრული და მითოლოგიური მასალის გამოყენება, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართ, არ წარმოადგენს საკმარის საბუთს იმისათვის, რომ პოემის საფუძველად რაღაც გარკვეული ძეგლი ვივარაუდოთ. მიუხედავად ამისა, ხალხურობა, რომელიც შ. ნუცუბიძის თქმით წითელ ზოლად გასდევს მთელ პოემას²⁵, კიდევ უფრო აახლოებდა „ვეფხისტყაოსანს“ ქართულ ძირებთან, ქართულ ხალხურ ეპოსთან. ამავე აზრის იყო ვ. კოტეტიშვილი, რომელსაც მოჰყავს კ. ბალმონტის სიტყვები: „გინდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროტოტიპად ზღაპარი არსებობდესო“²⁶.

როგორც ვხედავთ, შემდგომმა კვლევამ არ დაადასტურა ალ. ხახანაშვილის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ხალხური „ტარიელიანის“ ლიტერატურულ პოემასთან ურთიერთობის გარკვევის პირველი მეცნიერული ცდა. იმ დროისათვის ეს საკითხი მეტად აქტუალური იყო და მას მრავალი მიმდევარიც ჰყავდა. სწორედ ეს მოსაზრება დაუპირისპირდა „ვეფხისტყაოსნის“ უცხოური წარმომავლობის თეორიას და რუსთაველოლოგთა შემდგომ თაობებს მისცა გეზი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფესვები ეროვნულ ნიადაგში ეძებნათ.

²⁵ Ш. Н у у с н д а е, Творчество Руставели, Тбилиси, 1958, стр. 23.

²⁶ ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწარები, II. თბილ-ი, 1957, გვ. 310.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

ს ი ა ლ ა ჯ ლ ა მ ა ი ა

მ ე ა თ ე ს ა უ ქ უ ნ ის ქ ა რ თ ე ე ლ ი ჰ ი მ ნ ო ბ რ ა ფ ე ბ ი

ს ბ ა შ ა ნ ა ს ა ნ ა ნ ო დ ს ა მ ზ ო ნ დ ი დ ა ლ ი *

მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულში — იადგარში აბოს ერთ საგალობელს ამოიზე წარწერა აქვს: „სტეფანე ჭყონდიდელისა ნეტარისა სანანოასძისანი“. წარწერა აბოს საგალობლის ავტორზე მიუთითებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში¹ სტეფანე სანანოასძეს აკუთვნებენ და მის ორიგინალურ შრომად თვლიან აბოს გარდა, მიქაელის კრებულში 27 დეკემბრის თარიღით შესულ სტეფანე პირველმოწამის საგალობელს², რომლის სტიქარონის აკროსტიქი იძლევა სახელს ს ტ ე ფ ა ნ ე. ამის მიხედვით მკვლევარმა პ. ინგოროვამ „ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაში“ სტეფანე სანანოასძე სწორედ ამ ორი საგალობლით წარმოადგინა.

აბოს საგალობელთან მინაწერი უეჭვოს ხდის, რომ საგალობელი სტეფანე სანანოასძეს ეკუთვნის. საგალობელთან დაკავშირებით გასარკვევია: საგალობლისა და აბოს მარტილობის ურთაერთობა, საგალობლის ურთიერთობა მე-10 საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებთან, და ბოლოს, საკითხი საგალობლის ძლისპირების შესახებ.

სტეფანე სანანოასძის სახელით წარწერილი აბოს საგალობელი მიქაელთან 7 იანვარსაა დადებული. ეს გარემოება არ არის მოულოდნელი. მართალია, აბო აწამეს 6 იანვარს, ნათლისღების დღეს, მაგრამ ქართულმა ეკლესიამ მისი ხსენება 7 იანვარს დააწესა. აკად. კ. კეკელიძის მიხედვით, „აქ ჩვენ გვაქვს გამოძახილი ლიტურგიული პრაქტიკისა, რომლის მიხედვით საუფლო დღესასწაულებში, როგორცაა 6 იანვარი — ნათლისღება, ზრუშვილები და დადებული ყოფილიყო სხვა დღესასწაული, განსაკუთრებით მოწამეთა ხსენება, რომელიც ამიტომ მეორე დღეს გადაჰქონდათ. ასე მოქცეულან ამ შემთხვევაშიც: თუმცა აბო 6 იანვარს აღესრულა, მისი ხსენება ქართლის ეკლესიამ მეორე დღეს, 7 იანვარს დააწესა“³.

სტეფანე სანანოასძის საგალობელში შექმებულია ერთი მხრივ ნათლისღება, მეორე მხრივ — აბო, რაც საგალობლის სახელწოდებიდანაც ჩანს: „დასდებელნი ნათლისღებისანი და წმიდისა მოწამისა ჰაბოასნი“. მიქაელთან მო-

* წყითხულია მოხსენებად 1967 წ. ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა (ა. ასპირანტთა კონფერენციაზე).

1 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 180. პ. ინგოროვი-თხზ. კრ., III, 1965, გვ. 455.

2 სტეფანე სანანოასძის ეს ორი საგალობელი გამოცემულია: პ. ინგოროვიცა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, I, 1913, გვ. 65ა.

3 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 33.

თავსებულა საგალობლები აბოსი, ასეთი კი ოთხია, ყველა 7 იანვრის თარიღითაა შესული და მიძღვნილია ნათლისღებისა და აბოსადმი. ამ მხრივ გამოჩნისა კილ-ეტრატის იადგარში (H—2123) დაცული საგალობელი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში იოანე საბანისძეს აკუთვნებენ და რომელიც მხოლოდ აბოსადმია მიძღვნილი. მეათე საუკუნის ქართულ ლიტურგიულ კრებულებში ჩვეულებრივია საუფლო დღესასწაულების ხსენება და საგალობლები, დაწესებული დღის წინა და მომდევნო დღეებში. ასეა, მაგალითად, შობის საგალობელი იერუსალიმურსა და სინურ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, რაც, რა თქმა უნდა, ბიზანტიური ლიტურგიული პრაქტიკის ასახვაა: 20 დეკემბრიდან იწყება შობის ხსენება და გრძელდება 25 დეკემბრის შემდეგ რამდენიმე დღეს. წინა და მომდევნო დღეებში მოწამისა და საუფლო დღესასწაულისადმი მიძღვნილ ტროპაეებს განსხვავებისათვის აშიაზე აწერენ მოწამის სახელს. დაახლოებით ასეთი სურათია მიქაელის კრებულში შესული აბოს ყველა საგალობელთან, რომლებშიც ნათლისღება და აბო 7 იანვარს ერთადაა შექმებული.

რა დამოკიდებულებაა აბოს „მარტვილობასა“ და სტეფანე სანანოხსძის საგალობელს შორის? ტექსტობრივმა შედარებამ გარკვეია, რომ მასალის თვალსაზრისით საგალობელი „მარტვილობასთან“ შედარებით ახალს არაფერს შეიცავს. პირიქით, ფრაზეოლოგიური შეხვედრები „მარტვილობასთან“ ამტკიცებს, რომ სტეფანე სანანოხსძის საგალობელი „მარტვილობის“ მიხედვითაა დაწერილი. ამის ნიმუშებია:

აბოს მარტვილობა⁴

საგალობელი

1. შენ...მარტკლთა თანა ვკრგვქოსან იქმენ... 78,3.
2. ეიყე თოთ მენელსაცხებლე, კეთილად წემგზადებელ სულნელთა მათსაცხებელთა... 69,3.
3. ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ეარღი ეკალთაგან გამოგარჩია და მიგაყრა ოქსსა მას ელესასა. 80,17.
4. დაუტყვე მე პირველი იგა კაცთა ქელოენებითა შეთხზული შქული... და აწ შეუდგე ჭეშმარიტსა... სარწმუნოებასა... 65,7.
5. ნათელ-ვიღო სისხლითა ჩემითა და ცეცხლითა და სულითა... 68,10.
6. ...განშიშულეებითა ქორციითა ჩემთაჲთა მტერისა მის შხაყარისა მანქანებასა... დაეტყვენენ... 68,14.

- ნათელს იღო აბო ყოვლად საგალობელ-მან და გვრგვქოსან იქმენა... (განდ. 11 ტრ.).
- იყავ, ნეტარო, კეთილად შემგზავებელ ნელსაცხებელთა სულნელთა... (კურთხ. 11 ტრ.).
- ავარის ნათესაეთა ძირთა მათ უნაყოფოთა ნერგთა მათგან ეკლოვანთა, ვითარცა ეარღი შუენიერი, ფერითა მენაშულითა გამოჩნდა ნეტარი აბო... (უფ. ლაბ. 111 ტრ.).
- ...მოიძულე შენ სიყრუეით შეთხზული იგი ისმაიტელთა მოძღურებთა და შეიყრე ქრისტეს მცენება... (კურთხ. 1 ტრ.).
- ნათლისღებაჲ სამი მოივე, მოწაფე, წელთ სულითა და სისხლითა და შემდგომად ცეცხლითა...
რომელი განიშულდა დღეს იორდანეს შინა ქორციითა... (უფ. 11 ტრ.).

⁴ იხ. კ. კეკელიძე. აღრიწველი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935.

...სიღრმესა მას შინა წყალთაჲ, დამა- შემუსრე, პაცხოვარ; იორდანეს თავები
 ლუღლისა მის ვეშაპისა თავები ვეშაპისაჲ ღამალული წყალთა
 ძალითა ღმრთეებისათა შემუსრა. 62,6. შინა პარველთაგან... (მთხ. 1 ტრ.).

სტეფანე სანანოასძის აბოს საგალობელი არ გვხვდება მე-10 საუკუნის
 ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, არც სინურში, არც იერუსალიმურში.
 გიორგი მთაწმიდლის „თვენში“ კი აბოს ხსენებაც არ არის შეტანილი. იქ მხო-
 ლოდ ნათლისღებაა. მაგრამ თვენში აბოს ხსენება და საგალობელი არც იყო
 მოსალოდნელი თვით „თვენის“ შედგენის პრინციპის გამო: გიორგი მთაწმი-
 დელმა „თენი“ ბერძნულიდან მის მიერვე თარგმნილი სვინაქსარის მიხედვით
 შეადგინა, მაგრამ შეავსო მსოფლიო ეკლესიის მიერ აღიარებული ნაციონალ-
 ლური წმიდანებით. ასეთები იყვნენ: ექვთიმე მთაწმიდელი, ილარიონ ქარ-
 თველი, ნინო და იოანესი. ამ პოზიციებიდან აბოს შეტანა „თვენში“ სრუ-
 ლიად გაუმართლებელი იქნებოდა.

მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფიული კრებულებიდან ერთადერთი მიქაელ
 მოღრეკილის იადგარია, სადაც სტეფანე სანანოასძის აბოს საგალობელია შე-
 ტანილი. უფრო მეტიც: სწორედ მიქაელის კრებულმა გამოავლინა სტეფანე
 სანანოასძე, როგორც პოეტი-ჰიმნოგრაფი. სტეფანე სანანოასძის აბოს საგა-
 ლობლის ძლისპირითაა გამართული (ზღვსა მის მეწ.) მიქაელის კრებულში შე-
 სული ექვთიმე დიდის სახელზე დაწერილი საგალობელი ეზრასი. მკვლევარ
 პ. ინგოროყვა ამ საზომს აკუთვნებს ძლისპირთა უძველეს ფენას და ავტორად
 გრიგოლ ხანძთელს მიიჩნევს⁵. მაგრამ, როგორც შედარებამ გამოაკვია, ძლის-
 პირს „ზღვსა მის მეწამულსა“ სინურ და იერუსალიმურ ჰიმნოგრაფიულ კრე-
 ბულებში (Sin. 1, Sin 14; იელის იადგარი) ქართული ტრანსკრიფციით აქვს
 წარწერილი სტეფანეის თალასის. ამ გარემოებამ კი სრულიად გამო-
 რიცხა იმის შესაძლებლობა, რომ საზომი გრიგოლ ხანძთელს ეკუთვნის⁶. მართ-
 ლაც, ეს ძლისპირი უძველესი ფენისაა. მისი ავტორია იოანე დამასკელი.

სტეფანე პირველმოწამის სახელზე დაწერილი საგალობელი შეიცავს
 მთელს კანონს 3 სტიქარონით. ერთი სტიქარონი, რომელიც კანონს უშუალოდ
 წინ ერთვის, ძლისპირის გარეშეა. მისი კიდურწერილობა იძლევა სახელს
 სტეფანე. ამავე სტიქარონს აშოაზეც წარწერა აქვს — სტეფანე. ეს ორი
 მომენტი ქმნის აკად. კ. კეკელიძისა და მკვლევარ პ. ინგოროყვასათვის იმის
 საფუძველს, რომ საგალობლის ავტორად სტეფანე სანანოასძე ჰყონდიდელი
 მიიჩნიონ⁷. მაგრამ საგალობლის შედარებამ მე-10 საუკუნის ქართულ იადგა-
 რებთან და გიორგი მთაწმიდლის „თენთან“ სრულიად სხვა სურათი წამო-
 აჩინა.

სტიქარონი, რომლის კიდურწერილობა სტეფანეს იძლევა, ძლისპირის
 გარეშეა წარმოდგენილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს აკროსტიქული
 სტიქარონი თვითნია. ასევეა ეს სტიქარონი კანონთან ერთად შესული მე-10
 საუკუნის სინურ იადგარებში (Sin. 14,65) და გიორგი მთაწმიდლის „თენ-
 ში“. მაგრამ პალესტინური რედაქციის იადგარებსა და „თვენის“ პირველ რე-
 დაქციაში (Jer. 42) სტიქარონის I მუხლი აკროსტიქის სასოზე — ს უ ფ ე ვ ს

⁵ პ. ინგოროყვა, თხ. კრ., III, 1965, გვ. 125.

⁶ ე. შეტრეველი, ძლისპირი, 1972, გვ. 022.

⁷ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I, 1960, გვ. 180; პ. ინგოროყვა, თხ. კრ., III, 1965, გვ. 455.

ღმერთი წარმართთა ზედა — უკვე ძლისპირად არის გაგებული და წარმოდგენილია მხოლოდ დასაწყისით. როგორც ჩანს, ამ კრებულების შემდგენლებს ვერ გაუთვალისწინებიათ, რომ სტიქარონი აკროსტიქულია და ფლისპირად მისი სტროფის გამოყენება არღვევს აკროსტიქს. უფრო მეტიც: ერთ სინურ ჰიმნოგრაფიულ კრებულში მე-10 საუკუნის (Sin. 64) ეს სტიქარონი ძლისპირის გარეშეა წარმოდგენილი. აქ უკვე აკროსტიქი მთლიანად დაკრულია.

მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, თვითნი-სტიქარონის I მუხლი — „სუფევს ღმერთი წარმართთა ზედა“ — ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ საზომად და გამოყენებაც პოვა. ამ საზომითაა დაწერილი სინურ იადგარებში შესული კონონ წმინდანის სახელზე სტიქარონი; ამავე საზომითაა გამართული წმ. გიორგის საგალობლის უფ. დაღატყავისა.

ეს ფაქტი, თვითნის გამოყენება დამოუკიდებელ საზომად, საინტერესოა ძლისპირთა ჩამოყალიბებისა და განვითარების გზის გასათვალისწინებლად. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული ძლისპირთა კრებულები და ძლისპირების შემცველი იადგარები სწორედ უფ. დაღატყავისას ძლისპირებითაა ნაკლულად მოღწეული. ამიტომ შესაძლებლობა არა გვაქვს უკვე რლისპირად ჩამოყალიბებულ „სუფევს ღმერთი წარმართთა ზედას“ ძლისპირთა კრებულებში დადასტურება ქრონოლოგიურად. მაგრამ რომ მას გამოყენება ჰქონდა პრაქტიკულად, ამას იადგარებიდან მოკვანილი ორიოდ მაგალითიც ადასტურებს. ყოველივე ეს კი საშუალებას გვაძლევს მიქაელის კრებულში შესული აკროსტიქული თვითნი-სტიქარონისა და საერთოდ მთელი საგალობლის წარმომავლობისა და ავტორობის საკითხის ახლებურად დაყენებისა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიქაელის კრებულში შესული სტეფანე პირველმოწამის საგალობელს სტიქარონითურთ სტეფანე ჰყონდიდლის ორიკინალურ შრომად თვლიან. პ. ინგოროყვა ძლისპირში „სუფევს ღმერთი წარმართთა ზედა“ IX საუკუნის ტაოელი ჰიმნოგრაფის ბასილი ხანძთელისეულ საზომს ზედავს. სტეფანე პირველმოწამის საგალობლს შედარებამ გიორგი მთაწმიდლის თვენთან გაარკვია, რომ სტეფანე პირველმოწამის კანონი ეკუთვნის იოანე დამასკელს. გიორგი მთაწმიდლის „თვენში“ ამ საგალობელს ავტორზე მითითება აქვს — იოანე დამასკელი. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ სტეფანე პირველმოწამის კანონი, რომელსაც სტეფანე ჰყონდიდელს მიაწერდნენ, იოანე დამასკელისაა და თარგმნილია ბერძნულში და.

გიორგის „თვენში“ იოანე დამასკელის კანონს წინ ერთვის აკროსტიქული თვითნი-სტიქარონი, რომელსაც აშიაზე წარწერა აქვს: სტეფანე. შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ გიორგისთან ჰიმნოგრაფის სახელი — სტეფანე — მიქაელის კრებულისაგან გადმოვიდა, მით უმეტეს, რომ გიორგის „თვენის“ ერთ-ერთი წყარო მიქაელის საგალობელთა კრებულია (და ამდენად, გაგვეზიარებინა სტეფანე სანანოაძის ავტორობა). მაგრამ ასეთი ვარაუდის დაშვება შეუძლებელია; თუ გაეითვალისწინებთ „თვენის“ აგების პრინციპს: გიორგი მთაწმიდელი „თვენს“ ბერძნულის მიხედვით ადგენს, ბერძნულ დედნებს უკერებს, ამოწმებს უკვე თარგმნილ მასალას, უთითებს ჰიმნოგრაფს და

ტექსტი ისე გადმოაქვს მე-10 საუკუნის იადგარებიდან. ის არ ერიდება ექვთიმე მთაწმიდლის ავტორიტეტსაც კი და მის მიერ თარგმნილ გალობებს ბერძნულისავე მიხედვით უკეთებს რედაქციას. ასეთ გარემოში შეუძლებელია გიორგი მთაწმიდელს მიქაელიდან გადმოტანილი სტეფანე პირველმოწამის საგალობელი სტიქარონითურთ ბერძნულთან შეუწყამებლად შეეტანა „თენიში“, მით უმეტეს, რომ თვითონ-სტიქარონი აკროსტიქულია და, გარდა ამისა, აშინაზე წარწერა აქვს — სტეფანე.

როგორც „თენიდან“ ჩანს, ვიორგი ასეც მოქცეულა და სწორედ ბერძნული დედნის მიხედვით მიუკვლევია კიდევ კანონის ავტორისათვის. სტეფანე პირველმოწამის აკროსტიქული თვითონ სტიქარონისათვისაც შეჭერების შედეგად ავტორი სტეფანე მოუძებნია⁹. ამ სტეფანეში, ჩვენი ვარაუდით, იგულისხნება სტეფანე საბაწმიდელი, VIII საუკუნის საბაწმიდელი ჰიმნოგრაფი, რომლის მოღვაწეობაც ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში კარგადაა ცნობილი.

მიქაელის საგალობელთა კრებულის მინაწერებში კიდევ რამდენსამე ადგილასაა სტეფანე მოხსენიებული.

1. 14 იანვარს — ქსენება სახლით დმერაშემოსილთა ყოველთა სიკეტლთა მამათაა. უჯლო ღალატყაისას“ შემდეგ მინაწერია: „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე“ (194r).
2. 26 იანვარს — ქსენება იოანე კონსტანტინეპოლელ მამათმოაერისა მმარხველისა. სტიქარონის შემდეგ მინაწერია: „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე“ (126r).
3. 23 დეკემბერს — წინაღუცსაწაულობა შობისათვის იესუ ქრისტესა, დასდებლნი ძქუშელნი ანჯრია მოძღუარისა. საგალობლის შემდეგ მინაწერია: „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე“ (34r).
4. დასდებლნი წმიდისა აღდგომისანი, ქართლნი. „უფ. ღალატყაისას“ შემდეგ მინაწერია: „მოიქსენე სული გლახკისა მიქაელისი (219v). განძლიერდითსას გასწვრივ: „ქრისტე, სტეფანე მოძღუარი ჩემი შეიწყალე“ (219v).
5. დასდებლნი აღდგომისანი. „უფ. ღალატყაისას“ შემდეგ მინაწერია: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ“ (244r). თვითონ სტიქარონის შემდეგ: „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე“ (243r). ასეთ გვერდის ქვემო კიდებზე: „მინჩხი“

შესაძლებელია მინაწერებში მოხსენიებულ სტეფანეში სტეფანე სანანოაძესე ჰყონდიდელი ვივარაუდოთ, მაგრამ ერთი ცხადია: მინაწერების სტეფანეს არავითარი კავშირი არა აქვს საგალობელთან. ამას კარგად გვიჩვენებს მეტყუთე მინაწერი: აღდგომის საგალობლის ერთი თვითანი მინჩხისეულია, სტიქარონის შემდეგ კი მინაწერია: „ქრისტე, შეიწყალე სტეფანე“.

უფრო მეტიც: ერთი საგალობლის ფარგლებში ორი მინაწერია (იხ. მინაწერი № 4, 5): „უფ. ღალატყაისას“ მინაწერი მიქაელს მოიხსენიებს, საგალობლის შემდეგ კი სტეფანე მოძღუარი იხსენიება.

ამრიგად, ვინც არ უნდა იგულისხმებოდეს მინაწერებში, ერთი ცხადია: ეს არც საგალობლის ავტორი, არც მთარგმნელია.

და ბოლოს, თვით სტეფანე სანანოაძესე ჰყონდიდელის შესახებ.

სტეფანე სანანოაძესეს აკად. კ. კეკელიძე მე-10 საუკუნის ბოლო მეოთხედისა, ხოლო მკვლევარი პ. ინგოროყვა მე-10 საუკუნის მეორე მეოთხედის

⁹ XVIII საუკუნის ბერძნული ნაბეჭდი ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიული კრებულის ე. წ. ვატიკანურ ნუსხაში დაიბეჭდა ბერძნული დედანი იოანე დამასკელის ამ საგალობლისა. ამით შესაძლებლობა მოგვეცა ერთხელ კიდევ ფაქტობრივ დავადასტურებინა ვიორგი მთაწმიდლის თე ე ნ 3 - საგალობლების ბერძენ ავტორებზე მითითების კუშმარიტება.

მოღვაწედ მიიჩნევენ. ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში ერთად მოიხსენება განუყრელად ორი სახელი — დავითი და სტეფანე. როგორც გარკვეულია¹⁰, სტეფანე-ჰყონდიდლის ეპისკოპოსი სანანოაძესა, დავით კი — ეპისკოპოსი ტბეთისა. დავით და სტეფანე აგიოგრაფიულ ნაწარმოებების მთარგმნელებად არიან ცნობილი ჩვენი მწერლობის ისტორიაში. ეფრემ მცირის მიხედვით სტეფანე სანანოაძეს უთარგმნია დაუჯდომელთა, ცხოვრება თეოქოსისტე ლეზველისა და სხუანიცა. პ. ინგოროყვა სტეფანე სანანოაძეს დასავლეთ საქართველოს ჰიმნოგრაფიული სკოლის წარმომადგენლად თვლის. კ. კეკელიძე და პ. ინგოროყვა მის ორიგინალურ ნაწარმოებად მიიჩნევენ აბოსა და სტეფანე ჰირველმოწამის საგალობლებს. მაგრამ, როგორც შეჩერებამ გაარკვია, სტეფანე ჰირველმოწამის საგალობელი თარგმნილია ბერძნულიდან: კანონის ავტორია იოანე დამასკელი, თვითნი-სტიქარონის ავტორად კი შესაძლებელია სტეფანე საბაწმიდელი ვიეარაუდოთ. ჩვენ არ გამოვირიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ სტეფანე სანანოაძესე ჰყონდიდელი შესაძლოა, საგალობლის მთარგმნელი იყოს, რომლის საფუძველს ქმნის მხოლოდ ის, რომ სტეფანე სანანოაძესე ჰყონდიდელი საერთოდ მთარგმნელობითი საქმიანობითაა ცნობილი.

დამატება

1. უფესა იანვარსა 7. დასდებლნი ნათლისღებისა და წმიდისა მოწამისა საბოძისნივე.

უფ. ლალატყავსა, დ, ცათა დაუტ. ცეცხლი. რომელი სინას ეჩუენა მქულის-მდებელსა მგზებარე მაყოლანასა მას. უფროს ცნობისა და ზეშთა სიტყვსა შეეზავა. წყალთა მათ იორდანისათა. შემწუველად ნიეთსა მას ცოდვისასა. მოვედოთ ერნო მივისწრაფოთ საღმრთოსა მას საბანესა. რაფთა განვწმიდნეთ კორცითა და განვნაღლდეთ ჩუენ სულითა:

აღსრულებად მოხუედი. ყოელისა სიპართლისა. სიტყუაო მხოლოდ შობილო. შემოსელი ცათა ღრუბლითა განშიშულდი იორდანეს. ნათლის-ღებდ სიმდაბლით მოხუედ. თვთმნათობი გუექმნელი ნათელი. რომლისა მსგავსებითა განშიშულდა მოწამე შენი აბო. და სისხლისა დათხევიათა. შეიწირა მსხუერპლად შენდა:

აგარის ნათესავთა. ძირთა მათ უნაყოფოთა. ნერგთა მათგან ეკლოვანთა.

ვითარცა ეარდი შეუენიერი. ფერითა გეწამულითა. გამოჩნდა ნეტარი აბო. და სულნელ-ყო ეკლესიაჲ. ნელსაცხებელთა წილ სხურებითა სისხლისაჲთა. ამას შინა მორწმუნენო. ვაქებდეთ ლუაწლთა მათ მისთა:

მოვედიოთ ვადიდ.

უგალობდითსა, ზღვსა მის მეწ.

იესუ ღმრთისა სიტყუაო. მასწავე ჩუენ სიტყუაჲ სიბრძნისაჲ. ქებად ნათლის-ღებასა წმიდასა. შენსა და გალობად. უძლვეელთა ლუაწლთა მოწამისა. აბო კეთილად. მოლუაწისათა:

რომელი განშიშულდა დღეს. იორდანეს შინა კორცითა. სანატრელმან მოწამემან [90v] აბო. მისთვის განიძარცუა ძუელი კაცი საქმითურთ. და შეიმოსა ძალი ქრისტეჲსი:

ყოველნი თესლნი მოვედიოთ. მკვდრთა თანა ქართლისათა დღეს. და იხილეთ ლუაწლისა მძლე აბო. განშუენებული ბრწყინვალედ სისხლითა წამები-

¹⁰ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 179.

სადა. ღირსად გალობით მას უგალობ-
დეთ:

მ ი ღ გ ო მ ი თ ი ქ .

მოიხილესა, ი ს მ ე ნ დ ი ნ ქ უ ე ყ ა -
ნ ა ხ ს ი ხ .

შეჰმუსრე მაცხოვარ. იორდანეს თა-
ეები ვეშაპისაჲ. დამალული წყალთა
შინა პირველითგან. რამეთუ ქმაჲ საღ-
მრთოთა შეადაგებელთაჲ. აღასრულე
განგებულებით ღმრთისა სიტყუაო. რა-
ეამს მონისაგან. ნათელს-ილე მქსნელო.
და განანათლე სოფელი:.

მაცხოვრისა თანა. ნათელს-ილე ღუ-
აწლისა მძლეო ჰაბო. რაეამს შთაჰქედ
ემბაზსა ღუაწლისასა. ვითარცა მქსნე-
ლი ჩუენი იორდანესა. და სისხლისა
ღათხევითა განჰბანე. გუამი შენი რა-
ეამს. დაიკალ უწყალოდ. მახვლითა
მტერთაჲთა:.

სისხლთა დათხევითა. მეწამულ ჰყავ
ღუაწლი სანატრელო. ყოვლად ქებუ-
ლო მოწამეო ჰაბო. და შეამკვე ვითარ-
ცა ძოწეულითა. ეკლესიაჲ წარმართ-
თაჲ და შეჰკრიბენ მას შინა. ერთობით
ყოველნი. მგალობლად ღუაწლთა მათ.
შენთა ქრისტეს მოწამეო:.

არცხვენე ნეტარო. ნაშობთა მათ მკეე-
ლისათა უღმრთოთა. და დაუყვენ პირ-
ნი მათნი მგმობარნი. საღმრთოჲთა მით
სიბრძნითა ზეგარდამოჲთა. რაეამს ჰქა-
დაგე სამებაჲ ერთღმრთეებაჲ. და გან-
სწმიდე ქართლი. სისხლისა შენისა. და-
თხევითა. მოწამეო:.

ს ა ღ მ რ თ ო ჲ ს ა ვ ე ღ .

განძლიერდითსა, ი ხ ა რ ე ბ ს ე ქ -
ლ ე ს ი ა ჲ .

იხარებს ეკლესიაჲ. შეიღთა თანა
დღეს სხურებული. წყლითა სიწმიდი-
საჲთა. და მძლე ჰყოფს ღუაწლსა მო-
წამეთასა:.

ნათლის-ღებასა შენსა. თანა სიხარუ-
ლით ნათელს-ილო. ყოვლად საგალო-

ბელმან. აბო და მით გვრგვინოსან იქ-
ნა:.

მქსნელო დღეს დაემტკიცა. თქუმე-
ლი იგი პირველი ვითარმედ. აღმოსა-
ვალით ბლუარით. მოვიდენ წიალად აბ-
რაჰამისად:.

შ ე ნ მ ს ო ლ ო ჲ ხ ა რ მ ი ზ ე ზ ი .

უფ. მესმასა, ს ი ტ ყ უ ა მ ა ნ კ ო რ -
ც ნ ი შ ე ი ს ხ ა .

სიყუარულისა საკრველმან. შეკრ-
გონებაჲ მოწამისაჲ მოთმინებად სა-
ტანქველთა ურიცხუთა. რომლითაჲ
დაამკუა. სიქადული უღმრთოთაჲ:.

შფოთი დაუტევე ღირსო. მამულთა
მათ მედგრობათაჲ და ქრისტესა. შეუ-
დეგი წმიდაო. და ვნებათა თავს-ღებო-
თა. ემსგავსე მას ნეტრეულო:.

უცხო იყავ და სტუმარ. მჭულითა
საღმრთოჲთა მქნეო მოწამეო. არამედ
მოიწრაფე. და სახლეულ იქმენი. მცნე-
ბათა მისთა ღირსო:.

მარხვითა განიკაფე შენ. დიდისა ან-
ტონის მსგავსად სანატრელო. და მო-
კუდინენ კორცნი. და ღირს იქმენ ნე-
ტარო. წაშევისა გვრგვინსა:.

ს ა შ ი ნ ე ლ დ ა დ ი .

ღამითგანსა, შ ე ნ უ ფ ა ლ ო ნ ა -
თ ე ლ ი ხ .

შენ უფალო. იორდანეს განაქიქე
მაცთური. შენვე განამტკიცე გული.
მოწამისა ჰაბოჲსი. რომელმანცა აღ-
კიარა:.

პყრობილ იქმენ. ძვრის მოქმედებრ
სანატრელო. არამედ გამოიქსნიდი.
სულთა მიმძლავრებულთა. მტერისაგან
ბოროტისა:.

ნათლისღებაჲ. სამი მოიგე მოწამეო.
წყლითა სულითა და სისხლითა. და
შემდგომად ცეცხლითა. გამობრწყინდა
ღუაწლი შენი:.

შ ე ნ ს ა ქ უ რ ვ ე ლ ი ხ ა რ .

ლაღატყავსა, ლაღადებდა წი-
ნაწარმეტყ.

ლაღადებდა. კანდიერად სანატრელი
აბო და ეტყოდა. უშჭულოთა. ისმაი-
ტელთა განმეშოვრებით მე შ უკეთურ-
ხო. და გამოვიძინე. ღმრთისა მცნე-
ბანი:.

განშიშულდი შენ. სათნოვებათა მო-
გებითა ღირსო და ჰყუაოდე. გვრგვნი-
თა მოღუაწებისაჲთა. სრულითა და ეს-
რეთ. კმა ჰყავ სასო ჩემდა. არს ქრის-
ტე ღმერთი:.

ლუაწლსა სრულსა. მკნედ გამოჩნდა
მოწამე ჰაბო. და აღავსო. ეკლესიაჲ
სულნელებითა ნელსაცხებელთაჲთა და
წმიდა-ყო ერი. მადლითა საღმრთოთაჲთა.
გა [91r] მორჩეულა:.

უმეტეს ხარ ყოველთა.

კურთხეულარსა. საკუთმილსა ში-
ნა აბრ.

მოძღულე შენ. სიცრუვით შეთხზუ-
ლი იგი ისმაიტელთა. მოძღურებაჲ და
შეიყუარე ქრისტეს მცნებაჲ. და სიხა-
რულით ჰლაღადებდი. კურთხე:.

იყავ ნეტარო. კეთილად შემზავებელ
ნელსაცხებელთა სულნელთა და დაუ-
ტრევე. მწრატელ და მიხუედ. სურვილით
ქრისტეს ნელსაცხებელთა. კუალსა და
პრბიოდე. მსგავსებითა ენებათა მათ
მისთაჲთა:.

გეტყოდა მძღაერი. ღიქნით რაჲსა
დატრევე შჭული ჩუენი. და წინააღუდ-
გები შენ შჭულითა მით. რომელი არა
ღისწავეთ ჩუენ. და აწ განიკაფოს. გუა-
ნი შენი მრავლათა. სატანჯველითა:.

გ ი ხ ა რ ო დ ე ნ შე ნ
ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ .

აყურთხედითსა. მკსნელო ყო-
ველთაო ძლიე.

მოსლვაჲ შენი მკსნელო. იორდანე-
სა. გზა გუექმნა ჩუენ ქსნისა. და განა-
ქარვა ძალი მტერისაჲ და მოსცა. ძლე-

ვაჲ მტერთაჲ და ვლადებთ. აყურ-
თხედით ღმერთსა საქმენი მისნი:.

სოფლისა დიდებაჲ. და საშუებელი.
შეურაცხ-ჰყავ მკნეო. ღუაწლისა მძღეო.
და შეიყუარე შენ ქრისტე. და აწ მის
თანა მკვდრ ხარ მეოხ გუეყავ. რო-
მელნი გევედრებით სანატრელო:.

გაქუნდა საქურველად. ჭუარი ქრის-
ტესი. მტყიცე სასოვებაჲ. და სიყუა-
რული. და სარწმუნოვებითა მით. განს-
ილიერი და კმა ჰყავ აყურთხე:.

მ ო რ წ მ უ ნ ე თ ა ე რ ი .

აღიდებდითსა, შობაჲ შენი უხ-
არწნელ.

კმითა მამისაჲთა წყალთა ზედა. გან-
ბანითა ძისაჲთა მათ შინა. და სულისა
წმიდისა. სახედ ტრედისა გარდამოსლ-
ვითა მათ ზედა. განწმიდნეს წყალნი.
და გუექმნეს ჩუენ მეორედ მშობელ:.

განპარწყინდი შენ სულითა მკნეო.
აღანთენ სანთელნი და ჰგალობდი. ვი-
თარცა შემწირველი. საყურთხითა
უბიწოთაჲ მღდელი. და თავსა თვსსა.
სიხარულით მოგზაურ ექმენ:.

დავითის კმასა ჰლაღადებდი აბო. და
ნეტარისა მის ავაზაკისა. თანა ჰკმობდი
ძლიერად. მომიკსენე მკსნელო სასუ-
ჟეველსა. აწ მეოხ გუეყავ. მადიდე-
ბელთა შენთა წმიდაო:.

განწყობილსა შორის ანგელოზთასა.
და დასსა წმიდათა მოწამეთასა. გან-
ბრწყინებულნი იხარებ. სანატრელო
ჰაბო აწ ევედრე. ქრისტესა რაჲთა.
ილეა მოჰმალლოს მეფესა ჩუენსა:.

ა რ ს ე ბ ი ს ა ხ ა ტ ს ა .

აქებდითსა, პირველქმნული
აღაჲ.

ღმერთი უხილაევი. იხილვე კორცითა
იორდანეს. ნათელი თვთმნათობი. მო-
ხუედ ნათლის-ღებად უცოდველო. შე-
იწყნარე განწმედაჲ. რომელი განწმედ

ცოდვისა მწინკულსა. ამისთვის მორწმუნენი. ნათლის-ღებასა შენსა. სარწმუნოვებით თაყუანის-ცესკმით და ერთობით უგალობთ:.

შემდგომად ნათლითა. განბრწყინებულისა ამის ღლისა. საუფლოჲსა კრებლისა. ქრისტეს უფლისა ნათლისღებისა. მოიწია მოწამისა. აბოჲს ბრწყინვალე საქსენებელი ამბორს-უყოთ სურვილით. ღუაწლთა მისთა სიმკნესა. და შეეამკობდეთ. საქსენებელსა მისსა წმიდასა:.

მოუძღურდა ენაჲ. მითხრობად ღუაწლთა შენთა ნეტარო. რამეთუ უკუნაასკნელ. დაბეჭდვასა დევნულებისასა. იოვე სწორად პირველთა. მოწამეთა სისხლთა დათხევითა მკნეო. და მათ თანა იხარებ. სასუფეველსა ღირსო. მეოხ გუეყავ ჩუენ. მადიდებელთა შენთა ნეტარო ჰაბო:.

ღ ე დ ა ს ა შ ა . ქ .

2. დეკემბერსა 27. წმიდისა სტეფანე პირველმოწამისაჲ.

უფ. ლაღატყავსა, დ. თანასწორმან.

სულისა მიერ წმიდისა. აღესებულ იქმენ სტეფანე. ხატითა ანგელოზებრითა გამოშჩნდი. და მისცენ კორცნი შენნი ღირსო. მოღუაწებით გუემასა. და განწათლდი ბრწყინვალედ. [51r] სულისა ბრწყინვალეობითა. რომლისათვისცა. მიემთხვე ნათელსა. ხილვისასა. ცანი ღიდებით განგებუნეს. სიჭადღულო ნოწამეთაო:.

ვითარცა კიბენი ზეცად. აღმართებულნი გეჰმნეს შენ. აღსავალად ქვისა დაკრებაჲ სტეფანე. და მით აჰკედ და იხილე ძეჲ. მარჯულ მამისა მქდომარე. გიჩუენებდა გვრგვსა. უხარწნელსა და მოგვიპყრობდა. მარჯუენითა მით. განმაცხოველებელითა. რომლისცა. წინაშე წარსდგე ნეტარო. წინამძღუარო მოწამეთაო:.

სასწაულთა ნიშებითა. და სწაულითა სიბრძნისაჲთა. ამხილე შენ კრებულსა. უმჯულოთასა. და მათ მიერ. მოიკალ ღირსო. და ქეთა განიტვენე. და ჩკლეელთა შენთათვის ილოცევდ. მიმგაესებული კმასა მას. მაცხოვარისასა. რომლისა კელთა შინა. შეჰვედრე შენ. სული შენი განწმედილი. პირველმოწამეო სტეფანე:.

ს ა ღ მ რ თ ო თ ა წ ე :

სსუანი, დ გ რ .

მოვედით მორწმუნენო. სულიერითა ებებითა ერთობით შეეასხმიდეთ. ყოვლად განბრწყინებულსა. საღმრთოთა მით ნათლითა. მოღუაწისა ქსენებასა. სტეფანე პირველმოწამისასა. რომელიცა. გამოჩნდა კეშმარიტად. მოწამედ ვნებათა მკსნელისა ჩუენისათა. რომლისა იგო. თუალთა წინაშე მას აქუნდა. კორციითა. ჭუარცუმული სიტყუაჲ ღმრთისაჲ. და თანა ხატ ექმნა ვნებათა მისთა ვნებითა და სიკუდილითა. ამას უგალობდეთ. პირველ მოწამეო სტეფანე. მეოხ გ:.

მოვედით მორწმუნენო. დასაბამსა მართალთასა. წინამძღუარსა წმიდათსა. პირმშოსა მოწამეთასა. სამკაულსა მარტულთასა. შემწესა მორწმუნეთასა. სტეფანეს. უძლეველსა მოწამესა. გალობითა. სულიერითა შეეამკობდეთ ჩუენ. რამეთუ ამან სახელი მაცხოვრისაჲ. ჰადაგა სიმკნით. უშიშად წინაშე უმჯულოთა. და ქვისა. დაკრებითა აღწვენულ იქმნა. კამართა ცისათა. და აწ იხარებეს. ზეცისა უკორცოთა თანა. ამას უგალობდეთ. პირველ მო:.

მოვედით მორწმუნენო. გვრგვნი ქებისაჲ დღეს. შეეთხნათ სარწმუნოვებით. ყუაილთაგან სულნელთა. საღმრთოჲსა გალობისათა. და გვრგვონსან ყყოთ ღირსად. სტეფანე. მოწამე უძლეველი. რომელმანცა. იხილნა ცანი განსუშულნი. და ძეჲ და სიტყუაჲ ღმრთისაჲ. დაუსაბამოჲ. გამოუთქუ-

მელსა. დიდებასა მჭდომარე ღმრთე-
ებით. მარჯუნით. დაუსაბამოხსა მამი-
სა. და მოილო მადლით. მოლუაწებისა.
გვრგვნი დაუქნობელი. ამას უგალობ:.

მოვედით მორწმ.

ციცკრალ ნეტარიანთა ზედა.
კმაჲ, ა გი.

სუფევს ღმერთი წარმართთა ზედა.
გინაროდენ ყოველსა ერსა. რომელიცა
ქალწულისაგან. გამოგვი:.

ტალავარნი ზეცისანი. განგებუნეს
შენ ზესკნელისანი. სტეფანე და ინი-
ლენ. საყდარნი და ერნი ნათლისანი.
ზეშთა კრებულისანი. მაქებელნი მამი-
სანი. ძისა და სულისა წმიდისანი:.

ეჰა სრულა სათნოებითა. საესე იგი
სსოებითა. სან[კ]რელი სტეფანე.
სარწმუნოებითა მამისა აღსარებითა.
ძისა დიდებითა. სულისა წმიდისა მად-
ლითა. სამებისა ქადაგებითა:.

ფარისეველმან მოშერნემან. და შემ-
დგომად ქურმან რჩეულმან. სიკუდილდ
მისცა სტეფანე პავლე მოციქულმან.
ხოლო ერმან უშჯულომან. კრებულმან
შათმან. ქვა დაჰკრიბა უწყალომან.
და გვრგვნოსან-ყო უფალმან:.

ანგელოზნი აღიარებენ. აღამეანნი
აღიდებენ. ლუაწლსა შენსა სტეფანე.
აჭებენ მღდელნი. და დღესასწაულო-
ბენ. მთავარნი უგალობენ. მეფენი იხა-
რებენ. და მეოხად აღგვიარებენ:.

ნათლისა წარუქ[ა]ლისამან. მოწამეთა
მთ წინამძღურისამან. წამა ძეჲ მარ-
ჯულ მამისა. პირველ მოწამემან მას-
წყელმან. მარტკლთამან. მოლუაწე-
მან მწირთამან. მოძღუარმან მოლუაწე-
თამან. და მეოხმან მორწმუნეთამან:.

ერი ბრალსა დასდებდა. და კრებუ-
ლი ქვასა დაჰკრებდა. ხოლო წმიდაჲ
სტეფანე. ქრისტესა აღიარებდა სიკუ-
დილსა მას იხარებდა. სულსა შეჰვედ-
რებდა. ერისათჳს ევედრებოდა. და
გვრგვნოსან [51v] იქმნებოდა.

ს ა ღ მ რ თ ო ს ა .

ო ხ ი თ ა ჲ, გინაროდენ თავო ყოველ-
თა. მოწამეთაო და მოლუაწეთაო დასაბა-
მო. რამეთუ ცხადად ქადაგე შენ ქრის-
ტმ ერსა შორის. რომელ კორცითა. ქალ-
წულისაგან. იშვა. და დაკრებითა ქვი-
სათა. მხიარულ იქმენ. რომლითაცა.
ლიწიე სიმაღლედ ღირსო. და მოიღე
შენ გვრგვნი იგი ბრწყინვალეჲ. რო-
მელიცა მოგანაჰა. სტეფანე მაცხო-
ვარ. მან. მდგომარემან მარჯუნით.
რლიერებასა მას მამისასა. და აწ. მას
ევედრე. მონიჭებად სულთა ჩუენთა
დღეს დიდი. წყალობაჲ:

უგალობდითსა, ე ტ ლ თ ა ს ი მ რ .

ქრისტეს მორწმუნენო მოვედით. დი-
დებითა ღირსად. გვრგვნოსან ყყოთ
პირველ. მოწამე სტეფანე. და ჩუენ.
გვრგვნოსან ვიქმნეთ მადლითა. საღმრ-
თოთა მგალობელნი დღეს. მოწამისა-
ნი:.

მოიგე ზრუნვაჲ მოძღურისაჲ. თჳსი-
საჲ მდაბალი. ზეჲ ამამღლებელი. და
სიყუარული სტეფანე. ღირსო სახელი-
საო და იქმენ შენ. წინამძღუარ მსა-
ხურთა და ზედამდგომელ ქურცითა:.

შენ შეწევენასა მას ქრისტესასა. მო-
ციქულთა თანა. გამორჩეულ იქმენი.
შსახურად სარწმუნოდ ღირსო. წმიდაო
სტეფანე და მიიცვალე. სისხლთა შენ-
თა დათხევითა ქრისტეს თანა დღეს:.

ქალწულისაგან შეიმოსე. კაცებაჲ
ქრისტე. და ჩჩვლად შეიხვე. სოლო მო-
წამემან შენმან. სტეფანე. ქვისა და-
კრებითა დაფლულმან. განიძარცუა
დღეს. განზრწნილ კაცთაჲ:.

ღ ა პ კ ს ნ დ ე ს .

მოიხილესა, უ კ უ დ ა ვ თ ა მ ა თ .

უხილავსა. ნათელსა საღმრთოსა.
ღირს იქმენ. თუალითა ხილვად, რაჲამს
იგი. განგებუნეს ცანი. პირველმოწამეო
სტეფანე და იხილე მჭდომარეჲ. ძეჲ

ღმრთისაჲ დაუსაბამოჲ. მარჯუენით
მამისა. სუფევასა გამოუთქუმელსა:.

უწყალომან. კრებულმან უღმრთო-
მან. ვითარცა ძკრის მოქმედ[ლ]სა. ქვაჲ
დაჰკრიბეს. ლუაწლისა მძღესა. პირ-
ველმოწამესა სტეფანეს. რომლითა შე-
იმოსა. გვრგვნი იგი ბრწყინვალეჲ. და
კრებულსა თანა უქორცოთსა იხარებს:.

უბრწყინვე[ა]ლეს. ნათელსა მზისასა
ჯანპბრწყინდი ლუაწლისა მძღეო. და
იხილე. საღმრთოჲ ნათელი. და მიიწიე
დიდებასა. ზეცისასა სტეფანე. და აჰ-
კედ კამარათა მათ. უქორცოთა თანა.
დაკრებითა ქვისათა მკნეო:.

ს ი ბ რ ძ ნ ი.

განძლიერდითსა, რ ო მ ე ლ მ ა ნ დ ა -
ღ ა რ ნ ა.

მკედარი. ქრისტესი სტეფანე წინა
აღუდგა. სიმკნითა. ღმრთისმკლველთა
ნათ და შეიმოსა. ძალი ქრისტესი. უძ-
ღეველი. და მით განუცხადა მან. უშ-
კულოთა მათ წინა აღდგომამ. და ქრის-
ტეს თანა. სუფევს მარადის:.

ქადაგმან. საღმრთოჲსა ცხორებისა-
მან. და მავიწყებელმან წინამდებარი-
სამან. საქმით. მოასწავა ბრწყინვალე
პირველმოწამემან. ვითარმედ ჭეშმა-
რიტი ლუაწლი არს. ვინათჲვან აღი. რჩიო
სიყუდილი:.

განჰქურდი. სიყუარულითა ქრისტე-
სითა ღირსო. და განე. მზადე წინა აღ-
დგომად ლუაწლსა. სარწმუნოებითა.
აღივსე და სულითა. წმიდითა. და ქა-
დაგებული მეთევზურთაჲ. ლაუმტკიცე
შენ. ყოველსა ერსა:.

უფალი. შევიდა ცხორებისა ქუაბსა
ჩუენთვს. ხოლო დღეს. თავი მოწაფე-
თაჲ სტეფანე. გამოვიდა ქუაბისა მის-
ვან. ბუნებითისა სიმკნით. ქვისა დაკრე-
პითა ღმრთისმბრძოლთაგან. ნებისა-
თვს უფალი. სა თვისისა:.

დ ე დ ა ო .

მემსაასა, ე ს მ ა მ ო ს ლ ე ა ჲ .

მიემსაგავსე ზრახვითა ანგელოზთა.
და ბრწყინვალედ გამობრწყინდა. პირი
შენი ანგელოზებრი. და იხილე დიდე-
ბაჲ ღმრთისაჲ. და ბრწყინვალეზაჲ
დაუსრულებელი:.

ახოე[ანი] დიდი ლუაწლსა მას შინა.
არაჲ შეძრწუნებულ იქმნა. მტერისა.
მისგან ბოროტისა. არამედ სიმკნით
იღუაწა. და განკრძალვით სძლო წინა-
აღმდგომთა:.

კაცის მკლველ იყო აღმაშფოთებელ.
მსაჯულ და მამა სიკრუვის. ხოლო სტე-
ფანე დაამდაბლა. ახოვნად მოთმინებო-
თა. და შეაყენა მახესავე თვისა:.

ვითარცა პირველ მოწამემან სტეფა-
ნე. გვჩუენა გზაჲ სიწმიდისაჲ. გვრგვ-
ნოსანი იხარებს დღეს. და გუნდსა მო-
ციქულთასა. შეერთებული აწ გვრგვ-
ნოსან არს:.

გამოპბრწყინდა ქალწულისაგან [52r]
ქრისტეჲ. და შენ თანა გამობრწყინდა.
მთავარმოწამე. სტეფანე. ვითარცა
ზეთიები დღისაჲ. ბრწყინვალეჲ დიდე-
ბისაგან შენისა:.

გ ა ნ უ ხ რ წ ნ ე ლ ი

ღამითგანსა, რ ო მ ე ლ მ ა ნ შე ი -
მ ო ს ე ნ ა თ ე ლ ი ს ა მ ო ს ლ ა დ .

გამობრწყინდა პირთა ანგელოზთა
სახედ. მთავარი ყოველთა მოწამეთაჲ
რაჲჲს მიწევნულ იქმნა. ცისა კამარა-
თა საესეჲ. საღმრთოჲთა მადლითა:.

მთავარმოწამემან. დაჰკრიბა. ქვაჲ
სიტყვთა. პირისა მისისათა საღმრთო-
თა. კაცისმკლველთა მათ ბილწთა. და
ცუარითა ქვათა მათგან გვრგვნოსან
იქმნა:.

მძღე არს კანდიერებამა შურისა სა-
ღმრთოჲსაჲ. პირველმოწამისა სტეფა-
ნისი. რამეთუ დათხევამდე სისხლთა.
სიმკნით წინა აღუდგა იგი. კაცის-
მკლველთა მათ ბილწთა:.

იხილა რაჲ პირველმოწამემან შობი-
ლი. უქორწინებელისა დედისა. მარ-

ქულ მამისა მკდომარეა. ღმრთეებისა
დიდებასა. ერსა უქადაგაა.

დაჰქსენ.

ღალატყავსა, ზღუაჲ აღძრული
იხილეთ მორწმუნენო, მთავარი ქრის-
ტეს მოწაწეთაჲ. განსრული საზღვრი-
საგან. ბუნებითისა მადლითა. განბრ-
წყინებული ღმრთისა მიერ:.

იქმნა მსგავს პატიოსან. ქრისტე
ღმერთო ვნებათა შენთა. დიდებულ-
თა სტეფანე. და მიაგო მკ[ლ]ველთა
თვსთა. მისაგებულად დღეს კურთხე-
ვაჲ:.

დაგვცვენ უვნებლად. ქრისტე კაცის
მკლველობისაგან. და ღირს მყვენ ჩუენ
სადგურსა. მოწამეთა. წინამძღურისასა.
ზადიდებელნი ძალსა შენსა:.

შობაჲ შენი უფალო. სულისა ქსნისა
დასაბამ არს. და მიზეზ აღსარებისა.
რემდგომთა მათ მოწამეთა. მოწამე შე-
ნი დიდებული:.

ქალწულმან:.

კურთხეულარსა. უფროჲსად
ამაღღე.

მოკლვად მოსწრაფეთა მათ. შჯული-
სა გარდამავალთა. მოკლეს პირველ-
მოწამე. მკეტთაებრ მძევარეთა. და
იგი ღალადებადა. ღმერთო შენ. კურ-
თხეულ ხარ:.

შეიმკვე შეუენიერად. ვითარცა ყუა-
[ვი]ლთა ქვსა დაკრებითა შით. სტეფა-
ნე და შესწირე, თავი შენი ქრისტესა.
ცხოვრების მომცემელისა:.

ვითარ მკნე იყო წინა. აღდგომაჲ იგი
პაულესი. იავარის ყოფასა. მორწმუნე-
თასა პირველ შემწირველისა წარმართ-
თასა. ქრისტესა უკუნისამდე:.

ამაღლდი სულისაგან. წმიდისა დღეს
სტეფანე. და ღირს იქმენ შენ ხილვად.
ღესა მამისა თანა. და ჰქადაგე სამებაჲ,
ღმრთეებაჲ განუყოფელი:.

შენდა მომართ შობილო. ქალწული-
საგან სძლისა. შეიწირა სტეფანე.

გვრგვანად სულიერად. და გილადლებ-
და. ღმერთო შენ კურთხეულ ხარ:.

ერთგუამითურთითა.

აკურთხევდითსა, შენ მხოლოსა
და.

მოვედით ერნო. სიხარულით ვადი-
ლოთ. ქსენებაჲ სტეფანესი და ესრეთ
ღალადებდა:.

გამოგვჩნდა შენ. ქრისტე მამისა თა-
ნა. მოსაგებულად. ღუაწლთა შენთა და
ესრეთ ღალადებდა:.

ღუაწლისა მკლვეო. უშჯულოთა ცთო-
მამან. შევიტხზა შენ გვრგვნი ბრწყინ-
ვალე. და კმაჲყავ. ყოველნი:.

შეგვტხზა ჩუენცა. გვრგვნი დიდები-
საჲ. შობამან უფლისამან. და საქსენე-
ბელმან პირველმოწამისამან. და ღმერთ-
სა უ:.

შენ ხარ სამებაჲ.

აღიღებდითსა, ესა ია მხიარულ
იყავ:.

თანაწარკედ ყოველსა. შჯულსა ქე-
ღისასა სტეფანე. და მისწუეთ ქეშმა-
რიტსა. სიტყუასა მას. ვერ შემძლებ[ლ]-
არს. გონებაჲ. ესე კაცობრივი. შეტხ-
ზვად გვრგვნსა. ქებისასა ვითარ. იგი
შენ ღირს ხარ:.

ეჲ საკვრელი კმისაჲ მის.

შუენიერისაჲ რომელ. აღმოთქუა
სტეფანე ღირსმან. ქრისტე ღმერთო.
ნუ შეურაცხებ. კაცისმკლველთა ცთო-
მასა ამას. არამედ სული. ჩემი შეივედ-
რე. ვითარცა მსხუერპლი:.

იქმნა დაწყებასა ეამთასა. კორციელ
თეჲ უეამოჲ. რომელისათვისცა მოიკლა
მსგავსად მისა. პირველმოწამეჲ. და აწ
მიილო დასაბამი. ცხოვრებისა მის და-
უსრულებელისაჲ მარადის:.

შენ მკნეო გვრგვნოსან იქმენ. ღუაწ-
ლისა გვრგვნითა მარჯუენისაგან მალ-
ლისა. და აწ ნეტარო. მდგომარე ხარ
შენ. წინაშე ღმრთისა მეოხ გუეყავ. და-
უცხრომელად. მადიდებელთა. ღუაწლ-
სა მას შენსა:.

არათუ გუამითა:.

აქებდითსა, მოვედით მორწ-
ნუნენო და ის.

რომელი იშვა ჩუენთვს ბეთლემს
კორცითა ქალწულისაგან. დღეს მოწა-
მე სტეფანე. ვითარცა ოქროჲ. მისა
ძღუნად შეიწირვის. და ნაყოფსა. ღუ-
აწლისასა. მსხუერპლად სიმართლისად
მიუპყრობს. განუღებს ასპარეზსა მო-
წამეთა. და ეტყვის მოვედით ვიხარებ-
დეთ. წინაშე მეუფისა:.

სამეუფოა გვრგვნი ქრისტეს ეკლე-
სიისაჲ გამოშინდი. ყოვლად საგალო-
ბელო. პირველ მოწამედ. უფლისად
წოდებულო. და საკსენებელსა შენსა.
წემოკრებულნი გნატრით ვითარცა.
პირველად ამღებელსა. ცხოვრებისა
გვრგვნსა. და ვიტყვთ. მეოხ გუეყავ
მოწამეო:.

სახელ დიდად მოწამედ. ქეშმარი-
ტად გამოშინდი სტეფანე. და ბრწყინ-
ვალედ შეამკვენ. ეკლესიანი. ღუაწლი-
თა მით შენითა. საღმრთოთაჲთა. მით სი-
ბრძნითა. რომელი მკვდრ იყო შენ თა-
ნა. ამისთვისცა მადლითა. საესე წარს-
ლევ წინაშე ქრისტესა. მეოხ გუეყავ
მაქებელთა შენთა:.

გ ი ხ ა რ ო დ ე ნ დ მ რ თ ი ს .

სხუანი, დ გო, მიუწდომელსა.

სტეფანეს ერნო უგალობდეთ. რამე-
თუ ქეშმარიტად. ღმრთისა მიმართ მად-
ლი პოვა. ღირსად გამოორჩეულმან ქრის-
ტეს მოწამემან. რამეთუ ამან ყოველთა
უჩუენა. ლოცვისა ყოფაჲ მდევართა
თვსთა. ჰ სანატრელო მოწამეთა უად-
რესო. რომელმანცა მოითმინე ქვისა
დაკრებაჲ მეოხ გუეყავ ჩუენ:.

სიმტკიცედ ქეშმარიტებისა. ქრისტეს
ეკლესიასა. კეთილად შეუბოსიეს. მარ-
თალთა ზღუდევო და მოწამეთა სიმკნეო.
ღუაწლი შენი უბეშთაეს განბრწყინ-
და. რაჲმს დაუთმე ქვისა დაკრებასა.
ჰ ღირსო მოწამეო. მთავარო სტეფანე.
ქეშმარიტად გლალადებთ შენ მორწმუ-
ენი. პირველმოწამეო:.

ყოველი ქუეყანაჲ მოირწყა პატიო-
სანთა სისხლთა. შენთა ღიდებითა ღირ-
სო და ეშმაკთა სიმრავლე განსდევნე
მოდუაწეო. და სნეულთა უძღურებაჲ
დააცხრვე. შეწევნითა ქრისტესითა ნე-
ტარო. ჰ მკნეო მოწამეთა მთავარო
სტეფანე. ვითხოვთ შენგან ქრისტესა
ევედრე ჩუენთვს ყოვლად ღიდებუ-
ლო:.

ჰ დ ი დ ე ბ უ ლ ი .

(წარმოადგინა საქართველოს სსრ ეკლესია აქაღმის
კეცლის სახელობის ხელნაწილი (სტეფანე)

ზაია მამასაშვილი

„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ახალი ხელნაწერის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა ახლახან შეიძინა „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების: ხალი და ძალზე საინტერესო ხელნაწერი Q—1440. ხელნაწერი შედგება 205 ფურცლისაგან, თავ-ბოლო ნაკლებია და ხელის, ქალაღისა და კვირნიშნების მიხედვით თარიღდება მე-17 საუკუნით. Q—1440-ის ძირითადი ნაწილი ეოთი ხელითაა გადაწერილი. სხვათა შორის, ამავე ხელითაა გადანუსხული „როსტომიანის“ S—428 ხელნაწერი, მაგრამ, სამწუხაროდ, არც მისი გამამწერის ვინაობაა ცნობილი. Q—1440-ში „შაჰ-ნამეს“ ლექსითი ვერსიების გარდა წართულია ავრცთვე პროზაული „ფრიდონიანის“ ერთი ნაწილი, რომელიც შეიცავს ზააქის ამბებს და სრულდება ფრიდონის გახელმწიფებით. ეს ჩანაჩატეპი გვიანდელი ხანისაა და დაახლოებით მე-18 საუკუნეში უნდა იყოს წესრულებული. ამავე ხელითაა აღდგენილი ნუსხაში ძირითადი ტექსტის ყველა ლაქუნა. სიძველის გარდა Q—1440 ყურადღებას იქცევს თავისი რედაქციული შედგენილობითაც:

1. 1r—24r-მდე Q—1440-ში იკითხება ანონიმი ავტორის მიერ გალექსილი „ეთირუთიანის“ პირველი ნაწილი (ზააქის ამბამდე).
2. 24r—45v-მდე — მოთავსებულია პროზაული „ზააქიანი“ („ფრიდონიანის“ ის ნაწილი, რომელიც ძირითადად ზააქის ამბავს შეიცავს).
3. 5Cv—62r-ზე მოტანილია მამუკა თავაქალაშვილის მიერ გალექსილი „ზააქიანი“.
4. 62r—150v-მდე იკითხება ბარძიმ ვაჩნაძის „საამიანი“ და
5. 150v—205v-მდე კი — გალექსილი „როსტომიანი“, რომელსაც აკლავ დასასრული (ხელნაწერი წყდება სიტყვებზე: „მწუარ-ხარშულსა მოიღებდეს, ოქროსა და ბაჟანია“, ე. ი. თხრობა დაახლოებით შიტანილია „როსტომიანის“ თავამდე: „აქა ქორწილი ზაალისა და როადამისა“).

ამრიგად, ხელნაწერი იხსნება ჩვენთვის დღემდე უცნობი ლექსითი ვერსიით, რომელიც შეიცავს ქაიუმარსის, უთრუთის, გოსტამის, გორჯასპის, თეიმურაზის, ჭიმშედის, აშქაშის და მურადის, ე. ი. „შაჰ-ნამეს“ ლეგენდარულ (ეფეთა და მთ ფალავანთა, საგმირო ამბების შეგველ ეპიზოდებს ზააქის გ-მეფებამდე. აქედან, ფაქტიურად, უკვე ჩანს, რომ იგი უკავშირდება „უთრუთიანის“ (როკორც ლექსითი, ასევე პროზაული ვერსიის) პირველ ნაწილს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე „უთრუთ-საამიანის“ ლექსითი (H—6i და მისგან მომდინარე S—4000) და პროზაული ვერსიის (H—921 და S—1594) ორ-ორი ხელნაწერია ცნობილი. ისიც ცნობილია, რომ „უთრუთ-საამიანის“ ლექსითი ვერსიის წყარო ქართული პროზაული ვერსია უნდა იყოს.

ახლა აღმოჩნდა Q—1440 ნუსხაში შემავალი „უთრუთიანის“ ახალი ლექსითი ვერსია. რომლის გამლექსავე უცნობი პირია. ეს ვერსია რომ ანონიმ ავტორს ეკუთვნის, ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც იგი შეეუდარეთ ქართულ „უთრუთ-საამიანის“ ლექსითი ვერსიის შესაბამ ნაწილის (H—61 იმ ნაწილს. რომლის გამლექსავედ პროფ. დ. კობიძე თვლის ბარძიმ ვაჩნაძეს)¹. თუმცა ორივე ვერსია შინაარსის თვალსაზრისით ძირითადად ერთსა და იმავე ამბავს გადმოგვცემს, ამჟამად, რომ მათი გამლექსავე ორი სხვადასხვა პირია. ახალი ვერსიის ავტორი თავის ეინაობას აოსად ამხელს, მხოლოდ იმას გვაუწყებს, სად გალექსა ეს „სასმენელად ტუბილი წიგნი“:

ისაანს ვიჟე გელექსე სასმენელად წიგნი ტუბილი,
 ლთო მომცემს წყალობასა, მასდგების მისი ჩრდილი,
 იმელი მაქვს, მე ლთისაგან არ შევიქნა ამით წბილი,
 ვინც შენდობით მოგვიხსენით ლთან მოგეცს ორი წილი (Q—1440, 23v)

ისაანს, მყოფი ქართველი გამლექსავის ვინაობა ჭერჭერობით გაურკვეველია. გასარკვევია ისიც, რა უნდა ყოფილიყო მისი ლიტერატურული წყარო — ტრადიციულად შემუშავებული ქართული პროზაული ვერსია „უთრუთიანისა“. თუ რომელიმე სპარსული ვერსია. ანონიმის ლექსითი ვერსიის ქართულ პროზაულ ვერსიის ხელნაწერებთან შეჯერებამ (H—921 და S—1594) ცხადყო, რომ საერთო ადგილების მიუხედავად, ანონიმის ავტორის წყარო ან სხვა ქართული პროზაული ვერსიაა (და არა H—921 და S—1594-ში წარმოდგენილი ტექსტი). ან არადა უშუალოდ „შაჰ-ნამეს“ რომელიღაც მიმბაძველ-გამგრჩელებლის სპარსული ვერსია. „უთრუთიანის“ ახალი ლექსითი ვერსია ნაკლულია შუაში (8r-v და 16r—18v-ზე) და შევსებულია ხელით ქართული პროზაული ვერსიით გვიანდელი უცნობი რესტავრატორის მიერ. რადგან მხოლოდ ორი ქართული პროზაული ვერსიაა ცნობილი ჭერჭერობით, ბუნებრივია, რომ ჩვენ „უთრუთ-საამიანის“ ამ ორი ხელნაწერის შესაბამ ადგილებს შეეუდარეთ ანონიმი ავტორის ლექსითი ვერსია. აღმოჩნდა, რომ შევსებული ნაწილი მომდინარეობს რომელიღაც სხვა ხელნაწერიდან, რაც გვაფიქრებინებს, რომ იმ დროისათვის არსებობდა პროზაული „უთრუთ-საამიანის“ სხვა ნუსხებიც და, შესაძლოა, სხვა ვერსიებიც.

ანონიმის ლექსით ვერსიას აკლია დასაწყისიც, მაგრამ ავტორისავე ბოლოსიტყვაობიდან ჩანს, რომ თხრობა მას დაუწყია ქაიომარსის მეფობის ამბით და მიუტანია იგი ზაქის გამეფებამდე:

თავს ქაომარ ვახსენე მისისა ფალანგებითა,
 უთრუთ, გოსტამ და გორქისპი მათის ლახტით და ქმლებითა,
 თემურაზ, ჯიმშედ, აშქაში და მურად მუდამ ქებითა,
 ზაქამდისინ გელექსე, მე ლთისა დამონებითა. (Q—1440, ვვ. 23v)

ბუნებრივია, ვითქვით, რომ დასაწყისში უთუოდ იქნებოდა მოთხრობილი ქაიომარსის მეფობის შესახებაც, თუმცა შემორჩენილი ტექსტის მიხედვით აზრობა იწყება უთრუთის საგმირო ეპიზოდებით. ანონიმი ავტორის მაინცდამაინც ამ მეფეთა და ფალანგთა საგმირო ამბების თხრობით შემოფარგულა შემთხვევითი არაა. შესაძლოა, მისთვის არც იყო ცნობილი შესაბამი ნაწილის გალექსილი ქართული ვერსიის არსებობა.

¹ დ. კობიძე, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროებზე, თბილისი, 1959, გვ. 237.

ამ თელასწრისით საინტერესო ჩანს მისი შედარება H—61-ში წარმოდგენილ ქართულ გალექსილ ვერსიასთან. შედარებამ გაარკვია, რომ „უთრუთიანის“ ანონიმისეული ახალი ვარიანტი დამყარებული უნდა იყოს უფრო სანდო და სრულ წყაროზე, მოვიყვანთ ამის ერთ მაგალითს:

H—61 ხელნაწერის 33r-ზე იკითხება საინტერესო მინაწერი: „აქა დედა ასრე იყო, რომ თეიმურაზ კელმწიფის არც სიკვდილი ეწერა და არც როგორცაღა მოხდა მისი საქმე ანბავად არავეის დაუწერია. მე რაც ანბავად იყო გაღვლეს, რომ არა დამიკლია რა. ჭერეთ ამის მეტად არ მენახა უთრუთიანის“. შემდეგ მოდის სამი სტროფი (ძირითადი ტექსტის ხელით), სადაც გამლექსავი უსაყვედურებს პროზაული ვერსიის ავტორს თეიმურაზის ამბის ნაკლებად გადმოცემას. ამ ფაქტს თავის დროზე ყურადღება მიაქცია პროფ. დ. კობიძემ, რომლის აზრით „პროზაული მინაწერის ეს ლექსითი ვარიანტი, შესაძლებელია, გამლექსავს ეკუთვნოდეს და არა სხვა ვინმეს“²:

ეს ამბავად იყო ნათქვამი, რაც ლექსად დაიწერა,
 ოა იწნა აწ თიმურაზ (sic!) ტახტისა შესაფერია,
 ნოყელა თუ დარჩა რა უყო, ეს ამბავად დაუწერია.
 ამისთვის დაღ, მიგმია, მართლად შევიქენ მტერია.
 რომედ თქვა, მაგრამ რა უყო იყ თიმურაზ მკდომელი,
 რა ნახავს კაცი რას იტყვის, ნეტარ შევცდარა რომელი,
 რე უბრალო ვარ. იყუენით ამბეის მწერლისა მკობელი.
 რაც ამბავად იყო, ვაღვლეს, მიფიცავს ყოელის მკობელა.
 ღვდამ ეს ნიხნრა, რაცა ვთქვი ზემოდან დაიწერა,
 წაუღევ ნათს წარასა, ტყუილი ვით გაბერა. . (H—61, 33v).

ჩვენი აზრითაც, ეს სტროფები (და შესაძლოა პროზაული მინაწერიც) გაღვლესავს უნდა ეკუთვნოდეს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს სტროფების სტილი, რომელიც სავესებით ეკუთვნა მთელი ვერსიის მხატვრულ სტილს, და ის კატეგორიული ტონი, რომლითაც არის გადმოცემული გამლექსავის სამდურავი. ეს საყვედური შეეძლო ვამოეთქვა მხოლოდ გამლექსავს, რომელმაც პროზაულ დედახში ვერ იპოვა თეიმურაზის ამბის ლოგიკური დასასრული. ეს მინაწერი იმითაცაა საყურადღებო, რომ მისი ავტორი პირდაპირ აცხადებს: „ამის მეტად არ მენახა „უთრუთიანისო““. ე. ი. იგი იცნობდა „უთრუთიანის“ მხოლოდ ერთ პროზაულ ვერსიას და ამ ვერსიას ერქვა „უთრუთიანი“ და არა „უთრუთ-საამიანი“³.

ახლა ვნახოთ, როგორ გამოიყურება თეიმურაზის ამბავი ქართული პროზაული ვერსიით: დევებთან მტომარი ჭიმედ ხელმწიფე და მისი ფალავანი გორჯასპი გამარჯვებულნი ბრუნდებიან სარა ქალაქში „ხმა გაისმა. ვითა ხელმწიფე მოვიდა გამარჯვებულო. შეიყარა ყუელაი. მოვიდეს და ნახეს და დალოცეს. მერმე სამურაზისათვის და ფათრათისათვის გლოვა დაიდევს. მრავალი ზროხა და ცხვარი დახოცეს და ორმოცა მღრდელსა გაუყუევს და სულისა საქმე ქნეს. რა ორმოცი დღე გამოვიდა, გლოვისაგან გამოვიდეს და უხმნა თავადნა, დიდებულნი ფალავანნი და ყულაზუნა საქონელი გასცა, ოქრო. თვლმარგალიტი, ვერცხლი სტავრა...“ (S—1574, 44v და H—921, 27r). ასე რომ, პროზაული ვერსიით თეიმურაზი მიიცვალა და ჭემშიდმა იგი

² დ. კობიძე, ხს. შპ., ს. 235.

³ იქვე.

40 დღე იგლოვა. მაშ, რას საყვედურობს ლექსითი ვერსიის გამლექსავი „დედა-წყაროს“? უნდა ვიფიქროთ, რომ გამლექსავი უკმაყოფილოა ასეთი ძუნწი ცნობებით და ამით აიხსნება მისი საყვედური, ანდა იგი საერთოდ არ იცნობდა პროზაული ვერსიის S—1594 და H—921 ხელნაწერებს და მის ხელში მყოფ ნუსხაში, მართლაც, არაფერი იყო ნათქვამი თეიმურაზის სიკვდილის შესახებ. ეს უკანასკნელი ვარაუდი ჩვენ უფრო ახლოს გვგონია სინამდვილესთან.

სამაგიეროდ გალექსილი „უთრუთიანის“ ანონიმისეული ვერსია დაწვრილებით გვიამბობს თეიმურაზის ავადმყოფობის, მისი სიკვდილისათვის მზადების და თვით სიკვდილის ამბავს:

ამაშიგან თეიმურაზ ავად გახდა ჰქონდა რიდი.
 ვერ დაატყო თავის-თავსა, ვერც უქცა სივეჯილს გვერდი.
 უნდა სოჯელს გაესალმოს უქელმართი მისი ბედი,
 კმუნეა რამე გარბევიდეს, გაუუჯიჯლა პირი ვერდი“ (Q—1440, 6V).

ამის შემდეგ მოდის მთელი თავი: „აქა თეიმურაზის სიკვდილი და მისის შვილის ჯიმშედის გაქელმწიფება“:

თეიმურაზ ყარი იჯმო, ანდერძი მაქუს, მოდიო, [მნახეთ.]
 შევიდნენ და შორს დაუდგნენ, ზოგნი დასხდეს უქუ[სახეთ.]
 მათ უბრძანა, არ დაერჩები საწუთროსა მო[ნახახეთ]
 ჯიმშედს ბიე:ცე ქელმწიფობა და [ამჟამათა შეინახეთ]

მოიყვანა. ტახტზე დასვა, შვილი მისი შეკახმელი.
 მას გვირგვინი თავს დახურა, ლაშქარი ჰყავს დარბაზმელი.
 დაიჭირე პატრონობა, იყავ შენთვის გულდაზმელი.
 სულ ქველეთი დაულოცა, არ წაუწყმდეს მამას სული.

ტახტი, შვილი. საქელმწიფო შეაყედრა მის კელითა.
 გორქასპს უთხრა: „ნიადაგმა შენ ხარ გულითა მაველითა,
 ჟიმშედ შენი ანაბარი, არ შენგან საწუნელითა.
 მძლეობი მტერი დამზრომია დაიეთა სამინელითა.“

მოიხიხია მან ფარმან-, საქაოს სოფლიდაღმა.
 ოცდაათი წელიწადი იპატრონა თემიდაღმა.
 მას თახუთი აღუშენეს, სრას წაიღეს ლაშქრიდაღმა.
 თავს იცემდეს ფალანგები, თავადები ამ გზიდაღმა.

საყელონა გარდიხენეს, ორმოც დღესა გლეჯა იყო,
 რა ფალანგმა გაიგონა, კულის ნება მისი იყო.
 თეიმურაზ ქელმწიფისა სიკვდილისა დრო გონ იყო,
 მალეთ დეჟა გუეჯახეა, ჟინჯიბანის მოსედა იყო“. (Q—1440, 6V—7R)

ესხადია. ანონიმის ლიტერატურულ წყაროში უფრო სრულად უნდა ყოფილიყო აღწერილი თეიმურაზის გარდაცვალების ამბავი, ვიდრე ამას ვხედავთ ხეც „უთრუთ-საამიანის“ პროზაული ვერსიის აქამდე ცნობილ ხელნაწერებში.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. რომ „უთრუთიანის“ ანონიმისეული ახალი ვერსია დამოუკიდებელი თხზულების ხასიათს ატარებს და საგანგებოდ არის გალექსილი მხოლოდ შაჰის ამბამდე. რატომ შემოიფარგლა ანონიმი ავტორი მარტო წინა ნაწილის გალექსებით, ამაზე პასუხის გაცემა ჭარბეობით კირს.

„უთრუთიანის“ ანონიმის ლექსითს ვერსიას Q—1440 ნუსხაში აგრძელებს ქართული პროზაული „ფრედონიანის“ ის ნაწილი, რომელიც ძირითა-

დად გადმოგვცემს ზაქის გამეფების ამბავს და სრულდება ფრიდონის გა-
სულმწიფეობით. ეს ნაწილიც სრულიად დამოუკიდებელი სახითაა წარმოდგე-
ნილი ახალ ნუსხაში. ეს კარგად ჩანს „ზაქიანის“ დასასრულიდანაც. ტექსტი
სრულდება Q—1440-ის 49r-ზე შექმდეგი სიტყვებით: „ქვეყანა ისრე მოკაზმა
და სამოთბე ვითა ასურენლა. ბალახისა მაგიერად ვარდი დათესა (ლაპარაკია
ფრიდონ ხელმწიფეზე. — მ. მ.). რა თემი შემოიარა, მოვიდა, ამულსა დაქდა
და ამული თავის ტახტად მოკაზმა და ორმოცდაათსა წვლიწადას უკან სამნი
შვენიერნი შეილნი მიცნეს“. შემდეგ იმავე ხელით ზინგურით არის მიწერი-
ლი: „ღმთო აცხოვნე მწერალი ამისი და პატრონს ჭავეჭავეძე ქაიხოსროს მოახ-
მარე კეთილად“ (ჩანს, ქაიხოსრო ჭავეჭავეძე იყო ამ ნუსხის დამკვეთი).

ამგვარად, მართლდება პროფ. დ. კობიძის ვარაუდი, რომ „შაჰ-ნამეს“
პროზაული ვერსიიდან გამოყოფილი იყო ზაქის ამბების შემცველი ნაწილი,
რომელიც „ზაქიანის“ სახელით გავრცელდა საქართველოში¹. პროზაული
„ზაქიანი“ ამავე დროს ნაწილი იყო ქართული „ფრიდონიანისა“.

„ფრიდონიანის“ ტექსტი დაბეჭდილია „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების
II ტომში². როგორც მისი პირველი შემსწავლელი და გამომცემელი აკად.
აღ. ბარამიძე აღნიშნავს, ტექსტი ქართული „ფრიდონიანისა“ ძალზე დეფექ-
ტურია და ბევრი ხარვეზის შემცველიცაა³.

Q—1440 ნუსხაში დატული პროზაული „ზაქიანი“ ავსებს „ფრიდონია-
ნის“ ზოგიერთ ნაკულ ადგილს. ჩვენ აქ აღარ შევეხებით დასაწყისს, რად-
გან Q—1440 ხელნაწერი ზუსტად იმეორებს ლენინგრადული ნუსხის დასა-
წყისს, რომელიც აკად. აღ. ბარამიძემ არ შეიტანა „ფრიდონიანის“ დაბეჭ-
დილ ტექსტში, როგორც „შაჰ-ნამეს“ გამგრძელებლის მონათესავე ტექსტი.
მოიყვანთ მხოლოდ იმ ადგილებს, რომლითაც ახალი ნუსხა ავსებს „ფრი-
დონიანის“ წარყენილ ტექსტს. დაბეჭდილი „ფრიდონიანის“ 394-ე გვერდზე
სქოლიოში აღნიშნულია, რომ ხელნაწერს ამ ადგილას უნდა აკლდეს დაახ-
ლოებით ორი ფურცელი (ზაქის ვეჟილის ქუნდრუს გაპარვა, ზაქის და ფრი-
დონის შებმა, ზაქის დამარცხება და მისი შეკერა)⁴, რომელიც იკითხება
Q—1440-ის ტექსტში: „სხვა ტანისამოსი ჩაიცვა, შალეთ მნათობთა ღარბა-
ზიდან გამოვიდა, ციხის კარი გაიარა და წავიდა მძლავრის ზაქისაკენ და რა
მოახლოვდა, ნახა მინდორი. ზაქის ვეზირი ქუნდრავ ნადირობდა. რა დაინახა
იგი კაცი, ისრე სირბილით, გაჰვირდა და წინ მიეგება და რა ბერმა კაცმა
ვეზირი იცნა. პირი მიწას გააერთა და სალამი მოახსენა. მერმე ქუნდრავ
კვითხა: „რა ნახე, რომ ავრე გაუყოთლებული ხარ?“. მერმე მოახსენა, რაცა ენა-
ხა და ტახტისა წაღება და პირმთვარეთა ამბავი ყველა გათავებით მოახსენა.
რა მოისმინა ქუნდრავ უკვოდ გახდა და ცხენისაგან ჩამოიჭრა. დიდხნამდის
ივაკლახა და რა ქუად მოვიდა, შექდა ცხენსა და კელმწიფესა ზაქს მომარ-
თა და ტირილითა იგი კაცი წინ მოაყენა და ზაქს მოახსენა და კელმწიფემან
მოისმინა, ვაჰვირდა და უბრძანა: „რაცა გინახამს, მართლად მითხარ ანუ ვინ
იყო ანუ სახელად რა ფალავანი ჰქვიანო“. მოახსენა: „თქვენ ცათამდის ამა-

¹ დ. კობიძე, ხს. შრ., გვ. 151.

² „შაჰ-ნამე“ ტ. II, თბილისი, 1934, გვ. 369—445.

³ აღ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. II, თბილისი, 1940,
33-40.

⁴ „შაჰ-ნამე“, ტ. II, გვ. 394.

ღლებულო შარიერო, პირველ რა ქალაქსა და ცხენსა შემოადვა, გარსა შეეკაზ-
 ნა ის ფალავანი საომართა იარაღითა და თუითონ ომი დაიწყო. ერთითა კუ-
 რითა ცხენის კარი დაღეწა და შიგან შევიდა და შენთა ფალავანთა და მეომარ-
 თა ღვეთა მისითა მძიმითა თავძროხიანითა ლახტითა თავები ზედ დაამტვრია.
 ტყინი და თმა სისხლსა შიგან გაურია. შენთა საკელმწიფოთა დარბაზთა შიგან
 ცხენით შევიდა. გარდახდა და ტახტსა ზედან დაქდა და შენი გვირგვინი თავ-
 ზედა დაიდგა. უბრძანა ზააქ: „იმას რომ ძროხის სახე ლახტი აქვს, როგორ
 იკმარებს ანუ რას აქნევს?“ „კელმწიფეო, ნახო, გაგვიკვირდების, ძროხისა სა-
 ხესა ლახტსა ეძახის, ბასრისა რკინისა არის შექნილი, საშინლად დიდი. რა
 მოიქნევს, მისსა ნაკრავსა რკინისა მთა ვერ დაუღდგამს ერთისა მოქნევითა ქა-
 ლაქის კარი და ზღუდე დაამტვერა და ცხენითა ზედა გაიკრიბნა“. ზააქს გაუ-
 კვირდა და უბრძანა: „ეგების სტუმარნი იყუნენ და სტუმრის მოსულასა კარგა
 დახვედრა უნდა“. კულავ ქუნდრავ მოახსენა: „რას იტყვი, კელმწიფეო, შენი
 ძალი ტანისაგან გავიდა და ბედიდამ დაგიმოკლდა. სტუმარნი რასა ჰქვიან,
 მძიმე ლახტოსანი ფალავანი დაქდომილა შენსა საწუთროსა ტახტსა ზედა.
 შენი სახელი ამოუყვეთია. გვირგვინი აღარა გაქვს. ყოველი სული მისა სჯულ-
 სა ზედან მიუყენებია“. ზააქ გაგულსდა და ეგრე ბრძანა: „უტკო სტუმარი
 გლისპი სჯობს“. ქუნდრავ კულავ მოახსენა: „ჩემი მოხსენებული არად დაი-
 აკრე. თუ ის ფალავანი შენი სტუმარი არის, შენსა ტახტსა და გვირგვინსა
 ზედა რასათვის ზის და შენთა პირდაბურვილთა თანა რა საქმე უც? ორთა
 მნათობთა ქალთა, ჭიმშედის დათა შუა ზის და ლაპარაკობს. ერთითა კელითა
 დაუქრავს პირი შარინაზისა და მეორითა ზელოთა ბაგე-აყივისა არნაეაზისა.
 რაცა ურჩევნია, მასა იქმს. მისთა მრავალკეცთა თმათა სასათულთა ზედან
 დასდებს და სურვილსა გარდიხდის — მათცა ნება უქნიათ და მისი სიყვარული
 აქვსთ“. რა ესე საუბარი გაიგონა, ზააქ წყენისაგან მკეცი მგელი ვითა წამო-
 რქოა და სიკუდილი ინატრა. პირი სანდალოზის ფერად გაუხდა. ავითა თვა-
 ლითა შეხედნა და მწარითა გულითა შეუზახნა თუ: „რა სტყვი, შმაგო, დაუ-
 გერებელო! ამას იქით, ჩემი ვაზირი ნულარა ხარ და ნუცა ჩემისა სახლისა გა-
 საგებულსა გააგებ“. ქუნდრავ კულავ მოახსენა: „მართლისა თქმისათვის ნუ
 გაგულისდები. დიდი კელმწიფე შაშარიერი ხარ, გული დაიწყინარე, გამორ-
 ჩევა გიჭობს. წემითა აზრითა ესე შემიტყვია, რომე ტახტისა და გვირგვინი-
 საგან დაცარიელებულხარ. ამას იქით მე რაღა კალიბად მომცემ შენისა სახ-
 ლისა მამასახლისობასა. მდლისა გვირგვინისა და შარიერობისაგან, როგორ-
 რათუც ბეწვი ცომისაგან, ეგრეთ გამოსულხარ, რომე შენთა ღვეთა შენგან ამის
 უარესი შენ თავს არა მოუვა რა. დასწყინარდი, თავისა ღონე მოინახე, გყვანან
 სახელდებულნი ღვენი და მრავალნი ლაშქარნი, უბრძანე და შეაგროვე, ეგე-
 ზის ბედი შენი კიდევ მობრუნდეს და კარგმან ეტლმან შენზედა ბრუნვა და-
 იწყოს. რასათვის არა ჰკაზმავ და არა ნახავ შენთა ლაშქართა? მიეც მრავა-
 ლი და ნუ გინდა განძი დასადებელად. ამის უფრო აროს დაგვიკვირების“.

წარმართი ზააქ დაწყინარდა მისისა საუბრისაგან და უბრძანა მისთა ლაშქართა
 კმობა. მოვიდა ეზომი ლაშქარი, რომე მიწის პირი გაშავდა და აივსო ქვეყა-
 ნა მეომრითა და მთვრლითა პილოთი. შეჰყარნეს ლაშქარნი და გააღებინა
 ქველისა საქურჯლისა კარნი და მეტად ურიცხვი საქონელი. განძი და აბჯარა
 მისცა ლაშქართა ზედა. აღარა დაიწყალობა რა, აღარცა დაიყოვნა: ღამე და
 ღლე სწორად იარა ესეთი დიდითა ლაშქრითა და გულღონითა მეომრითა, რო-

მე მთანი და მინდორნი დაფარნა: მათისა სიმრავლისა და მტვერისაგან თვალთა წინა აღარა ჩნდა. ყვიროდეს მეომარნი დევნი, რომელ მათისა ძახილისაგან კმანი ცად გაიწეოდეს. გზასა და უგზოსა ყველასა სწორად გავიდეს. მივიდეს განზანდისა ციხესა და ქალაქსა, სადა ფრიდონ კემწიფე იყო. გარე ლაშქარნი შემოადგა. ზაქ დაიძახნა ვითა: „გზები შექარიით და ცოცხალსა ნურცა ერთსა გაუშვებთ. სახელი თქვენი ცათამდისინ აამალეთ, მოიპირეთ, რომე ჩემგან დიდი წყალობა იშოოთ“. რა ფრიდონ კემწიფესა ლაშქართა შეიტყვეს, ქალაქი დააგდეს და გამოვიდეს საფადარნი ფრიდონისანი. შეიქნა ომი ასეთი, რომე მრავალთა თავი ტყინისაგან განეშორა. ასეთი მტვერი ააყენეს, რომე თვალთა წინა გზა აღარსით არა ჩნდა. ვახშირდა დიდი ომი და ძახილი დევთა, რომე კეხასა ჰგვანდა. მუნ მყოფნი მოქალაქენი სახელდებულნი იბრძოდეს მახვილითა კლმითა და წვიმისა მსგავსად ხანდაკთა ისართა ესროდეს და ამას იტყოდეს: „ჩვენ კელმწიფე ფრიდონ გვინდა და იგი არის მოსამართლე და ჩვენი კემწიფე და ქვეყნისა პატრონი. ყოველი სული, ბერი და ყმაწვილი, ყველაი ბძანებისა მისისა მონა ვართ. ზაქ ლეთისა მოკიცხავს და მისთა ჭაერთა გული სისხლითა სავსე გვაქვს, აღარ ტახტისა პატრონად გვინდა. მისთა უსამართლობითა ქვეყანა ცეცხლითა იწეების“. იყო ომი დიდი და საშინელი. ესეთი მტვერი ადგა, რომე მზე დაბნულდა და ლამესა გვანდა ორგნითვე. ომი დასწყნარდა და ღამე შემოვიდა. მოეგონა მისნი პირმთვარენი და პირდაბურვილნი ტურფანი ქალნი, რომე ხელთა არცა ერთი ჰყვა, არცა ტახტი და გვირგვინი ეიმცდებოდა. ჭაერთა ცეცხლი ვითა თავე გაებერა. ადგა ზარტომან ჩაიცვა საომარი აბჯარი, რომე არაეის გამოეცხადა. რკინითა შემოსილი ქალაქად შევიდა. პქონდა კელთა საგდებელი და მეორესა ხელსა აღმასის ფერი ხანჭალი და სადა ფრიდონ და იგი ქალნი სხდეს ტახტსა ზედან მივიდა და შეხედნა ახალსა ფალავანსა და ბროლისა ტანსა მზისა ნაკუეთსა შარინაზს. ფრიდონს ეუბნებოდა და ზაქს სწყევლიდა და ამას ეუბნებოდა: „უსამართლოსა და მძლავრობისა მოქმედს და ავის მგონებელს ესე საქმე ჭთისაგან დაემართა. მისთანა შარეირი კემწიფე, ძმა ჩვენი, უბრალოდ მოკლა: იმშედ ხერხითა შუა გახერხნა, რომე თვლითა მისთანა ტურფა არა ინაზოდა. ქვეყანა მოსამართლობით მან ააშენა. მასუყანით იმისითა გონებითა თვალთა ცრემლი არა შეგვეშრობია. ტირილი და მოთქმა არ დაგვლევიან. ახ, ნეტარნი. ყოვლისა საწუთროსა დამბადებელისა ღთისა, რომე ესე მოვინახეთ, დამწვარი გული გავიმხიარულეთ და ჩვენსა წადილსა და ნებასა თქვენგან მიუხედით“. ესე საუბარი შარინაზისაგან ზაქს ესმოდა. თავსა ცეცხლი მოედვა და გული აუჩქარდა და იქდა და ამას ანბობდა: „მაითა სისხლითა პირი არ დავიბანო?“ და თავისა თვისისა არა იცოდა თუ რა დაემართებოდა. საგდებელი აიკეცა და მოწუდილითა ხაპწლითა მიმართა ფრიდონს. რა გამოეცხადა, თქვა თუ: „რა არის ესე; ეშმაკი ანუ ქაჩი?“ ფიცხლად ტახტით ჩამოიქრა და იგი მძიმე თავმროზიანი ლახტი კელთა აიღო, შეეგება და თავსა დაჰკრა და მიწასა ზედა გორვიდა. ფიცხლად თავისა კვეთასა ლამოდა. მოვიდეს ორნი წვენიერნი სახითა ანგელოზნი და ფრიდონსა ეგრე უთხრეს: „ნუ მოჰკლავ, ბედნიერო კელმწიფეო, ჭერეთ დღენი არ გასთავებთან. ორნივე მკარნი ლომისა ტყავისა შეუკრენ და წაიყვანე იგი, სადა ორნივე კლდენი ახლო მახლო არის, ვიწრო და ჭურღმული, რომე ბვერი გესლიანი. ავი მოქმედი მას შიგან არის, მიიყვანე ეგე ავისა რჯულისა კუნესითა და მას შიგან ჩააგდე, რომე

დღენი მისნი მას შიგან იყუნენ და ნურცა მათსა გვარსა და თესლსა მავისა საქმესა შინა ნუ დაისვენდებოდა. რა ფრიდონ ანგელოზთა სიტყვა ესმა, შეკრთა და გაკვირდა. იგინი გაუჩინარდეს. ფრიდონ საწუთროსა დამბადებელსა ღოსა შეეხვეწა და მისგან ითხოვა შეწყენა. ლომისა ტყავისა მოსაკრავი მოაღებინა და ორნივე კელნი მაგრად შეუქრნა, რომე ვერაინ ვახსნიდა და აგეთი მიწასა ზედან იღვა. მობრუნდა და ტახტსა ზედავე დაჯდა. უბრძანა და დაიძახ. კაცი: „ლაშქართა შიგან ომი და სისხლი ნულარ არის. იგი, ვეშაპასა მზილადი წარმართი ზააქ, უწყალოდ ჩემს წინა ძეს, რომე ქვეყანა მისითა ხელითა აობრებულყო. ამას იქით მოსვენებით, მხიარულად თქვენსა ნებასა ზედან იყენით...“. მერე დაბეჭდილ „ფრიდონიანში“ ტექსტი გრძელდება ასე: „დასწყენარდა ომი. მოდგეს...“.

„ფრიდონიანის“ დაბეჭდილ ნაკლულ ტექსტს „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების 11 ტომის 395 გვერდზეც ავსებს Q—1440 ნუსხაში წარმოდგენილი პოზაული „ზააქიანის“ ერთი ადგილი. „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების 11 ტომის აღნიშნულ გვერდზე სქოლიოში მითითებულია, რომ ამ ადგილას ტექსტს აკლია ერთი სტროქონი. სინამდვილეში მას აკლია დაახლოებით სამი გერდი. ეს ნაკლული ტექსტი ასე გამოიყურება: „უსამართლო არას არგებს, ოქრო... იყენეს“. შესაბამ ადგილას Q—1440 ნუსხის ტექსტში 47r-ზე იკითხება: „უსამართლო არას არგებს ოქრო და ვეცხლი დასადებულად: არცა ვის ტახტი და გვირგვინი გაუთავდების. იგი ახალი, ბედნიერი ფრიდონ მოსამართლობით გახმწიფდა. არცა ანგელოზი იყო და არცა მუშკითა და ამბროთა გასურლი. მოჩივართა მოსმენითა და შეწყალებითა პოვა ლთისაგან წყალოც. პირველი, ქვეყანა გარეცხა ავის მოქმედთაგან: ზააქ წარმართი სარჩლითა დაიჭირა. რომე იგი ავის გზისა და უწმიდური იყო: მამისა სისხლი აიღო და ქვეყანა ბზანებასა მისა ქვეშე დაიმორჩილა. წაუღო ტახტი და გვირგვინი, მამარიერობა ზააქს, უკყო უწყოფობა. რა ახალი ხელმწიფე ფრიდონ გაქელმწიფდა მოსამართლეობა აროს დაავდო. მისგან უფროსი არაინ იყო. უფროსითა წესითა ტახტი და გვირგვინი გამართა. თვალმარგალიტითა ფრქვეულსა ოქროსა ტახტსა საწუთროსა მვირავი ზედან დაჯდა. გვირგვინითა, ტყავითა და საყურითა მოკაზმა. ვრთსა თუქსა ქვეყანისა საქმესა გაავებდა, მშვიდობასა სთესვიდა, ყოველი ქვეყანა ავისა და უსამართლოსაგან გაწმიდა. რაცა ოხერი იყო, ააშენა, გლახაკთა და შეკირებულთა გული გაუმხიარულა. ყველამან რჯული ღვთისა და საქმე კარგი იჭირის და მართალითა გულითა ღთსა: აღიდებდეს და იწყო მოსამართლეობა და გაეცმა: ყოველი სული დაამდღრა. ქვეყანა მშვიდობითა აავსო. ეშმაკთა დევთა კელი ყველგან შეიკრა. მერმე ხახეს ღვინი მხიარულობისა: კელთა აიღეს იაგუნდის სასმელი და ბროლისა ზიქები ხოშვართა ფრქვეულითა წმიდითა ღვინითა: დალოციან ბედნიერის ახლის კემწიფისა პირი და ეამმხიარულობისა აკმევდეს ამბარსა და ზაფრანსა და სუნელისა სუნითა გამოისვენებდეს. ფარანგ დედოფალსა, დედასა კემწიფისასა, მოუვიდა ამბავი: „თქვენმან შეიღმან ქვეყანისა შარიერობა დაიჭირა, იგი ვეშაპიანი წარმართი ზააქ მოკლა და მამის სისხლი აიხლო და მისსა ტახტსა ზედან დაჯდა და გვირგვინი თავსა ადგეს“. ფარანგ პირველად ღთს მადლი მისცა და სიხარული გაადიდა, მახარობელსა პირი წითლითა იაგუნდითა გაუტენა, ამაღ რომე შვილი კემწიფე შარიერი შეიქნა მისითა ბედნიერობითა. ქვეყანა სჭულზედა მოაყენა და წყეულმან ზააქ დღე და ბედი მის

დაკარგა, რომელმან სისხლი ჩვენი უსამართლობით დაღვარა. მერმე ბრძანა გლახათა დამდიდრება. ერთსა თუქსა საქონელი გასცა უშურველად, ყოველნივე გლახანი და საბრალონი დაამდიდრნეს; მერმე მოკაზმეს თავის დარბაზი სამოსევეითა. იხმნა თეადნი, მეციხერნი და დიდებულნი, ერთსა თუქსა მასპინძლობითა და ლხინითა გამოისვენეს. მერმე უბრძანა: „ამას იქით მხიარულობასა მოეკიდნო და ნურას შეიპირებთ. ვისცა ვის მალვით განძი და საქონელი გაქუსთ, სუსკინ მალავთ, ამოიღევით და იხმარეთ. აწ ხამს ედემისა განძისა და საქურჭლეთა კარისა გაღება. გააქუმევიან და გამოიღო საქონელი ნრავალი, რომე მითა თელითა არად ხნდა. გასცა უზომო თეადთა ზედა, რომე ყოველნივე აავსნა საქონლითა. ფარანგ შეიღისა სანანავად აემხედრა. ქემწიფისა საკადრისი ძღვენი, კარგი ტანისამოსი, მრავალი ლალ-ფეროზი, იაგუნდი, ზურმუხტი გვარიანი, გვირგვინი, ვითა მზე მნათობი ოქროსი, კარგი საყურები, სალტე-ტყავი დიადი, მუშვი-ამბარი, კარგი დაკაზმული ბედაურები მურასა უნავრებითა ლავმიანები, აბჯარი და მუზარადი, ხმალი, ზუფინი აკიდეს მათ მოკაზმულთა ჯორ-აქლემებს. შეჯდა ფარანგ ცხენსა და შესხნა მრავალნი სეფე-ქალნი მოახლენი საყურითა გვარიანნი ოქროს სალტე ტყავითა. დიდითა და სახელდებულთა ლაშქრითა გემართნეს და რა მიეწურნეს, მოახსენეს ხელმწიფესა: „ერანისა ქვეყანითა დიდი მტვერი მოვა, რომე ცამდისინ ამალღებულა“. მივიდა დედისა მისისა მახარობელი. განძი და საქონელი მოიღეს და ქემწიფესა შესძღვნეს და მოახსენეს: „ბანოვანთა უთავადესი დედოფალი, დედა თქვენი, ფარანგ, ერანის ქვეყანით მოვა. ესე ყველა თქვენთვის მოუღია“. რა საქურჭლისა სიმრავლე ნახეს, ქემწიფე და სრულად თეადნი, გააკვირდეს. წინა გაეგებნეს ლაშქარი და სალაში გარდაიხადეს და აღურ გამოუძღვნეს შარიერი. ქემწიფე ტახტით ჩამოვიდა, წინა გამოეგება. რა ნახეს ერთმანეთსა პირი ეარდითა აუყვავდათ, სალაშითა მიეგებნეს და ამას ჰვეანდეს, მზე და მთავრე შეყრილიყვენეს. პირმზე დედა და ქემწიფე, სარონი ვითა ერთმანეთსა მოეხვიენეს. დედა ელვარეთა პირითა ლაწეთა და პირთა აკოცებდა და ღთსა აღიდებდა, სიხარულითა ცრემლსა ადგნდა. გული სამოთხისა ყვავილივითა უყვავოდა: თვალცემულისა ლოცვანი ულოცა, შებრუნდეს და ტახტსა ზედა ქემწიფე დაჯდა. მიღვა დედოფალი და ტახტისა ფეკსა აკოცა. დალოცნა: „დიდ გვირგვინოსანო რა ღთის მოყვარეო, ეტლბედნიერო, კურთხეულ არს ღთი. რომლისაგან შენ ეგე ბედი მოგვეცა. დღე შენი ბედნიერმცა არის და ბედი ბედნიერი და სვიანი, თქვენზედა ავის მდომელი და მტრისამცა ბედი თვალდმა და უეულმამცა არის“. თავსა ოქრო და გუარი გარდააყარა და მარგალიტი და მერმე შებრუნდა საუფლისწულოთა დარბაზთა, ტურფად მოკაზმულთა. შევიდა შინა: წინა ფარდაგითა გამოეგებნეს ორნი პირმზენი, დიდისა ქემწიფისა დანი. თაყვანი სცეს და ფარანგს მოეხვიენეს და ფარანგ მათ წაეთა აკოცებდა და უკვირდა მათი სიტურფე და შეენიერობა, მათსა ელვარესა პირსა რა სახესა გაეკვირებინა. აგრევე სხვანი პირდაბურეილნი გამოვიდეს. სალაში და სურეილი გადაიხადეს. შეიხვიენიან, პირითა პირსა აკოცებდნან რა ამას გვანდის. რომე შვიდნი მნათობნი ცით ქვეშეთ ჩამოსულ იყვენეს“ (ეს სიტყვა იკითხება დაბეჭდილი „ფრიდონიანის“ 395-ე გვერდზე). შემდეგ უკვე დაბეჭდილ ტექსტში გრძელდება თხრობა: „წაიარნეს და დასხდეს...“, რომელიც Q-1440-ის ტექსტშიც არის დამოწმებული. პროზაული „ზაქიანის“ ტექსტი სრულდება სიტყვებით: „ქვეყანა ისრე მოკაზმა და სამოთხე ვითა ასურნელა. ბალახისა მაგიერად კარდი დათესა. რა თემი

შეპიიარა, მოვიდა, ამულსა დაჟდა და ამული თავის ტახტად მოკაზმა და ორ-მოცდ.ათსა წელიწადსა უკან სამნი შევნიერნი შეილნი მიეცნეს“ (49r).

Q—1440 ნუსხაში დამოწმებულ „ზაქიანის“ პროზაულ ვერსიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც „შაჰნამესთან“ ყველაზე ახლოს მდგომ ტექსტს. აქ თავისთავად დგება საკითხი მამუკა მდივნის მიერ გალექსილი „ზაქიანის“ წყაროს შესახებ. და თითქოს ამის პასუხად, Q—1440-ში პროზაულ „ზაქიანს“ მოჰყვება მამუკას გალექსილი „ზაქიანი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ადრევე იყო გამოთქმული მოსაზრება, რომ მამუკას „ზაქიანი“ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ შესატყვისი მოთხრობის ქართული პროზაული თარგმნიდან მომდინარეობს⁸.

1927 წელს აკად. ალ. ბარამიძემ აღმოაჩინა მამუკა თავაქალაშვილის მიერ 1647 წელს გადაწერილი ხელნაწერი (S—1594), რომელიც შეიცავდა „შაჰ-ნამეს“ რომელიღაც მიმბაძველის ქართულ პროზაულ ვერსიას „უთრეთ-სამაინისას“. მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ ეს პროზაული ვერსია იქნებოდა მამუკა მდივნის „ზაქიანის“ წყარო. მაგრამ მათი შედარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ „მამუკას რედაქცია უფრო ემხრობა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ და რომ მამუკას ტექსტი შეიცავს მთელ რიგ ისეთ ფაქტობრივ მომენტებს, რომლებიც სრულიად უცნობია მიმბაძველის ქართული ვერსიისათვის⁹. ამის საფუძველზე მკვლევარმა დაასკვნა, რომ „თუმცა მამუკას წყარო უნდა ყოფილიყო მის მიერ გადაწერილი პროზაული ტექსტი, მაგრამ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ შესატყვისი მოთხრობის გათვალისწინებით“¹⁰. შემდეგ აღმოჩნდა ქართული პროზაული „ფირდონიანის“ ვერსია, რის საფუძველზე აკად. ალ. ბარამიძემ დაასკვნა: „მამუკა იცნობდა „შაჰ-ნამეს“ მიმბაძველის ქართულ პროზით ვერსიას და თავის გალექსილ რედაქციაში აქედან ზოგიერთი დეტალიც შეუტანია, ... მაგრამ ძირითად წყაროდ მას ჰქონია საკუთრივ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ თარგმანი“¹¹ (ხაზგასმით აღტორისებულია. — მ. შ.).

Q—1440-ის პროზაული „ზაქიანის“ ის ნაწილი, რომელიც ავსებს ფირდონიანის ზოგიერთ ნაკლებ ადგილს, იკითხება მამუკა მდივნის მიერ გალექსილ „ზაქიანში“ და თვით „შაჰ-ნამეს“ შესაბამ მოთხრობაში. გასაოცარი ის სიახლოვე, რომელსაც იჩენს პროზაული „ზაქიანი“ მამუკას ვალექსილ ვერსიასთან და ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ შესატყვის ადგილთან. სულ რამდენიმე მომენტი ისეთი, როდესაც მამუკა სცილდება პროზაულ „ზაქიანს“ და გვერდში უდვას „შაჰ-ნამეს“ სპარსულ ტექსტს. ასე მაგალითად: 1. Q—1440 ნუსხის მიხედვით ქუნდრუ არის ვეზირი, მამუკასთან იგი არის „ამ ქალაქის მოურავი, ხოლო ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ — ხაზინდარი. ზაქის მმართველი. 2. Q—1440-ით ქუნდრუ არაა მონაწილე ფირდონის ღრეობისა და „ერთი კაცისაგან იგებს ამბავს“. მამუკასთან კი ვკითხულობთ:

ერთსა კაცსა ქუნდრუ ერქვა. იმ ქალაქის მოურავა.

წაღვა, ფირდონს უსაღამა. ჰეზას ჰადრებს შეტად სრულსა. (73,12).

⁸ „შაჰ-ნამე“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ი. აბულარის რედაქციით.

1916. გვ. XXV.

⁹ ალ. ბარამიძე. ნარკვევები. 11. 46.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე. 47.

სიყვეა „შაჰ-ნამეს“ მიხედვითაც. 3. სხვაობა შეიმჩნევა აგრეთვე ფალავანთა რიცხვის დასახელებაშიც. Q—1440-ით ჩანს „ერთი ფალავანი“ (იგულისხმება ფრიდონი), მაშინ როდესაც მამუკას „ზააქიანში“ და „შაჰ-ნამეშიც“ სამი ფალავანი არის დასახელებული (ოღონდ „შაჰ-ნამეს“ მიხედვით ისინი ძმები არიან, ხოლო მამუკასთან ნათესაური კავშირი ამ სამ ფალავანთა შორის არაა მითითებული — იქ მოხსენიებულია მხოლოდ „სამი ეინმე ფალავანი“).

განსჯევება ყველაზე შესამჩნევია პროზაული „ზააქიანის“ დასასრულსა და მამუკას ბოლო თავს შორის. როგორც პროფესორ დ. კობიძის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიებიდან ჩანს, ბოლო თავი გალექსილი „ზააქიანისა“ საერთოდ არ უნდა ეკუთვნოდეს მამუკას კალამს და ამდენად არც „ზააქიანის“ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს იგი¹². მკვლევრის აზრით, უფრო ბუნებრივია, რომ მამუკა მდივნის „ზააქიანი“ თავდებოდეს შემდეგი სტრიქონებით:

ზაჟ რა ქნა არ ვაგმა? — ეშმაკს მოქუა თავის ნებო
(სტრ. 102, 103)

გალექსილი „ზააქიანის“ ბოლო თავი: „ნარიმანს ესმა ამბავი ფრიდონ მოსულა მთიდალმა“ (რომელიც სრულად უადგილოდაა ჩართული „ზააქიანში“) პროფ. დ. კობიძის ვარაუდით ერთგვარი შემთავიწმირებელი ხილია „ზააქიანისა“ და „საამიანს“ შორის. გალექსილ „ზააქიანს“ „შაჰ-ნამეს“ ლექსითი ვერსიების კრებულში გაერთიანებისას ბარძიმ ვაჩნაძის „საამიანის“ ნაწილი შეიყვება¹³.

სპარსული წყაროების შესწავლის ნიადაგზე პროფ. დ. კობიძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ის თხზულება, საიდანაც ნარიმანის ბრძოლისა და სიკვდილის ეპიზოდი მომდინარეობს. ყოფილა ასადის საგმირო-ეპიკური პოემა „გერშას-ნამე“. გამოდის რომ, თუ მამუკას კალამს ეკუთვნის ჩვენამდე დღევანდელი სახით მოღწეული „ზააქიანის“ გალექსილი ვერსია (რომელიც შეიცავს ბოლო თავსაც), მაშინ უნდა დავეშვათ, რომ მამუკა მდივანს უსარგებლია იმ პროზაული ვერსიით, რომელიც „გერშას-ნამეს“ ეპიზოდების შემცველი იქნებოდა¹⁴. მაგრამ მამუკას „ზააქიანს“ ბოლო თავის გარდა არსად არ ატყვია „გერშას-ნამეს“ კვალი, რაც ძალზე ნიშანდობლივია¹⁵. ისე რომ, სიჩამდვილესთან უფრო ახლოს ჩანს ის ვარაუდი, რომელიც მკვლევარმა გამოიჭეა მამუკას „ზააქიანის“ უკანასკნელი და ბარძიმ ვაჩნაძის „საამიანის“ დასაწყისი თავების აღრევის შესახებ.

როგორაა წარმოდგენილი პროზაული „ზააქიანის“ დასასრული Q—1440 ნუსხაში? იგი აქაც „შაჰ-ნამეს“ შესაბამ ნაწილს მისდევს. ფრიდონის გახელმწიფების ამბავი ესმა არა ნარიმანს (როგორც ეს მამუკას „ზააქიანში“ იკითხება). არამედ ფარანგეს, ფრიდონის დედას. ძირითადად გადმოცემული ამბავი მიჰყვება „შაჰ-ნამეს“ შესატყვის ადგილს. ოღონდ ერთი განსხვავებით: „შაჰ-ნამეში“ უარანგესი კი არ მიდის შეილის სანახავად, არამედ მხოლოდ ნადიმს გადაიხდის და ძვენს უგზავნის ფრიდონს. პროზაული „ზააქია-

¹² დ. კობიძე, სს. შრ., ტვ. 150.

¹³ იქვე, გვ. 151.

¹⁴ იქვე, გვ. 185.

¹⁵ იქვე, გვ. 187.

ის“ მიხედვით ფრიდონის დედა ურიცხვი ძღვენით მიემართება შვილის სა-
სახავად. ფრიდონი ეგებება მას და ა. შ. ამგვარად პროზაულ „ზაქიანს“ მართ-
ლაც უნდა განეცადა „დრო და დრო“ გარკვეული ცვლილებათ¹⁶.

მამუქას „ზაქიანს“ Q—1440-ში მოსდევს ბარძიმ ვაჩნაძის მიერ გალექ-
სილი „საამიანი“, ხოლო 150v-დან ხელნაწერში იწყება გალექსილი „როსტო-
მიანი“. მას აკლია შესავალი და ამბის დასაწყისი: „ამბავი მანუჩარ კელმწი-
ფისა და საამ ფალავნისა“. იგი იწყება პირდაპირ თავით: „აქა საამ ფალავა-
ნის სიზმარის ზმანება“. „როსტომიანის“ ტექსტი ნუსხაში წყდება შემდეგი
სიტყვებით:

შვარ-ხარშულსა მოილებდეს, ოგროთა და ბ:კანია. (205v).

ასეთია Q—1440-ის საერთო იერა და შედგენილობა. როგორც მისი ძი-
რითადი ნაწილიდან ჩანს, თავდაპირველად ნუსხა შეუკავდა ანონიმი ავტორის
მიერ გალექსილ „უთრუთიანის“ პირველ ნაწილს (რომელიც მიტანილია ზა-
ქის გამეფებამდე), მამუქას „ზაქიანს“. ბარძიმ ვაჩნაძის „საამიანს“ და „როს-
ტომიანის“ ნაწილს. მე-18 საუკუნეში ხელნაწერის გვიანდელ რესტავრატორს
რედაქციული მუშაობაც ჩაუტარებია: ნუსხაში „უთრუთიანის“ ანონიმისეულ
ლექსით ვერსიასა და მამუქა მდივნის „ზაქიანს“ შორის ჩაურთავს „შამ-
ნამეს“ ტექსტიდან მომდინარე ქართული პროზაული „ზაქიანის“ „ცვლილება-
განაცადი“ ვერსია და ამით ერთგვარად დასრულებული სახე მიუქცია „შამ-
ნამეს“ ქართული ვერსიებისათვის. ჩანს, იგი საკმარისად ვაცნობიერებულ
ყოფილა „შამ-ნამეს“ ქართული ვერსიების წარმომავლობის საკითხში.

¹⁶ დ. კობიძე, სს. შრ., გვ. 151.

(წარმოადგინა საქართველოს ასოტექნიკურმა
ინსტიტუტის აკადემიკოსმა დ. კობიძემ)

ლათინური მხატვრობა

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების XVIII—XIX საუკუნის ქართულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართება

„გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება“ ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია, რასაც მოწმობს ამ ნაწარმოების თარგმანები სერბულ, ქართულ, არაბულ და ეთიოპურ ენებზე. ქართული ტექსტი ბერძნულიდან მომდინარედ ითვლება და ორი თარგმანით არის ცნობილი: ერთ-ერთი მთარგმნელია XI საუკუნის მეორე ნახევრის ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწე თეოფილე ზუცესმონაზონი, ხოლო ავტორი მეორე თარგმანისა უცნობია¹. პირველი ცნობები ქართული რედაქციის შესახებ მოცემულია ზღვდელმონაზონ ილარიონის მიერ 1836 წელს შედგენილ ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობაში². შემდგომ ათონის ივერთა მონასტრის ქართული ხელნაწერების აღწერილობაში პროფ. ა. ცაგარელსაც (№ 29) და პროფ. რ. ბლაკსაც (№ 20) აქვთ იგი შეტანილი. თეოფილეს უთარგმანო სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასების კრებულიდან სექტემბრის თვის საკითხავები, რომელშიც შესულია გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება³. დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდნენ, რომ ეს თარგმანი ერთადერთი იყო, მაგრამ როგორც შემდგომმა გამოკვლევებმა ცხადყო, თეოფილეს თარგმანი შემონახულა მხოლოდ ათონის ხელნაწერთა კრებულში. რომელსაც საქართველომდე არც მოუღწევია⁴.

უცნობი ავტორის მიერ თარგმნილი ტექსტი დაცულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას დამზადებულ ხელნაწერ კრებულებში. სულ გვაქვს გრიგოლის ცხოვრების შემცველი 17 ხელნაწერი. აღსანიშნავია, რომ ამ ხელნაწერებიდან მხოლოდ ორშია დაცული გრიგოლის ცხოვრების სრული ტექსტი: ხელნაწერთა ინსტიტუტის მეტაფრასების კრებულში შესული XI—XII საუკუნის S № 384 ხელნაწერი, რომლის მიხედვითაც ტექსტი გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა⁵, ხოლო მეორე — ქუთაისის საისტორიო მუზეუმის XVI საუკუნის № 437 ხელნაწერი.

¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართული ლიტ. ისტორიიდან, ტ. V, თბილისი, 1957, გვ. 156.

² А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности. Вып. I. СПб, 1837, л. 7, § 4.

³ იქვე.

⁴ R. P. Blake, Catalogue des manuscrite géorgiens de la Bibliothèque de Leure d'Ivroun au mont Athes, Paris, 1932—34, გვ. 34.

⁵ კ. კეკელიძე, დასახ. შრ., გვ. 155.

⁶ იქვე, ვ. 157.

⁷ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ცხოვრება წმინდა გრიგოლ ქართლისა, ტფილისი, 1920,

როგორც ცნობილია, გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება სომხურად არის დაწერილი და მის ავტორად ავათანგელოსი ითვლება⁸. ამიტომ ხშირად მას ავათანგელოსის ისტორიასაც უწოდებენ. ქართული ტექსტის როგორც სათაური («ცხოვრება და მოქალაქობა და ახსნა შემდგომად წამება წმიდისა მღვდელმონაქმისა გრიგოლ პარტეველისაჲ»), ისე მისი შესწავლა გვიჩვენებს, რომ მასში არსად არ არის ავათანგელოსის მსენება. ქართული ტექსტის მიზანია გრიგოლის ცხოვრებისა და მარტვილობის და შემდგომ სომეხთა მოქცევის ისტორიის გადმოცემა. ა. ტერ-გევონდიანი თავის გამოკვლევაში⁹ გრიგოლ განმანათლებლის ხელნაწერებს ყოფს ორ ჯგუფად: ავათანგელოსის ისტორიად და გრიგოლის ცხოვრებად და ქართულ ტექსტს, რატომღაც, იგი უკავშირებს ავათანგელოსის ისტორიიდან ნათარგმნ ტექსტს.

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების შესასწავლად და ქართული ხელნაწერების წარმომავლობის თუ შედგენილობის გასარკვევად საგულისხმო მასალას იძლევა XVIII—XIX საუკუნის ხელნაწერები, რომლებიც დაცულია აპოკრიფულ მოთხრობებსა და სადღესასწაულო კრებულებში. მართალია, ეს ხელნაწერები გვიანდელი ხანისაა და ზოგიერთი მათგანი არასრულიც. მაგრამ მათი მონაცემები საინტერესო და უფრადსაღებია.

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ტექსტი იმ სახით, როგორც მან ჩვენამდე ჩოღწია, შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალისა, ისტორიისა, რომელშიც შედის გრიგოლისა და წმინდა მოწამე ქალწულთა მარტვილობა, და ქადაგება-ჩვენებისაგან.

ეს ხელნაწერები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მხოლოდ მოცულობითა და შედგენილობით, არამედ თავისი წარმომავლობით და ხასიათითაც.

წარმომავლობის თვალსაზრისით გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების გვიანდელი ხელნაწერები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ერთში გავრთიანდება ბერძნულიდან თარგმნილი ხელნაწერები, ხოლო მეორეში ისინი, რომლებიც უშუალოდ სომხურიდან უნდა იყოს თარგმნილი¹⁰. სომხურიდან ნათარგმნი ხელნაწერებია H № 42, II № 1284, A № 1169 და Q № 750. ამას გვაუარაულებინებს თსრობის ისეთი მანერა და ისეთი შეცდომები, რომლის ახსნა მარტოოდენ გადაშვრის უმეტრებით არ შეიძლება. XIX საუკუნის Q № 750 ხელნაწერი სომხის — იაგორ იოსებიჩ ალელპეტოვის გადაწერილია, რასაც ვეამწრობს მინაწერი კემვიდე გვირღზე. საფიქრებელია, რომ დანარჩენი სამი ხელნაწერის გადაშვრნიც სომხები იყვნენ, რომლებიც ცულად ფლობდნენ ქართულ ენას. ამ ხელნაწერებში ხშირად გვევლება ქართულად მოლაპარაკე სომხისათვის დამახასიათებელი შეცდომები, ასე მაგალითად: დანარჩომი ნათესავნი ჩემი შეინაზე; როცა რომ ნახა ხოსროვან: დაისევმდა სკამზედა; ზოგნიც ხიდიდან წინ მოუტრბინეს; ამტოლი წელიწადია, რომ მემსახურებოდა ერთგულებითა: რადგან ეგეც შეიძელ კერაი გათლილი და გაფხეკილი უთხარი და სხვ.

⁸ ი. ჭ ა ე ა ბ ი მ ე ი ლ ი. ძველ სომხური საისტორიო პერლობა. ტფილისი, 1935, გვ. 71.

⁹ А. Тер-Гевондян. Новая арабская редакция Агафангела. Ереван, 1968, გვ. 111.

¹⁰ იქვე. დასახ. შრ., გვ. 112 (ამ ნაშრომში ავტორის მოცემული აქვს გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების თარგმანების სქემა, სადაც ქართულ არასრული რედაქციებს ერთი ნაწილი სომხურიდან ნათარგმნილ მანერა).

ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკუთარ სახელთა ხმარების ტრადიცია ბერძნულიდან მომდინარე ხელნაწერებსა და სომხურიდან ნათარგმნ ხელნაწერებში. ბერძნულიდან მომდინარე ხელნაწერებში სომეხთა მეფის სახელი „კუსარ“ ფორმით არის ნახმარი, ხოლო ამ ხელნაწერებში ყველან „ხოსროვი“ იხმარება: ლიკინიოსის ნაცვლად ლიკანე ან ლუნკიანე გვხვდება. ხოლო ქალაქ „ვალეროშენის“ ნაცვლად „ვალარშაპატი“ ან „ვალარშაფათი“ დასტურდება.

ამთავითვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ამ ოთხი ხელნაწერიდან სამი — H № 42, H № 1284 და A № 1169 — შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების იმ მონაკვეთს, რომელშიც აღწერილია მისი წამების ამბავი და ცნობები თრდატისა და გრიგოლის მშობლების შესახებ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ტექსტისათვის. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ხელნაწერის სისრულეზე, ჩვენ ვგულისხმობთ სისრულეს სწორედ ამ თვალსაზრისით.

სომხურიდან თარგმნილი ამ ოთხი ხელნაწერიდან სამი — (XIX საუკუნის ხელნაწერ კრებულებში დაცული) H № 42, H № 1284 და A № 1169 — ერთი რედაქციიდან მომდინარედ შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო Q № 750 ხელნაწერის წყარო — სხვა რედაქცია უნდა იყოს. სამივე ხელნაწერს სათაურად აქვს: „სატანჯელი წმიდა (წმინდა) გრიგოლისა სომხთის განათლებლისა ტრდათ (ტრდატ, ტერდატ) სომხის მეფისაგან ვალარშაფათის ქალაქში“ H № 42 და II № 1284 ხელნაწერი სრულია, ხოლო A № 1169 ხელნაწერში თხრობა წყდება იქ, როდესაც უთანხმოება იწყება თრდატ მეფესა და გრიგოლს შორის. H № 42 და H № 1284 ხელნაწერების ტექსტი უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვიდრე A № 1169-ისა. სამივე ხელნაწერში გვხვდება ქვესათაური: „სატანჯელი ათორმეტ (ათორმეტ) წა გრიგოლისა“.

ტექსტში გვხვდება საკუთარ სახელთა დამახინჯებები, მაგალითად: ალექსანდრე მაკილონი (მაკედონელი), პარსეთი (სპარსეთი), ანაკა (ანაკი), ლუნკიანე (ლიკინიოს), ვართანე (ერთანესი), არესტაკე (არისტაკესი), არდამუნე (არდამირი).

ხელნაწერი H № 42 უფრო სრულია, ვიდრე A № 1169. მაგალითად:

H № 42

A № 1169

- | | |
|--|--|
| 1. იხელმწიფა პარსისტანსა | იხელმწიფა |
| 2. შეკრება ავღანნი, ჭართველნი, უტნი | შეკრება ჭართველნი, უტნი |
| 3. ძალით და ძლიერებით კარს მიადგნენ | ძალით კარს მიადგნენ |
| 4. გამოიქცა ისრა ლაშქრითა წინაღმდეგ და შესაბამელათ | გამოიქცა ისრა ლაშქრითა შესაბამელათ |
| 5. ამან წაახსა ესენი | ამან წაახსა |
| 6. დაჯდულა ელესოსი ჭრატესასა ავღანლებდა ჭრატრანეთა | დაჯდულა ჭრატრანეთსა |
| 7. მიემართა მეფე ბალხისა | მიემართა მეფე |
| 8. ნუ შეეხებოთ ლაშქრითაო და ერთმანეთის ქარს ნუ გაეწყვეტთ ზღმითაო | ნუ შეეხებოთ და ერთმანეთის ლაშქრისა ნუ გაეწყვეტთ |
| 9. მოვიდეს ხელმწიფესთანა და თვადნი უა აზნაურნი თათაეის ლაშქრითა შეიყარონ | მოვიდეს ხელმწიფესთანა აზნაურნი თათაეის ლაშქრითა შეიყარონ |
| 10. შეხედეს შიგნიდან გალაენში | შეხედეს შიგნიდან |
| 6. მა ც ნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 3 | |

ამის საპირისპიროდ, მართალია უფრო იშვიათად, მაგრამ დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც A № 1169 ხელნაწერის ტექსტი უფრო სრულია:

H № 42

1. მაშინ არაზი მოდიოდა აღელებული
2. შეუძლია მორევა ბაღის მეფესა
3. და გაფანტა პარსისტანისაყენ
4. აღარაჲინ გაუშვეს იმის სახსენებელში

A № 1169

- მაშინ არაზი მოდიოდა ასეთი მოღვლებული
 შეუძლია იმათი მორევა ბაღის მეფესა
 და სულ გაფანტა პარსისტანისაყენ
 აღარაჲინ გაუშვეს ცოცხალი იმის სახსენებელში

ხელნაწერი H № 1284 თითქმის მისდევს H № 42, მაგრამ გვხვდება შემთხვევები, როდესაც H № 1284-ის ტექსტი უფრო სრულია, ვიდრე H № 42-ისა.

H № 1284

1. დაანგრევდნენ დაქცევდნენ ყოველს ქვეყანასა და სიმაგრესა
2. გაქელვინონ ყველა სულნი და სულდამულნი
3. დიდის სახელითა და ბუერის ნაშოორითა
4. ღობითა და ნაქსოვითა
5. მაშინეუ მოეკაზმა და მოემზადა
6. ზოგნი ვერცხლისა და ზოგნი ხისა
7. გასტანჯონ ძრიელ ხელმწიფის ბრძანებითა და უყვეს ისრე და ჩამოსსნეს იქიდგანა
8. ნაცარი ცხვირში და პირში აუეიდეს
9. უბრძანა რკინის საფხეკელით დაბალი რომ ტყაეებს დაფხეკს იმით დაფხიკონ

H № 42

- დაანგრევდნენ ყოველს ქვეყანას
 გააქელვინონ ყველა სულნი
 დიდის სახელითა
 ღობითა
 მაშინეუ მოეკაზმა
 ზოგნი ხისა
 გასტანჯონ ძრიელ
 და ჩამოსსნეს
 ნაცარი ცხვირში აუეიდეს
 უბრძანა რკინის საფხეკელით გაფხიკონ

ამ სამივე ხელნაწერში ყურადღებას იქცევს პარალელური წაკითხვები, რომლებიც თითქმის არ ცვლიან ტექსტის შინაარსს:

H № 42

1. მაკედონის
2. თავის
3. და მოყუენა თავისყენ სულთაჲდნი
4. მწველათ
5. ასორისტანისა
6. ყოველს ქვეყანას
7. თითონ ამოყარდეს მეფობიდგან და იმათ არ მოვირკეო
8. იმედულობდა
9. დიდის რისხვითა და წყარობითა

H № 1284

- მაკედონელი მეფის
 თავისი
 და მოყენა თავისყენ სულთაჲდნი
 მწვეათ
 ასორისტანის
 ყოველსა ქვეყანასა და სიმაგრესა
 ან იმათი ჭაერი ამოიყარონ
 იმედულობდა
 დიდის რისხვითა და წყარობითა

A № 1169

- მაკედონის
 თავისი
 და სულ თავისყენ მოგდოთ თავადები
 ღოდათ
 ასორისტანის
 ყოველსა ქვეყანასა
 ან მე მოყვედები და ან იმის მეფობას ამოვაგდებო
 იმედლჲქონდა
 დიდად ჭაერობდა და ბდლევნამდა

ხელნაწერი H № 42 საშუალებას იძლევა გასწორდეს H № 1284 და A № 1169 ხელნაწერის ტექსტი:

H № 48

H № 1284

A № 1169

- | | |
|--|--|
| 1. მეორე იყო პარსის ხელმწიფისა და არშაკს უკან | მეორე იყო პარსის ხელმწიფე და არშაკს უკან |
| 2. შიიყანა | შიიყანა |
| 3. იხელმწიფა... პართეუში ხოსროვმა მამამ ტერდატისამა | იხელმწიფა... პართეუში ხოსროვმა ტრტატის ძემა |
| 4. ქვეყანა პარსთ დაიზონავეს უარეეს მეფობა პართევისა | ქვეყანა პარსეთისა დაიზონავეს დაულოცეს მეფობა პართევისა |
| 5. ნოელ რომ ერთად ერთად ვეცადოთ | ნოელ რომ ერთად ერთად ვეცადოთ |
| 7. რომელნიც დარჩომილ იყვნენ კიდევ ნათესავი პართევისა | რომელიც დარჩომილ იყვნენ კიდევ პართევისა |
| 8. შემოსეს | შემოსვეს |
| 9. გრგოლსავეთ | გრძელსავეთ |
| 10. გამჩენი ღმერთი ჩემი | გამჩენი მღოსა ჩემისა |
| 11. ნაყოფსა | ნამყოფსა |

მეორე მხრივ, დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც H № 1284 ხელნაწერის მონაცემებით შეიძლება გასწორდეს H № 42 ხელნაწერის ტექსტი:

H № 1284

H № 42

- | | |
|--|---|
| 1. მოუვიდა ამბავი ხოსროვ მეფეს | მოუვიდა ამბავი ხოსროვ მეფე |
| 2. რომ ნახა ხოსროვმან ანაკო | რომ ნახა ხოსროვმან ანაკიმ |
| 3. მოიგონებდა თავის მკვიდრს მამულს | მოიგონებდა თავის მკვიდრის მამულს |
| 4. ხელმწიფეს შემოეხვიენენ | ხელმწიფე შემოეხვიენენ |
| 5. შენ აქ დაგვწამ ცეცხლითა | შენ აქ დაგვწამ ცეცხლითა |
| 6. ეგ შვილი არის... მკვლელის მამის თქვენის | ეგ შვილი არის... მკვლელი მამის თქვენისა |

H № 1284 და A № 1169 ხელნაწერებში თითქმის რეგულარულად მოსალოდნელი ორი ხმოვნის ნაცვლად გვხვდება ერთი, მაგალითად: ისპანის, დანგრევდენ, გაქელინონ, გამდიდრონ, გატარეს, დამზადებდა, გაქენეს, დატყვევა, გაქციეს, მიყვანეს და სხვა მრავალი.

ხელნაწერი H № 1284-ში „მეფის“ ნაცვლად სისტემატურად იხმარება „ნეფე“, „მეფობის“ ნაცვლად „ნეფობა“, „ამბავის“ ნაცვლად „ანბავი“, „უამბოს“ ნაცვლად „უანბო“, „ანბავი“ და „უანბო“ დადასტურებულია აგრეთვე A № 1169 ხელნაწერში. აქვე „ხელმწიფის“ ნაცვლად გვხვდება „ხემწიფე“.

სომეხთა მეფის — თრდატის სახელი სამსავე ხელნაწერში სხვადასხვაგვარი დაწერილობით გვხვდება: H № 42-ში — ტერდატი, H № 1284-ში — თერტატი, ხოლო A № 1169-ში — ტრდადი.

ხელნაწერი Q № 750 XIX საუკუნის კრებულშია დაცული. მასში შესული გრიგოლის ცხოვრების ტექსტი სრულია, მაგრამ მოკლე რედაქციით. მთელი კრებული ერთი ხელით არის გადაწერილი და როგორც მინაწერიდან ვტყობილობთ, მისი გადამწერი სომეხია. ეს ტექსტიც სომეხურიდან უნდა იყოს თარგმნილი.

დასაწყისში ზოგადი ცნობებია მოცემული გრიგოლ განმანათლებლის შესახებ. ტექსტში გვხვდება ერთი სომეხური წინადადება. გეოგრაფიული თუ აღმნიშნთა საეკუთარი სახელები დამახინჯებული ფორმით გვხვდება: არტა ნაცვლად არარატისა, თადე ნაცვლად თედეოზისა, ლაისარე ან ლაისერი ნაცვლად კესარიისა, იეფრატ ნაცვლად ეფერატისა და სხვ.

განცალკევებით დგას ხელნაწერი S № 2569, რომელიც 1756 წლის სეი-ნაქსარების კრებულში დატული აპოკრიფული მოთხრობაა. მისი სათაურია „თა სეკუნებრსა ლ წწისა მღვდელმწიფისა გრიგოლი სომხითის ეპისკოპო-სისა და გაიანესი და რიფსიმესი და მათ თა“.

ეს ხელნაწერი ბერძნულიდან ნათარგმნი უნდა იყოს. ტექსტი სრულია; მაგრამ მოკლე რედაქციაა. როგორც აღამიანთა საკუთარ, ისე გეოგრაფიულ სახელთა ხმარებით მიჰყვება S № 384 ხელნაწერს.

XIX საუკუნის მარტირიკის კრებულში Q № 764 დატულია გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ტექსტი, სათაურით: „წწისა მღვდელმწიფისა გრიგოლ დიდისა სომხითისა ეპისკოპოსისთვის“.

ტექსტი სრულია, მაგრამ ესეც მოკლე რედაქციაა. მასში, როგორც XIX საუკუნის სხვა ხელნაწერებში, გაკვრითაა მოცემული ცნობები გრიგოლის წარმოშავლობის შესახებ. ხელნაწერი თითქმის დაზღვეულია შეცდომებისაგან, ტექსტში ნახმარია *ჟ*, *შ* და *ჰ*. მაგალითად: *ქუშლო*, *უკუშ*, *მსხუშრპლი*, *ქუშშე*, *წმიდაჟ*, *სარწმუნოებაჟ*, *საკვრველი*, *მღვმე*, *გვრგვნი* და სხვ. თრღატ მეფის სახელი აქ ტირდატ-ის ფორმით გვხვდება, ხოლო ქალაქი ვალეროშენი — ელარშაპატის ფორმით; გრიგოლის ვაჟის სახელის — არისტაკესის ნაცვლად აქ არისტაკოსია დადასტურებული.

სრულიად მოულოდნელი იყო თხზულებაში წმინდა ნინოს ბუნება. იქ, სადაც მოთხრობილია წმინდა ქალწულთა წამების შესახებ, ვკითხულობთ: „ამათ სძალთა ქტესთა რიცხსაგან არს დამბეჭუტლი ჩწნი და სახარებისა ქტესისა ჩუენდა მახარებელი ნინო“. მოულოდნელია აგრეთვე „მართლმადიდებლის“ ხმარება ფრაზაში: „ადტაკებულ იქმნა ზეცად სული მისი (გრიგოლისი) და... აწ მეოხ არს ჩუშნ ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტეანეთის“.

ცალკე დგას XVIII და XIX საუკუნის საღვთსაწულო კოებულეებში დატული ხელნაწერები სათაურით: „თა სკდნბრსა ლ წწისა გრიგლი პართეწლისა მღღლმწიფისა სომხითის ეპისკოპოსისა და წწთა ქწლთა დღთა რიფსიმესი და გაიანესი“. აქ თხრობა მეორე პირშია და ზოტბაშესხმულია წმინდა გრიგოლი და მოწამე ქალწულები, რომლებმაც თავი დასდევს სარწმუნოებისათვის და მრავალი ტანჯვა-წამება გადაიტანეს. შინაარსის მხრივ ეს ხელნაწერები თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, უმნიშვნელო ტექსტობრივ სხვაობებით, რაც ერთი რედაქციის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების XVIII—XIX საუკუნის აპოკრიფული მოთხრობები საინტერესო მონაცემებს შეიცავს. ზოგიერთ მათგანში დადასტურებულია ისეთი ცნობა, რომელიც არ არის ადრინდელი ხანის სრულ ქართულ ხელნაწერებში. ასე მაგალითად, Q № 750 ხელნაწერში ვკითხულობთ: „ამის მამას ერქვა ანაქ და დედას ეომოხე“. გრიგოლის დედას სახელი უცხოა ეველა დანარჩენი ქართული სრული თუ არასრული ხელნაწერებისათვის. XIX საუკუნის H № 42, H № 1284 და A № 169 ხელნაწერებში დადასტურებულია გრიგოლ განმანათლებლის ძიძის სახელი სოფიო — სოფია, თრდატის გამზრდელის სახელი — ბურდარ და აგრეთვე გრიგოლის მეუღლის სახელი — მარიაში.

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ქართულ რედაქციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ თხზულების სხვადასხვა ენებზე არსებულ თარგმა-

ნებს შორის და „ამ ძეგლის აგებულების შესასწავლად ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს“¹¹.

გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ქართულ ხელნაწერების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ შედგენილობის თვალსაზრისით არსებობს გრიგოლის ცხოვრების ვრცელი და მოკლე რედაქციები. ამ ხელნაწერებში ჰოცემულია შესავალი, შემდგომ გრიგოლისა და წმინდა მოწამე ქალწულთა ამბავი და სომხეთის მოქცევის ისტორია თავიდან ბოლომდე. მეორე მხრივ, გვაქვს ისეთი ხელნაწერებიც, სადაც მხოლოდ გრიგოლის მოწამებრივი ამბავია გადმოცემული, რომელსაც წინ უძღვის შესავალი ნაწილი მცირე ისტორიული ექსკურსით.

წარმომავლობის თვალსაზრისით ქართული ხელნაწერები ორ ჯგუფად იყოფა: ერთში შედის ხელნაწერები, რომელთა წყარო ბერძნული ტექსტია, ხოლო მეორე ჯგუფში ისინი, რომლებიც სომხურიდან უნდა იყოს თარგმნილი.

¹¹ ო. ქ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 79.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ალმოსაველეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

ახონე კიხიძე

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია და ქართველური ენების შესწავლა

რუსეთში (პეტერბურგში) მეცნიერებათა აკადემია — პეტერბურგის აკადემია — დაარსდა 1724 წლის 29 იანვარს პეტრე პირველის ინიციატივით. 1841 წელს რუსული ენისა და სიტყვიერების განყოფილების სახით მას შეუერთდა 1763 წელს დაარსებული რუსეთის აკადემია (Российская Академия).

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით აკადემიას ეწოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

არსებობის 250 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია დღევანდელ გაიზარდა თავისი სამეცნიერო დაწესებულებებითა და მეცნიერული კადრებით.

პეტერბურგში ქართული ენის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. პეტერბურგის უნივერსიტეტში პირველი ლექტორი ქართული ენისა და ასევე პირველი ვაჟგე ქართული ენის კათედრისა იყო დავით ჩუბინაშვილი, რომელმაც შეადგინა „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, „ქართულ-ფრანგულ-რუსული ლექსიკონი“, „ქართული ენის გრამატიკა“ და სხვა.

ამავე უნივერსიტეტში ინტენსიური კვლევა ქართულისა და საერთოდ ქართველური ენებისა იწყება ალ. ცაგარლის ინიციატივით. ჭერ იყო-და, 1872 წელს მან გამოაქვეყნა „Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков“. მას მოჰყვა „О Грамматической литературе грузинского языка“ (СПБ, 1873), უფრო გვიან კი — სადოქტორო დისერტაცია „Мингрельские этюды, вып. I. Мингрельские тексты с переводом и объяснениями“ (СПБ, 1880); вып. II, „Опыт фонетики мингрельского языка“ (СПБ, 1880).

„მეგრული ტექსტები“ თავისი შედგენილობით მრავალფეროვანია. საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ალ. ცაგარლის მეგრული ტექსტების სახით პირველად არის ჩაწერილი ქართველურ ენათა მასალა საენათმეცნიერო მიზნით“ (არნ. ჩიკობავა). მეორე ნაწილში განხილულია მეგრულის ფონეტიკური თავისებურებანი. არის ცდა, ესა თუ ის მოვლენა განხილულ იქნეს ქართულთან შედარებით.

თუ აღრე მეცნიერებათა აკადემიაში ერთეული მეცნიერები (მარი ბროსე და სხვ.) იკვლევდნენ ქართულ ენას, 1909 წელს ნ. მარის თაოსნობით დაარსდა სერია „მასალები იათეტურ ენათმეცნიერებაში“ („Материалы по яфетическому языкознанию“), სადაც დაიბეჭდა:

1. ილია ჭყონიას „სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჭუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები“ (1910);

2. ნ. მარის „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ“ (Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1910);

3. ი. ყიფშიძის „დამატებითი ცნობები ქანური ენის შესახებ“ (Дополнительные сведения о чанском языке, СПб, 1911);

4. ზ. კარაიას „აფხაზურის დამოკიდებულების შესახებ იაფეტურ ენებთან“ (Об отношении абхазского языка к яфетическим, СПб, 1912);

5. ე. ბერიძის „სიტყვისკონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ (Грузинский (картский) глоссарий по имерскому и рачинскому говорам, СПб, 1912);

6. ყიფშიძის „მეგრული (ივერული) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ“ (Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, 1914);

7. იონიანის „მეგმარეში ბალხარე ეახსლე ხორავ“ (Сборник сванских названий деревьев и растений, СПб, 1917);

8. ა. იონიანის „ლუნუე ამბუარ ლელაშხუ შუმი ნინუჲ“ (Сванские тексты на лашхском наречии..., СПб, 1917);

9. ნ. მარის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკა“ (Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925).

ნ. მარის „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკის“ „საგრამატიკო სისტემა იკვება რაც „ბირითად ტაბულებში“ გექონდა: სემიტურ ენათა სტრუქტურის პრინციპებს ემყარება და მანც „ქანურის გრამატიკა“ ნ. მარის ერთი საუკეთესო შრომათაგანია: მასალა თუმც უკმარია, მაგრამ — სანდო, გრამატიკის მიმოხილვა უფრო სრული და ზუსტია, ვინემ ქანურის შესახებ მანამდე არსებულ ლიტერატურაში¹.

ნ. მარის „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკის“ შესავალში აღნიშნულია, რომ ნიკეტური ოჯახის წარმომადგენელია იაფეტური ენები, რომლის შედგენილობაში ოთხი ჯგუფია წარმოდგენილი: თუბალ-კაინური, სონ-სომეხური, კაშდ-მოსოხური და ჯგუფი გამოუცნობი ენებისა.

თუბალ-კაინური ჯგუფის ენებია ივერული (მეგრული), ქანური (ლაზური) და წინარეარული (პაიური); სონ-სომეხურია — სვანური, წინარეარული (სომხური?); კაშდ-მოსოხური ენებია ქართული და ქართულთან შერწყმული მესხური².

ნ. მარის „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკის“ მოჰყვა ი. ყიფშიძის „დამატებითი ცნობები ქანურის შესახებ“. მასში გრამატიკის შევსების მიზნით მოცემულია გრამატიკული მიმოხილვა (გვ. 1—8), გამოქვეყნებულია ტექსტები (გვ. 9—23) და ქანურ-რუსული ლექსიკონი (გვ. 24—33).

5. მარის მიხედვით ი. ყიფშიძეც „მეგრული ენის გრამატიკის“ წინასიტყვაობაში მიუთითებს, რომ მეგრული ენა უახლოესი ნათესავია ქანურისა და

¹ არნ. ჩიქობავა, ივერულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965, გვ. 342.

² ი. წიკოლაძით — არნ. ჩიქობავა, ივერულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 342.

მასთან ერთად ქმნის იაფეტურ ენათა შტოს ერთგვარ თუბალ-კაინურ ენათა ჯგუფსო.

შედგენილობით ი. ყიფშიძის „მეგრული (ივერული) ენის გრამატიკა“ მოგვაცნობს ნ. მარის „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკას“, ოლონდ ტექსტები ნ. მარის „ქანური ენის გრამატიკაში“ ცოტაა, ძლიერ ცოტა (შეადგენს 43 გვერდს რუსული თარგმნითურთ), სამაგიეროდ ლექსიკონი ერცელია. ი. ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკაში“ წარმოდგენილი ტექსტები მოიცავს ზუგდიდურ-სამურზაყანულსა და სენაკურ კილოყაებს და შეადგენს 188 გვერდს.

ქართულ ენათმეცნიერებაში ქანური და მეგრული ადრეც ერთი ენის ორ დიალექტად იყო მიჩნეული (ა. შანიძე). შემდგომმა კვლევამ ეს ფაქტი უფრო დაადასტურა. ენას, რომლის დიალექტებია მეგრული და ქანური, არნ. ჩიქობავამ ზ ა ნ უ რ ი ე ნ ა უწოდა. ეს ტერმინი შეესაბამება ისტორიულ ვითარებას.

ნ. მარის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკა“ იბეჭდებოდა დიდხანს: დაიწყო 1918 წელს და დამთავრდა 1925 წელს. ავტორისავე სიტყვით, ეს გრამატიკა გამოქვეყნდა მისი ავტობიოგრაფიის იდეოლოგიური სიკვდილის შემდეგ... გარდაიცვალა არა მარტო ძვირფასი მოწაფე იოსებ ყიფშიძე, ... არამედ მოკვდა ის იდეოლოგიაც, რომელიც იმ ეპოქის ჩვენს გრამატიკულ ნაშრომებს ელო საფუძვლადო (გვ. IV).

ამ გრამატიკას ერცელი და ამომწურავი რეცენზია უძღვნა არნ. ჩიქობავამ³.

რეცენზიაში აღნიშნულია, რომ წიგნს დასტუბობია ბექდვის ბედი. მთლიანობა. რომელიც ახასიათებს ამავე ავტორის „ქანური ენის გრამატიკას“ არსადა ჩანს; მასალების დალაგებაც, კერძოდ ზმნები. სასურველი მდგომარეობიდან შორსა... 1923 წელს აღმოჩენილი ხანმეტი და ჰემეტი ტექსტების შესახებ შენიშვნაც არსად ჩანს; არც სათანადო მასალა გათვალისწინებული.

აღნუსხულ დიდძალ შეუსაბამობასთან ერთად რეცენზიაში გახაზულია ამ გრამატიკის მნიშვნელობაც: ეს პირველი ნაშრომია, რომელშიც მთლიანად წარმოგვიდგა ძველი ქართულის ენობრივი სახეობა⁴. სხვაგანაც ნათქვამია: ბოლოდროინდელი შრომები („ქართული ენა“ [იგულისხმება, მ. ბრიგის თანავტორობით რომ გამოქვეყნდა პარიზში 1931 წელს], „ძველი ქართულის გრამატიკა“) პალეონტოლოგიური ინტერპრეტაციით არის დატვირთული (უკეთ: დაბნელებული). მაინც ამ მონოგრაფიებს ქართული ენით დაინტერესებულ სპეციალისტები გვერდს ვერ აუვლისო⁵. ეს შეფასება მთლიანად შეეფერება „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკას“.

ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული ჰანს ფოტსაც: ნ. მარის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკა“ გამოქვეყნებისთანავე მოქველებული იყო და მოლოდინი არ გაამართლაო⁶.

ი. ჭყონიას „სიტყვის-კონაში“ წარმოდგენილია ისეთი სიტყვები, რომლებიც არაა შეტანილი სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონსა“ და და-

³ „მემიზილელი“, საქართველოს ისტორიის აკადემიის საზოგადოების ორგანო, I. ტფილისი, 1926, გვ. 285—330.

⁴ იქვე, გვ. 330.

⁵ არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 372.

⁶ ვსარგებლობთ ივ. ჯავახიშვილის დამოწმებით. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თვალპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ. 62.

ვით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“, ან ახსნილია. მაგრამ ამ სიტყვებს აქვს სხვა მნიშვნელობაც.

3. ქარაიას „აფხაზურის დამოკიდებულების შესახებ იაფეტურ ენებთან“ საყურადღებოა იმით, რომ აქ შედარებულია აფხაზურის ფონეტიკური შედგენილობა და მორფოლოგიური თავისებურებანი ქართულთან (და სხვა ქართველურ ენებთან) და გამოთქმულია მოსაზრება ქართულისა და აფხაზური ენების ნათესაობის შესახებ.

ე. ბერიძის „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ პირველი ლექსიკონთაგანია, რომელშიც მოცემულია ქვემოიმერულსა და რაჭულში დადასტურებული უფოთი სიტყვები და ტერმინები შესაფერისი დოკუმენტაციით.

ა. ონიანის პირველ წიგნში თავმოყრილია სვანეთში გავრცელებული მცენარეების სახელები, მეორეში კი აღწერილია ამ უბნის მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებანი. ამასთან ერთად გამოქვეყნებულია ზღაპრები, არაყები, შაირები და შელოცვები. ორივე წიგნი შეიცავს მდიდარ მასალას სვანური ენის ლაშხური კილოს შესასწავლად.

მონოგრაფიებისა და გამოკვლევების სახით საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოებში 1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიამდე სხვა მრავალი შრომაცაა გამოქვეყნებული ქართული და ქართველური ენების შესახებ. ცალკეული ავტორები სპეციალურად იკვლევენ ქართულისა და ქართველური ენების ფონეტიკურ შედგენილობასა და გრამატიკულ თავისებურებებს, ან ეხებიან სხვა ენებთან მიმართებით.

ამ ნიშნის მიხედვით შეიძლება დავასახელოთ ნ. მარის, იე. მეშჩანინოვის, კ. დონდუას, ბ. რუდენკოს, ი. მეგრელიძის, შ. ძიძიურის, ს. ბიხოვსკაიასა და სხვათა შრომები.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების (შემდეგ ენათმეცნიერების) ინსტიტუტში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ამავე ინსტიტუტის კავკასიურ და ირანულ ენათა სექტორის ხელმძღვანელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. დონდუა. მის სახელთან დაკავშირებულია მრავალი შრომა ძველი თუ ახალი ქართულისა და ქართველური ენების ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებებიდან. ეს შრომებია: „К вопросу о родительном эмпатическом в древнелитературном грузинском языке“⁸; „О двух суффиксах множественности в грузинском“⁹; „Категория инклюзива-эксклюзива в сванском и её следы в древнегрузинском“⁹; „მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში“¹⁰; „დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში“¹¹; „Мехский говор грузинского языка“¹² და სხვა.

1940 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტმა გამოსცა ბ. რუდენკოს „ქართული ენის გრამატიკა“

⁸ „Известия Академии наук СССР“, 1930.

⁹ „Язык и мышление“, I, 1934.

„Памяти акад. Н. Я. Марра“, М., 1939.

¹⁰ „ენიქის მოაზრება“, V—VI, 1940.

¹¹ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 27, 1949.

¹² კ. დონდუა, რჩეული შრომები, თბილისი, 1967.

(Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, М.—Л., 1940). ეს გრამატიკა ძირითადად ემყარება ქართველ გრამატიკოსთა გამოკვლევებს.

1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიამ, რომელიც გაიხსნა „პრადის“ ფურცლებზე არნ. ჩიქობავას ვრცელი სტატიით, და შემდგომმა ვითარებამ, ერთი მხრით, აღნიშნა ნ. მარისა და მისი „მოწაფეების“ შრომების დადებითი მხარეები, მეორე მხრით კი წათელი გახადა და დაგმო მათი თეორიული შეხედულებების ვულგარულ-მატერიალისტური ხასიათი.

საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ უფრო მეტი კონტაქტი დამყარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს შორის. ამ კეთილ დამოკიდებულებას ჰქონდა თავისი საფუძველი: დასახლებულ მეცნიერთა გარდა, ჯერ კიდევ 1913 წელს აკაკი შანიძემ გამოაქვეყნა „მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ „Отчет о летней командировке 1913 года в Душетский и Тлопетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров“. ამავე ავტორმა 1946 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების ორგანოში გამოაქვეყნა გამოკვლევა „Глагольные категории акта и контакта на примерах грузинского языка“¹³. ერთი წლით ადრე კი (1945 წ.) ამავე ორგანოში დაიბეჭდა ვრცელი ანგარიში ა. შანიძის მოხსენებისა „О некоторых глагольных категориях грузинского языка“¹⁴. 1954 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე ა. შანიძე გამოვიდა მოხსენებით „Приинципы классификации грузинских диалектов“¹⁵.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სხდომაზე 1940 წლის 27 მაისს არნ. ჩიქობავა გამოვიდა ვრცელი მოხსენებით „Проблема языка, как предмета лингвистики, в свете основных задач Советского языкознания“¹⁶. ამ მოხსენებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც საენათმეცნიერო დაწესებულებების ზოგი წამყვანი მუშაკი და საერთოდ რიგი ხელმძღვანელები აწმობდნენ ნ. მარისა და მისი „მოწაფეების“ მოძღვრებისადმი მიმართულ საპართლიან კრიტიკულ დამოკიდებულებას.

1948 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ლიტერატურისა და ენის განყოფილების მოამბეში“ გამოაქვეყნდა ამავე ავტორის „О лингвистических чертах картвельских языков“¹⁷ და „Историческое взаимоотношение номинативной и эргативной конструкций по данным древнегрузинского языка“¹⁸.

პირველში მოცემულია ქართველურ ენათა შედგენილობისა და ისტორიული ურთიერთობის საკვანძო საკითხები, მეორეში მეცნიერულად დადგენი-

¹³ „Известия АН СССР. Отделение литературы и языка“, т. V, вып. 2.

¹⁴ „Известия АН СССР. Отделение литературы и языка“, т. IV, вып. 6.

¹⁵ Труды объединенной научной сессии Академии наук СССР и Академии наук Закавказских республик по общественным наукам, Баку, 1957.

¹⁶ გამოქვეყნდა 1941 წელს: „ენიშის მოამბე“, X.

¹⁷ „Известия АН СССР. Отделение лит. и языка“, т. VII, вып. 1.

¹⁸ „Известия АН СССР. Отделение лит. и языка“, т. VII, вып. 3.

ლია ძველი ქართული ენის მდიდარი მასალების ანალიზით ნომინატიური, ერგატიული და დატიური კონსტრუქციები და მათი მიმართებები.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე 1954 წლის აპრილში მოხსენებით გამოვიდნენ ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი თემაზე „К вопросу о формировании грузинского литературного языка“¹⁹.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა ორგანოში ხშირად ქვეყნდება არნ. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძის, თ. შარაქენიძის, გ. როგავასა და სხვათა გამოკვლევები და სტატიები ზოგადი ენათმეცნიერების საკვანძო საკითხებიდან. ამავე ავტორებს და აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებს ხშირად უხდებათ გაერთიანებულ სამეცნიერო სესიებში მონაწილეობის მიღება.

აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ხუთ ტომად გამოცემული „საბჭოთა კავშირის ხალხთა ენები“ (1966—1968 წწ.), რომლის მეოთხე ტომი იბერიულ-კავკასიურ ენებს ეძღვნება. მასში მოცემულია იბერიულ-კავკასიური ენების ვრცელი დახასიათებები. გამოქვეყნებული 45 ნაშრომიდან თბილისელ ენათმეცნიერთა მიერ შესრულებულია 19. ტომის რედაქტორები არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ე. ბოკარევი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქ. ლომთათიძე. ამ ტომში ქართველურ ენებს ეძღვნება აკად. არნ. ჩიქობავას, აკად. ვ. თოფურიასა და სხვათა გამოკვლევები.

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა გ. კლიმოვის „ბრუნება ქართველურ ენებში შედარებით-ისტორიულ ასპექტში“ („Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте“, М., 1962) და „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ („Этимологический словарь картвельских языков“, М., 1963).

ქართული (ქართველური) ენის მასალას იყენებენ სხვა მკვლევრებიც, რომელთაც არაერთი საყურადღებო გამოკვლევა აქვთ გამოქვეყნებული.

ესაღია. მთელი საქმიანობის გადმოცემა შეუძლებელია. აქ ხაზი გავუსვით წარღოდ იმ გამოკვლევებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლების მიერაა შესრულებული. ან კიდევ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხალხებით შესრულებულია და გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანოებში.

¹⁹ Труды объединенной научной сессии Академии наук СССР и Академии наук Закавказских республик по общественным наукам. Баку, 1957.

ილია გაბულაშვილი

ქველი ქართული ტერმინის ბაზო

სახრვა

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბიბლიის ქართულ თარგმანში დაცულია „უძველესი ქართული ტერმინი „სახრვა“ და გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით იგი წარმოადგენდა შელოცვის უძველეს ეკვივალენტს¹. მართლაც, იერემიას წინასწარმეტყველები² ერთ-ერთ თავში ეკითხულობთ: „რამეთუ აჰა ესერა მოვაკლინ(ნ)ე თქუენ ზედა გუელნი მომსერელნი, რომელთა მიმართ არა არს სახრვა³ და გიკებენდნენ თქუენ, იტყვს უფალი“ (იერ. 8, 17)⁴. მკვლევარი იმოწმებს ბიბლიის რუსულ თარგმანს, რომელიც მხარს უჭერს მის მიერ წამოყენებულ მოსაზრებას: *Ибо вот я пошлю на вас змею василисков, против которых нет заговаривания, и они будут уязвлять вас, говорит Господь*⁵. ამის საფუძველზე წამოყენებული იყო ორი შესაძლებელი მოსაზრება, რომლის თანახმად „სახრვა“ ან შელოცვის პროცესის ამსახველი ტერმინია, ან კიდევ გრძნეულობისა. თუმცადა იქვე მკვლევარი უფრო მისაღებად თვლის, რომ „სახრვა“ შეიძლება მიჩნეულ იქნეს შელოცვის უძველეს ქართულ ტერმინად⁶.

მოვიყვანთ ზოგიერთ დამატებით მაალას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ვიდრე სხვა ძეგლებიდან სათანადო აღგილების დამოწმებას და მათს განხილვას შეუვადგებოდეთ, აქვე გვირდა გავარკვიოთ ტერმინ „სახრვა“-სთან დაკავშირებული ზოგიერთი არსებითი საკითხი. სულხან-საბა, „სახრვას“ ვანმარტავს როგორც „მოგობის შელოცვას“, ხოლო „მსახრვალის“ შესახებ შემდეგს ამბობს: „თოიჩი და მსახრვალი იგი არს, რომელი მოგობითა და გრძნებითა მძვინვარებანი მკეცთანი მოამშვიდიან, სიზმართ ამხსნელსაც მსახრვალად უწოდენ“. თილისმის შესახებ ასეთ საინტერესო განმარტებას გვაწვდის ლექსიკოგრაფი: „სპარსულად თილისმი სახრვა არს გრძნეულთა“, თოიჩის შესახებ ეკითხულობთ, რომ იგი „სომხურია, ქართულად მსახრვალი ჰქვიან“.

სომხურში მართლაც დასტურდება ასეთი ფორმა: *Թուխ*, რომელიც საწყისია და ნიშნავს მოჭაღობას. შელოცვას: ხოლო *Թուխ* სახელია *Թու* ძირიდან ნაწარმოები და იხმარება კუდიანის, მისანის მნაშვენელობით. სულხან-საბა სწორედ ამ უკანასკნელს გულისხმობს, როცა სომხურ „თოიჩ“-ზე მიუთითებს და ამბობს: „ქართულად მსახრვალს“ ეძახიან, ე. ი. მსახრვალი ამ განმარტების თანახმად არის პირი, რომელიც გრძნეულებას ჩადის.

კიდევ უფრო საინტერესოა ლექსიკოგრაფის მითითება, რომ „სპარსულად თილისმი სახრვა არს გრძნეულთა“. თილისმა არაბულსა და სპარსულშიც (არაბ. *ṭalsim* — სპარს. *telesmi*) ავგაროზს ნიშნავს, ხოლო სულხან-საბას სიტყვებიდან გამომდინარე ავგაროზი გრძნეულთა სახრვა ყოფილა, ე. ი. გრძნეულთა ჯადოქრობა. სპარსულში კი ამ (ჯადოქრობის) მნიშვნელობით გვხვდება არა-

ბული **ܣܚܪ** *seh* ძირიდან ნაწარმოები სიტყვა **ܣܚܪ**. მისგან ნაწარმოებია **ܣܚܪܘܪ** *sehriwar* ფორმა, სადაც **ܘܪ** დაუფლების გამომხატველი სუფიქსია. „სახრვა“, როგორც ბევრი სხვა არაბული სიტყვა, ქართულში ზეპირი გზით შემოსული ჩანს სპარსულის მეშვეობით.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართულმა სპარსული **seh** სიტყვიდან აწარმოა მას-ღარი „სახრვა“. ჩხიბეა და მისთანა სიტყვების ანალოგიით. ქართულმა ენამ შემდეგ თავისი გრამატიკული შესაძლებლობისა და მიხედვით აწარმოა სიტყვა „მსახერელი“. რომელიც იმასვე ნიშნავს, რასაც სპარსული **sehriwar** „ჯადოქარი, გრძნეული“.

ბიბლიაში **ܣܚܪ** სადაც „სახრვა“ გვხვდება (იერ. 8.17), გვაქვს **ܠܗܝܫ** (*lāhās*)?, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ჩურჩულს ნიშნავს, მაგრამ შელოცვის მნიშვნელობითაც იხმარება. კერძოდ, ის შეიძლება დაუკავშირდეს გველის შელოცვას (**Schlangenbeschwören**)⁸. აქ ერთ საანტერესო მომენტთან გვაქვს საქმე: ჩურჩული გაიგივებული ჩანს შელოცვასთან. ეს შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. რადგან შელოცვის ჩურჩულით წარმოთქმა ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი მხარეა მაგიური მოქმედებისათვის⁹.

ბიბლიის ბერძნულ თარგმანში იერემიას წინასწარმეტყველების სათანადო ადგილას გვხვდება **ἐπιμαζα**¹⁰, რომელიც სიმღერით მოჯადობებს, მონუსხვას, კონტექსტში კი შელოცვას ნიშნავს. ლათინურად იგივე სიტყვა გადმოცემულია **incantatio**¹¹. რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა შელოცვაა.

ბიბლიის სომხურ თარგმანში ანალოგიურ ადგილას იკითხება **խոլჰაჰ**¹². მას ვრინეული მოქმედების შინაარსის მქონე სხვადასხვა გაგება აქვს; საგულისხმებელია, რომ კონტექსტში შელოცვის გააზრება ჰქონდეს (შდრ. **խოლჰ** სომხურში ნონუსხვას, შელოცვას ნიშნავს). გერმანულად ბიბლიის ლუთერიანულ თარგმანში იგივე წარმოდგენილია ასე: **beschwören**¹³, ხოლო ე. ჰენნეს და ა. რომის პირველი აღთქმის გერმანულ გამოცემაში სათანადო ადგილას დამოწმებელია **beschwörung**¹⁴. ბიბლიის გერმანული თარგმანის მიხედვით შედგენილ ლექსიკონში **beschwören**¹⁵ ღვთის წინაშე (ღვთის სახელით) დაბეჭდვის ან წინების მეშვეობით რაღაცის აღიარებას ან პირობის იძულებას ნიშნავს¹⁶. საბოლოოდ კი **beschwören** სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა შელოცვა. მით უფრო ამავე გაგების არის **beschwörung**.

ძველი აღთქმის არაბულ თარგმანში სათანადო ადგილი წარმოდგენილია **لُرْكَا** (*lurkā*) (ძიბი **لُرْكَا** *rakā*) სიტყვით, რაც გველის კბენის საწინააღმდეგო შელოცვას ნიშნავს¹⁷.

ბიბლიის სხვადასხვაენოვანი თარგმანებიდან ანალოგიური ადგილების დამოწმებით და მათი მნიშვნელობების გარკვევით როდი წყდება საძიებელი საკითხი. საყურადღებოა, რომ ბიბლიაში **ܠܗܝܫ** რამდენსავე ადგილას გვხვდება. მკვლელთად: ეკლესიასტე 10.11; ესაია, 3,3; 3,20; 26.16; საკუთრივ იერემია 8.17... აქედან ქართულ თარგმანში (ბაქარის ბიბლიის მიხედვით), ისე როგორც სომხურსა და ბერძნულში, ესაია 3,20 და ესაია 26,16 მუხლებში ბიბლიაში კონტექსტის მიხედვით **ܠܗܝܫ** სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობაა **w'hal-l'ḥšim** (ეს. 3.20) — **волшебный привески**¹⁸; **lahās** (ეს. 26, 16) — **в молитве**¹⁹ — ან გვხვდება.

ხმარების დროს²⁴ როგორც ჩანს, სულხან-საბას დროს უკვე საკმაოდ შერყეული ყოფილა მათი მტკიცე, განსაზღვრული ხმარების წესები.

ქართულში „სახრვა“ სიტყვის შინაარსი ძირითადად ორი მნიშვნელობისაა: გრძნეულობისა და შელოცვისა. პირველი გაგება მეცნიერებაში დღეს მიღებულია²⁵, რაც შეეხება მეორე მნიშვნელობას. მის შესახებ თქმის აღნიშნული იყო სპეციალურ ლიტერატურაში²⁶, მაგრამ რატომღაც საბოლოოდ ყურადღება სათანადოდ მაინც არ ყოფილა გამახვილებული. სულხან-საბა დაბეჭდვით აღნიშნავს, რომ „სახრვა“ „მოგობის შელოცვაა“. ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა რომ შელოცვა იყო ძველ ქართულში, ეს არა მარტო ბიბლიის ქართულმა თარგმანმა დაგვიდასტურა, არამედ ამას მხარს უჭერს ისეთი ძველი, როგორცაა ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და სხვ.²⁷ სიტყვა „სახრვა“ გვხვდება ქართულ წერილობით სხვადასხვა ძეგლში. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი²⁸: 1. რომელი სახრვაა გრძნეულთაჲ შემძლებელ არს შერყევად მისა, რომელი-იგი მან თავადმან დააფუძნა?²⁹ 2. ხოლო ნეტარმან მან დედაკაცმან ყოვლადვე უგუნურებით სახრვაა იგი მკეცისაჲ მის სულთა განმრყუნელისაჲ არა თავს იღვა³⁰. 3. და ვითარცა აღძრა იგი სახრვაჲმან გრძნეულთაჲმან, რომელი-იგი მან თავადმან დააფუძნა მალამან?³¹ 4. და კულად იოსიბოსცა მრავალთა მოიქსენებს წერიტ-ნამუშავეეთა მისთა, ვიდრემდის სახრვანიცა ფუცებანი ეშაქველთა ზედა წარსატქმელი მოიგონა³². 5. მეგვიპტური გულმძიმობაჲ, ქანანელთა ზეჩლუბანი, მსხურავაჲ ნაშობთაჲ, ზმნაჲ და სახრვაჲ, კოწოლი თმათაჲ და სხუანი, რომელთა შენ ჰხრანე არამსჯავსებაჲ, უწარმდებესად მოვიგენ თვთ მათ პირმშოთა სახელასცაჲ³³.

გრძნეული მოქმედების და ამ მოქმედების ჩამდენ პირთა გამოსახატავად ქართულში მოგვეპოვება სხვა ტერმინებიც, რომლებიც წერილობითი ძეგლებით დასტურდება. ესენია: მკიხნაობა, მუცლიტ-მეზღაპრეობა, გრძნეულობა, მისნობა, კუდიანობა და მისთ. მუცლიტ-მეზღაპრე სხვადასხვა ფორმითაც შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითად: მუცელ-მოგვ, ზღაპარმეტყუფლი, მისან-მეზღაპრე და სხვ. მუცლიტ-მეზღაპრე დასტურდება ბიბლიაში (იხილეთ 8,19: 19,3: 44,25) და სხვ. ბეგლებშიც (ჩრონოგრაფი 75,23; 113,13; 116,28 და სხვ.)³⁴. მას შესატყვისება რუსული *уверенность*, ბერძნული *ἐπιβεβαιωσις*, გერმანული *wahrsagegeist* ან *wahrsager*.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს თვით ბიბლიის ქართულ თარგმანის მიხედვით გრძნეულობის მოქმეუ პირთა გამომხატველი სხვადასხვა ტერმინების საილუსტრაციოდ³⁵. მაგალითები მოგვეყვას რ. ბლეიკის გამოცემის მიხედვით (*Patrologia orientalis*, tome XXIX — fascicule 5): 1. და პატკო მიფემან მოწოდებაჲ მოგუთაჲ და მსახრელთაჲ და გრძნეულთაჲ (დანიელ, 2,2). 2. მიუგო დანიელ წინაშე მეფისა და თქუა. საიდუმლოსა მას, რომლისა მეფეჲ იუთხეილა არა არს სიბრძნეთა და მოგუთაჲ და მისანთაჲ და გაჭარბეულთაჲ ხსრობად მეფისა (დანიელ, 2,27).

მაგალითების გაზრდა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ კმარა. რადგან ზემოთქმულიც ნათლად ადასტურებს გრძნეული მოქმედების გამომხატველი ტერმინის პარალელურად ხმარების ფაქტს ბიბლიის ქართულ თარგმანში და მათ ცონკრეტულ, შინაარსობრივი განსხვავების რეალურ სურათს.

მაგიური, გრძნეული მოქმედების შინაარსს შეიცავენ სიტყვები: ჩხიბვა (მჩხიბაეი), ჩხაბვა (მჩხაბაეი). ჩხრეკა (მჩხრეკელი), წერა (მწერალი, ბედის მწერალი)³⁶, თუმცა ზოგიერთი მათგანი ქართულ წერალობითს ძეგლებში უკვე სხვა მნიშვნელობით დასტურდება³⁷.

ზემოთქმულიდან შეიძლება დაეასკენათ, რომ „სახრეა“ (ამ სიტყვის პირიანი ფორმა ჭერ შენიშნული არ არის) არაბული წარმოშობის სიტყვაა სპარსულის ვხით შემოსული ქართულში. მისი მნიშვნელობაა: გრძნეულობა და შელოცვა. ეს უქანასენელი გააზრება „სახრეა“ ტერმინისა დადასტურა ძველმა ქართულმა წერილობითმა ძეგლებმა. ძველი ალექსის ქართულ ტექსტში შელოცვის მნიშვნელობით იხმარება ტერმინი „ჩურჩუნვით“ (ეკლეს. 10,11), ე. ი. ჩურჩული. ამ ტერმინს სხვა ენებშიც მოეპოვება ტიპოლოგიური პარალელები: ებრაულად שׁוֹרֵחַ לַיָּהּ ჩურჩულსაჲ ნიშნავს და შელოცვასაც. ებრაული წყაროდან უნდა მომდინარეობდეს კონტექსტში ამავე მნიშვნელობების მქონე პერძნული ტერმინი חֲשִׁיבֻּת (ეკლეს. 10,11) (მღრ. სომხური *խիւկ*, გერმანული *beschwören* || *beschwörung*).

რუსულ ენაში შელოცვის გამოსახატავად სხვადასხვა ტერმინი არსებობს. ერთ-ერთი მათგანი არის დღემდე ხალხურ მეტყველებაში კარგად შემონახული „шептания“ — ჩურჩული, ჩურჩულით წარმოთქმულა, ჩურჩულით თქმა³⁸.

ჩურჩულის მაგიური მნიშვნელობა დასტურდება ძველ გერმანულ კულტურულ მსოფლიოში. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მეცნიერებისათვის დღეს კარგად ცნობილი რუნული (*runen* — ნიშნავს ჩურჩულს) დამწერლობა³⁹. „Runische Schrift war nicht als Mittel zur Mitteilung von Nachrichten, sondern nur als Zauberinstrument“, — წერს ფრიდრიხ ენგელსი⁴⁰ და კარგად მიუთითებს წარმართული რწმენის სამოხელში გასცეულ რუნული დამწერლობის მაგიურ დანიშნულებებზე.

შეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეგრულში არ გვაქვს სპეციალური ტერმინი. რომელიც ქართულში დღეს ხმარებულა სიტყვის — შელოცვის შინაარსისა იქნებოდა. სამეგრელოში ყველგან „შელოცვას“ ხმარობენ, თუ შეადგელობაში არ მივიღებთ ზუგდიდის რაიონში ჩვენ მიერ ფიქსირებულ „შელოცვა“-ს. რომელიც მხოლოდ ფონეტიკურ სახესხვაობას იძლევა ქართული ტერმინისა.

სეანურ ენაში, განსხვავებით მეგრული ენისაგან, გვაქვს ტერმინი „ნინიშ ლიჭვისგ“, რაც პარალელი მნიშვნელობით თქმას (თქმ-ს პრატეკსს) აღნიშნავს⁴¹ და ამ სიტყვით შელოცვის მნიშვნელობაც აქვს. დასტურდება აგრეთვე ტერმინი „ფხვტრე ლიჭგრი“. ამას უფრო ბავშვებზე იტყვიან, განსაკუთრებით ბავშვს, როცა ხანე შეაწუხებთ“, — ასე აგვიხსნა მთქმელმა დასახელებული ტერმინი და თან დასძინა: „ჩვენში ამას ღეთის წინაშე მიძღვნაზე და სხვა რამეზედაც იტყვიანო...“ აღნიშნული თვალსაზრისით მუშაობა ბევრ საინტერესო მასალას შესძენს არა მარტო ფოლკლორისტიკას და ეთნოგრაფიას, არამედ ენათმეცნიერებასაც.

შ ბ ნ ი შ კ ნ ე ბ ი

¹ თ. ო ქ რ თ შ ი ძ ე, შველურენი ეძველესი ქართული ტერმინი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 2, 1955.

² სულხან-საბა „საბიჯის“ განმარტობას, მიუთითებს რა ისრაელუნს 57,5, წერს: „(მარომ.) გველი არს, რომელი მსახრელსა არა უსმენს სახრ ეასსა. (!)“.

³ გელათურ ნუსხებში და პაპარას ბიბლიაში ანალოგიურ ადგილას დატურდება „სახრეა“, ხოლო ომეტი ნუსხის მიხედვით: „სახრე“.

⁴ Patrologia orientalis, tome XXIX -- fascicule 4. The old Georgian version of the prophets, Critical edition with a latin translation by R. P. Blake and C. M. Briere, Paris, 1961.

⁵ Священные книги Ветхого завета, в переводе с еврейского текста, т. II, издание британского и иностр. библенского общества, Берлин, 1913.

⁶ თ. ო ქ რ თ შ ი ძ ე, დასახ. წერტილი, გვ. 176.

⁷ מִלְחָמָה შელოციენ მნიშვნელობით სხვაგანაც დატურდება (იხ. ქვემოთ).

⁸ W. Gesenius, Hebräisches und Aramäisches Handwörterbuch, Leipzig, 1910.

⁹ ებრაული ტექსტის მნიშვნელობა საძიებელი საკითხის გარკვევითაჲს კვლევა უფრო სარგებრესი ჩანს, თუ გაითვალისწინებთ იმასაც, რომ ბიბლიის იერემიას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანი ბერძნული სექტანტიდან არ უნდა მომდინარეობდეს. საყურადღებოა აგრეთვე ზოგი მკვლევარის მოსაზრება, რომელიც ბიბლიის ქართული თარგმანის ზოგიერთი წყაროს უშუალოდ აკოსმოსელური (ებრაული, სირიული) წყაროდან მომდინარეობასაც არ გამოიყენებს (იონიბერი, ე. კეკელიძე, ა. შანიძე, ა. ინეროვიცა და სხვ.). (იხ. ე. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი, სახელწიფო ენივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, V, IX, თბილისი, 1954, გვ. 160). თუმცა უნდა აღინიშნოს, ისიც კი დასაშვებია, რომ ზეენაზე ჰოლმეული ბიბლიის ქართულ ხელაწერებში მკვობელი მუს-ღვენი ი სხვადასხვა რედაქციის იყოს.

¹⁰ Septuaginta id est Velus Testamentum graece juxta LXX interpretes edidit Alfred Rahlf, vol. II, Stuttgart, 1952.

¹¹ Patrologia orientalis, tome XXIX—fascicule 4.

¹² Աստուածաշունչ, ჩին ხ ნო რ კოთაქარანაყ რადსწაოიქსად რ ქრეაქსანს ხ მონასკან რსაყრავ, ღისთმანიწაიციქს, თყაყრიქსნ ზ. ჟოიოთოქსან, 1895, ეს ფორმა ბიბლიის სომხურ თარგმანში დადასტურებულია მხოლოდ ერთხელ (იხ. ჯამაყარეა ჩინ ხ ნო რ კოთაქარანაყ, შრესაოქმ, 1895).

¹³ Die Bibel oder die ganze, Heilige Schrift des Alten und Neuen Testaments, nach der deutschen, Übersetzung, Dr. Martin Luthers, Berlin, 1898.

¹⁴ Das alte Testament aus dem Grundtext übersetzt und erläutert von P. Dr. lic. Bibl. Eugen Henne O. M. cap. II, Teil V, 1847.

¹⁵ ქართულში, რუსულსა და სხვ. იერემიას წინასწარმეტყველების სათანადო ადგილას (იერ. 8, 17) კონტექსტში „არა არს სახრეა“ და per заговаривания გარება როგორც „შველოციადი“, ე. ი. რომელთა საწინააღმდეგოდ არ არსებობს არაფორი შელოცვა. ასევე ე. ჰენნეს და ა. რომის ზოგ გამოცემულ ბიბლიის ვერმანულ ტექსტში: beschwörung, ხოლო ლუთერის თარგმანში beschwören (.. die nicht beschwören sind. ..) კონტექსტში ნამყო სრულით არის ვადმოცემული და წაიკეთება ასე: შევლოციენი, ან უკეთ, ჟერ არ არიან შელოციენი.

¹⁶ Bibellexikon, Herausgegeben von Prof. Herbert Haag Tübingen, st. Benno-Verlag, Gmbh, Leipzig.

¹⁷ Библия или книги Ветхого и нового завета, изд. американского, британского и иностранного библейских обществ, Бейрут, 1941 (на арабском языке).

¹⁸ Священные книги Ветхого завета, в переводе с еврейского текста, т. II, Берлин, 1913.

¹⁹ იქვე.

²⁰ ნაშრომში ბიბლიის სომხური თარგმანზედა პარაფრაზებში მოყვანილს სხვადასხვა გამოცემის მიხედვით.

²¹ სათანადო შევლოცი ებრაული ტექსტის მიხედვების გამო აქ გერ მოვეყვას.

²² ქართულ „სახრეალს“ შიორი შეხთვევაში (ეს. 57,6; ებრაულის მიხედვით ეს. 57,6) ბიბლიაში შეესატყვისება מלחמה.

²³ Священные книги Ветхого завета, Берлин, 1913.

²⁴ დასაღმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, I, განიხილა მწველა შანიძემ, თბილისი, 1960.

²⁵ სიტყვა „მოკვ“ სულხან-საბასთან განმარტებულა ასე: „ეარსკვლავთმრიცხველი, გინა გრძნულთი“. ქვეთი კი ამბობს: მოგობა, გრძნეულობა, მწამულელობა განყოფილიან, რამეთუ მოგობა წოდება არს ეშმაკთა კეთილის-მყოფელთაჲ ქელის მოქმედებად ვისამც; ხოლო გრძნეულეობაჲ საუკლავთა, გინა ქვნილი წოდებაჲ ბოროტთა ეშმაკთაჲ ბოროტობამოქმედებად ენიამც, ხოლო მწამულეობაჲ, რაჟამს მიეტმითა წამლისათა ფარულად მოაქინოს ვისმც, ანუ შეტყალება შეამთხვიოს; ხოლო როცა ერთგან ლექსიყოფრათი „გრძნეულის“ განმარტებას იძლევა — „ემ-მანკარობის მოქმედობა“, ამის მიხედვით უკვე კირს კონსტრუქციულად რაჟმე შეიხარისს მრცემა, რად-გან ძნელი სათქმელა რამილი ეშმაკური მოქმედება იგულისხმება, რამეთუ ისინი სხვადასხვაგვარნი იყი და არცთუ ისე ცოტა იმ დროისათვის.

²⁶ თ. ი. კ. რ. შ. ი. ძ. ე, დასახ. ნაშრომი; ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე, ძველი ქართული ენის ლექსი-კონი, თბილისი, 1973; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. უშბა-ნეიშვილი მიერ, თბილისი, 1946.

²⁷ თ. ი. კ. რ. შ. ი. ძ. ე, დასახ. ნაშრომი; უკველუი რედაქციეზა ბსალი კესარიელს „ექუს-თა დღესათა“ და გრიგოლ ნოსელს თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჲს“, X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკველევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1954; ბ. ა. ს. ი. ლ. ი. დ. ი. ე, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკველევა და ლექსიკონი და-ურთო მ. კახაძემ, „მასალბი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათჲს“, თბილისი, 1947; ივ. ი. მ. ნ. ა. ი. შ. ე. ი. ლ. ი., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, წილი I, ტექსტები და ლექსიკონი, 1970; ნ. ჩ. უ. ბ. ი. ნ. ა. შ. ე. ი. ლ. ი., ქართული ლექსიკონი ივესელა თარგმანათურთ, ალ. ლონატიის რედაქციითა და გამოკველევით, თბილისი, 1961.

²⁸ მეტრიკ საუკუნეობებო, რომ მ. კახაძის მიერ გამოცემულ ბსალი დღის აქქუსთა დღეთაჲს“ დართულ ლექსიკონში მითითებულა, რომ იქ, სადაც ტექსტში გვხვდება „სახრავ“ შელოცვის მნიშვნელობით (I, 92), ბერძნულში ანალოგიურ ადვალას იკითხება ზეჲაჲმბე(მდრ. ჩვენ შორ ზემოთ ვასხილულ მასალთებს).

²⁹ მაგალითები მოვეყვას „ექუსებისათისნი“ აქადმიური ტექსტის დამკვეთი კომისიათარ კრ-სებული კარათავის მიხედვით.

³⁰ უკველუი რედაქციეზი ბსალი კესარიელს „ექუსთა დღესათა“, თბილისი, 1954.

³¹ წმიდათა ყრმათა ორთა მშათა დაუთისა და ტრიქინისა საკითხაკი, „ქართული და სომხე-რი ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში“, თბილისი, 1944, გვ. 179, 3.

³² ბ. ა. ს. ი. ლ. ი. დ. ი. ე, ექუსთა დღეთაჲ, თბილისი, 1947, გვ. 73, 6.

³³ ს. ყ. ა. უ. ზ. ა. შ. ე. ი. ლ. ი., ბრონორაჲი გოზგანონოზისა, ტელისი, 1920, გვ. 91, 11.

³⁴ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 574, 17.

³⁵ ი. მ. ნ. ა. ი. შ. ე. ი. ლ. ი., კომპოზიტებ-ძველ ქართულში, საღიურტაკითა ნაშრომი ივილოლო-გურ მეცნიერებთა საანდიდატო ბარისისს მასპარეზებად (მანქანაზე გ. ვაჭეტილ), თბილისი, 1970.

³⁶ იხ. სიონალო მუხლები ბზლიის ებრაულ, ბერძნულ და სომხურ ტექსტებში.

³⁷ იხ. ს. უ. რ. გ. უ. ლ. ა. ძ. ე, „წიხა“ ენობ-ს აგ ბსათის“, მასალები საქართველოს ეთნოგრა-ფიისათვის XVI—XVII, თბილისი, 1974, ნა. 2: 0 237

³⁸ იხ. A—1064, 32, 14; A—1358, 44, 1; S—273, 156, 37; S—2708, 218, 24

³⁹ Ю. М. Соловьев, Русские филологы, М., 1941, გვ. 192.

⁴⁰ იხ. გრ. ბ. ა. ე. თ. ს. ი., ნარკეეები ექსმანუ ლიტერატურის ისტორიისა, ტ. I, თბილი სი, 1953, გვ. 12

⁴¹ Ф. Энгельс, Происхождение семьи, членской собственности, К. Маркс и Ф. Энгельс, Социализм, XXI, М., 1961, 11.

⁴² პრი. ა. ს. ს. ხახარულძემ შეიღოცეს სიაღერ ბერძნულთა ორი ანალოგიური ანალოგიებისა, ანალოგიებისა, ანალოგიებისა, თბილისი, 1955, 41

(წარმოება ნ. ელის სსრ
აქადმი - მიკოსპა გ.

ლარეჯან ჩხუბინიანიძე

ძველი ქართულის ლექსიკიდან

(ბურთუ, ბირთუ)

ბურთი ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვაა. იგი ძველ ქართულშიც გვხვდება. მაგრამ ოდნავ განსხვავებული ფორმით: ბურთუ (ბურთვ, ბურთუსა, ბურთუსა და ა. შ.). ძირითადი მნიშვნელობაა — „სათამაშო გუნდა, მრგვალი საგანი“. გარკვეულ კონტექსტებში იგი „სფეროსაც“ აღნიშნავს. მაგალითები:

ბურთუსა: ... ვითარცა იგი ბურთუსა, რაჟამს უხეთჳნის ვინმე აღვალსა ჩამრცესა, სიბრველითა შიდა და აღვილისა შთამრცეობითა მძაფრად შთაგორდის იგი შთამართ...
[ქვეს. დღ. 124, 14.]

ბურთუ, ბურთუსა: ყრმანი მომღერალნი მბურთველობდეს. ვითარ უკუე ბურთუსა ურთიერთს მიუვდებდეს, შეემთხვა მას კარაულისა ფერქთა მიერ, რომელსა მჭდომარებად ღუჯონს. ცათრგუნელითა დაფრდომილობაჲ. ხოლო ყრმათა მყის აღიზახეს, საძაგებულად რცხა ბურთუს მუქველთა...

ხოლო ჰაბუკთა მეყსეულად აღაზნეს ცეცხლი და ბურთვ ორ და სამ გზის განავლეს ძაჲ შინა... და ეგრეთღა კუალად იქუმიეს იგი მღერისა მიმართ: ევს. სამოსატ. 144, 1-10.

ამ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ოთხჯერ არის დადასტურებული საში სხვადასხვა ბრუნვის ფორმით: სახელობითში, მიცემითსა და ნათესაობითში. ფუძისეული უ შემონახულია ნაწარმოებ ზმნაშიც: მბურთველობდეს.

ბურთვ: და ვითარცა რაჲ ბურთვ შთამართსა გინა ჰუნე ვაკესა ველსა, ეგრეთ ნეტარი ცოლ საღმრთოთა წერილთა სწავლისა და მართალთა რწმენათა დამტკიცებისა მიმართ ერსა ზედა მიუტყუა: დიოს კოსტ. 178, 13.

ბურთუსა: ქუეყანაჲ ესე აღესებულ არს ნათლითა, ხოლო ზნელო საბურველი არს გუბისა მის ქუეყანისაჲ დარბილებული. და ესე ამის გამო იქმნების, რამეთუ არს იგი მრგავლი ბურთუსა, ზედა-ეგრძო კურსა მას შვისასა ინჯით მსგავსად სანობარისა: კაც. ავტბ. 194, 4.

ბურთვს: მრავალთა აღწერეს ხატთათჳს ქუეყანისათა. ვითარმედ ბურთვს სახე იგი... ექუს. დღ. 123, 20.

დამოწმებული მასალა ამოღებულია ნათარგმნი ძეგლებიდან, მათგან ყველაზე ძველი („კაცისა აგებულებისათჳს“) მე-10 საუკუნის 70-იანი წლებით თარიღდება¹.

„ვეფხისტყაოსანსა“ და საერო მწერლობის სხვა ძეგლებში უკვე ამ სიტყვის გამარტივებული ფორმა დადასტურებული. გვხვდება როგორც

¹ ილ. აბულაძე, ურჯულსი რედაქციები ზასილი კესარაელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებსა „კაცისა აგებულებისათჳს“, X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოცემა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964.

ბუროთი. ისე მისგან ნაწარმოები ზმნისა და ნაზმნარი სახელების ნაირნაირი ფორმები. მაგალითები:

ბუროი და მოედანია: ეტ. 67, 4; ბუროთისა საბურთაღისა: აქვე, 1366, 3; ბუროთი. ჩოგანი, ცხენი უკეთესი მოიღოს: ქ. კ. გარ. 15, 7; რა ყუანჭი ბუროთსა კერის, მის ყუანჭი: აგან ბუროთი ცად გავიდის: ვისრ. 69, 9.

საინტერესოა, რომ ზმნისა და სათანადო ნაზმნარი სახელის პარალელური ფორმები დასტურდება, ორსავე შემთხვევაში - ობ-სუფიქსიანი წარმოებაა, ოღონდ იგი ხან უშუალოდ სახელის ფუძეს ერთვის, ხან -ავ-სუფიქსიანი თემას: ბუროთობს (ბურთობდა, იბურთა, ბურთობა) და ბუროთაობს (ბურთაობდის, იბურთავის, ბურთაობა). მაგალითები:

ბურთობენ: ეს ყოველი რომ ბუროთობენ. რასათვის ყანის არ აბურთებთ: რუს. 554, 11.

ბურთობდით: მოედამი ებუროთობდით და ვთამაშობდით: რუს. 203, 9.

ბურთობდა: ბუროთობდა და სანადიროდ ევლი მოვლას...: თანიაშ. ამირ. დარეკ. 2124, 2.

იბურთა: იბურთა დილოვან სიციხის ქამამღი: რუს. 354, 34.

ბურთა: უნდოდა ებურთა: რუს. 25, 21.

ბურთობა: ... მოედანს მღერა, ბუროთობა, დგრილი ცხენთა დგენისა: ეტ. 1122. მათა ომი ლხინად მიჩანს ეით ბურთობა, ევლთა რბენა: შანაეახ. 2382, 23. იწყონ მოჭირეთ ბუროთობა, ცდილობდენ გადახრასაო: თეიმ. 11, 594, 2, ... დედოფალს მოახსენა: ხეალ ბუროთობა: მწადსო: რუს. 224, 10—11.

მეორე! მხრთ:

ებუროთობ: ... ევლარ ებუროთაობ: ქრონ. 11, 517, 9.

ბურთობდის: ყოველდე ბუროთობდის და შეეკეოღის: რუს. 292, 6.

ვიბურთავებთ: ... აღარ ვიბურთავებო... რუს. 26, 25.

იბურთავის: შეიღდა დღესა ასე იბურთავის, რომე ღამეც არ ჩამოხდის... რუს. 24, 22.

ბურთაობდა: ... თვითონ მეფე ყარამან უკეთ ბუროთაობდა...: რუს. 330, 16. რა ორისა წლისა შეიქმნა, ისარს ესრღდა, ბუროთაობდა, ლხ-ნობდის და თამაშობდის. რუს. 327, 17.

ბურთაობა: იწყეს ბუროთაობა: რუს. 330, 14.

არ არის იშვიათი ბუროთ თემისაგან ნაწარმოები აქტივის ფორმებიც: აბურთებს, აბურთო...

რაისთვის ყანის არ აბუროთებთ, გეთაილების სიძედ, თუ რა არისო: რუს. 354, 11. ანდარებდენ, აბუროთებდენ მათ ხელმწიფეთა შვილთა, ასწავლიდენ სახელმწიფოთა ზნეთა: რუს. 513, 23. დათვი მეადანს აბუროთო, ეირი ქნა კაი მზველია: ვახტ. სატრფ. 94, 2.

გვხვდება, აგრეთვე, ბუროთი-ცეცმა, ბუროთიანი, ბუროთ-ჩოგანი, ბუროთ-ბუროთი და სხვა.

„ბურთის“, „გუნდის“, „გორგალის“ მნიშვნელობით ძველ ქართულში იხმარება აგრეთვე სიტყვა „ბირთუ“². „მამათა სწავლანის“ ლექსიკის დახასიათებისას ილ. აბულაძე ცალკე ჯგუფად გამოყოფს საკუთრივ ქართულსა და იშვიათი ხმარების სიტყვებს, რომელთა შორის ბირთვცაა დასახელებული³. ეს სიტყვა იშვიათია არა მხოლოდ ძველ ქართულში, არამედ უფრო მოგვიანო ხანის მწერლობაშიც. მაგალითები:

² ილ. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. 1973, გვ. 32.

³ მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, ვაპოსტა ილაა ბულოაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. XVIII—XX.

და დასხენ ბირთვი და ქვეი ოქროსა, ორსა ზედა საბურველსა ორთავე კერძო სკითხასა, და ორს კერძოს ორი ბირთვი დასხენ ორსა ზედა ღილა: გამ. 28, 24, 25^ა. და ბირთვი იგი სადგმელნი სამოსელთა მათანი ზეზიანი და ჰქმნე ვარშამანგები ზეზისა და სარტყელი ჰქმნე ჰრელტრულად: გამ. 28, 40.

ბირთვ ოქროსაჲ მძიესა სარდიონსა თქუმაღ სიტყუაჲ: იგავ. სოლომ. 25, 12.

...ΕΙΣ ΞΥΛΟΥΣ ΧΥΑΙΩΣΙ ΧΑΙ ΑΞΕΡΙΘΥ ΠΟΛΥΤΕΛΕΣ ΝΕΜΕΤΑ:....

დასახელებულ მცგალითში ბირთვს შესატყვისად ბერძნულში, როგორც ვხედავთ. *χ* *ξυλων* (=საყურე) დასტურდება, შესაბამის სომხურ ტექსტში, ისევე როგორც ხელახისეულ და რუსულ ბიბლიაში, ოდნეუ განსხვავებული შინაარსია, კერძოდ, ბირთვს ნაცვლად ვაშლია მოცემული: სომხ. *խնոր, ԽՆՈՐ*.

და ბირთვ ერთი თმაჲ სთუნლით დაუდგა და დაბურა იგი სამოსლითა: 1 მეფ. 19, 13. „ბირთვ ერთი თმაჲ“, ე. ი. თმის ერთი შეკერა, გორგალი. სომხურში შესაბამისი კონტექსტია და ბირთვს შესატყვისად *կბჩ* (*КОТК, КЛЮБОК*) გვხვდება (*კბჩ ქაღიყ სე 'ჩ ახარტ...*).

საბას ლექსიკონში⁸ ბირთვ განმარტებულია ასე: „შეკონილი ZAB, კონა, გონა მრგვალი C“. ილია აბულაძის ლექსიკონის მიხედვით, ბირთვ ხიშნავს გუნდას. გორგალს, ბურთს. ჩვენი მასალა უკვლამ მნიშვნელობას ადასტულებს. როგორც ჩანს, ესაა ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა ძველ ქართულში. შემოთქმულისთვის შეიძლება დაგვემატებინა მნიშვნელობის ერთგვარი გადახრის თუ დაეიწროების შედეგად მიღებული რაიმე ამობურცულის. გარჩას. კვირტის ან კოკრის მნიშვნელობა, რომელიც „გამოსლეთას“ ტექსტის ერთ ნაწილშია დადასტურებული.

ბურთვ და ბირთვ სემანტიკურად ერთმანეთს ფარავს შემთხვევითა ერთ ნაწილში: ... იჭუმეეს იგი მღერისა მიმართ, შდრ. ... ყრმანი იმღეროდ ზირთთა მიმოგდებით, ანდა, ... ბურთვის სახე არს იგი (ქუეყანაჲ). შდრ. მომრგულე არს ბირთვს სახე ზატითა (გრძლადი) და სხვ. მოულოდნელი არ არის, რომ ეს ორი სიტყვა მატერიალურადაც ერთმანეთს დაუკავშირდეს, ერთსა და იმავე სიტყვის ვარიანტებად ჩათვალოს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა „მამათა სწავლანის“ ნუსხათა ჩვენება, კერძოდ A ხელნაწერში, რომელსაც ემყარება გამოქვეყნებული ტექსტი, წარმოდგენილია ბირთვთა (... ყრმანი რაჲ იმღეროდ ბირთვთა მიმოგდებით...). სათანადო ადგილას B ხელნაწერში ბურთვთ იკითხება, C-ში ბურთთი⁹. ამ შემთხვევაში ბირთვსა და ბურთვს მონაცვლეობა ერთსა და იმავე კონტექსტში ფაქტია და ეს ამ ორი სიტყვის როგორც სემანტიკურ, ისე ფორმალურ (მატერიალურ) იგივეობაზე მეტყველებს.

პირველად ნ. მარმა სცადა ამ ორი სიტყვის დაკავშირება. მისი აზრით, ბირთვ მიღებულია *bwir*-ისაგან ბაგისმიერი ნახევარხმოვნის ჟ-ს (*w*) გადასმის შედეგად (შდრ. კიკუ — კვიცი). თავის მხრივ, **bwir* resp. *birw* არის დიალექტური სახესხვაობა ბურთისა, რომელიც სომხური *բարդ-*

⁸ ტექსტი მოგვყავს ბიბლიის ხელახისეული გამოცემის მიხედვით (1854). იონათან ა. შანშიძის გამოცემაში ეს ადგილი არ არის წარმოდგენილი. შესაბამისი კერძო ტექსტი ნაცვლილია. სომხური განსხვავებულია და ბირთვის შესატყვისს არ ეკუთვნის (რუსულშია — *А два коша двух започек прикрени к двум гнездам*).

⁹ 1966 წლის გამოცემა.

¹⁰ იხ. „მამათა სწავლანი“, 253, 5.

დან (burd) მომდინარეობს. როგორც ნიშნავს შალს, шерсть. თავდაპირველად საქართველოში ბურთს უნდა ჰქონოდა დაგორგოლაეებული შალის სახე. ბ ი რ თ ვ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ყველაფერი მრგვალის, ბურთისებურის, სფეროსებურის აღსანიშნავად¹¹.

„ფიზიოლოგის“ ტექსტი, რომლის კომენტარებშია წარმოდგენილი ზემომოყვანილი მსჯელობა, გამოთქმული ვარაუდის საფუძველს არ ქმნის, რამდენადაც ბირთვს შესატყვისად აქ სულ სხვა სიტყვაა (გონი — resp. გნეაი). ამიტომ ავტორი ფიქრობს, რომ იგი ზეპირი გზით უნდა იყოს შემოსულა ქართულში¹².

საპარისპირო მოსაზრება აქვს გამოთქმული ილ. აბულაძეს, რომლის მიხედვით ბ ი რ თ ვ საყოფიერო ქართული და იშვიათად ხმარებული სიტყვაა¹³.

ნ. მარის იემოგანსაღულ თვალსაზრისთან დაკავშირებით შეიძლება აღგვენიშნა შემდეგი: ტექსტოლოგიური მონაცემები (ნ. მარის ხელთ არსებული და ჩვენი მასალა) აღნიშნულ ვარაუდს მხარს არ უჭერს. არსად ბ ი რ თ ვ ს შესატყვისად სომხურ ტექსტში ამოსავლად ნაპარაუდვეი სიტყვა არ დასტურდება. მეორეც, ნ. მარს ბ უ რ თ ი სომხური როგორც იდან მომდინარედ მიაჩნია. ძველ ქართულში კი ბ უ რ თ ე ფორმა დადასტურებული, რომელიც, როგორც ჩანს, ნ. მარისთვის ცნობილი არ ყოფილა¹⁴. მასმასადავ, გასარკვევი, უ-ნიანი ფორმის ადვილი. ამდენად, თვალსაზრისი ბ უ რ თ ი ს სომხურიდან მომდინარეობის შესახებ დამატებით დასაბუთებას საჭიროებს.

მეორედ ეს ორი სიტყვა ივ. იმნაიშვილმა დააკავშირა ერთმანეთთან, როგორც ძველ ქართულში ხმოვანთა სუბსტიტუციის განხილვისას ერთ-ერთ მაგალითად ბ ი რ თ ვ და ბ უ რ თ ვ დაასახელა¹⁵.

როგორც დავინახეთ. ბ ი რ თ ე და ბ უ რ თ ე იმდენად ახლოს მდგომი სიტყვებია ძველ ქართულში, რომ ისინი ერთი სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტებად (ივ. იმნაიშვილი). დიალექტურ ვარიანტებად (ნ. მარი) მიიჩნიეს. და მაინც, ძველ ქართულშივე, როგორც ჩანს, უკვე ორ ოდენობასთან გვაქვს საქმე. სადაც ბ ი რ თ ვ ს შემთხვევაში ფორმალურ განსხვავებას ძირითადი მნიშვნელობიდან ერთგვარი გადახრაც მოჰყვა, ახალი სემანტიკური ნიუანსი გაჩნდა.

ამოსავლად შეიძლება გვევარაუდა ბ უ რ თ ე ი ფორმა. უ-ს გადასვლა ი-ში შეიძლება აიხსნას იმ პროცესის ანალოგიურად, რომელსაც ვარაუდობენ ფ უ ე — ფ ი ე-ის¹⁶ შემთხვევაში. გ. როგავას თვალსაზრისით, „ქართულში შეიმჩნევა უ-ს შენაცვლება ი-თ...“ ბრუნვისნიშნისეული ი-ს გავლენით „უნდა მომხდარიყო უ-ს არტიკულაციის წინ გადაწევა (ერთგვარი უმ-

¹¹ Н. М а р р, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. VI. 1904. 47, 88—89; მისივე, Тексты и разыскания. IV. 1902. გვ. 88; აგრეთვე, გვ. XXXVI. სიტყვის ტრანსკრიპცია მოკლევან ნ. მარის მიხედვით.

¹² იქვე.

¹³ მამ.თა სწავლანი X და XI ს-თა ხელნაწერებია მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შაინძის რედაქციით, თბილისი, 1951, გვ. XVIII—XX.

¹⁴ შორ. ნ. მარის, Тексты и разыскания, IV, გვ. 88.

¹⁵ ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, თბილისი, 1971, გვ. 114.

¹⁶ ფ ი ე-ის მეორეული ხასიათის შესახებ (ფუე—ფიე) აზრი გამოთქმული იყო ვაცილებით ადრე: იხ. არნ. ჩ ი ქ ბ ა ე ა. კანუზ-მევრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 332.

ლაუტიზაცია) ... ქართული ფუც სახელური ფუძის უ შეიძლებოდა დამ-
ლილიყო უი-დ და შემდეგ ლაბიალიზებული ელემენტი გაუჩინარებულყო
ფ-სთანა¹⁷. ანალოგიური ვითარება დასტურდება სვანურში¹⁸.

მსგავსი პროცესის არსებობას ვარაუდობს ივ. ჭავთარაძე ქართული ენის
ზოგ დიალექტში, რომლის დროსაც ხდება გაუმლაუტებული ხმოვნის დამლა-
დიფთონგად, ხოლო შემდეგ დელაბიალიზაცია, რომლის შედეგად დიფთონ-
გის მეორე კომპონენტიღარჩება. ეს ერთგვარ გამოხმაურებას პოულობს სა-
შუალო ქართულის ტექსტებშიც (სურსული—სვირსვილი—სირსვილი, შდრ.
სურსილისათვის: ფანასკერტ. 312, 8: სუსამბარი—სისამბარი: სისამბარის...
იქვე, 417, 12)¹⁹. ავტორის აზრით, უმლაუტიანი ხმოვნის წარმოქმნაში მერ-
ყობის ამსახველი უნდა იყოს ძველი ქართულის ძეგლებში დადასტურებულ
დაწერილობის ნაირგვარობა, მაგალითად, დ უ რ ე ს ა (მთ 7,3) // დ ვ რ ე ს ა //
// დ ი რ ე ს ა (მთ 7, 4)²⁰.

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ბურთი—*ბჳირთჳი—ბირთჳი.

ისმის კითხვა: წარმოდგენილ ვარაუდს ხომ არ შეუშლიდა ხელს ის ფაქ-
ტი, რომ ჩვენს შემთხვევაში, ყველა სხვა დასახელებულ შემთხვევათაგან გან-
სხვავებით, ფუძის ბოლოკიდურად გვაქვს ჳ (ბურთჳი, შდრ. ფუცი). ამ ფაქტს
ახსნა სკირდება.

შეიძლებოდა ახსნის მეორე გზაც დაგვეშვა. ამ შემთხვევაში ამოსავლად
ბურთი²¹ უნდა ვივარაუდოთ (შდრ. ნ. მარის ზემომოყვანილი თვალსაზრისი),
რომელიც ზემოთ ნავარაუდები პროცესის გავლით მოგვეცემა ბჳირთი—ბირ-
თჳი (შდრ. სვანური *ფური—ფჳირ—ფირჳი). ამ უკანასკნელის ასიმილაციით
მივიღეთ ბ უ რ თ ჳ ი. მეორე ვარაუდის შემთხვევაში ქრონოლოგიური სიძ-
ნელები იჩენს თავს. კერძოდ აღრიხნდელ ძეგლებში დადასტურებულია მხო-
ლოდ ჳ-იანი ფორმა, ბურთი — არ ჩანს. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ
ნავარაუდევ პროცესებს გაცილებით ადრე უნდა ჰქონოდა ადგილი, ვიდრე
ძველ ქართულში წარმოდგენილი ვითარებაა.

შესაძლებელია, ანალოგიური პროცესის შედეგთან გვექნოდეს საქმე სხვა
შემთხვევებშიც, კერძოდ:

ა) ფ უ ტ ი და ფ ი ტ ი. ფ უ ტ ი-ს ორი მნიშვნელობიდან, რომელსაც საბა
გვაძლევს, ჩვენთვის საინტერესოა პირველი: ხის ქერქი ანაძრობი დილი²²

¹⁷ ი. როგაძე, ქართული ენა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1962, გვ. 47—48.

¹⁸ ი. როგაძე, სვანური ენის ფონეტიკა, I, ულუტუა, თბილისი, 1969, გვ. 145—147.

¹⁹ ივ. ჭავთარაძე, ქართული ენის... XII—XV III სს., თბილისი, 1964, გვ. 84, გვ. 77—84.

²⁰ ივ. ჭავთარაძე, იქვე, გვ. 80: ამ მავალთან დაკავშირებით იხ. ავრეთე ქ. ძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი, 1960, გვ. 32.

²¹ იქნება ეს სიტყვა სომხურიდან მომდინარე, თუ ქართული, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

²² მეორე მნიშვნელობა — ავი კვამლი: იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, IV, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით გამოცემულ მოაზრებათა ანულებზე, თბილისი, 1966. ფუტთან უნდა იყოს დაკავშირებული ფუცი, ფსაჳი ფეყე.

ფუცი-ს ამ მნიშვნელობას უკავშირებენ წანურ ოფეტქა, რაც აღნიშნავს ადვილს საბაოს გ: შენო, ეზოს: იხ. არნ. ჩიქობავა, წანურ-მეთულ-ქართული სიტყვების დიქციონარი, თბილისი, 1936.

ჩვეა მითითებული ფიტი²³, ფუტისაგანა ნაწარმოები ფუტურო, ფულურო, რომელიც იმერულში, გარდა თავისი ძირითადი მნიშვნელობის გამხმარ ხეს აღნიშნავს²⁴. შდრ აგრეთვე ქანური ფუწი — x, v, полуист-левшее дерево²⁵.

მეორე მხრივ, ფიტი — თავლის ნაჩენი (საბა), თავლგამოცლილი. უთაფლო ფიკაა. ფიტავს — ფიტვით ხდის, სინოტივეს აცლის, აშრობს²⁶ ვიქრობთ, ფუტისა და ფიტის სემანტიკური დაკავშირება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს (ამაზე საბაე მიუთითებდა). აუ ასეა, მაშინ შესაძლოა აქაც თავის დროზე უ-ს ი-ში გადასვლის ზემოაღნიშნული პროცესი ვივარაუდოთ.

ბ) შესაძლოა, ამავე რიგის ფაქტი იყოს ფუფქი და ფიფქი (ძაფი). ფუფქი — ცხელი ნაცარი (საბა). ფუფქავს — მდულარეში ავლებს. ფიფქი ძაფი ზემოიმერულში აღნიშნავს ნაცარტუტაში, ან საპნიან მდულარეში გამოხარშულ აბრეშუმის ძაფს (შდრ. ფუფქი)²⁷. საინტერესოა, რომ ფიფქისა და ფუფქის დაკავშირება საბაზე დამყარებით შესაძლებლად მიიჩნია ჰანს ფოხტმა²⁸, რომლის ვარაუდით. ამ სიტყვათა ფქ ძირი უნდა უკავშირდებოდეს აფრქუევს ან აფრქევევს და ფქვაევს ზმნებსაც²⁹.

შეასაღამე. ერთი მხრივ ბურთვ — ბირთვ, მეორე მხრივ, ბურთვ — ბურთი³⁰ ამ ვარიანტებში, შესაძლებელია, სხვადასხვა დიალექტში მიმდინარე პროცესებმა იჩინა თავი.

ბურთუ-ი ფორმაში ბოლოციდური უ-ს დაკარგვა შეიძლებოდა გამოეწვივებინა სიტყვაში ლაბიალური ბგერების არსებობას. უ-ს დაკარგვა შეიმჩნევა მსგავსი სტრუქტურის სხვა სიტყვებშიც, მაგალითად, ძველი ქართულის ბუზუ — ახალი ქართულის ბუზი. ბიბლიის ტექსტებში ორივე ფორმა დასტურდება, მაგრამ საშუალო საუკუნეებიდან მოყოლებული (სიბრძნე-სიტყვისა. რუსუდანინი, კალმასობა, შაპ-ნამე, სამკურნალო წიგნი, უსწორო კარაბადონი და სხვ.) დღემდის ოდენ გამარტივებული ფორმა გვხვდება. მაგალითები³¹:

წყობი ეკი მკისაჲ შეჴამა ბუზუ მან: იოველ 1, 4. ... ნეშტი ავი ბუზუსაჲ: ექმ. ეკლნა: ჩვე, 1, 4. ... მკალსა და ბუზუსა გჴსენა ნაყოფნი მათნი: S—417, 222, 25. ესე არა სჴამოთ წთგანი... ბუზვი და მსგჴესი მისი...: ლევიტ. 11, 22. ... ბუზუ გესლი უჴქ თუ იესი და თუ აჴირეებდენ მთ მტერნი ერთსა შაჴქლთგან მთ...: 3 მეფ. 8, 35.

²³ ასევე ვითვლით, ფიტი, ვინ ხის ქერქი ანაპრობი. გინა ავი ეკამლი B. დღტი გლოჴი ფიტსა თავლისასა. ეკალი ხის ქერქსა დიდალ შემოქერქილას, ეკალი ავისა ეკამლა. Саб. ზ. ეკლი ქერქი СyD. ხის ტავი სჴელი E: სე ლხა ნაბაბა ორ ბე ღო ა ნი. IV, 2. ჩვე.

²⁴ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, VII, გვ. 207.

²⁵ H. M a p p. Грамматика чапского (тазского) языка с хрестоматией и словарем. СПб, 1910.

²⁶ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, VII, გვ. 119.

ჩვე, გვ. 121. თუმცა არ არის გამოჩვენებული შესაძლებლობა ფიფქი ძაფი ცოცხლად იდგეთან იყოს კავშირში.

²⁸ ჰანს ფოხტი. ზმნური სეფიქები ძველ ქართულში: ბიბლიკალი, 1968, № 4 გვ. 275—276.

²⁹ შდრ. აღ. კონკრეტული, ხევსურულს თვისებუება, 1962, გვ. 25, სადაც ეკამლიტაში განუთავად ლაჴი მანაქელა.

³⁰ სისარლიანთა: ჩვენი მასალის გარდა ვავითვალწინებ სპარსეთელის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან არსებული ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის ფონური და აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ევფეს-სუყაისის ტექსტის დამდგის კომისიის ძველი ქართული ლექსიკონის ფონი.

...მკლად ეწოდა ასკრიასა და ბუზქად ბაბილონსა: S—417, 222, 22. შდრ. ...მოქდა
მეალი და ბუზი, რომლისა არა იყო რიცხვ: ფს. 104,34.

ამავე რიგის უნდა იყოს ბუშტუი — ბუშტი. თუმცა ძველ ქართულ-
ში ბუშტუ ფორმა (და საერთოდ ეს ძირი) ვერ დაედასტურეთ, მაგრამ
„სამეურნალო წიგნში (კარაბადინი)“ გვხვდება რამდენიმე უ-ნიანი ფორმა გა-
ნაოტიეებელი ფორმის პარალელურად:

ბუშტუისაგან გამოიყენ: გიგმი, კეთრი, მზიობარი, ნიობარი...: სამც. წ. კარაბ.
52.6—7. სახლი შავისა ნაელისა ტყობი არის და უფლება მისი არს თირკმელთა და ბუშტუ-
და წერილთა ნაწლეეთა შიგან: სამც. წ. კარაბ. 71,4. თუ ამა წამალმან ვერ უშუელს,
და ესე ქვა ქუემო ბუშტუისაგან იყოს, და ვერ უშუელს, მეშირიმემან ამოართუს:
—ქვე, 303,23 (1950). წინანი მურნალნი უზახდეს ნაელელსა კისსა, უმტროსა ბუშტუსა
უარქუეს კისა დიდი: იქვე, 232,5 (1950). ბუშტუისაგან შირიმი რაზე იყოს, მისი
წამალი შეტადრე უმწურლობასა რაზე სკირდეს... იქვე, 303,23 (1950). მამიკი ბუშტუისა
სიკრილისაგან არს: იქვე 83,3. შდრ. ...შერმე ცხურისა ბუშტუშიგა ჩაახახს და იმა
უცილსა წაიჯვას: იქვე 58,6 (1960).

აქვე შეიძლება განვიხილოთ თოკუი (... დახუიე წუიეთა მისთა თოკუი
ფიცხლად... სამც. წ. კარაბ. 372,4 (1950), მაგრამ აქ მასალის სიმცირის გამო
წაგრეთვე იმის გამო, რომ ძველ ქართულში მას ცელიდა საბელი), ამ შემ-
თხვევას დამაჯერებლობა აკლია.

საინტერესოა, რომ უ-ნიანი ფორმები შემორჩენილია დღესაც ზოგი-
ერთ დიალექტში, კერძოდ, ხევსურულში (... ოქროს ბურთეივი თ ვეა
ცუვანდ სანდუას²¹). ფშაურში (... ანა მქნა ოქროს ბურთეაი, კალთაში ჩა-
გეშლეიოლი: რაზიკ. 150,76²²), თუშურში (მწვაქესგორ ცეცხლის ბურთეებ
გადიოდისა დ'ჯვან ბურთეაეობენავ — თქვიან...)²³.

ქართველურ ენათა მონაცემები ჩვენს საკითხს ახალს არაფერს ჰმატებს.
მეგრულში ბურთი, კანურში — ბულთი, რაც შეეხება სვანურს. აქ
ბურთის შესატყვისად გვაქვს ბილთუ, რომელიც ქართულიდან ჩანს შესუ-
ლი: ბილთუ—ბჰილთ—ბურთი, შდრ. *ფური—ფჰირ—ფირუ²⁴.

მაშასადამე, ბურთუი $\begin{matrix} \swarrow \text{ბირთუი} \\ \searrow \text{ბურთი} \end{matrix}$

სამუთალო საუკუნეებიდან მოყოლებული ეს ერთეულები დაშორდნენ
ერთმანეთს სემანტიკურადაც.

შემოკლებათა ბანმარტაბა

კ ა ს. — გამოსლვათა, წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, I, ნაკვ. I, გამოსცა შანიძემ, თბი-
ლისი, 1947.
დ ი ო ს კ ო ს ტ. — ცხოვრება დიოს კოსტანტინეპოლელისა, კ. კეკელიძე, ეტიუდები..., VI,
თბილისი, 1960.
ქ ვ ს. სა მო ს ა ტ. — ქსენოპო წმიდისა მამისა აღმსარებელისა ევსევი სა მო ს ა ტ ლ ს ა
ეპისკოპოსისაჲ, კ. კეკელიძე, ეტიუდები..., VI, თბილისი, 1960.

²¹ აღ. კონსტანტინე. ზესურელის თავისებურებას. თბ., 1960, გვ. 85.
²² იქვე.
²³ თ. ბურთეაიძე. თუშურის ტექსტები.
²⁴ მ. ქალღანაი. ღასახ. შრ., გვ. 144—146.

- გ ა ლ ბ. დ. — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1964.
- გ ა ბ ტ. ს ა ტ რ ფ. — ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1947.
- გ ი ს ო. — ვისრამიანი, ალ. გვახარიას და მ. თოდუას რედაქციით, თბილისი, 1962.
- ვ ბ. — შოთა რუსთაველი, ეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937.
- თ ა ნ ი ა მ. ა მ ი რ. დ ა რ ე ჟ. — თანიაშვილი, გალექსილი ამარანდარეჯანიანი, გ. ჭაიობიას რედაქციით, თბილისი, 1941.
- თ ე ი მ. II. — თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჭაიობიას რედაქციით, თბილისი, 1939.
- ი გ ა ე. ს ო ლ ო მ. — იგავნი სოლომონისნი, ტექსტი დადგენილია ბ. გიგინეიშვილის მიერ (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).
- ი ო ე ე ლ. — წინაწარმეტყუელება იოველისი, ტექსტი დადგენილია ბ. გიგინეიშვილის მიერ (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).
- კ ა ტ. ა გ ე ბ. — იხ. ექუს. დღ.
- ლ ე ე ა ტ. — ლევიტელთა, ტექსტი დადგენილია ბ. გიგინეიშვილის მიერ (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).
- მ ა მ. ს ჯ. — მამათა სწავლანი X—XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955.
- მ ე ფ. I, III — წიგნი მეფეთა, ტექსტი დადგენილია უჩა ცინდელიანის მიერ (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).
- რ უ ს. — რუსუდანიანი, ილ. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.
- ს ა მ ჯ. წ. კ ა რ ა ბ. — ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი — კარაბადინი, გამოსცა მიხ. შენგელიამ, თბილისი, 1959.
- ს ა მ. წ. კ ა რ ა ბ. (1950) — ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი — კარაბადინი, მ. სააკაშვილის რედაქციით, თბილისი, 1950.
- ფ ი ზ. მჭეთათაჲს სახისა სიტყუაჲ, ნ. შარის გამოცემა, ტ. VI, 1904.
- ფ ს. — სალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზ. შანიძემ, თბილისი, 1960.
- ქ რ ო ს. II — ქრონიკები..., გამოსცა თ. ჯორდანიამ, ტფილისი, 1892, 1897.
- წ ე. — ნოდარ ციციშვილი. შეიდი მოციხე, კ. კეკელიძის რედაქციით, 1930.
- ქ. კ ა რ. — ქელმწიფის კარის გარეგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1920.
- S — 117. — მეტაფრასული კრებული XII საუკუნისა (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

ამბაკო ჰაღვა

რამდენიმე სამართო-ქართველური ფუძის მქონე
ტოპონიმის ისტორიისათვის

როგორც ცნობილია, ტოპონიმთა ძირითადი ნაწილი უძველესი წარმოსავლობისა და მას არსებობის გრძელ მანძილზე იმდენი ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სენასიოლოგიური ცვლილებები განუცდია, რომ მრავალი მათგანი დღეს საიდუმლოების ბურუსითაა მოცული და მათი თავდაპირველი სავარაუდო ფორმების აღსადგენად საჭიროა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მოშველიებით ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიების ჩატარება. ფაქტები ამისა უამრავია საზოგადოდ და უამრავია იგი სვანეთის ტოპონიმის სინამდვილეშიც. აქ უხვად მოგვეპოვება ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომელთა სახელდების მოტივაცია პირდაპირი თუ გაღატანიით მნიშვნელობით, მხოლოდ მის გარესამყაროსაგან რაიმე განმასხვავებელი ნიშნების ან ნიშან-თვისებების მიხედვით არის გაპირობებული და ჩანს, რომ სახელდების საფუძველი ქართველურია, ქართველური წარმომავლობისაა, მაგრამ დროთა მსვლელობას ისე შეუცვლია ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელისათვის ფორმა და წინაარსი. რომ შეუიარაღებელ თვალს უცხო წარმოშობისადაც კი მოეჩვენება. ნათქვამის ზოგადი წარმოდგენისათვის ამჭერად დავკმაყოფილდებით მხოლოდ ისეთი ტოპონიმების ეტიმოლოგიურ-ეტიმოლოგიური ანალიზით, რომელთა ერთი ნაწილისათვის სახელდების საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე სვანურ ენაში არსებული საზოგადო სახელები (ოღონდ ეს სახელება, რეალიზებული გეოგრაფიულ სახელწოდებებში, საზოგადო სახელებისაგან განიზღვრიან ტოპონიმებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დისტინქციური ნიშან-თვისების მქონელობით), ხოლო მეორე ნაწილი ტოპონიმებისა წარმოშობით აგრეთვე საზოგადო სახელებია, მაგრამ, პინქრონიული კვლევის დონეზე, ისინი ფუნქციონირებას მოკლებულნი არიან და მნიშვნელობას დაკვირვებულნი. ამ უკანასკნელთა ძირეული თუ ფორმანტული ელემენტების სავარაუდო ახსნა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი ინტერპრეტაციის საფუძველზე. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ყველა განსახილველი ტოპონიმის სახელდებისათვის გამოყენებული მორფემა ისტორიულად უკავშირდება სავარაუდო-ქართველური ფუძე-ენის მორფემებს და ტოპონიმოქურთუ საზოგადო სახელებში რეალიზდებიან. როგორც აღმოჩნდება სავარაუდო-ქართველური ფუძე-ენის არქტიპებისა.

1. **შდაჭლერ**. მდინარე კუბრულასა და მდინარე ნაკრას ხეობათა გამყოფ ქედზე 12-მდე მეტ-ნაკლები სიმაღლის მწვერვალია¹. მათ შორის ყველაზე მაღალი მწვერვალი **შდაჭლერ**².

ტოპონიმი **შდაჭლერ** წარმოქმნილი სახელია. ძირეული მორფემა **შდაჭლ-**, ხოლო **-ერ** საქმად გაგრცელებული ფორმანტა სვანურ გოგრატიულ ნომენკლატურაში (შდრ.: კუბ-ერ სას. საბჭო, ჩხეტ-ერ სათიბი, ნურყმ-ერ კლდე — ორივე ეცერის ს. ს.). ძირეული ლექსემის ბოლო პოზიციაში სონანტთა თავმოყრა გამოწვეულია ა ხმოვნის ჩავარდნით. მართლაც, **შდაჭლერ**-ში რომ რედუცირებულია ა და არა რომელიმე სხვა ხმოვანი, ამას წინამავალი ა-ს უშუალოდ ადასტურებს. ზემოთქმულის თანახმად, საძიებელი: სიტყვის სრული ფორმა უნდა ყოფილიყო **შდაჭალ-**. ინტერსონანტურ პოზიციაში ა ხმოვნის სინკოპირება -ერ ფორმანტს მიეწერება. მაშასადამე, გახმოვნების ნორმალურ საფეხურზე ტოპონიმი **შდაჭლერ** უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც **შდაჭალერ**. იბადება კითხვა: როგორი წარმომავლობისაა ეს სიტყვა და რა საერთო შეიძლება დაეძებნოს თვისტომ ნებთან?

ქართული ენის ზოგ დიალექტში დასტურდება სიტყვა **თაველ-**ი სახელწოდებად ყოველგვარი თავთავისა³. ჩვენი ვარაუდით, **თაველ-** სიტყვის თანამედროვე გაგება არ შეესაბამება მის თავდაპირველ მნიშვნელობას. ადრეულ საფეხურზე მისი სემანტიკური არც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მარცვლეულის თავთავის აღნიშვნით. მითუმეტეს, ამგვარი კვალიფიკაცია მას ეძლევა არა ისტორიული წყაროების მიხედვით, არამედ მხოლოდ გვიანდელი მწერლებს ნაწარმოებებისა თუ დიალექტური მონაცემების საფუძველზე. **თაველ-**ის დღევანდელი სემანტიკური გაგება ან მეორეულია და გვიანდელი. ანდა მისი მნიშვნელობა დაიწროებულ-დაკონკრეტებულა. ქართული ენის ძველ ძეგლებსა და ლექსიკონებში (ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა; დ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი; ილ. აბულაძე; ძველი ქართული ენის ლექსიკონი) **თაველ-**ი არ დასტურდება. როგორც ჩანს, ძველ ქართულში **თაველ-** სიტყვის ფუნქცია, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, დაკარგებული ჰქონია **თავე-** სიტყვას: ხოლო მოწაფენი მისნი მოჰპირდეს **თავე-**სა კუველისასა (ლ. 6,1). — ... და აღქდის თავესა კუველისასა და მუსრვად მარტულისასა („ცხოვრებაა წმიდისა ნინოისი“) და სხვ.⁴

¹ სიყვარული დიეტრიკოვიძე შ. კუბრულას (სსრ. ნუწყარს) და შ. ნაკრას წყაროებში იტყვი შეთქმულერ და შეთქალერა აღნიშნული, საანებისათვის ჭეკი უსახელია. სახელდება მტკნალ გვიანდელი და წაბოქმნული მწვერვლის სახელწოდების მიხედვით. სახელწოდებას კონტრაქტული ხმოვნები, უნდა იქონ — შეთქალერ და შეთქალერის ქედის (შდრ. ღ მარტულაში) აღი, საქართველოს ფიზიკური ვიოგრა (ნწ. 1, თბ., 1969, გვ. 33).

² იხ. გაგახაშივილის ხელმოწავნა წიგნი 1932 წ. ამ ნაქმედი 1-200 მ 20 რიგის აქვე **შდაჭლერ** შეტავლებრითაა აღნიშნული. რამდენადაც ზემო სიანორისათვის **შდაჭლ** დამახასიათებელი არაა (იხ. ა. მ. შიშკისა და ე. ო. ფურკიას მიერ 1939 წ. დამოყვანილი სიანორი პროზაული ტექსტები, 1, გვ. XIV). ამდენად რუკაზე აღნიშნული **შდაჭლერ** დამახასიათებელი ორგანო **შდაჭლერ** სახელწოდებისა.

³ იხ. ქგლ. IV.

⁴ ციტატები განმარტებებითურთ იხ.: ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ჟრუსტიკათა, ტ 1, ნწ. 1, თბ., 1970, გვ. 176, თავი 6, 1; 238, 24; შიშკი, ქართული ენის სიანორი-ლექსიკონი, თბ., 1948—1949, გვ. 216.

მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ექველეს ქართულში არსებული ყველა სიტყვა ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში ვერ მოსვლიდა. დიალექტებში შემონახული ფორმები ამის სასარგებლოდ შეტყუვლებენ. ყოველ შემთხვევაში, ქართულ-სევანურის ერთიანობის ეპოქაში თაველ სიტყვის არსებობა საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რომლის კანონზომიერი შესატყვისი სევანურში უნდა იყოს შდათღერ-ში აღდგენილი ფუძე *შდათღალ. ამ უკანასკნელს აბსოლუტურ ბოლოში ა ხმოვნა: უნდა ჰქონოდა, რამაც განაპირობა წინამავალი ა ხმოვნის ეუმლაუტობაცა და ქართ. თაველ-ის ე-ს სევანურში ა ვოკალით შეცვლა: ქართ. თაველ-: სევან. *შდათღალ < *შდათღელ < *შდათღელა (შდრ. ფონემათა ისტორიული ნიშანთებანი ერთგვარად წარმოქმნილ სახელებთან ერთსა და იმავე ფონეტიკურ გარემოებაში: ქართ. თ: სევან. შდ; ქართ. ე: სევან. ა < *ე⁵. ქართ. თავ: სევან. შდა < *შდათ „თავთავი“...“ ქართ. გელა: სევან. მალ...id.)⁷.

სემასიოლოგიური თვალსაზრისით. ტოპონიმი შდათღერ გააზრებულია. როგორც მთავარი, თავი, resp. თაველი⁸ მახლობლად მდებარე ყველა მწვერვალს შორის. ამდენად. ტოპონიმ შდათღერის მნიშვნელოვან ლოგიკურ მიმართებაშია ქართულ-სევანურ ბგერობრივ შესატყვისობებთან, სემანტიკურ-ფონეტიკური დამხვევა კანონზომიერი⁹.

⁵ ქართ. გ-სევან. ა/ზ მიმართებების შესახებ იხ. შ. ქვალაძე, სევანური ენის ფონეტიკა, I, თბ., 1969, გვ. 125. . .

ტოპონიმი რეკონსტრუირებული ფუძე *შდათღალ სემანტიკურად განსხვავებული, მაგრამ ისტორიულად იგივე წარმოშობისაა, რაც სევანურში მერცხლის აღნიშნული სიტყვა შდათღალ (შდრ. გამოთქმები: ჰირველი მერცხალი, რაც გადაჯანთ ნიშნავს. არისაჲ წამოშქებო, თოსანი“, ქალ, V; „ერთი მერცხლის ზეჲყო გაზაუხელს ვერ მოიკვანასო“ — ხალხ.). მიუხედავად ამისა, სევანურში მერცხლის აღნიშნული „შდათღალ“ მიხედვით სხვენებულ ტოპონიმის სახელებმა ნაკლებ მოსალოდნელია, როგორც ამას ქ. გაანი იქირაოს (შდრ. მისი Опыт изучения кавказских географических названий, Тифлис, 1909, გვ. 161), რადგანც მერცხალი ნეველურ ზონაში, იქ, სადაც ამჟინებარება, არ ბინადრანს. სტეპალური ლიტერატურის მიხედვით, მერცხალი resp. კლდის მერცხალი *Riparia rupestris* Scopoli ვერტიკალურად ერკვლება მხოლოდ 2500 მ-მდე ზღვის დონიდან, იხ. ა. ჭანაშვილი, ლ. კვტუბიძე, თ. შარქუა, საქართველოს ფრინველების საჩვენევი, I, 1950, გვ. 311.

⁸ იხ.: ე. თოღურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, ამიამბილველი, თბ., 1926, გვ. 201; თ. გამყარელიძე, ე. შაქავერიანი, სონანტთა სისტემათა აბლატიკარტული ენებში, თბ., 1965, გვ. 135, 148.

⁹ იხ. შ. ქვალაძე, სევანური ენის ფონეტიკა, I, გვ. 21. . .

⁷ „თაველს“ რომ მხოლოდ „თავთავის“ მნიშვნელობა არა აქვს, ეს თანამედროვე ქართულშიც აგრძნობა:

„მკენაწვირას თოვლის თეთრო თაველი, (ხაზი ჩვენია, — ა. ქ.)
ლოტჩ... ისლი, მკერეიდან ცაზე აწიღო“ . . .

(იხ. ჰაბელის ლექსიდან „ახალ საქარაოლს“, აზნ. კრებ., II, თბ., 1960).

⁸ შდათღელის ნებით მოიკვებ სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ ანალიზს კვერდში უდას მისი ეტიმოლოგიური მხარე, საჩილობო: სევანთს, შირიული წარსულიდანვე ჰქონდა სამეგრეო-კოლონიური ტერიტორიაზე რეკონსტრუირებული საქართველის სხვა კუთხეებთან, ისე შეზობულ მხარეებთანაც, შამოსლი ამ თუ იმ მხარეში ჰქდებულა და ეტიმოლოგიის გადარსებით ხდებოდა, რომელიც საშუალო სმაღლე ზღვის დონიდან 2500—3500 მეტრს აღწევდა (იხ. ბ. ნიჭარაძე, ისტორიული-გეოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 174; ა. ნარქვიანი, სევანთ, თბ., 1957, გვ. 34—17). უმარეო ქედისა და ხევის მონაკვეთებმა მგზავრების გზის აღდგენას მოაწყობდა, ამრიგად საჭირო იყო ზღის მაჩვენებელი ორიენტირი. ამგვარ ორიენტირად გამოყენებულ უნდა ყოფილიყო რელიეფის შედარებით ადვილად საცნობი ბუნებრივი ნიშანი. ამ დანიშნულებითა იყის მდ. ქუბრელისა და მდ. ნაკას წყალგამყოფ ქუჩებ სწორედ მწვერვალ შდათღერ

2. მაშღაშია / მაშღაშა ნენზ. ტოპონიმი მაშღაშია საბალახოს სახელწოდებაა მდ. ნაკრას ხეობის მარცხენა კალთაზე (ნაყის ს. ს., მესტიის რ.). ხოლო მაშღაშა ნენზ-ს უწოდებენ ლეღე რომაშ ტუბის თავზე სუბალპურ ზონაში მდგომ სოკს (ს. ილიანი, მესტიის რ.). სემანტიკურად ორივე ტოპონიმი გამჟღავნაა. პირველი ნიშნავს „ეულს“. მარტოხელას, ობოლს“, მეორე კი — „ეულად მდგომ, მარტოდ თუ ობლად დარჩენილ სოკს“.

ტოპონიმიკური სახელდება მოტივირებულია იმით, რომ ორივე გეოგრაფიული ობიექტი იმ გარემოში განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან: მაშღაშია ჰქვია იმიტომ, რომ იგი ტყეში მოქცეული ერთადერთი პატარა ვაკობია, სათიბ-საბალახოდ გამოყენებული; მაშღაშა ნენზ დარქმევია იმიტომ, რომ საკმაოდ დიდ მინდორზე ერთადერთი სოკი დგას.

მაშასადამე, ორი ერთმანეთისაგან დაახლოებათ 50 კმ-ით დაშორებული ტოპონიმის ერთგვარად ეგზოტიკური სახელწოდებით „მონათვლა“ გამოწვეულია მათი ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოსა და სუბიექტ-მემკვიდრეობის ცნობიერებაში გეოგრაფიული ობიექტის მეტაფორული აღქმით¹⁰.

შედგენილობის მიხედვით მაშღაშია საზღვრულდაკარგულია, ხოლო მაშღაშა ნენზ — მსაზღვრელ-საზღვრულიანი. სტრუქტურულად: მაშღაშია მომდინარეობს მა-შღა-შ-ი-ა-საგან: მაშღაშა < მა-შღა-შ-ი-ა-საგან. მა- — ა ორივე შემთხვევაში განყენებული სახელების მაწარმოებელი აფიქსებია სვანურში¹¹. შ სიბილანტი მოქმედებითი ბრუნვის -ჭშ ფორმანტის ნაშთია. ხოლო მაშღაშია-ს ბოლოკიდური პოზიციის ფონემათა ია მიმდევრობის ი ვოკალი კინოობითობის -ილ სუფიქსის გამართივების შედეგად მიღებული ჩანს: მაშღაშია < *მა-შღა-ჭშ-ილ-ა < *მა-შღაჭ-ჭშ-ილ-ა (-ილ) > ი პროცესისათვის შდრ. ლმმ. ყ ჯ რ მ ი < ჩბზ. ყ ჯ რ მ ი ლ თოფი, ეტიმოლოგ. ყირიმის თოფი, ლმმ. შ გ ი ნ ი < ჩბზ. შ გ ი ნ ი ლ ერთგვარი პატარა ჩიტია)¹².

თუ განხილული ტოპონიმების ფუძეებს მაწარმოებელ ფორმანტებს ჩანოვაცილებთ, დაგვრჩება შღა (< *შღაჭ) მორფემა, ქართული თავსიტყვის კანონზომიერი შესატყვისი (ქართ. თ: სვან. შდ. შდრ. ბზ. შღა-ჭშ < *შღაჭ-ჭშ, ბქვ. შღაშჭ // < შღაჭშჭ < *შღაჭ-ჭშ „ცალკე, წარტო“, ეტიმოლოგ. თ ა ე-ი)¹³.

3. ფიშყორ / ფუშყურ / ნაფშყორ. ბუნებრივი ეროზიით წარმოქმნილ გეოგრაფიულ სახელთა რიგს განეკუთვნება: ა. ფიშყორ (მდინარეა ლაშხეთში), ბ. ფუშყურ 1. მდ. მესტია-ქალაქს მარჯვენა შენაკადი, 2. მდ.

და გამოცეტილი, როორც ყველაზე უფრო მაღალი და საცნობ-მისათივებელი (რეპ. პორტეზი-ბელი) ნ-შანი. იქნება, სრულიად ბუნებრივია, მწვერვალ შღაჭღერ-ის სახელდება მოტივირებული იკოს გარემოცული გეოგრაფიული რელიეფის მამართ მისი სიმაღლის მიხედვით.

¹⁰ მეტაფორული წარმოშობის ტოპონიმებზე საზოგადოდ ცნობილია, საილუ ტრაციოდ ზოგიხმით რამდენიმე მაგალითი ქართველური ტოპონიმების სამყაროდან: სვან. დაშღაჭშა ნებგჭა კლდ. ეტიმოლოგ. — ლიჩხუჭა კლდე, ეტიმოლოგ. — ჭათლან გუგუფე გადასასვლელი, პროლოგ. — ჭათმის მეტროს; მეგრ. ოჩიშჭა კლდე, ეტიმოლოგ. — აუკის რქა“ (ყველა მესტის რ.): ობოლა სათესი, ობოლყანა სათიბი, ობოლჭევა, საძოვარი... იხ. ი. სიხარულაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, 1, ბათუმი, 1958, გვ. შესაბამისად: 62, 63, 103, 69, 105.

¹¹ ე. ა. ი. ურია, შრომები, 1, ნაბ., 1967, გვ. 212.

¹² იხ. შ ქალღანი, სვანური ენის ლაზაპულური ელოკაიის ფონეტიკური თავისებურებანი, იკვ. VII, 1955, გვ. 171.

¹³ იხ. ე. თ. თ. ურია, ფონეტიკური დაკვირვებანი. I, გვ. 201—202

ენგურის მარჯვენა შენაკადი, გ. ნათყორ 1. მდ. ხაიშურას მარჯვენა შენაკადის — ნაჩელის ზემო წელი¹⁴. 2. ვერხვის სანერგვა ღელე ნაჩელის ხეობაში. 3. ციკაბოკალთებიანი ხრამი მდ. კასლეთურას ხეობას მარცხენა კალთაზე.

XVII—XVIII საუკუნეების სვანეთის საისტორიო ძეგლებშიც დასტურდება ტოპონიმი ფშყურ: ვინ ჩხუბ ქნას კახრას ფშყურს შუა, სახლა ღაწუს მისი¹⁵.

თავისი ფიზიკური ნიშან-თვისებებით ფშყორ / ფუშყურ / ნათყორის ოდენობისაა სვანეთში ერთი მეგრულა სახელწოდების ტოპონიმი ნაკიკყორი // ნაკიკკორი — პატარა ღელე-ჩევი მდ. კასლეთურას მარცხენა მხარეზე¹⁶. სვანები ხსენებულ გეოგრაფიულ ობიექტს კყონაშ ნატყიციქის უწოდებენ, რაც „მთა კყონას (მეგრ. კყონი „მუხა“) ჩამონანგრევს. ჩამონაშალს“ ნიშნავს.

მეგრული ნაკიკყორი // ნაკიკკორი-სა და სვანური ფშყორ / ფუშყურ / ნათყორის მნიშვნელობა გაუგებარია როგორც მეგრული-სისათვის, ისე სვანებისათვის.

სვანურ-მეგრული ტოპონიმების სტრუქტურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ: 1. მეგრულის ნაკიკყორი // ნაკიკკორი და სვანურის ნათყორ ტოპონიმების ნა- წინავითარების გამომხატველი პრეფიქსია: მეგრ. ნაკიკყორი <*ნა-პიკყორი, ნაკიკკორი <*ნა-პიკკორი; სვან. ნათყორ <*ნა-ფშყორ. მეგრულ ტოპონიმში კყ/კკ მონაცვლეობა მეორეულია. უკანაველარული ბგერის წინაველარულში გადასვლა — ყ>კ, განსაზღვრებით მკვეთრი ფონემების მეზობლობაში. ზანურისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა¹⁷

ზემოთქმულის მიხედვით. სვან. ნათყორ <*ნა-ფშყორ, ფუძისეულია *ფშყორ: მეგრ. ნაკიკკორი // ნაკიკყორი <*ნა-პიკყორი, დუძისეულია *პიკყორ. სვან. *ფშყორ მორფემის ანლაუტში თანხმოვან-

¹⁴ ნაკელ წინაითარების გამომხატველი სახელიდან სხვადასხვა სვანურმა და ნიშნავს „ნაკ-აბუჯს“. ტოპონიმის სახელწოდება მომდინარეობს *ნაჩქელ დიან (მდრ. ჩქელ „ღარაკოვ, ბეწვერი“).

¹⁵ იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941, გვ. 119.

¹⁶ ჩამოთვლილი ტოპონიმების სახელების მიზეზი დაკავშირებული უნდა იყოს სხენებულ აღკვეთზე ენოფონური ძალებისაგან გამოწვეულ მოქმედებასთან. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მტყუანებს ის, რომ ყველა შემთხვევაში სამე მგაქნს ისეთ გეოგრაფიულ ობიექტებთან, სადაც რელიეფის ზედაპირი ამორფიზებულია, არის ციკაბოკალთები და მის ქირში ან კალთის რომელიმე ადგილიდან მოედინება წყლები, ხალხ ზოგი მათგანი, მაგ.: ფშყორ, ფუშყურ (1) და ნათყორ (1), არსს ხეობის სათავე, საიდანაც მოვარდნოლი ღვარაკი თითქმის ყოველ წელს ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას — წაიღება გზები, იწვრება ხიდები, ზიანდება სახანჯისათბები. მაგალითად, ში-ოდე წლის წინ ნაკიკყორი-დან ამოსულმა შეწყერმა მდ. კასლეთურა დააგუბა და ჭალისპირა კარვებიც დაგუბებულმა წყალმა მოიკვა. ტბა დაახლოებით 120—150 ღ. მ. იყო. იგი არმდენიმე წელს არსებობდა და სახელწოდებაჲეც ქონდა — კასლი-თიქტიო ტბა „კასლეთის ტბა“ (სახელწოდება მთა კასლეთისაგან მომდინარეობს). დროთა განმავლობაში ტბა დაიღვმა, აქამდ მხოლოდ ნატბებილა და ქვეა მას კასლეთიშ ნატობ „კასლეთის ნატბეი“.

¹⁷ ყ>კ პროციისათვის იხ. არნ. ჩ. კობაძე, ზანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936, გვ. 17.

და თავდაპირველად მეორეულია. ფონეტიკური პროცესი შემდეგნაირად მომხდარა: ნ ა ფ შ ყ ო რ < * ნ ა ფ უ შ ყ ო რ < * ნ ა ფ უ შ ყ ო რ. უ ხმოვნის რედუქცია (> > უ) ნ ა - პრეფიქსის დარღვევითაა გამოწვეული¹⁸. უ ლაბიალური სონანტის სონაპირება წინამდებელ პოზიციაში ფ ლაბიალის არსებობამ განაპირობა, ხოლო ფუძისეული ო ხმოვნის უშუალოდ სიტყვის აბსოლუტურ პოლში არაპირდაპირად ხმოვნის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს¹⁹.

ტომონიმ ნ ა ფ შ ყ ო რ - ის * ფ შ ყ ო რ მორფემის რეკონსტრუირებული * ფ შ ყ ო რ იმის საშუალებას იძლევა, რომ სვანური ენის ბზ - ის ტერიტორიაზე ორგანო ლოკალიზებული ფ უ შ ყ შ ე რ ტომონიმის ამოსავლად * ფ შ ყ ო რ მკვიჩნით: * ფ შ ყ ო რ - > * ფ უ შ ყ ო რ - > ფ უ შ ყ შ ე რ. ო სონანტის უშუალოდ (> > უ) * ფ უ შ ყ ო რ - ის აუსლაუტში მათშუალებელ ხმოვანს აუჯვადგენინებს.

ამრიგად, ზემო სვანეთში ლოკალიზებული ნ ა ფ შ ყ ო რ / ფ უ შ ყ შ ე რ ტომონიმებისათვის ამოსავლია * ფ უ შ ყ ო რ: მეგრული წარმოშობის ნ ა - პიჭ ყ ო რ ი // ნ ა პ ი ჭ ყ ო რ ი ტომონიმებისათვის — პ ი ჭ ყ ო რ -.

11. სვანურში აღდგენილი * ფ უ შ ყ ო რ - ის არქეტიპად მეგრული * პ ი ჭ ყ ო რ - ი უნდა ვიგულებოთ სვანურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების ასახვითურთ. ხოლო მეგრ. * პ ი ჭ ყ ო რ - ისა და ზემო სვან. * ფ უ შ ყ ო რ მორფემების გარდამავალ საფეხურს კი უნდა წარმოადგენდეს ქვემო სვანეთში (ლაშხეთში) დადასტურებული ტომონიმი ფ ი შ ყ ო რ. ლექსებითა ისტორიული ცვლილებების თანმიმდევრობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: მეგრ. * პ ი ჭ ყ ო რ - ი > სვან. * პ ი შ ყ ო რ -²⁰ > * ფ ი შ ყ ო რ - > * ფ უ შ ყ ო რ - > * ფ შ ყ ო რ - . აქედან, ერთი მხრივ, ფ უ შ ყ შ ე რ, მეორე მხრივ, * ნ ა - ფ უ შ ყ ო რ > * ნ ა - ფ უ შ ყ ო რ > ნ ა - ფ შ ყ ო რ. სვანურშივე * პ ი შ ყ ო რ მორფემის წინამდებელ პოზიციაში პ აბრუბტივის ასპირაცია (პ > ფ) შ სპირანტის გველენით ასხსნება²¹. ხოლო ლაბიალურ ფონემათა ვარემოცვაში ი > (> > უ) ფონეტიკურად რასაშვება²².

როგორც აღინიშნა, ფ ი შ ყ ო რ / ფ უ შ ყ შ ე რ / ნ ა ფ შ ყ ო რ და ნ ა - პიჭ ყ ო რ ი (// ნ ა პ ი ჭ ყ ო რ ი) სახელწოდების მატარებელი ტომონიმების სახელდებლად მიწინააღმდეგობა მხოლოდ ისეთი გეოგრაფიული ობიექტებისათვის, რომელთათვისაც დამახასიათებელია იგივე ფიზიკური მოვლენა, რაც იმ წყარო-სიტყვის ცნებასთანაა დაკავშირებული²³.

რა ისტორიული მიმართებაა მოსალოდნელი მათ შორის? ჩვენი აზრით, „მეწყერ“ სიტყვა ორგანულ კავშირშია ზემოხსენებულ ტომონიმებთან. სა-

¹⁸ იხ. თითქმის, ენათმეცნიერების კართულიანი ნაშრომები, ტ. 1, გვ. 176, გვ. 68.

¹⁹ იხ. თითქმის, ნაშრომები, ტ. 1, გვ. 223.

²⁰ უცხადროსად კომპლექსში უცხადროსად დამახასიათებელია (უცხადროსად) ვაპირანტება — უცხადროსად ცნობილი ფონეტიკური მოვლენა სვანურში (მურ. კართ. მეწყერის: ნ. ზ. ზ. ო. სვან. შ. ა. შ. ი. ი.).

²¹ აბრუბტივის ასპირაციის დადგენილება სურათ-ქართული მოვლენა წინა (იხ. იუ. ქაფიანი, პირველი ცნობის რევიზია, XI—XVIII სს., I, სპ., 1964, გვ. 341. . .).

²² სანანტის სანანტის მხარეში ლოკალიზებული ფ უ შ ყ შ ე რ სიტყვის შეპირებული ვარიანტი უნდა იყოს, მხოლოდ-მხოლოდ მათ შორის უშუალოდ შეპირებული სიტყვები იხ. იმავე ტექსტში: შეგვეყო, ლეხთვს, ლეხთვის, გლს, წა გირვის და სხვ.

²³ მეწყერი გეოგრაფიული სახელია (ს. ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949); იმის მ. ნაყიბის (მეწყერობრივ იერობისა) დაჭრა, (ოცნება და დინამიკა, ტ. 1, გვ. 7).

ხელდობრ, სავარაუდებელია, რომ სვანურ-მეგრულის ხსენებული ტოპონიმებისათვის ამოსავალი ფუძეა *მ ი ქ ყ ო რ-ი. ეს უკანასკნელი კი ისტორიულად ტრანსფორმირებული ფორმაა ქართული მე წყ ე რ-მორფემისა. მათ შორის განსხვავებას მხოლოდ მათივე ქრინოლოგიური ევოლუცია უნდა ქმნიდეს: სვანურ-მეგრული მორფემების მნიშვნელობათა დაჩრდილვა გამოწვეულია ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი შესატყვისობებითა და ამ კანონზომიერ ბგერათმიმართებათა შემდგომი ევოლუციის დროს, სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოცვაში, ფონემათა პოზიციური შეგუებლობათა და რეალიზაციით. ეს ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ დავუშვებთ, რომ ქართული მე წყ ე რ-ლექსემის არქეტიპად *მ ე წყ ა რ-ს აღვადგენთ. სავარაუდოდ რეკონსტრუირებული საერთო-ქართველური *მ ე წყ ა რ- ფუძის კანონზომიერ შესატყვისად ზანურში უნდა მივიჩნიოთ სვანურ-მეგრული ტოპონიმებისათვის აღდგენილი *მ ი ქ ყ ო რ-ი²⁴. ისტორიულად მოქმედი ფონეტიკური კანონის თანახმად, საერთო-ქართვ. *მ ე წყ ა რ- არქეტიპმა მოსალოდნელი ფონეტიკური ევოლუცია განიცადა: საერთო-ქართვ. *მ ე წყ ა რ-ი > { ქართ. მე წყ ე რ-ი²⁵. მეგრ. *მ ი ქ ყ ო რ-ი > *მ ი ქ ყ ო რ-ი (წინაეითარების ნა-პრეფიქსით: ნ ა მ ი ქ ყ ო რ ი // > ნ ა მ ი ქ ყ ო რ ი). მაგრამ დროთა ვითარებაში მ ი ქ ყ ო რ-მა დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და, ბუნებრივია, სემანტიკურად გაუგებარი ტერმინი ენამაც განდევნა, რასაც, როგორც ჩანს, ხელა შეუწყო უფრო გვიან სესხების გზით შეთვისებულმა იმავე მნიშვნელობის

²⁴ გ. შ ა შ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს ა შ რ ი თ, იქ. სადაც ვართ. ეს ზანურში თ შეიქმნა ენა, ისტორიულად უკლებლად უნდა ევოლუციონირებოდეს, — იხ. მ ი ს ი, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიულად ქართველურ ენებში, თ ს უ შ რ., 69, თბ., 1958, გვ. 267. იგივე აზრია გამოთქმული თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი დ ი ს ა და გ. შ ა შ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს ე რ თ ი ბ ლ ი ვ ნ ა რ ო მ შ ი — სოციალური სინტაქსი და ახლანდელი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 157.

²⁵ მე წყ ე რ- სიტყვის არქეტიპი *მ ე წყ ა რ- მიმდებარე წარმოშობისა უნდა იყოს: *მ ე წყ ა რ- > მე წყ ე რ- (შდრ. წყარ-თ), სადღე მე-წმუის მიმდებარე გაქვადებული ფონეტიკის ჩანს (შდრ. მეტ-ბე- ტის მატელოგი. ანალოგიური წარმოშობისა: ქართ. მე ხ ხ ე რ-ი < *მ ე-ჩხარ-ი, შდრ. მეჩხარი „მშვიტი“ (საბა) — სენ. (ბქ.) ჩხარ „მეჩხერი“ > || ქართ. მეჩხერი (ცხილები); ქართ. მე ს ე რ-ი < *მ ე-სარ-ი, შდრ. სარ-ი „საზის მან.“ (საბა. შდრ. ავრეთ-ე-ი-სარ-ი).

შენიშვნა: თუ მე წყ ე რ- < *მ ე-წყარ-სწორა და მე-გამოყოფა როგორც ფორმანტი, მაშინ მეგრ. *მ ი ქ ყ ო რ- < *მ ი ქ ყ ო რ-ის თავიდან გამომდინარე ქართ. მე-ფორმანტის მორფოლოგიური ექვივალენტი იქნება, ხოლო *მ ი ქ ყ ო რ-მორფემა დაუკავშირდება არს. ჩ ა ქ ო ბ ა ე ა ს ჩ ი გ რ ქ ა რ თ. წყ ა ლ- თუქის კანონზომიერ შესატყვისად აღდგენილ *მ ი ქ ყ ო რ-ს (იხ. მ ი ს ი: კანონზომიერ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1933, გვ. 162).

მართალია, ქართ. *მ ე წყ ა რ-ის და მეგრ. *მ ი ქ ყ ო რ-ის თვითღირსი მარცხლის ხმოვნებში შესატყვისობა ქართ. ე: ზან. ა რ დასტურდება, მაგრამ ვართ. ე: ზან. ი ხმოვნების სუბსტრუქციის შემთხვევები საკმარისი თვალსაჩინოა: ქართ. ენა—მეგრ. ნინა i... ქართ. ენა-ხი—მეგრ. ზინიხი-ვაზიხი, ქართ. ყველი—მეგრ. ყვალა i..., ქართ. ყვინა—მეგრ. ყინორი i... ხოლო მეგრულში აბრუტევიცია (მ>პ) სიტყვის ანალოგიურ, განსაკუთრებით მეკეთრი ფონურებში მკვლევარებში, ცნობილი დაქტა საზოგადო და ევროპულ შემთხვევებზე მეტი მსაწინააღმდეგარისა ასევე ცნობილი დაყრუბა მოცემული მორფემა თითქმის პოზიციური იზოლოგებულად არ დგას, ანალოგიური დუბლეტები ზანურ-სლავურებში იხილავთ და ორია (იხ.: И. К и н и ш и д з с, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914, გვ. 055... არბ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 83. А. К и з и р и я, аланский язык, Языки народов СССР, т. IV, ИКЯ, Москва, 1967, გვ. 63—69).

ღეა რ- (ქართ. ღეარ-ი) და ნ-წყუ- მორფემების შემცველმა ლექსებებმა²⁶, ხოლო ზანურის ისტორიული ფორმა შემოინახა სვანეთში მეგრელების საზაფხულო საძოვარი მთების (კუონას, ობორიას...) მიჯნად ლოკალიზებულმა წინა-ეთარების ნაპიკუოზი (> // ნაპაკორო) ტომონიმმა და სვანურში შემორჩენულმა ამავე ფუძის რეფლექსებმა: ფიშყორ / ფუშყერ / ნაფწყორ.

4. ნეშკაშ / ნეშკა. ზემო სვანეთში დადასტურებული ტომონიმები ნეშკაშ (საძოვარია 2-გან მულახის ს. ს.) და ნეშკა (კლდის სახელა, ხაიშის ს. ს.) ერთი და იმავე სემანტიკისა და წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებებია²⁷. ტომონიმთა სახელდებისათვის ამოსავალი ფუძეა სვანურ ენაში საზოველთაოდ ხმარებული საზოგადო სახელი ნეშკა (ბზ.) და ნეშკა (ბქე.)²⁸.

ბქე.-ის სვანურში გეოგრაფიულა ობიექტის გადმოსაცემად აღებულია სინქრონიულად მარტივი ფუძის საზოგადო სახელი ნეშკა. ამ შემთხვევაში ტომონიმიაში სახელდების ცნობილ ანალოგიასთან გვაქვს საქმე — საზოგადო სახელმა ფუძის შეუცვლელად საკუთარი სახელის ლოკალიზაცია იკისრა. ბზ.-ში ტომონიმად საზღვრულგაუჩინარებული ნაგენეტივარი მართული ფუძეა აღებული — ნეშკაშ. აუსლაუტის უქანასიბილანტური შფონემა ნათესაობითი ბრუნვის -იშ ფორმანტის ნაშთია²⁹. ბრუნვისეულ იბნოვანმა, სვანურში არსებული ფონეტიკური წესების თანახმად, მომდევნო ავოკალი გააუმლაუტა, ხოლო თვით ჭერ დაუსტდა და შემდგომ დიკარგა, რომლის საკომენსაციოდაც ძირისეული ა ხმოვანი დაკრძელდა. კანონზომიერი კომბინატორული ცვლილებების შედეგად ნეშკაშ შემდგენიარად ჩაწოყალიბდა: *ნეშკა-იშ > *ნეშკაშ > ნეშკაშ.

როგორც ცნობილია, ბქე. სვანურა მეტყველება ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეს არ განარჩევს. ამდენად, ბქე.-ში ტომონიმების სახელწოდებად გამოყენებული საზოგადო სახელი ნეშკა და ბზ.-ის ნეშკაშ-ის ფუძისეული მორფემა ნეშკა ერთი და იგივე ფუძის ფონეტიკურად განსხვავებული ალომორფებია.

პირველადი მნიშვნელობა ნეშკა / ნეშკა სიტყვებისა მხოლოდ და მხოლოდ ბოისის (სვან. გუალის) ჭერთანა დაკავშირებული. საზოგადო სახელის

²⁶ მეგრ. ნ-წყუ- (ნ-წყუ-ალა „ჩამოქცევა, ჩაფლობა“, შდრ. მეგრ. ღინწყუ ქიანაქ „ჩამოიქცა ქვეყანა“ — წმიდანობასთან დაკავშირებით იტყვიან ხოლმე) ეტიმოლოგიურად წყაღს უკავშირდება (იხ. თ. გამყარელიძე, გ. შაქავეარიანი, სონანტა სისტემა... გვ. 90). სამეგრელოს ტერიტორიაზე ამავე ფუძის ტომონიმები ბევრგანაა დამოწმებული: ნაწყყეი „ფერდობი“ (წალენიხის რ.), მგკნაწყეი „ფერდობ“ (ჩხობროწყუს რ.) — იხ. ტომონიშის ლაბორატორიის არქივი.

²⁷ გვაქვს ამავე სიტყვის შემცველი ტომონიმებიც: იიბე ნეშკაშ (საბალახო მულახის ს. ს.), ნეშკაშ ჭარკადლელი (კლდეები ყველა ხაიშის ს. ს.), მაგრამ ჩვენ მხოლოდ ნეშკა / ნეშკაშ მორფემების შემცველი სიტყვები გვიანტერესებს, რთული ტომონიმების ანალიზი ამჟრად კვლევის ობიექტი არ წარმოადგენს.

²⁸ ძველი სვანური სახლების ქვედა სართულში (მა.უბში) საქონლის ბინად გამოყოფილი ბოსლის (გუალის) ჭერს ბზ.-ში ნეშკა, ხოლო ბქე.-ში ნეშკა ჰქვია (იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 145).

²⁹ მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა-იშ (//-) სუფიქსის საკითხისათვის, ჭესს, III, თბ., 1963, გვ. 71.

გადასწრებება გეოგრაფიულ სახელწოდებად გამოწვეულია თვით გეოგრაფიული ობიექტის ფიზიკურ მონაცემებსა და სუბიექტურ-შემმეცნებლის ფსიქოლოგიკურ კომუნიკაციაზე გეოგრაფიული რელიეფის ნ^ეშკა/ნ^ეშკა-სთან მსგავსების მიხედვით. გამოდის, რომ ნ^ეშკა/ნ^ეშკა გეოგრაფიული ტერმინის ტერასას-ს ფუნქციური ექვივალენტია და სკანდინავია, გარდა მისი ძირითადი მნიშვნელობისა, დაეკისრა ლანდშაფტის დამრეკ ან შვეულ კალთებზე რომელი ტერასული დავალებების აღნიშვნას. მისი ამგვარი „შთავსებითი“ ფუნქცია, რომელიც ტოპონიმიაში ადგილთა სახელდების ერთგვარად ნაცადი სერიაა, მეორეულია.

ნ^ეშკა/ნ^ეშკა ისტორიულად წარმოქმნილია ფუძეებია, რომელთაც გამოეყოფა ნ^ე-/ნ^ე- პრეფიქსები, როგორც გაქვავებული და ფუძეს შეხორცებული ფორმანტები³⁰. ოდენობრიულად *შკა მორფემის ლიამარცვლიანობაც გეორგიული ვითარების მაუწყებელი უნდა იყოს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ გეტყველებს ის, რომ სუბსტანტივებში ვოკალური დაბოლოება თანამედროვე სკანდინავიის ბუნებისათვის ნიშანდობლივი არაა. გარდა ამისა, ნ^ეშკა/ნ^ეშკა ისტორიულად ა დაბოლოებიანი რომ ყოფილიყო. მაშინ მოსალოდნელია ჩვენბოდა ფუძის ბოლოკიდურ ა ხმოვანთან ბრუნვისეული ა (<ა>) ხმოვნის შერწყმით მიგველო ე დაბოლოება ისევე, როგორც: სვან. თხ^ნრ^ე/თხ^ნრ^ე<ა> თხ^ნრ^ეა-ა „მგელი“. ნ^ესყ^ე/ნ^ესყ^ე<ა> *ნ^ესყ^ეა-ა „ნემსი“ (მდრ. მიტ. თხ^ნრ^ე/თხ^ნრ^ეა „მგელს“, მიტ. ნ^ესყ^ე/ნ^ესყ^ეა „ნემსს...“)³¹, ხოლო ის სპორადული შემთხვევები, სადაც მორფემათა აბსოლუტურ ბოლოში დასტურდება ა მოგვობა თანხმოვანი+ხმოვანი, შემდეგდროინდელი ფონეტიკური პროცესის შედეგი უნდა იყოს და ლიამარცვლიანობა; ე რომელიმე თანხმოვნის (შეცვლილთა სიმანტების) გაუჩინარებით უნდა აიხსნას (თუ, რა თქმა უნდა, სესხებზე ვნით გვიანშესული სახელები არაა)³². თანახმად შემოთქმულისა, მათგანგანად გვეჩვენება *შკა მორფემის ამოსავალ ფორმად პრე-სკანდინავიურ *შკარ ვივარაუდით. მაგრამ შემდგომ სავარაუდოდ რეკონსტრუირებულ *შკარ სიტყვებზე იტორიულად მოქმედი ფუნქციის მატარებელი ნ^ე-/ნ^ე- პრეფიქსის დართვ ს შედეგად უნდა მოჰყოლია ძირეულ კომპონენტში სხვა სახის ფონეტიკურად გაპირობებული ცვლილებები. სახელდობრ: ნ^ე-/ნ^ე- მიმდევრობათა ნ ნაზალურ ფონემას ნაწილობრივი დისტანციური ასიმილაციით (პროფრესული ასიმილაცია რავგარობის მიხედვით) შეეძლო რ ვიბრანტის ლატერალურ ცონემაში გადაყენება (ნ—რ>ნ—ლ)³³. ხოლო აუსლაუტში, გან-

³⁰ სავითოდ, ნ^ე-/ნ^ე- პრეფიქსი ქართ. ხა და სვან. ლე-ფორმანტების მორფოლოგიურ შესატყვისად რა, ნენი ვარაუდით, ნ^ეშკა/ნ^ეშკა-ს ნ^ე-/ნ^ე- თავსართი იგივე ორიგინულობისა, რაც ნ^ე-რ^ეწყო, ნ^ე-სტყო თუ ნ^ე-სგა, ნ^ე-პა... სიტყვების ნ^ე-/ნ^ე-პრეფიქსები (იხ. H. Ma p u, Извлечение из сванско-русского словаря, Петроград, 1922, გვ. 23; ვ. თოფურია, ქართული ენის სიტყვაწარმოებიდან, I, თსუ შრ., VII, 1938, გვ. 83. . .).

³¹ იხ. მ. ქაალა ნი, სკანდინავიის ფონეტიკა, I, გვ. 56.
³² იხ.: ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოებას ისტორიისათვის სკანდინავია, ტუშ, VII, 1927, გვ. 238. არნ. ნიჭობა ვა, სახელს ფუძის ექველეთა ავებულება ქართულ ენებში, თბ., 1942, გვ. 5.

³³ სანორთა ანალოგიური პარციული მონაცელობა სიტყვის თითქმის ნებისმიერ ელემენტთა გარემოცვასა თუ მიმდევრობაში ქართულური ენებისათვის ცნობილი მოეძენა. საილუსტრაციოდ მასალა იხ.: ს. კლ^ეტ^ი, სკანდინავიის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949, გვ. 183... მისივე, კანტურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 113. . . მისივე, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 238... მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960, გვ. 54. ივ. ქაალა ნი, ქართული ენის ისტორიისათვის, I. . . გვ. 195.

საკუთრებით ხმოვნის მომდევნო პოზიციაში, ლ სონანტის ლაბიოველარიზაცია (ლ > ჟ) სვანურში ჩვეულებრივი მოვლენაა და ცნობილი ფაქტია სამეცნიერო ლიტერატურაში³⁴. ჩსი ცნობილია, რომ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ხშირად სონანტები (ზოგჯერ ლაბიალური ფონემებიც) უჩინარდებიან და მთელი რიგი კომბინატორული ცვლილებების შედეგად ვლელულობთ ლიამარცვლოვანი დაბოლოებების მორფემებს. მაგ.: სვან. გ ჟ ი < გ უ < *გ უ ჟ < ქართ. გ უ ლ-ი, სვან. თ ჟ ი < თ უ < *თ უ ფ < *თ უ ფ ჟ < ქართ. თ ა ფ ლ-ი (< *თ ა ფ ა ლ-), სვან. შ ლ ა < *შ ლ ა ჟ „თაფთავი“ (ეტიმოლოგ. თ ა ვ-ი) სვან. ი ჩ ო < ი ჩ ო მ „იქმს“ და სხვ.³⁵ სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში სონორ თანხმოვანთა გაუჩინარება განსაკუთრებით თვალსაჩინოა რედუპლიციკრებულ ფორმებში: *ძ უ რ- > *ძ უ-, რედუპლიკაციით — ძ უ-ძ უ „ძუძუ“ (შდრ. ცური „ჩიქანი“), ბ ო მ ბ ო „დაბეგვილი კანაფი, ძენძი“ (გურ.) < *ბ ო მ-ბ ო რ (შდრ. ბომბორა „გრძელი, მსხვილი, გაწეწილი ბალნის მქონე, — ბანჯგვლიანი“) და სხვ.³⁶ ხოლო ნ ე შ კ ა / ნ ე შ კ ა ლექსემების აუსლაუტური სონანტის დაკარგვისათვის, როგორც დამატებითი ფაქტორი, შესაძლოა, ნ ე / ნ ე- პრეფიქსის დართვასაც შეეწყოს ხელი. ანალოგიური შემთხვევები დასტურდება: ძ ე. ქართ. ს ტ ვ რ-ი „სასტენიანი“³⁷; „საყვირი“, სალამური, საკრავი, სასტენი საკრავი“³⁸, მაგრამ — ნ ე ს ტ ვ-ი „ყოველგვარი ჩასაბერი საკრავი“³⁹; ქან. ზ უ რ ა „დედალი“ (самка)⁴⁰. სვან. ზ უ რ ა ზ „დედალი წვრილფეხა საქონელი“, ზ უ რ-ალ „ქალი, დედაკაცი“, მაგრამ — ქართ. ნ ე ზ ე-ი „დედალი თხა“⁴¹; „მდედრი“. მზუელი, ნეზვი“⁴²; „დედალი ღორი, თხა ან ცხვარი“⁴³, მეგრ. ნ ე ზ ე ი, სვან. ნ ე ზ ე ჟ „დედალი ღორი“; სვან. კ ა პ რ ა ზ „ყბა“, მაგრამ — ნ ე პ კ ა (< *ნ ე კ ა-), ნ ი კ ე ა „ნიკაბი“ და მეგრ.-ქან. ნ ე კ ე / ნ ე კ ე უ / ნ ი კ ე უ „ნიკაბი, ყბა, პირი-სახე“⁴⁴.

ყოველივე თქმულის შემდეგ, დასაშვები ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით, ნ ე შ კ ა / ნ ე შ კ ა სატყუათა ისტორია შემდეგნაირად წარმოგვიდგება: პრე-სვან. *ნ ე-შ ე კ ა რ > *ნ ე-შ ე კ ა ლ > *ნ ე-შ ე კ ა ჟ > ბ ზ. ნ ე შ კ ა > ბ ჟ ე. ნ ე შ კ ა.

³⁴ იხ.: Н. М а р р, Где сохранилось сванское склонение, ИИАН, СПб., 1911, გვ. 120; შ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ლაბილური კილოაის ფონეტიკური თავისებურებანი, გვ. 154. გ. რ ო გ ა ე ვ ა, ჟუძის ბოლოკიდურ სონორთა პოზიციური ცვლილებებისათვის ქართულურ ენებში, ს მ გ მ, I, თბ., 1962, გვ. 227. . თ. ჯ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სიტყვით. გვ. 82—83.

³⁵ იხ.: გ. შ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ა ხოვნის ლაბიალიზაციის შემთხვევები სვანურში, ს მ ა მ, XVII, № 4, 1956, გვ. 366. . . თ. ჯ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა, გვ. 118, 148; ე. თ ო ფ უ რ ი ა, შრომები, I, გვ. 71.

³⁶ იხ. ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ზმნური ფუძეების ლინგვატიკური კარტოგრაფიისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 150.

³⁷ ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

³⁸ ი. ა ბ ე ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

³⁹ ქ გ ლ. V.

⁴⁰ Н. М а р р, Грамматика чанского (лазского) языка, СПб., 1910, გვ. 8.

⁴¹ ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

⁴² ი. ა ბ ე ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

⁴³ ქ გ ლ. V.

⁴⁴ Н. М а р р, Извлечение из сванско-русского словаря, გვ. 25; ე. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, I, თ ს უ შ რ., VII, 1938, გვ. 88—89; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 49.

ისმის კითხვა: გვაქვს რაიმე საფუძველი იმისა, რომ *შკა მორფემის არქეტიპად *შკარ აღვადგინოთ?

ვეარაუდობთ, რომ *შკა < *შკარ მხოლოდ თეორიულად აღდგენილი მორფემა არაა.

ქართულის დიალექტებში დასტურდება სიტყვა ჰერ-ი მნიშვნელობით: გაუთლელი, დაუმუშავებელი, წერილი ხე (აჰარ.-ხევს.); 2. სასიმინდის იატაკი, შედგენილი მრგვალი წერილი ხეებისაგან (გურ.); 3. ბოსლის იატაკი, ერთმანეთზე მიწყობილი მრგვალი ხეებისაგან გაკეთებული (იმერ.)⁴⁵. საბასთან ჰერ-ი სართულია, ხოლო ნ. ჩუბინაშვილთან — „სართული სახლისა შიგნიდამ“ (შიტიანი). ამავე ფუძის შემცველია ხევსურული ჰერხო „ხევსურული სახლის მეორე სართული“⁴⁶ და თუშური ჰერხო „ადგილი სახურავსა და ჰერს შორის“⁴⁷.

ჰერ- მორფემის შესაცნობად საყურადღებოა, ერთი მხრივ, აჰარულ-ხევსურული და, მეორე მხრივ, იმერულ-გურული მნიშვნელობები. დანარჩენ განმარტებათა შემცველი სიტყვები ჰერ- მორფემის ისტორიული მნიშვნელობის დიფერენციაციის შედეგად მიღებული სემანტემებია⁴⁸. მაგრამ არც თანამედროვე დიალექტური ჰერ- ფუძის გაგება უნდა იყოს მისი თავდაპირველი მნიშვნელობის იდენტური. თანამედროვე მისი სემანტიკა გვიანდელია და დიაქრონიულ წრილში ჰერ- სუბსტანტივისათვის ამოსავალია ზმნური ფუძე ჰერ- (დავ-ჰერ-, рсзатв)⁴⁹, ხოლო ამ უკანასკნელის ამოსავალ ფუძედ, ზან. ჰკორ- მორფემაზე დაყრდნობით, ქართულში *ჰარ-ს აღადგენენ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს როგორც ისტორიულად დამოწმებული ფორმები, ისე დიალექტური მონაცემებიც. ამასთან დაკავშირებით გ. მაჭავარიანი წერს: „შეფარდება ქართ-ჰერ- ზან. ჰკორ- ჰარ- ფუძეს გვაეარაუდებინებს ამოსავლად. უკანასკნელი მხოლოდ თეორიული ვარაუდი, ვარსკვლავიანი ფორმა კი არ არის, არამედ რეალურად დასტურდება გურულში, ხევსურულში: გურ. დავ-ჰარ-ი, ხევს. ნა-ჰარ-ი. ჰარ- ვარიანტი თითქოს უცხო არ უნდა იყოს ძველი ქართულისათვისაც: დაჭედ აქა და დაჰარ ეტრათი ესე („სვანური მანუსკრიპტი“)⁵⁰. დამატებით შეიძლება ა-ხმოვნის ვარიანტის ორიოდე მაგალითის მოხმობაც: შენის რჩევისა ნაკვეთსა რაღმცა გარდაცხდე ნაჰარსა (ნაჰარ-ი ნაჰე-

⁴⁵ იხ. ქ გ ლ, VIII.

⁴⁶ იხ. ვაჟა-ფშაველას მერვე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჰინჭარაძემ, თბ., 1969.

⁴⁷ პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 280—281.

⁴⁸ გარდა ზემოაღნიშნულისა, ჰერ- ფუძეს სხვა მნიშვნელობებიც შეუთავსებია, მაგრამ უველა მათგანი ახალი, სემანტიკური დიფერენციაციის შედეგად მიღებული მეორეული ლექსიკონი ერთეულია (იხ. ქ გ ლ, VIII).

⁴⁹ დიალექტური ჰერ- მორფემის თანამედროვე გაგება ისტორიულად იგივე უნდა ყოფილიყო, რაც სალიტერატურო ნაშრომი ნაჰერ ნაჰერ- სიტყვისა (შლრ. ნაჰერი რისაჰე გაჩევეული ნაჰილი, მონაყეთი, მონაჰერი, ქ გ ლ, V).

⁵⁰ გ. მაჭავარიანი, ხმოვნთა შესატყვისობის ისტორიიდან ქართულში, თსუ შრ., 69, თბ., 1958, გვ. 269—270.

რი, ნაფლეთი)⁵¹. „... ნამსხლავი პლანტაციიდან არ გავციტანია ან აქარი ბუჩქების ნოყინების შიშით. ან აქარის გატანა მოხდა აპრილის თვეში“...⁵².

ილუსტრირებული მასალის მიხედვით ჩანს, რომ ქართულშივე ნამყოფი ღრის მიმდებარე ნაკერ-სიტყვისათვის ამოსავალია *ნაკარ-ი, ხოლო ქერ-სუბსტანტივისათვის — *ქარ- და ორივე ფორმის ამოსავლად ზმნური ფუძე *ქარ- ივარაუდება.

თანამედროვე სვანურში საერთო-ქართველური *ქარ- მორფემის მორფოლოგიურ-სემანტიკურ შესატყვისად დასტურდება ან ზან. ჰკორ- (რეფლექსებით: ჰკჷერ-/ჰკჷრ-), ან სხვა ფუძის შემცველი ჰუც/ჰჷც/ჰჷც/ჰჷცჷც. ეს ვითარება კი იმის უფლებას გვაძლევს, რომ პრეისტორიულ სვანურშიც ვეძებთ ქართლის *ქარ- და ზანური-ის ჰკორ- ფუძეების შესატყვისის ლექსემები. ასეთად, ჩვენი აზრით, მართებული ჩანს რეკონსტრუირებული *შქარ⁵³. მართალია, იგი ამ სახით თანამედროვე სვანურში არ დასტურდება, მაგრამ სვანურში ბოსლის (გულის) ჰერის აღმნიშვნელი ნეშქა/ნეშქა-ში გამოყოფილი და რეკონსტრუირებული *შქარ საერთო-ქართველური *ქარ- ფუძის კანონზომიერი ფონეტიკურ-მორფოლოგიური და, ისტორიულად, სემანტიკური შესატყვისია: საერთო-ქართ. *ქარ-: ქართ. ჰერ-.
| ზან. ჰკორ-: სვან. *შქარ⁵⁴.

⁵¹ ციტირებულია „ქილია და დამანადან“ (იხ. ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, II, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1949, გვ. 376, 444).

⁵² ლანჩხუთის რაიონის ს. აცანის კოლმეურნეობის თაერის ამხანაგ გ. ლონტის გაბისკილად (იხ. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1973 წ. 13 მარტი).

⁵³ დასაშვებია ნეშქა/ნეშქა მორფემის ძირეული *შქა ელემენტისათვის აბსოლუტურ ბოლოში საერთო-ქართველური *ქარ- ლექსემის აუსლატური რ ფონემის შესატყვისად სვანურში რომელიმე სხვა სონანტის არსებობაც (შდრ. შეუარღებები: ქართ. რ: სვან. რ/ლ/ნ: ურთ. მწერ-ი: სვან. მწერ id. ქართ. პირ-ი: სვან. პილ id. ქართ. ჯაჯ-ი: სვან. ჯჯ id. . .).

⁵⁴ არქიტექტურულად სვანური ნეშქა/ნეშქა სწორედ ჰერებისაგან (რან. ნაქერები-სვან) შედგენილი ბოსლის (გულის) ჰერია. ბ. ნიჭარაძის გადმოცემით: „გუალი ძირს ფილაქნებით არის დაფენილი, ზევით ჰერი აწყვია“ (იხ. მისი: ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, გვ. 67).

ჰერ პირველი, წერილი ხის მნიშვნელობით სვანურში ფართოდ გავრცელებული საზოგადო სახელია, მაგრამ იგი შედარებით ახალი ლექსიკური ერთეული ჩანს და დამკვიდრებულა ქართულიდან სესხების გზით. გვაქვს ჰერ ფუძისაგან წარმოქმნილი წინაფითარების ტოპონიმებიც: ნანჰერ მნიშვნელობით: ნახოუარი, ნაჟუი, ჩაძირკვი. დამოწმებულია, აგრეთვე, ნასოფლარის სახელწოდებად არამარკირებული ჰერ (ხაიშის ს.ს., მესტიის რ.).

ჰერ ფუძის შემცველი ტოპონიმები საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება (იხ.: ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, I, გვ. 100, 117, 119; ვისოკი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, II, გვ. 2; ს. ჯიქია, გურქისტანის ულაიუთის დიდი დათარი, წ. III, თბ., 1958, გვ. 283; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა თბ., 1941, გვ. 81, 6).

სვან. ნეშქა/ნეშქა და გეოგრაფიულ სახელწოდებებად ლოკალიზებული ჰერ- ფუძეთა მმართველები დამატებით კელეას მოითხოვენ.

გენადი ბურაშლავი

გემინანტთა აოზიციური ცვლილებებისათვის ლაქურში

სალიტერატურო ლაქურში გემინანტის ადგილი მყარია: იგი უფოოდ ხმოვნის წინაა. ლაქური ენის ზოგ თქმაში კი გემინანტს ეხედებით სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს და თანხმოვნის წინაც. ვნახოთ მაგალითები¹:

ა) გემინანტი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს:

ნის „ყველი“, ქუნუქე „კერცხი“, ვიურესე „მანეთი“, მაელისე „კომპანია“, „საზოგადოება“ (ს. წუველ I), სუსე „პატარძალი“, ვიურესე „მკიდრო ნასკვი“, ცხაე „ასკილი“² (ს. დრჯვარლ), მარესე „გასწერივი, სივრძივი ძაფები“, ბაქოქე „ხალვა“ (ს. ქიულ), შარულთე „ბელურები“ (ს. ვიხულ), აშე „ხაზი“ (ს. დრჯვარლ, ვიხულ, ქიულ), მახე „რკინა“, მავე „სიტყვა“ (ს. დრჯვარლ, მაშივი), მურხე „ხე“ (ს. დრჯვარლ, ვიხულ³, მაშივი).

ბ. გემინანტი თანხმოვნის წინ:

ჰანთარაბა „დღე-ღამიდან“, თარაწალილ „კალოებმა“, „კალოებისა“, ნისარე „ყველები“, ქუნუქარე „კერცხები“, მურხარე „ხეები“⁴, ატულსარი „ნაყოფები“, ხარე „ზღვა“, ქარი „ნაჭექი“ (ს. ვიხულ), რიშელან „ცემა“, ბაქეთარი „ხალვები“, ბაქოქეგე „ხალვაე“, „და ზალვა“, ჰათელელ „ოთახმა“, „ოთახისა“, ჰანთელელ „დღემ“, „დღისა“ (ს. ქიულ), შირთარი „მრგვალი ქიები“ (ს. კვაიმი), ლახელან „შესწავლა“ (ს. ქიულ, ვიხულ), თარალ „სავარცხელი“, ხალე „თივა“ (ს. ვიხულ, წუველ I), ლახელან „ჩაემა“ (ს. წუველ I, კვაიმი), დიურხელან „კერვა“, შათარი „გველები“ (ს. დრჯვარლ⁵), დუქლან „წაკითხვა“ (ს. დრჯვარლ, წუველ I), მარხარი „ძირები“, თიქარი „ვირები“ (ს. დრჯვარლ, ვიხულ), ჰათარი „სახლი“ (ს. დრჯვარლ⁶, ვიხულ⁷, წუველ I, კვაიმი), ჰაიაციარი „ფა-

¹ სალიტერატურო მასალა მოყვანილია ს. ხაიდაკოვის წიგნიდან «Очерки по лакской диалектологии», М., 1966 და სხვა შრომებიდან, რასაც სათანადო ადგილას ვუთითებთ. ფრჩხილებში მოყვანილია იმ პუნქტის ლაქური სახელწოდება, სადაც ესა თუ ის ფორმა დასტურდება.

² ასეთ ფორმას პ. უსლარის მონოგრაფიაშიც ეხედებით: Барзи П. К. Услар, Этнография Кавказа, Языкознание, IV, Лакский язык, Тифлис, 1890, გვ. 378, 492.

³ ფორმა ჩვენ მოკონა ფიქსირებული ს. დუმუქში, 1966 წ.

⁴ Г. Б. Муркелинский, Говоры аштикулинского диалекта лакского языка, УЗИАЛ, т. XI, серия филологическая, Махачкала, 1962, გვ. 17.

⁵ ს. დრჯვარლანს შეტყველების ნიმუშები მოყვანილია ნ. ჰიდაკოვის ხელნაწერი შრომიდან: «Аракульский диалект лакского языка» (Предварительное сообщение), რომელიც მოხსენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა კათედრას 1960 წლის სექტემბერში.

⁶ С. М. Хайдаков, Очерки по лакской диалектологии, გვ. 94. ოლონდ იქვე (გვ. 226) თანდართულ ტექსტებში ს. ვიხულ-ის შეტყველებისათვის ნაჩვენებია ჰათარი „სახლი“ ფორმა, სადაც თ-ს ნაცელად მოსალოდნელი იყო გემინანტი თხ. აღბათ, ბექლეს შეცდომა.

შატები* (ს. ვიხულ, ჰულ, წუგულ I, ქვაში), ხორავ განა* კავშირი დასტურდება სოფ. წუგულ I და სენს.ტულის⁷, აგრეთვე, ვიხულისა და ვიტხის მეტყველებაში⁸.

წარმოდგენილი ბილუსტრაციო მასალის ანალიზიდან ირკვევა, რომ:

1. გემინატი გვხვდება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს მაშინ, როცა ბოლოკიდური ხმოვანია რედუცირებული. მაშასადამე, აქ რედუცირებული ხმოვნის ერთგვარი კომპენსაციაა: სადა თანხმოვანი ვკაძლევს მის შესაბამის გემინატს⁹.

1. 1. ნის< *ნისი „ყველი“; შდრ. სალიტ. ნის „ყველი“ - მხ. რ. ერგ.-ნათ. ნისი-რა-ლ „ყველა“, „ყველა“, სადაც -რა- ირიბ ბრუნვათა „ჩანართია“ მხ. რიცხვში; ფუძეა ნისი-, რომლის ბოლოკიდური ი-ს რედუქციის შედეგად თქმაში სადა ხ-ს მოუცია ხს.

სახელობითი *ნისი ფორმის აღდგენას¹⁰ ხელს უწყობს დალესტნორ ენათა მონაცემებიც: თამას., კრიწ. ნისი, ლეზგ. ნისი, ნასუ, დარგ. ნუსი, მულუხ. ნუსუ, არჩიმ. ნისო ანდ. ისო, „ყველი“, ხუნძ. ნისო, ნისუ „ხაკო“. „მოხდილი ყველი“.

1. 2. სუს< *სუს+V „პატარძალი“; შდრ. თამას. სუსსუ იმავე მნიშვნელობით.

ს. დრჭაოლ-ის მეტყველებაში სუს „პატარძალი“ ლეზგიურ ენათაგანა შესული¹¹, სადაც ეს სახელი რედუქციარებულია¹². არც ერთ ლეზგიურ ენაში არ გვხვდება ამ ფუძის შემცველ სახელში გემინატი¹³. მაშასადამე, სუს< *სუს+V „პატარძალი“¹⁴.

1. 3. ჭურუს< *ჭურუსი „მანეთი“; შდრ. სალიტ. ჭურუს „მანეთი“ - მხ. რ. ერგ.-ნათ. ჭურუსი-რთხ-ა-ლ „მანეთებმა“, „მანეთებისა“, სადაც -რთხ- ამ სახელის ირიბ ბრუნვათა „ჩანართია“ მხ. რიცხვში, ხოლო -ა- დამაკავშირებელი ხმოვანი, აღდგენილ *ჭურუსი ფორმაში ბოლოკიდური ი ხმოვანი, შესაძლოა, მეორეულია; ოღონდ, იმ დროს, როცა თქმაში ზღებოდა ჭაურუს< ჭურ-

⁷ Г. Б. Муркелинский. Говоры аштикулинского диалекта. .. გვ. 25.

⁸ Г. Б. Муркелинский. Краткие сведения о шихлинском диалекте лакского языка, ЯСКД, II, М.-Л., 1949, გვ. 101.

⁹ შდრ. ანდიური, სადაც მსგავს შემთხვევებში არამავარი თანხმოვანი ვკაძლევს მავარს. ილ. ცერცეაძე, ანთიური ენა, თბილისი, 1965, გვ. 42-43.

¹⁰ შდრ. Сравнительно-историческая лексика дагестанских языков, М., 1971, გვ. 209. სადაც ბოლოკიდურ ხმოვანდ ლაქურში უ-ს აღდგენენ.

¹¹ С. М. Хайдаков, Очерки по лакской диалектологии, გვ. 33.

¹² Сравнительно-историческая лексика .. გვ. 132.

¹³ იქვე.

¹⁴ V, აღბათ, თან უ-ა, რადგან უმახვილო, ბოლოკიდური ვიწრო სოვნის: რედუქცია უწროა მოსალოდნელი, ვიდრე ღართო ხმოვნისა. შდრ. ხუნძურ-ანდიური ენება, სადაც ბოლოკიდური ვიწრო სოვნის რედუქციის ტენდენციაა. ტ. ვუდავა, ერთი რიგის თანხმოვნთა ცვლილებებისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში, სმშ ტ. XXII, № 1, 1959, გვ. 113; ილ. ცერცეაძე, ბოლოკიდურ ხმოვანთა რედუქციისათვის ანდიურ ენებში, სმშ ტ. XXIII, № 2, 1959; მისი იქვე: ანდიური ენა, გვ. 15-19; 3. Магомедбекова, О фонетических особенностях южного диалекта ахвахского языка, ИКЯ, XIII, გვ. 2-3; იქვე: Ахвахский язык, Тбилиси, 1967, გვ. 19.

რუსი, ი ფუძისეულად მიიჩნეოდა, რომლის რელექციის ხარჯზეც ბოლოკიდური სადა ს > ს¹⁵.

1. 4. მაელის < *მაელისი „კომპანია“; შდრ. სალიტ. მაელის „კომპანია“ — მრ. რ. ერგ.-ნათ. მაელისი-რთა-ლ „კომპანია“, „კომპანიის“. *მაელისი „კომპანია“ ფორმაში ბოლოკიდური ი მეორეული ჩანს. ეისი რელექციის შედეგადაა, რომ სადა ს > ს¹⁶.

1. 5. ჯჷურჯ < *ჯჷურჯი „მჭიდრო ნასკვი“; შდრ. სალიტ. ჯჷურჯ „მჭიდრო ნასკვი“ — მრ. რ. ერგ.-ნათ. ჯჷურჯი-რდ-ა-ლ „მჭიდრო ნასკვებმა“, „მჭიდრო ნასკვებისა“, სადაც -რდ- მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა „ჩანართია“, ხოლო -ა- — დამაკავშირებელი ხმოვანი.

როგორც მრ. რ. ერგ.-ნათ. ჯჷურჯი-რდ-ა-ლ „მჭიდრო ნასკვებმა“, „მჭიდრო ნასკვებისა“ ფორმიდან ჩანს, ი-ს წინ მდგომი ჯ სადაა; მაშასადამე, ჯჷურჯე „მჭიდრო ნასკვი“ ფორმაში ბოლოკიდური ჯ მეორეულია და მიღებულია ჯ-გან ი-ს დაკარგვის ხარჯზე¹⁶.

1. 6. მარჯ < *მარჯა „გასწორივი, სიგრივი ძაფები“; შდრ. სალიტ. მარჯ „სახურავის ნაფენი“¹⁷ — მხ. რ. ერგ.-ნათ. მურჯალ < *მარჯალ „სახურავის ნაფენმა“ „სახურავის ნაფენისა“. *მარჯა ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის რელექციის ხარჯზე ჯ > ჯ¹⁸. აქაც, ამოსავალი გემინატი რომ ყოფილიყო, იგი სალიტერატურო ლაქურში უთუოდ აღდგებოდა ხმოვნისწინა პოზიციაში.

II. გემინატი წარმოდგენილია სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს იქ. სადაც იგი ისტორიულად იყო. გემინატის ამ პოზიციაში შენარჩუნება მისი მომდევნო ხმოვნის რელექციის კომპენსაციაა¹⁸.

2. 1. ქჷუნუქ < *ქჷუნუქი „კვერცი“; შდრ. სალიტ. ქჷუნუქ „კვერცი“ — მრ. რ. ერგ.-ნათ. ქჷუნუქი-რთა-ა-ლ < *ქჷუნუქი-რთა-ა-ლ „კვერცებმა“, „კვერცებისა“. ლუ მუქუქ რში ჩვენ ფიქსირებული გვაქვს ქჷუნუქი-რთა-ა-ლ ფორმა¹⁹. სადაც -რთა- მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა „ჩანართია“, -ა- კი —

¹⁵ ეს რომ ასეა, იარგალ ჩანს შემდივიდან: იმ თქმებში, სადაც დასტურდება ხ სიტყვის აბსოლტურ ბოლოს, ყველა ხ არ გვაძლევს მის შესაბამის გემინატს. მაგ., ღუს < ღუმ „ქალიშვილი“, „გოგონა“ და ა.ა. — ღუს ს (ს. წუქუელ-ის მეტყველებაში). მიზეზი ნათელია: ამ სახელს ლაქურში ფუძის ბოლოს ხმოვანი არ ახლავს. შდრ. მხ. რიცხვის ერგ.-ნათ. ღუმ-ნილ „ქალიშვილმა“, „გოგონამ“, „ქალიშვილისა“, „გოგონასი“ ან მრ. რიცხვის ერგ.-ნათ. ღუმ-ვიარალ „ქალიშვილებმა“, „გოგონებმა“, „ქალიშვილებისა“. „გოგონებისა“.

¹⁶ როგორც ჩანს, ს. დღ. შრ. -ის მეტყველებაში სიტყვის აბსოლტურ ბოლოს გვეხდება მეორეული გემინატი. არა ზუსტი, რომ «Аракульские формы как правило не реагируют на изменение формы слова и неизменно сохраняют качество согласного». С. М. Х а н д а к о в, Очерки по маекской диалектологии, გვ. 18. შდრ. ამავე წიგნზე დართულ ტექსტებში (გვ. 208—210) წიათა „ოთახი“, „სახლი“ სახლის ირიბ ბრუნვათა ფორმად ყველგან ქ ზ ა თ ლ უ ა; აქ მოყვანილი ციტირების თანახმად კი უნდა გეკონდეს ჯ ზ ა თ ლ უ ა. ნ. ჩიდალავის ზემოთ მოყვანილი მასალების მიხედვით ამ სახელში გემინატი დაცულია თანხმოვნის წინ.

¹⁷ ამ სახელს ერთმანეთს უკავშირებს ს. ხ ა ი დ ა ყ ო ე ი, დასახ. შრ., გვ. 87.

¹⁸ ამიტომაც, მაგ., -ზ < -ზ¹⁸ „-თან“, ერთ-ერთი ადგილობრივი ბრუნვის ნიშანი ლაქურში, სიტყვის ბოლოს არაგემინატითა წარმოდგენილი იმ თქმებშიც, სადაც ზ¹⁸ სიტყვის აბსოლტურ ბოლოს გვეხდება. (მაგ., მურხ¹⁸ „მურხ“ სოფ. დღ. შრ. -ის, მამაქისა და ვიზ¹⁸ ულის მეტყველებაში). მიზეზი ნათელია: -ზ < -ზ¹⁸ „-თან“-ის ისტორიულად ლაქურში არ ხდება ხმოვანი.

¹⁹ ასეთივე ფორმა დასტურდება პ. უსლართანაც. იხ. П. К. Услар, Лакский язык, გვ. 294. მხ. რ. ერგ.-ნათ. ქ ზ უ ნ უ ქ ი - რ ა - ლ (იქვე).

დამაკავშირებელი ხმოვანი. მაშასადამე, ფუძეა *ქჷნუქჷი, სადაც ბოლოკიდური ხმოვნის წინ გემინატი გვექონია.

ქჷნუქჷი „კვერცი“ სახელს რომ ხმოვანი ახლდა (უკეთ, V+C), კარგად ჩანს დალესტნურ ენათა მასალის გათვალისწინებით: კარატ. კარკან, ტინდ. კეკამა, ჭამალ. ჭაჷა, ბაგვალ. კაკამი, მოთლიხ. კარკანუ, ანდ. კოკკონ, დიდ. კენაკ, ზვარშ. კემეკ, ლეშგ. გუშუჷ „კვერცი“. როგორც ჩანს, ზოგან, მსგავსად ლაკურისა, ბოლოკიდური ხმოვანი რედუცირებულია: მაგ., დიდოურსა და ხევარშიულში ბოლოკიდური ჭ<კ ხმოვნის (ალბათ, ი ხმოვნის) წინ, რის შემდეგ ეს უკანასკნელი რედუცირდა.

ლაქურში ამ სახელის ფუძედ აღსაღვენია *ქჷნუქჷირ, სადაც გემინატი დალესტნურ ენათა მონაცემების მიხედვით მწორებულია²⁰.

2. 2. შურხ<შურხ^ი „ხე“; შდრ. სალიტ. შურხ^ი „ხე“—მხ. რ. ერგ.-ნათ. შურხ^ი-რა-ლ<შურხ^ი-რა-ლ „ხემ“, „ხისა“, სადაც -რა- მხ. რ. ირიბ ბრუნვათა „ჩანართია“. შურხ^ი რა ლ ფორმა დასტურდება ს. დოჯაოლ-ის მეტყველებებში.

სვეციალურ ლიტერატურაში შურხ^ი „ხე“ ფორმის აღრინდელ სახედ მიანიხათ *შურხ^ი²¹ და მას უკავშირებენ ზუნძ. მიწა „მუხა“, ზვარშ. მუტურ-კა „ტკო“, დარგ. მიგ || დიდ „მუხა“, ლეშგ. მადი „ტკო“, თამას. მაჷგი, რუთულ. შახი, წახ. შოჷ (<მაჷგი — ე. წყერანიშყერი), უდ. მაჷგ „მუხა“²². შესაძლოა, ამ ფუძეებს დაუკავშირდეს ლაქურში „მერქნის“ აღმნიშვნელი მაქ, რომელიც ბილებული ჩანს *მაქჷუ ფორმისაგან; შდრ. ძველ ლეშგურში მუქჷუ-ლ²³ <*მაქჷუ-ლ „მერქანმა“, „მერქნისა“.

ლაქურში „მუხის“ აღმნიშვნელი სიტყვა ფშლუთ ირანული წარმოშობისაა²⁴. ჩანს, მას განუდენრა *შურხ^ი „მუხის“ მნიშვნელობით, ხოლო *შურხ^ი განზოგადებულია „ხედ“. შესაძლოა, ამ მომენტს ლაქურში წინ უსწრებდა ნახური ენებიდან „მუხის“ აღმნიშვნელი მაჷა სიტყვის სესხება. მაჷა „მუხა“ გხვდება ს. ქორქოლ-ის მეტყველებებში²⁵. ეგვეე ფუძე დაცულია ს. ურიმ-ის ტოპონიმიკაში: მაჷა-ვალუ „მუხნარი“. ს. ქორქოლ და ურიმი კი საგრძნობლად დაცილებული ერთმანეთს, რაც ბადებს ვარაუდს—ხომ არ იყო ეს სიტყვა გავრცელებული საერთოდ ლაქებში.

3. 3. ცააც<ცააცჷ „ასკილი“; შდრ. სალიტ. ცააც „ასკილი“—მხ. რ. ერგ.-ნათ. ცაუცჷ-ლ<ცააცჷ-ლ „ასკილმა“, „ასკილისა“. ამასვე უკავშირდება დარგ. ძანძი, ზანზი, ახჷახ. ჯაჷა, ჭამალ., ტინდ., წახ. ზაზა „ეკალი“.

ფუძის ბოლოკიდურ ხმოვნად ლაქურში აღსაღვენია უ: *ცააცჷ²⁶. შდრ. დარგ. ძანძი, ზანზი.

²⁰ ანთი მეორეული გემინატები ლაქურში სხვადა გვაქვს. მაგ., მამი<მამი<მამ^ი „ხე-ტარი“. შდრ. დარგ., წახ., რუთულ. მახ^ი, ზუნძ. მარხ^ი, ჭამალ. მარხ^ა, არჩიბ. მალი.

²¹ ზ. გიგინეიშვილი, ლაქური ენის კონსონანტიზმის საკითხები, თსუ შრ. ტ. 96, 1963, გვ. 54.

²² Б. К. Гигинейшвили, Придыхательные аффрикаты общедагестанского языка, თსუ შრომები, I (138), ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 1971, გვ. 79.

²³ С. М. Хайдаков, Старокумукский диалект, ИКЯ, XIV, 1964, გვ. 317.

²⁴ С. М. Хайдаков, Очерки по лексике лакского языка, М., 1961, გვ. 69.

²⁵ იქვე, გვ. 15. ამავე ფუძის შემეყვლა ინგუშ. ნჷ და ჩინ. ნჷ „მუხა“.

²⁶ შდრ. ზ. გიგინეიშვილი, დალესტნური ფუძე-ენის მკვრი აფრიკატები, „მაყნ“, 1967, I (34), გვ. 206.

2. 4. შარულ-თა<შარულ-თი „ბელურები“; შდრ. სალიტ. შარულ „ბელურა“ სახელის ირიბ ბრუნვათა ფუძე შარულ-ლუ-, სადაც -ლუ- მხ. რ. ირიბ ბრუნვათა „ჩანართია“. -თა<-თი<-თაუ მრ. რიცხვის ერთ-ერთი მორფემაა, რომელიც შედის -რთაუ || >-რთი მორფემათა შემადგენლობაში.

2. 5. აშა<აშაუ „ხაზი“; შდრ. სალიტ. აშ „ხაზი“ — მხ. რ. ერგ.-ნათ. აშაუ-ლ „ხაზმა“. „ხაზისა“²⁷.

2. 6. მაჭა<მაჭაუ „სიტყვა“; შდრ. სალიტ. მაჭ „სიტყვა“ — მხ. რ. ერგ.-ნათ. მეჭაუ-ლ<მაჭაუ-ლ „სიტყვამ“, სიტყვისა“.

2. 7. ბაჭუჭა<ბაჭუჭაი „ხალვა“; შდრ. ამავე თქმაში მხ. რ. ერგ.-ნათ. ბაჭუჭაი-რა-ლ „ხალვამ“, „ხალვისა“²⁸, სადაც -რა- ირიბ ბრუნვათა „ჩანართია“ მხ. რიცხვში. ბაჭუჭაირალ „ხალვამ“, „ხალვისა“ ფორმა დასტურდება ს. შადუნის მეტყველებამშიც.

2. 8. მახა<მახაა „რკინა“; შდრ. სალიტ. მახ „რკინა“ — მხ. რ. ერგ.-ნათ. მუხაა-ლ<მახაა-ლ „რკინამ“, „რკინისა“; აგრეთვე: ხუნძ. მახა „რკინა“.

III. გემინატი დაცულია თანხმოვნის წინ მაშინ, როცა გემინატი მომდევნო ხმოვანი რედუცირებულია:

ა) სახელებში:

3. 1. პანთარაბა <პანთაა-რა-ბა „დღე-ღამიდან“ (ზედმიწ. „დღე-ღამეში-ით-გან“). ამოსავალია პანთაა „დღე-ღამის“ მნიშვნელობით²⁹. აქედანაა ნაწარმოები ამ სახელის აბლატივი პანთა-რა-ბა-ა, სადაც -რა- ირიბ ბრუნვათა „ჩანართია“ მრ. რიცხვში, ხოლო -ბა-ა — აბლატივის მორფემა. აშკარაა, რომ პანთაა „დღე-ღამე“, „დღე“ სახელის მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში ფუძის ბოლოკიდური ა რედუცირებულა, რის ხარჯზეცა დაცული -რა- მორფემის წინ ფუძისეული თა³⁰. ასევეა თა დაცული პანთაა „დღე“ სახელის მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში: პანთა-ლუ-. შდრ. სალიტ. ენის შესაბამისი ფორმა პანთლუ-<პანთა-ლუ-<პანთა-ლუ-.

3. 2. თარაწაღლილ<თარაწაღ-დი-ლ „კალომ“, „კალოსი“; შდრ. სალიტ. თარაწაღ-ლი-ლ იმავე მნიშვნელობით. ამოსავალია თარაწაღლუ „კალო“, რომლის ბოლოკიდური ხმოვნის რედუქციის ხარჯზეა თა დაცული თარაწაღლილ „კალომ“, „კალოსი“ ფორმაში.

3. 3. ნისარუ<ნისი-რუ „ყველვები“; ნისარუ „ყველვები“ ფორმაში სე აშკარად მეორეულია (<ს)³¹; მაგრამ გემინატი მინცაა დაცული თანხმოვნის წინ. ჩანს, „ყველის“ აღმნიშვნელი სახელი ამ თქმაში გათანაბრებულია ისეთ ფუძეებთან, სადაც ისტორიულად გემინატი გეჭონდა. ამიტომაცაა, რომ მრ. რიცხვში თანხმოვნის წინა პოზიციაში მეორეული გემინატი შემოგვჩაჩა³².

²⁷ ს. წევალ I-ის მეტყველებაშია აშა<აშაუ „ხაზი“.

²⁸ სალიტ. ენაშია ბაჭუჭაირალ „ხალვამ“, „ხალვისა“.

²⁹ პანთაა „დღე-ღამის“ მნიშვნელობით ოდენ მრ. რიცხვში გვევლება. Г. Б. Муркеллиш-с к и й, Русско-лаакский словарь, Махачкала, 1953, გვ. 714.

³⁰ შდრ. ამავე თქმაში ს. ლუკი ბათ-რა-ა „საქორწილო წვეულებაზე“ ფორმა, სადაც მხ. რ. ირიბ ბრუნვათა ფუძეში -რა- „ჩანართის“ წინ სადა თა. მიზეზი ჩათვლია: ამ ფუძეში ისტორიულად გემინატი არცა გვექონა; შდრ. სალიტ. მრ. რ. ერგ.-ნათ. ს. ლუკი ათი-რთა-ალ „საქორწილო წვეულებებზე“, „საქორწილო წვეულებებისა“, სადაც ხმოვნის წინ სადა თა.

³¹ იხ. ზემოთ.

³² შდრ. ამავე თქმაში უსრუ-ფესასემლები“ ფორმა, სადაც ხ ისტორიულად გემინატა, რაც ნათლად ჩანს სალიტერატურო ლაქურში: უს „ფესასემლი“ — მხ. რ. ერგ.-ნათ. უსაუ-ლ

3. 4. ჭებუნჭარუ < *ჭუნუჭი-რუ „კერცებში“; ამოსავალია *ჭუნუჭი-
-კერცებში“ ფორმა, რომელიც აღდგება მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში:
ჭუნუჭი-რ-თ-ა-ა-.

3. 5. მერხზრუ < *მერხზი-რუ „ხეები“; ამოსავალია *მერხზი ფორმა,
რომელიც ს. დრჭარლ-ის მეტყველებაში დასტურდება მხ. რიცხვის ირიბ ბრუნ-
ვათა ფუძეში: მერხზი-რა-.

3. 6. ჭათარი < *ჭათარი „სახლი“³¹; ამოსავალია ჭათა „ოთახი“, რომ-
ლის მრ. რ. სახელობითი ბრუნვის ფორმას წარმოადგენს ჭათარი „სახლი“³² შდრ.
სალიტ. ჭათრა < *ჭათრა < *ჭათარი იმავე მნიშვნელობით. ასევე: ჭათა-
ლუ-ლ < *ჭათალუ-ლ „ოთახმა“, „ოთახისა“, სადაც მხ. რიცხვის ირიბ ბრუნ-
ვათა -ლუ- „ჩანართს“ წინ გემინატი დაკულია.

ამაღლოგიურადაა ნაწარმოები შემდეგი ფორმები:

3. 7. ატულსარი < *ატულსა-რა „ნაყოფებში“; ამოსავალია ატულსა „ნაყო-
ფი“, „ხეილი“ ფორმა.

3. 8. მარზარი < *მარზარი „ძირები“; ამოსავალია მარზა „ძირი“ ფორმა.

3. 9. თაუტარი < *თაუტუ-რაი „ვირები“; ამოსავალია თაუტუ „ვირი“ ფორმა.

3. 10. შათარი < *შათარი „გველები“; ამოსავალია შათა „გველი“
ფორმა.

3. 11. ჭაიხარი < *ჭაიხარი „ფაშატები“; ამოსავალია ჭაიხა „ფაშატი“
ფორმა.

3. 12. ბაჭუჭარი < *ბაჭუჭი-რა „ნაღვებში“; ამოსავალია *ბაჭუჭი ფორ-
მა (რ. სელო).

13. შირ-თარი „მრგვალი ქაეზი“; ამოსავალია შირა „მრგვალი ქია“,
რომლის მრ. რიცხვის ფორმას წარმოადგენს შირ-თარი, სადაც -თარი <
-თარი < -თარუ ან არა და, მნიშვნელობა სკონია -თარი მორფემის წინ მდგომი
სმოქნის თვალსაზრისით, რომლის ხარჯზეც -თარი > -თარი.

სმოქნის მატყვის ფუძეშია სინკოპირებული ხმოვანი; ასეთ შემთხვევაში,
თე ფუძეში გემინატი გექონდა, იგი დაკულია:

14. შარი < შარი „ზღვა“; შდრ. სალიტ. ხშირი „ზღვა“

3. შარი < შარი „ნაჭუჭი“; შდრ. სალიტ. ქირი „ნაჭუჭი“.

3. თარალ < თარალ „საქარცხელი“; შდრ. სალიტ. თარალ „საქარც-
ხელი“.

3. ხელუ < ხელუ „თივა“; შდრ. სალიტ. ხელუ „თივა“.

3. ხორაუ < ხორაუ „განა“ (კავშ.); შდრ. სალიტ. ხორაუ „განა“.

ბ) % მ ნ ე ბ შ ი:

19. ღიურუხილან < *ღიურუსა-ვლ-ან „კერა“, სადაც -ვლ- ზნის განგრ-
ძობილობის ნორტემა, ზოლო -ან- ინფინტივისა. შდრ. სალიტ. ღურუხი-ან
„კერა“.

„უხისაქვლა“, „უხისაქვლისა“, თე უს რ უ თორა ბეჭდვის შეცდომა არაა, მაშინ ასახველია,
ჩატომაც უს რ და არა — უს შ რ უ. შეიძლება ითქვას, რომ გემინატის მომდევნო ხმო-
ვანი ფუძესუფლად არ გამოჩნდება და ამიტომაც გვაქვს უს რ უ და არა — უს შ რ უ.

³¹ რ ი < -რ უ მრ. რიცხვის მორფემა ლაქერში და გეხედება სახელებთან, რომლებსაც ბო-
ლოკიდური მოკლეობი სმოქნის წინ ჩქამიგრი თანხმეონი აქვთ. იხ. გ. ბ უ რ ჯ უ ლ ა ძ ე, სა-
ხელთა ბრუნვის ბოგი საკითხი ლაქერში, „მაიწე“, 1968, № 6, გვ. 179.

³² ჭ ა თ რ ა ფორმა „სახლის“ მნიშვნელობით ლაქერში დღეს Pluralia tantum-ს წარმო-
ადგენს. ი. X. Абдуллаев, Л. И. Жирков, Лакский язык. Фонетика и морфо-
логия, М., 1955, გვ. XIII, 1972, გვ. 371.

3. 20. რიშოლან < *რიშე-ვლ-ან „ღარტყმა“; შდრ. სალიტ. რიშა-უნ „ღარტყმა“.

2. 21. ღუქოლან < *ღუქო-ვლ-ან „წაკითხვა“, „დათვლა“; შდრ. სალიტ. ღუქო-ინ „წაკითხვა“, „დათვლა“ ან ღუქო-აეუ „სწავლა“.

3. 22. ლახზოლან < *ლახზ-ე-ვლ-ან „შესწავლა“; შდრ. სალიტ. ლახზ-ე-ინ „შესწავლა“.

3. 23. ლახზოლან < ლახზ-ე-ვლ-ან „ჩაცმა“; შდრ. სალიტ. ლახზ-ე-ან „ჩაცმა“.

განგრძობითობის მაწარმოებელ -ლ- მორფემას ლაკურში, როგორც ჩანს, წინ ხმოვანი უნდა ჰქონოდა, რომელიც ინფინიტივის მორფემის დართვის შედეგად დაკარგულა. ამ ხმოვნის დაკარგვის კომპენსაცია უნდა გვექონდეს მაშინ, როცა -ლ- მორფემის წინ გემინატია შენარჩუნებული.

მაშასადამე, შესაძლოა დაეასკვნათ, რომ სამივე შემთხვევაში ადგილს ჰქონია დაკარგული ხმოვნის ერთგვარ კომპენსაციას:

1. სიტყვის ბოლოს არ იყო მოსალოდნელი გემინატი და გვაქვს: ისტორიულად სიტყვის ბოლოს ხმოვანია დაკარგული — თანხმოვანს შეუძენია სიგრძე.

2. სიტყვის ბოლოს მოსალოდნელი იყო გემინატი და შემოგვრჩა, რადგან მისი მომდევნო ხმოვანია რედუცირებული — თანხმოვანმა შეინარჩუნა სიგრძე.

3. გემინატი დასტურდება თანხმოვნის წინ. ივარაუდება, რომ ამ თანხმოვანს წინ ხმოვანი მიუძღოდა და ეს უკანასკნელი სინკოპირებულია; აქაც სინკოპირებული ხმოვნის ხარჯზე თანხმოვანს შეუნარჩუნებია სიგრძე.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების -ნსტრუქტმა.)

სისია კახიანი

ბორჯომის მიდამოებში აღმოჩენილი ორი არაბულენოვანი ეპიტაფიის შესახებ

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არაბულენოვანი ეპიგრაფიული ძეგლების დიდი ნაწილი შეუსწავლელია: მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი გამოვლენილიც კი არ არის. ამდენად ყოველი ახალი მასალა გარკვეულ ინტერესს იწვევს.

1972 წელს ბორჯომის მიდამოებში, ჩითახევის ხევზე გაღებული ხიდის გაგანიერებასთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების შესრულებისას გადმოჩენულ არაბულწარწერიან საფლავის ქვებს ყურადღება მიაქცია მესხეთ-ქაჯახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ო. ლამბაშიძემ, რომელმაც წარწერიანი ქვები გადასცა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, ხოლო მათი ფოტოები ჩვენ მოგვავოდა.

ჩვენებული წარწერიანი ქვები, საშენ მასალად გამოყენების გამო, საგრძნობლად არის დაზიანებული და მათზე შესრულებული წარწერების მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი.



სტელა № 1. ა გვერდი

სტელა № 1 (სიმაღლე 43 სმ, სიგანე 47 სმ, სისქე 16 სმ). სტელას გადატეხილი აქვს ფუძე და ზემოთა ნაწილი, ამიტომ გაურკვეველია, რა ფორმისა იყო სტელის თავი. სტელის ა გვერდზე არათანაბარი სისქის ჰორიზონტალური ზოლებით შემოზღუდულ ჩარჩოში ამოკვეთილია სამსტრიქონიანი წარწერა. ზემო რეგისტრში, რომელიც მსხვილი ზოლითა და მარჯვნივ ფართო არე-

თია გამოყოფილი. იქმნება ეპიგრაფიკულ-დეკორატიული კომპოზიცია მსხვილად ამოკვეთილი სივრცით. განსაკუთრებით აყვალში საცემი ქვებით. ქვებით და მათი გადამკვეთი ცის წაგრძელებული ბუნით. სულსით შესრულებულა წარწერა. რომელიც ე. წ. თავფორმულას წარმოადგენს. შემდეგნაირად იკითხება:

الحى [الذى] لا يموت

ის (აღლაპა) არის ცოცხალი. რომელიც კვდება.

იუსუპოვის აზრით. ეს არის შემოკლებული გამოთქმა. რომელიც მომდინარეობს ბულგართა ტრადიციული ფორმულიდან هو الحى الذى لا يموت
 وكل حى سيموت არის ცოცხალი, რომელიც არ კვდება, ხოლო ყოველი ცოცხალი მოკვდება.

მომდევნო ნახსივ ამოკვეთილ სტრიქონებს. რომელთა ასოები მოხდენილად და სატოვნად არის გამოყვანილი. თავისუფლად ვკითხულობთ:

هذا نقيب المرحوم المغفور

المحتاج الى رحمة ربه

ესე არს საფლავი განსვენებულისა. შეწყნარებულისა.

რომელიც საჭიროებს მისი უფლის წყალობას.

სტელის ო გვერდზე სწორკუთხედ ჩარჩოში. რომლის ამჟამად დაზიანებული სემიითა მკელი ორმაგი ისრული თაღია ფორმისა უნდა ყოფილიყო.



სტელა № 1. ხ. აგორა

ამოკვეთილია ნახევარმთავრე და შპის სომოლოვნი გამოსახულება. შპის გამოსახულება წარმოადგენს ქრისტიან წვერობით მიმართულ სოფისებრი ფორ-

მის სტილიზებულ გეომეტრიულ ორნამენტს — თერთმეტფურცლიან ვარდულს². ამავე სოლისებრი ფორმის, წვეროებით კუთხეებისკენ მიმართულ შეწყვილებულ გამოსახულებებზე დაყრდნობილია ნახევარმთვარე.

სტელა № 2 (სიმაღლე 50 სმ, სიგანე 40 სმ, სისქე 15 სმ). სტელას გადატეხილი აქვს ფეხე და მარცხენა მხარე, განსაკუთრებით ბოლოსკენ.

ნასხით ამოკვეთილი წარწერის ორსტრიქონიანა ფრაგმენტა ბუნდო-

المرحوم المغفور

المحتاج الى رحمة [هـ ر]

განსვენებული, შეწყწარებული,

რომელიც საჭიროებს მისი უფლის წყალობას.

ორივე სტელის წარწერა რელიეფურია. წარწერები ამოკვეთილია ნასხით, № 1 სტელის წარწერის თავფორმულის ხელი კი — სულსით. № 1 სტელის წარწერის ორივე სტრიქონი დაახლოებით ერთ ღონეს გასდევს. № 2 სტელის წარწერის მეორე სტრიქონში ეს პრინციპი დარღვეულია. **الى رحمة** სიტყვებში არ ემორჩილებიან აღნიშნულ ღონეს და საფეხურებად არიან განლაგებული მარჯვნიდან მარცხნივ. დაახლოებით ერთ ღონეზეა ამოკვეთილი ორივე წარწერაში **المحتاج** სიტყვის ასო **ح**.

№ 1 სტელის წარწერა შესრულებულია გაკრულა ხელით, ასოთა ბუნები მოქნილია, მოხდენილი. წარწერისათვის დამახასიათებელია ნატიფი ლიგატურები, მაგ., **المرحوم**, **رحمة** სიტყვებში (მეორე, მესამე სტრიქონები).

ყურადღებას იპყრობს ასო **ح**-ს მოხაზულობა, რომელიც თავფორმულის **هو** სიტყვაში პატარა შტრიხისა და ორი მარჯუენისაგან შედგება; მეორე სტრიქონის **هذا** სიტყვაში — პატარა შტრიხისა და ერთი მარჯუენისაგან. **هذا** სიტყვის ასო **ح**, რომელიც მომდევნო **ل**-ის სიმაღლისაა, წააგავს ასო **ك**-ს.

რაც შეეხება ასო **ل**-ს. მისი ბუნის ქვემო ნაწილი ორივე წარწერაში უფრო ხშირად სოლისებრ ფორმას იღებს. ზოგიერთი **ل**-ის და **ك**-ის წვერო თითქოს ჩამოთლილია ორივე მხარეს, რის გამოც მახვილი კუთხე იქმნება, განსაკუთრებით, № 1 წარწერაში; № 2 სტელის წარწერაში კი უმეტესად უფრო ტლანქლ. შეღამასებრს გარეშეა ამოკვეთილი.

ორივე წარწერაში შეინიშნება კუთხოვანი ასო **ح**-ს ხმარება № 1 სტელის წარწერის **الى** და № 1, 2 სტელების წარწერების **المرحوم** სიტყვებში. ასევე ორივე წარწერის ბოლოში **هـ ر**-ს ასო **ر**-ს მუხლი კუთხეს ქმნის. საერთოდ, ასო **ر**-ს სხვადასხვაანაირი მოხაზულობა აქვს: № 1 სტელის წარწერის **بر** სიტყვაში უფრო მოკლეა და მისი ბუნი ოდნავ მოხრილია: **المرحوم** სიტყვაში საგრძნობლად არის მოხრილი ზემოთკენ: **رحمة** სიტყვაში ბუნი გამოწნეკილია და ოდნავ ზემოთ აზიდული (მისი თავი თითქოს ჩამოთლილია ორივე მხარეს, რის გამოც მახვილი კუთხე იქმნება); № 2 წარწერის **المرحوم** სიტყვაში დასერილი ხაზით გადმოიციემა.

² საცულავის ქუჩაზე, ანაბი-ბიბო მხარეს იარბულის მოტყეპს ამოკეთა იშვიათად ეხებდნენ. რაფურტოვსაა. რა ულ დამოწმებულა ბოლგართა საფლავის ქვაზე, ექვსფურცლიან ვარდულს — ენანის თათარი XVI ს. საფლავის ქვაზე. იუს სუ პო ეი. დასახ. შრ., გვ. 152: 64, ნახ. 7: 153, ნახ. 10: 63, სილოო 11.

განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული № 1 წარწერის დიაკრიტიკული ნიშნები, რომლებიც ორივე წარწერაში რომბისებრია, აგრეთვე თემ-ლიდები და ტექსტის მოსართავი ნიშანი². ეს ნიშანი ھـ სიტყვის ასო ۱-ის და ასო ۴-ს გადაბმის ხაზის ზემოთ არის ამოკვეთილი.

№ 2 სტელის წარწერის ხელი სადაა, შეკავებული, მოკლებულია ყოველგვარ მოქნილ კლანკილ ბუნებსა და გადაბმის შერწყმულ სისტემას. მასში ნაკლებ არის გამოყენებული კურსივის ელემენტები. ასეთები არაა ხატოვანი, მათი მოხაზულობა მკაცრად არის დაცული, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. მაგ., مـ სიტყვის ბოლო ۴-ის მარჯუთი სამკუთხედის ფორმისაა, ხოლო ھـ სიტყვისა - - ნუშისებრი მოყვანილობისა.

როგორც ენახეთ, ორივე სტელის წარწერაში ასოთა მოხაზულობის და ახლოებით ერთი პრინციპია დაცული. ასოები უმეტესად მრგოლოვანი მოყვანილობისაა, მეტ-ნაკლებად გვხვდება კუთხოვანიც. ორივე სტელის წარწერაში ასოთა განსწავებული გაფორმება — ერთში ბუნების სინატიფე და მეორეში დაუდევრად ამოკვეთა — განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ისინი სხვადასხვა ოსტატის მიერ არის შესრულებული. № 1 სტელის წარწერის მოხდენილი, გაბედული დეტუისი № 2 სტელის წარწერასთან შედარებით იმაზე მიუთითებს, რომ იგი შესრულებულა მაღალკვალიფიციური, დახელოვნებუ-



სტელა № 2

² ძველი ხელნაწერი ანბანის უკანასკნელ ასოს ۴-ს (იგი-ას) მსგავსი ნიშანი, რომელიც მოგვაგონებს ლამალ, ეს (У). М. Е. Магасош, Фрагменты надписи Караханидского мавзолея с городища Афрасиаб. Эпиграфика Востока, XX, Л., 1971, стр. 81.

ლი კალიგრაფის მიერ. ამითვე უნდა აიხსნას № 1 სტელის განსაკუთრებულად დამუშავებაც. № 1 სტელის წარწერაში დაშვებული შეცდომა — მეორე სტრიქონში *قبر هذا*-ს ამოკვეთა ნაცვლად *قبر هذا*-სი, რადგან *قبر* განსაზღვრულია მომდევნო *المرحوم*-ით. შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ ამომკვეთი წერდა ისე, როგორც წარმოთქვამდა, ანდა შესაძლებელია არაბული ენა ზემოწვენით არ იცოდა.

აღნიშნული წარწერები წარმოადგენენ ეპიტაფიების ფრაგმენტებს. ძირითადად, ეპიტაფიების ტექსტები დაახლოებით ერთნაირია. № 1 სტელის ეპიტაფიას ახლავს დამატებითი თავფორმულა. ეპიტაფიებში არ არის შემორჩენილი თარიღები, საკუთარი სახელები, არავითარი მონაცემი, რომელიც გადაწყვეტდა გარდაცვლილთა ეთნიკურ ვინაობას და დაადგენდა მათ სოციალურ მდგომარეობას. ტექსტის მიხედვით, ერთი უეჭველია, რომ დაკრძალულები ზამკაცები არიან, რაც ჩანს, მამრობით სქესში დასმულ *المغفور المرحوم* სიტყვებიდან.

ხსენებული წარწერიანი ქვების პირვანდელ ადგილსამყოფელსა და წარმომავლობაზე შეიძლება გამოითქვას მხოლოდ ვარაუდი — ქვები ხიდის მშენებლობისათვის ახლო-მახლო ტერიტორიიდან, სახელდობრ ბორჯომის მიდამოებიდან, იქნებოდა მოზიდული.

როგორც ცნობილია, ეს ტერიტორია 1578 წლიდან 1612 წლამდე ოსმალთა მიერ იყო დაპყრობილი⁴ და შევიდა გურჯისტანის ვილაიეთის ახალციხის და პეტრეს ლივას სანჯაყების შემადგენლობაში⁵. ამ დროს ამ კუთხის ეწინშეწელოვანეს ციხე-სიმაგრეებში, მაგ., პეტრეს ციხეში, ოსმალთა ჯარი იდგა⁶. სავსებით შესაძლებელია, ჩითახეის ხეზე გადებულ ხიდში დატანებული ჩვენთვის საინტერესო არაბულწარწერიანი ქვები ოსმალ-მეციხოვნეთა საფლავის ძეგლები იყოს. გამოდის, რომ ეს ძეგლები შეიძლება მიეკუთვნოთ პერიოდს, რომელიც მოიცავს წლებს XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან XVII საუკუნის პირველი ათეულის ჩათვლით, ვიდრე ეს მხარე კვლავ გარტლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდოდა⁷. ეპიტაფიების თარიღის საბოლოო დაზუსტება შესაძლებელი იქნება სათანადო მასალის შემდგომი გამოვლენის შედეგად.

⁴ შ. ს. კ. ა. ნ. ი. ე. საჭარტველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII. თბ., 1971, გვ. 294—297; იხ. ე. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ბორჯომის ხეობა XVI—XIX საუკუნეებში (ისტორიულ-გეოგრაფიული მუშაობილვა), 1965, გვ. 119 (სადისერტაციო ნაშრომი).

⁵ ს. ს. კ. ი. ე. ა. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დეფთარი, წიგნი 111. თბ., 1958, გვ. 127—132. 479—480.

⁶ ე. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. დასაბ. შრ., გვ. 113.

⁷ ნაკლებ საზარადოა, რომ ეს წარწერები უფრო გვიანდელ ხანას განეკუთვნებოდეს, კერძოდ, 1723—1735 წწ. „ოსმალთა“ დროის ეპიტაფიებს წარმოადგენდნენ.

ცნობები და შენიშვნები

მარი გუგუშვილი

რამდენიმე შენიშვნა ბალახტიონის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ტექსტზე

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის უკვე თერთნეტი ტომი გამოქვეყნდა. აკადემიური გამოცემა, თავისი მიზანდასახულობის შესაბამისად, თითქმის მთელი სისრულით ითვალისწინებს გ. ტაბიძის ლექსების როგორც ბეჭდურ, ისე ხელნაწერ მეგვეიდრობას და მკითხველს საშუალებას აძლევს თითოეული ლექსის ისტორია გაითვალისწინოს. ეს დიდი და საშვილიშვილო საქმეა. ამ დიდი საქმის გაკეთება ბუნებრივად ვერ მოხერხდებოდა ხარვეზების გარეშე, მაგრამ ამჟერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური გამოცემის კრიტიკული განხილვა. ჩვენ მხოლოდ გვინდა რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვათ გალაკტიონის ამ ლექსებთან დაკავშირებით, რომლებიც რუსთველისადმი მიძღვნილი, ვეფხისტყაოსნითაა შთაგონებული. უპირველესად ჩვენს ყურადღებას იქცევს აკადემიურ გამოცემაში ოთხი ლექსი: „ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ“ (ტ. III, გამომცემლები: ცირა კალაძე, ცისანა ყიფშიძე), „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“ (ტ. IV, გამომცემელი ლეილა სანაძე), „ზღვის სიმფონია“ და „ორმოცი წლის წინ“ (ტ. V, გამომცემლები: ლეილა სანაძე, ლამარა მეგრელიშვილი), რომელთაც ეპიგრაფებად წამძღვარებული აქვთ რუსთველის სტრიქონები. თუ ამ ლექსების ეარიანტებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ გამომცემლებს თავიანთი პრინციპების შესაბამისად დასახელებული ლექსებისათვის ძირითად დედნად აუღიათ უკანასკნელი პუბლიკაცია ავტორის სიცოცხლეში, კერძოდ კრებულში „ოქრო აქარის ლაევარდში“ დაბეჭდილი ტექსტი. ამიტომ ამ ლექსებს აკადემიურ გამოცემაში გადაჰყვა ეპიგრაფი, რომელიც მათ უძღვის კრებულში „ოქრო აქარის ლაევარდში“. აქ უნდა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ დასახელებულ კრებულზე.

ეს წიგნი — „ოქრო აქარის ლაევარდში“, რომელიც 1944 წელს გამოცა აქარის სახელმწიფო გამომცემლობამ, მომზადდა სამამულო ომის დღეებში ბათუმში და ზღვისპირეთს. აქარას მიეძღვნა. როგორც გალაკტიონის საარქივო ჩანაწერებიდან ჩანს. პოეტი დაინტერესებულა პრობლემით — ვეფხისტყაოსანში და საერთოდ ქართულ პოეზიაში რა ადგილი უჭირავს ზღვის საკვირველი მშვენიერების აღწერას. ზღვის მოტივებს. იგი თავის ჩანაწერებში წერდება არტურ ლაისტის წიგნზე „ზღვა და ქართველები“, რომელშიც ის აზრია გატარებული, რომ ქართველები უყურადღებოდ ტოვებენ ზღვის საკვირველ მშვენიერებას, „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველი რამდენიმე ადგილას იხსენიებს ზღვას, მაგრამ გულგრილად, აღუფრთოვანებლად. ამის საპასუხოდ

გალაკტიონი ბათუმის საზოგადოებასთან შეხვედრისას 1944 წელს ამბობდა: „-- ვეფხისტყაოსანში ზღვა გულგრილად არის თუ არა — ეს შესწავლის საკითხია. ვეფხისტყაოსნის მესამედი ზღვის ასპარეზზე იშლება, ზღვის მოტივზეა აგებული. ყველაფერი ეს გევალებს, რომ ყურადღება მივაქციოთ ამ მდგომარეობას... დღეს გვაქვს შესაძლებლობა ვთქვათ, რომ ახალი ქართული ლირიკა ასახავს ზღვას, გაისმის ახალი მოტივები ზღვაზე“.

მართლაც გაისმა ზღვის მოტივები გალაკტიონის პოეზიაში. გამოქვეყნდა ზღვისპირეთისადმი მიძღვნილი კრებული „ოქრო აჭარის ლაევარდში“. გარდა ამისა, ამ კრებულს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მასში შესული სამოცდა-ოხუთმეტრევე ლექსისათვის დაძვნილია ეპიგრაფად რუსთველის სტრიქონები, რომელთა უმრავლესობა ზღვისადმი მიძღვნილი. ამით გალაკტიონმა თვითონვე უპასუხა დასძულ კითხვას — ვეფხისტყაოსანში ზღვა გულგრილად არის თუ არა — და, არტურ ლაისტის მიერ გამოთქმული მოსაზრების საპირისპიროდ. დაასაბუთა თვალსაზრისი, რომ „ვეფხისტყაოსნის მესამედი ზღვის ასპარეზზე იშლება. ზღვის მოტივზეა აგებული“. კრებულში შეტანილი ლექსებისა და მათზე წამძღვარებული ეპიგრაფების ერთმანეთთან მიმართებაში წესწავლა ადასტურებს, რომ ვეფხისტყაოსნის გულანშარო და განსაკუთრებით მულაზანზარო პოეტს გაუაზრებია როგორც შავი ზღვის სანაპირო აჭარა. ეპიგრაფი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შერჩეულია მოხდენილად და შეესაბამება ლექსის სულისკვეთებას. „ოქრო აჭარის ლაევარდში“ დიდ ინტერესს იწვევს სწორედ ამ თვალსაზრისით. ამ კრებულის მიხედვით გალაკტიონი ვეფხისტყაოსნის უბადლო მცოდნედ და დამფასებლად წარმოგვიდგება. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პოეტს შავი ზღვის მომხიბლავი ფერადების აღწერისას გულანშაროს და მულაზანზარისადმი მიძღვნილი რუსთველის სტრიქონები გამოუყენებია და ამ მსგავსების ჩვენებით ეგების ისიც გვითხრა, რომ გულანშაროს და მულაზანზარის აღწერისას რუსთველის შთაგონება სწორედ საქართველოს ეს ერთი უმშვენიერესი კუთხე იქნებოდა.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ვეფხისტყაოსანი ყოველივე პოეტის შთაგონების წყარო. როცა ის ქმნიდა კრებულს „ოქრო აჭარის ლაევარდში“. ამიტომ ენიჭება ამ წიგნს განსაკუთრებული მნიშვნელობა. კრებულში „ოქრო აჭარის ლაევარდში“ დაბეჭდილი ლექსებისათვის გალაკტიონს შემდეგი პუბლიკაციებისას ეპიგრაფები მოუხსნია. ამის გამო. რადგან აკადემიური გამოცემის ტექსტის დადგენისას ძირითად დედნად უკანასკნელი პუბლიკაცია (იფულისებება ავტორის სიციცხლეში) იქნა აღებული. ეს ლექსები უეპიგრაფებოდ დაბეჭდა აკადემიურ გამოცემაშიც. ეს სადავო არ არის. მაგრამ აკადემიურ გამოცემაში ეპიგრაფი გადაჰყვა ზემოთ უკვე დასახელებულ ოთხ ლექსს: „ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ“. „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“. „ზღვის სიმღონია“. „ორმოცი წლის წინ“, რამდენადაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში გამომცემლებს ძირითად დედნად აუღიათ კრებულში „ოქრო აჭარის ლაევარდში“ დაბეჭდილი ტექსტი. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ვარიანტებში ნაჩვენები უნდა ყოფილიყო ეპიგრაფებისადმი სხვა პუბლიკაციებისა და ხელნაწერების მიმართება. ამისა კვალი კი არ ჩანს. ვარიანტებიდან მხოლოდ ის ირკვევა, რომ ამ ლექსებისათვის ძირითად დედნად აღებულია კრებულში „ოქრო აჭარის ლაევარდში“ დაბეჭდილი ტექსტი, რადგან ეს ტექსტია ამ ლექსების უკანასკნელი პუბლიკაცია ავტორის სიციცხლეში. ამით გამომცემლებმა თითქოს ერთგვარად და-

რეკეს ავტორის ნება. მაგრამ, თუ ამ ფაქტს ჩაუუკვირდებით, ენახავთ, რომ ამ შემთხვევაში სრულიადაც არ არის ასე.

კრებულში „ოქრო აპარის ლაქვარდში“ დაბეჭდილი ლექსების შემდგომი პუბლიკაციისას ავტორის ნება იმაში გამოიხატა, რომ ამ ლექსებს ეპიგრაფები მოეხსნა. აქ დაბეჭდილი სამოცდათხუთმეტი ლექსიდან სამოცდათერთმეტი შემდეგ უეპიგრაფოდ გამოქვეყნდა. ზემოთ დასახელებული ოთხი ლექსი გალაკტიონს აღარ დაუბეჭდავს. ბუნებრივია, რომ დაეუბეჭდა, ეპიგრაფებს ამ ლექსებსაც მოხსნიდა. ასეთი იყო ავტორის შემდგომი ნება კრებულში „ოქრო აპარის ლაქვარდში“ დაბეჭდილი ლექსების მიმართ. მაშასადამე, გამოცემლებს უნდა გაეთვალისწინებინათ ეს ფაქტი და აკადემიურ გამოცემაშიც ეს ოთხი ლექსი სერიიდან „ოქრო აპარის ლაქვარდში“, ისე როგორც სხვა ლექსები ამ სერიიდან, უეპიგრაფებოდ უნდა დაბეჭდილიყო. თუმცადა, რასაკვირველია, აკადემიური გამოცემის ტექსტის მომზადებისას ამ ეპიგრაფებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა და ვარიანტებში ყველა უნდა ყოფილიყო ნაჩვენები. სამწუხაროდ ეს ასე არ არის. ზოგ შემთხვევაში ეპიგრაფის არსებობა ვარიანტებში აღნიშნული არ არის, ზოგჯერ მოყვანილი არაა, როგან კი შეცდომითაა ციტირებული. ასეთი შემთხვევები გვხვდება აკადემიურ გამოცემის I, II (გამომცემელი იოსებ ლორთქიფანიძე), IV (გამომცემელი ლეილა ხანაძე), V (გამომცემლები: ლეილა ხანაძე, ლამარა მეგრელი-შვილი), IX (გამომცემელი ლუბა მეფარიშვილი) ტომებში.

მაგალითად, აკადემიური გამოცემის IX ტომის ვარიანტებში მითითებულია, რომ პოემა „ამირანს“ ერთ რედაქციაში (ივლისისზემა კრებული „ოქრო აპარის ლაქვარდში“) უძღვის ეპიგრაფები ვეფხისტყაოსნიდან, მაგრამ ეს ეპიგრაფები არც ციტირებულია და არც მითითებულია, თუ რომელი სტრიქონებია. სინამდვილეში კი უნდა ყოფილიყო დასახელებული რუსთველის შემდეგი სტრიქონები:

ეძებს, უძახის, უკვირს
 დღეებზე ლაქვარდში მთევლად.
 კლდესა შიგან ქვაბი იყვას.
 ძირსა წყალი ჩანაფენი.
 ხე ღიდრონი, თვალუწევლას,
 მაღლა კლდემდინ ანაუღერო.
 მან ყმამან ქვასა მაპართა.
 ქვაბი დასვდა კარ-კანბმელად.
 რზახლიან, ნოთქმადან,
 მოსცემვიან კლდენო ხანას.
 ბოროტსა სძლია კეთილმან,
 არსება მისი გრძელად!

აკადემიური გამოცემიდან კი მკითხველი ვერ გაიგებს, თუ პოემა „ამირანი“ გალაკტიონმა რუსთველის რომელი სტრიქონებით დაამუშვნა. მკვლევრისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს და აკადემიური გამოცემის უექველი მოვალეობაა გვიჩვენოს ეს. რადგან აქედან ჩანს, თუ გალაკტიონი ამ პოემის წე-

¹ აქაც და ქვემოთაც ვეფხისტყაოსნის სტრიქონები მოყვანილია ვალაკტიონისველი ორთოგრაფიით.

რისას ეედხისტკეაოსნის რომელი სტრიქონით იყო შთაგონებული. ამავე მე-9 ტომის ვარიანტებში აღნიშნულია, რომ კრებულში „ოქრო აქარის ლაქვარდში“ პოემას „ძღველი სენი“ უძღვის რუსთველის სტრიქონი ეპიგრაფად და დასახელებულია ერთი: სენი მე, მჭირს რაცა ჭირად“. ნამდვილად კი პოემა „ძღველი სენი“ დამშვენებულია სამი ეპიგრაფით.

...სენი მე მჭირს რაცა ჭირად.

მბო სწორად მოეჩინებს.

თქვენვე ბრძანეა, რაცა კამიზს,

ანუ რაცა ვეყურანების.

უღელავ, რომ ვარიანტებში სამივე ეს ეპიგრაფი უნდა ყოფილიყო ნაჩვენებში.

ლექსების „წყნარი ზღვა“ (ტ. II), „რას ნიშნავს დღევანდელი დღე“ (ტ. V, აკად. გამოცემაში ლექსის სათაურია: „ორი სამყარო“), „ბოსტნიდან სადაც“... (ტ. V) ეპიგრაფები („ზღვის პირს მივე, ნავი დამხვდა“, „აწ მათი ჭაერი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია“, „გულსა რამე... ია მორგე“) ვარიანტებში ამოწერილი არ არის. ლექსს „ჩვენი ძველი დროშები“, რომელიც აკადემიურ გამოცემაში დაბეჭდილია სათაურით: „... არეს მრავალ გარდასულ წლის“ (ტ. IV), უძღვის ორი ეპიგრაფი: „მაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ხსლო-ახლო ყოვიან?!“, „ციხეს ვზი ეზომ მაღალსა თვალნი ძლივ გარდასწვდებინა“. ვარიანტებში ორივე ეპიგრაფია მოყვანილი, ოღონდ აღნიშნულია, რომ პირველი დადასტურებულია ერთ-ერთ ავტოგრაფში, მეორე კი კრებულში „ოქრო აქარის ლაქვარდში“. სინამდვილეში კი ამ უქანასკნელში ლექსს ორივე ეპიგრაფი უძღვის. მეტიც: გარდა იმისა, რომ გამომცემლებს ვარიანტებში ზოგი ეპიგრაფი გამორჩენიათ, ბევრი მათგანი ციტირებულია შეცდომით. ეს შეცდომებია შემდეგი:

„ოქრო აქარის ლაქვარდში“

აკადემიური გამოცემა

ს აცა გინახავს იგი მზე

წამომყვე ზღვისა კიდესა.

(„მზის ამოსულა ზღვაზე“)

ს აცა გინახავს იგი მზე

წამომყვე ზღვისა კიდესა.

(ტ. V)

ტირილი ვერას მარგებს

ეუღათ ცრემლნი რათა მდიან.

(იის აღვილები“)

აწ ტირილი არას მარგებს

ეუღად ცრემლნი რასა მდიან.

(ტ. V)

ივანითი და ვალი.

(„სიმფონია ფესვების“)

ივი ნიავე და ვალი.

(ტ. V)

მისმან შუქმან გაანათლა

სამყარო და ხმელთა კიდე.

(„შედლება ოცნებისა და სინამდვილის“)

მისმან შუქმან გაანათლა

სამყარო და ხმელთა კიდე.

(ტ. IV)

... ქვეყანა.

გვაქვს უთვალავი ფერითა.

(„... მხარე გეთაყვა...“)

... ქვეყანა

გვაქვს უთვალავი ფერთა.

(ტ. V)

ვეესმა ამბავი ზღვისს...

(„... ბობოქარ ტალღებს...“)

ვეესმა ამბავი ზღვათს...

(ტ. V)

| | |
|---|---|
| ამოა კორლი მწვანისა. („ქალი ლიმონებში“) | ამოა კორლი მწვანისა. (ტ. V) |
| დგომა კაცისა ცთომაა. („სხვა ყვეალები“) | დგომა კაცისა ცდომაა. (ტ. V) |
| ზოგჯერ ზღვისკენ მივიხენდი, წარესდგომოდი ამა გორსა, ზღვასა შიგან ცოტა რამე დაინახე, თუცა შორსა. („მე ეუყერდები ამ უბირო ზღვას“). | ზოგჯერ ზღვისკენ მივიხენდი, წარესდგებოდი ამა გორსა, ზღვასა შიგან ცოტა რამე დაინახე, თუცა შორსა. (ტ. I) |
| საომარად ატეხილი ეიყუ მათად გამტეხელად. („იბობოქრე ცხოვრების ზღვაუ“) | სომარად ატეხილი ეიყუ მათად გამტეხელად. (ტ. I) |
| ... ასმათ! | ასმათ! |
| ხილნი ზღვასა ჩაგვიციევდეს. („ზღვას საღამო ედებოდა მუქი“) | ხილნი ზღვისა ჩაგვიციევდეს. (ტ. I, აკადემიურ გამოცემაში სათაუ- რია „შენ ზღვის პირად“). |
| უკავს სიცილი ბროლისა ვარდთათ ფრქვევასა („ბავშვები ზღვის პირად“) | უკავს სიცილი ბროლისა ვარდთათ ფრქვევასა (ტ. V, აკადემიურ გამოცემაში დაბეჭ- დილია უსათუროდ: „... ზღვა წყნა- რია ნამეტანი...“) |
| გაქო. ეთ გაქო. რა გაქო არ საქებელი სმენითა. („სიძველენი“) | გაქო. ეთ გაქო. რა გაქო არ საქებელი სმენითა. (ტ. V) |

რასაკვირველია, ეს შეცდომები უმთავრესად კორექტურული ხასიათისაა. მაგრამ მეტად მძიმეა კრებული „ოქრო აპარის ლაყვარდში“ ბიბლიო-გრაფიული იშვიათობაც რომ არ იყოს, ამ ეპიგრაფების აკადემიური გამოცემის ვარიანტებში მოყვანა აუცილებელი იყო მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის შესწავლისათვის. ამასთან რუსთველის სტრიქონები ციტირებული უნდა იყოს ზუსტად გალაკტიონისეული ორთოგრაფიით, რადგან საყურადღებო ისიცაა, თუ გალაკტიონი „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ სტრიქონას ციტირებას რა რედაქციით და რომელი გამოცემიდან აწარმოებდა. ამის დადგენა კი აკადემიური გამოცემის საფუძველზე შეუძლებელია.

გალაკტიონის პოეზიის რუსთველთან მიმართებაში შესწავლა აკადემიური გამოცემის ტექსტზე ზოგი სხვა შენიშვნის საფუძველსაც იძლევა.

აკადემიური გამოცემის VII ტომში (გამომცემლები: ეთერ შარაშენიძე, ლევან ჭრელაშვილი) სერიაში „Varia“ (ეს ნაწილი გამოსაცემად მოუშზადენით რუსუდან კუსრაშვილსა და იოსებ ლორთქიფანიძეს) დაბეჭდილია ლექსი შოთას „უკედავის“ სახელდება!..“

შოთას „უკედავის“ სახელდება ხალხის ველთა.
ის მღელვარ ზღვაზე მიმავალი მძლავრი ეგზოა.
თუმცა რუსთველის სამარეც კი დაკარგულია,
ვეფხის პოემა — აი. მართლა აკადემია.

ვარიანტებში მითითებულია, რომ ეს ლექსი შემონახულია მხოლოდ ერთი ავტოგრაფით. რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, გალაკტიონ ტაბიძის არქივში, ნომრით 1502. იგივე სტროფი მცირეოდენი ვარიანტული სხვაობით (თუმცა თუმც, რუსთველის) რუსთაველის, მართლმართლად) დაბეჭდილია პოემის „საუბარი ლირიკის შესახებ“ ვარიანტებში (ტ. IX, გვ. 307; გამომცემელი ლ. მეფარიშვილი) და აღნიშნულია, რომ მიწერილია იმავე ხელნაწერ 1502-ში პოემის CXXX თავთან. ამრიგად, ერთი და იგივე სტროფი აკადემიურ გამოცემაში ორჯერ ქვეყნდება: ერთხელ — VII ტომში ცალკე ლექსად, მეორედ — IX ტომში სრულად სხვა ბუნებრივობის ვარიანტებში. ეს კი უეჭველად უნდა თქმულიყო თუ ორივეგან არა, ერთ-ერთი ტომის შენიშვნებში მაინც. გამომცემლებს ამ სტროფების იგივეობა მხედველობიდან არ უნდა გამოპარვოდათ მითუმეტეს, რომ ორივე შემთხვევაში სტროფი ერთი და იმავე ავტოგრაფიდან ქვეყნდება.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ხშირად გვხვდება რუსთველისეული სახელთა გაზმნავების შემთხვევები. ერთი ასეთი გაზმნავებული სახელი „ილანდა“ გვხვდება ლექსებში: „სიმღერის მინდა მე წამოწყება“, „დილა. სკოლისაკენ. მელანი. ჩანთა“ და „ტირიფის“ ვარიანტებში.

ლექსში „სიმღერის მინდა მე წამოწყება“ იკითხება.

ღღეს ერთმა შემთხვევამ ილანდა

დილო:

ისეთმა, რომელიც მართობდა

ბავშვის დროს გადამეტებით:

ერთი ღრუბელი ცაზე არ ჩანდა

მე კი სახეზე მეცემოდა

უშველი წვიმის წვეთები

გრილი!

ეს ლექსი დაბეჭდილია IV ტომში (გამომცემელი ლ. სანაძე) და მისი დაწერის სავარაუდო თარიღად მიჩნეულია 1934 წელი. V ტომში (გამომცემლები: ლ. სანაძე, ლ. მეგრელიშვილი) დაბეჭდილია ლექსი: „დილა. სკოლისაკენ. მელანი. ჩანთა“, რომლის პირველი სტრიქონი „ღრუბელი ცაზე არ ჩანდა. არ სჩანდა“ მოგვაგონებს ზემოთ ციტირებული ლექსის („სიმღერის მინდა მე წამოწყება“) ერთ სტრიქონს: „ერთი ღრუბელი ცაზე არ ჩანდა“. ასეთი რამ გალაკტიონის ლექსებში გვხვდება. აქ საულისხმოა სხვა ვარიანტები. ლექსის „დილა. სკოლისაკენ. მელანი. ჩანთა“ ვარიანტებში მითითებულია, რომ ერთ ავტოგრაფში ლექსი იწყება შემდეგი სტრიქონებით:

ღღეს ერთმა შემთხვევამ ილანდა

ისეთმა, რომელიც მართობდა

ბავშვის დროს გადამეტებით.

ცაზე ერთი ღრუბელი კი არ სჩანდა,

მე კი სახეზე მეცემოდა

უშველი წვიმის წვეთები. . .

ამჟამად, რომ ეს სტრიქონები IV ტომში დაბეჭდილი ლექსის „სიმღერის მინდა მე წამოწყება“ ნაწილია. ნამდვილად კი V ტომის შენიშვნებში იგი მოწოდებულია როგორც ლექსის: „დილა. სკოლისაკენ. მელანი. ჩანთა“ ვარიანტი. ვ. ნომცემლებს ორივე თუ არა, ერთ-ერთი ტომის შენიშვნებში მაინც უნდა მიეთითებინათ რომ ლექსის „დილა. სკოლისაკენ. მელანი. ჩანთა“ ვა-

რიასტად მოწოდებული ტექსტი ლექსის „სიმღერის მინდა მე წამოწყება-
ძირითადი ტექსტის ნაწილია. ეს მით უფრო უნდა ყოფილიყო შემჩნეული,
რომ ლექსის „დილა. სკოლისაკენ. მელანი. ჩანთა“ ზემოთ ციტირებული ვა-
რიანტის შემცველ ავტოგრაფულ ნუსხას დაუცავს ლექსი „სიმღერის მინდა
მე წამოწყება“.

კიდევ ერთი შენიშვნა. ლექსში „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“
ძველი სასახლე და გეგუთის ნანგრევები თამარის აჩრდილს აყენებს პოეტის
წინ. შემდეგ კი ნათქვამია:

არაბეთიდან ნოსელი მონა
სდგას, მოიტანა შორით ფარისი
და სპარსეთიდან ლექსების კონა.
მიმოდის როგორც ტოტი ქარისი.

აქადემიური გამოცემის II ტომის კომენტარებში (გვ. 421) „ფარისი“
კანმარტებულია: „ადამ მიცევეიჩის (1798—1895) (!) ამავე სახელწოდების
ლექსის მითიური მერანი“. ეს განმარტება გადმოტანილია IV ტომზე დარ-
თულ „დამატებანსა და შესწორებანში“ და შესწორებულია შემდეგნაირად:
„ადამ მიცევეიჩის (1798—1855) ლექსი, მითიური მერანი“. ასეთი განმარტე-
ბით გამოდის, რომ არაბეთიდან მოსულმა მონამ შორიდან მოიტანა „ადამ
მიცევეიჩის ლექსი, მითიური მერანი“. ასეთ ანაქრონიზმს გალაკტიონი არ
ფიქსუვებდა. ლექსში სიტყვა „ფარისი“ ნახმარი უნდა იყოს წერაილის, გრაგ-
ნაილის მნიშვნელობით (მდრ. ფარმანი). სიტყვის ასეთი ფორმა ალბათ რა-
მის საქიროებამ განაპირობა (ფარისი — ქარისი).

ამრიგად, გალაკტიონის პოეზიის ვეფხისტყაოსანთან მიმართებაში შეს-
წავლა აქადემიური გამოცემის ტექსტზე გარკვეული შენიშვნების გამოთქმის
სათუფველს იძლევა. ამ შენიშვნათა გათვალისწინება, ვფიქრობთ, აუცილებე-
ლია გალაკტიონის თხზულებათა შემდგომ გამოცემებში.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში)

გურამ გავაშელი

ТОПОНИМЫ В РОМАНЕ-ЭПОПЕЕ А. АНТОНОВСКОЙ
«ВЕЛИКИЙ МОУРАВИ»

Многотомный исторический роман-эпопея А. Антоновской «Великий Моурави» — одно из замечательных явлений нашей многонациональной литературы, сыгравших выдающуюся роль в формировании идейно-эстетических традиций и принципов советской исторической прозы.

Лучшее художественное произведение, созданное когда-либо русским советским писателем на тему далекого прошлого Грузии, «Великий Моурави» относится к числу наиболее популярных и издаваемых романов нашей историко-художественной литературы и пользуется всеобщей любовью в широких читательских кругах.

Первые же книги эпопеи, вышедшие в свет в 1939 и 1940 годах, получили высокую оценку нашей прессы и литературной критики, которая посвятила этому событию немало восторженных рецензий и высказываний. Маститые писатели и литературоведы в своих статьях и выступлениях неоднократно упоминали «Великий Моурави» в одном ряду с такими этапными произведениями нашей исторической прозы, как историческое повествование В. Я. Шишкова «Емельян Пугачев» и вершинное явление, шедевр советской исторической романистики «Петр Первый» А. Н. Толстого.

Бесстороннее, правдивое, конкретно-историческое отображение исторической действительности в ее революционном развитии; беспощадная критика темных, реакционных сил прошлого; воспроизведение лучших, героических страниц национальной истории; изображение народа как движущей силы исторического процесса; художественное воссоздание образов тех замечательных деятелей прошлого, жизнь и творчество которых выражают поступательное движение истории, а их деятельность отражает историческую роль народа; передовое мировоззрение, обусловленное победой социалистической идеологии вот те основополагающие принципы социалистического реализма, которые лежат в основе этих и ряда других выдающихся произведений советской исторической прозы, входящих в золотой фонд нашей многонациональной советской литературы¹.

Монументальный роман-эпопея «Великий Моурави» — грандиозное художественное полотно, воссоздающее с подлинной исторической правдивостью один из самых мрачных и трагических периодов многовековой истории грузинского народа на рубеже XVI и XVII столетий, и жизнь и деятельность выдающейся личности той суровой эпохи — Георгия Саакадзе — могучего полководца и воина, крупного государственного деятеля, человека титанической воли, посвятившего всю свою яркую, полную драматизма, жизнь самоотверженной борьбе с иноземными завоевателями родины и владетельными князьями, бесконечными распрями и междоусобицами, обескровливающими и разо-

¹ «Одегь камнем», «Радичев» О. Форш, «Кюхля» Ю. Тынянова, «Севастопольская страда» С. Сергеева-Ценского, «Дмитрий Донской» С. Бородина, «Степан Разин» С. Злобина, «Багратион» С. Голубова и др.

ряющими страну, всю жизнь стремившегося объединить Грузию в единое, централизованное могущественное государство.

Роман создавался более тридцати лет и в течение этого длительного времени произведение от редакции к редакции подвергалось тщательной и довольно эффективной авторской правке. Разумеется, настоящая работа не ставит себе целью анализ всего художественного строения этой гигантской эпопеи. Мы лишь постарались, по мере возможности, рассмотреть те спорные моменты редакционно-текстологического характера, которые обнаружались в процессе работы над отдельными изданиями эпопеи, в частности, использование автором в тексте произведения географических наименований грузинского и шпозычного происхождения.

Наряду с лучшими произведениями советской историко-художественной литературы — «Петром Первым» А. Толстого, «Емельяном Пугачевым» В. Шишкова, «Севастопольской страдой» С. Сергеева-Ценского, монументальный роман-эпопея А. Антоновской «Великий Моуравн» выделяется не только всесторонним, глубоким охватом исторических событий, вводом в сюжетную ткань произведения множества действующих лиц, но также и широчайшим географическим диапазоном действия.

Исторические события, воспроизведенные в романе, разпертываются в довольно крупных масштабах. Действие охватывает все царства, владетельные княжества и исторические области Грузии конца XVI — начала XVII столетий², переносясь в дальнейшем, по мере развертывания сюжетных коллизий произведения, на территории сопредельных с Грузией стран — Ирана, Турции, России, и вбирая в себя все новый и новый круг людей и исторических событий.

Столь широкий территориальный охват событий, характерный для «Великого Моуравн», требует от исторического романиста помимо глубокого знания исторического материала, народного быта, духовной и материальной культуры изображаемой эпохи, также и не менее глубокого, всестороннего и точного знания географической номенклатуры тех стран и областей, на территории которых разсвертываются описываемые в романе события. Притом, исходя из специфики жанра исторического романа, писатель обязан досконально изучить как современную ему топономику, так и (и в первую очередь) историческую географию интересующих его стран и областей, так как географические наименования — ихписание и произношение, — ввиду различиях и довольно частых исторических и общественно-политических изменений более подвержены всевозможной трансформации, чем, скажем, собственные имена, или же предметы материальной культуры и бытовые реалии той или иной страны.

Так, например, некоторые населенные пункты — города и села, упоминающиеся Антоновской в «Великом Моуравн», в настоящее время или вовсе не существуют — Квалта (კვალთა), Баралети (ბარალეთი), Бахтриони (ბახტრიონი), Гсголаурта (გსგოლაურთა), Гсменари (გსმენარი), Цоцколаурта (წოწკოლაურთა), Кацалхеви (კაწალხევი)³, или имеют совер-

² Каргли, Кахети, Имерети, Гурию, Самегрело, Самцхе-Саатабаго, Абхазети, Горную Тушету, Пшави, Хевсурети и др.

³ Дается по списку сельских Грузинской ССР из книги проф. Г. И. Зардалишвили и др. «Словарь географических наименований СССР». Тб., 1972. Пользуясь случаем, приношу проф. Г. И. Зардалишвили благодарность за советы и ценные указания в уточнении ряда вопросов.

шению иное наименование — Ганджа — современный Кировабад, Бамбора (ბამბორა) — Лихни (ლიხნი), Якубло (იაკუბლო) — нынешняя Чапаевка, Капанахчи (ქაფანახჩი) — Квемо Болнисси (ქვემო ბოლნისი), Гиаурахи (გიაურახი) — с. Алгети (ალგეთი)⁴; в ряде случаев изменялось произношение, а соответственно и написание термина — было Ацквери (აწყვერი) — сейчас произносится Ацкури (აწყური), было Жинвани (ჯინვანი) — сейчас Жинвали (ჯინვალი)⁵ и т. д.

Полное, всестороннее овладение географической номенклатурой, написание того или иного топонима (как родного, так и иноязычного) в форме, максимально приближенной к соответствующему природе термина звучанию, дело весьма и весьма сложное даже для учено-географа — тем более это сложно для литератора, романиста, пишущего к тому же на материале далекого исторического прошлого другого народа.

Трудности, связанные с использованием в тексте произведения многочисленных грузинских и иноязычного происхождения топонимов, их правильным написанием в русской транскрипции, Антоновской были преодолены весьма успешно. Прорвавшись в этом направлении с присущей ей добросовестностью колоссальную научно-подготовительную работу, писательница достигла желаемого результата — географический фон изображаемых в романе исторических событий воспроизведен в основном правдиво, а написания терминов даны в правильной русской транскрипции⁶.

подавляющее большинство употребленных в романе грузинских и иноязычного происхождения топонимов — наименования исторических областей, городов, больших и малых населенных пунктов, рек, озер и морей, гор, хребтов и перевалов, пастбищ и степей — воспроизведены Антоновской в основном верно; написания терминов даны автором в правильной русской транскрипции и по возможности отражают специфику их произношения — Дидгори (დიდგორი), Гударехи (გუდარეხი), Госте (გოსტე), Шавнабада (შავნაბადა), Иорашен (იორაშენი), Ардебил (არდებელი), Демаванд-Гора (დემავანდ-გორა) и др.

⁴ Некоторые наименования менялись неоднократно, например, поселки «Сирван» (სირვან) — Боридло (ბორიდლო) — Маркули (მარკული).

⁵ Об указанных топонимах подробнее будет сказано ниже.

⁶ Антоновская совершенно изучила многочисленные исторические документы, старинные рукописные книги, летописи; тщательно ознакомилась с описаниями путешествий арабских, французских, итальянских, голландских, русских и иных путешественников и миссионеров, купцов и дипломатов — Ибн-Хаукаля, Арканджело Ламберти, Шардена, Турнефора, Марко Поло, Петро делла Валаде, Яна Стрейса, Василия Гадары и др. Эти описания включают в себе интереснейшие и ценнейшие сведения по истории и географии средневековой Грузии и ее ближайших соседей — Турции, Ирана и России.

Особое внимание уделила Антоновская грузинским источникам, в частности, «Описанию Царства Грузинского (географии Грузии)» царевича Вахушти — трудом П. Иселаниани, «Идмоуравниан» И. Тбилиани и др.

Однако, нельзя не отметить тот факт, что неточности в написании целого ряда географических наименований, имеющихся в монографии П. Иселаниани «Жизнь Великого Моурава князя Георгия Саакадзе», в том же виде встречаются и в первоначальной (а некоторые и в окончательной) редакциях «Великого Моурава», из чего можно предположить, что писательница широко, и в какой-то степени, некритично использовала упомянутый источник. (Подробнее об этом будет сказано ниже).

Однако в некоторых ранних изданиях эпопеи наряду с правильно воспроизведенными формами топонимов встречаются немало географических наименований, обозначенных писательницей ошибочно, или же в неточной русской транскрипции. В процессе редакторской работы автора над очередным изданием романа эти неточности сю постепенно устранялись и в последнем, окончательном издании эпопеи они встречаются в гораздо меньшем количестве, чем в предыдущих изданиях.

Разумеется, нет необходимости анализировать все те неточности и спорные моменты, встречающиеся в различных изданиях многотомной эпопеи, однако, наиболее существенные из них в настоящей статье нами будут рассмотрены.

Как было сказано выше, в некоторых изданиях романа «Великий Моурали» часто встречаются неточности в написаниях целого ряда географических наименований (как грузинских, так и иноязычного происхождения), которые в более поздних изданиях эпопеи автором, в большинстве своем, устранены и их форма написания не противоречит общепринятым нормам.

В приводимых ниже примерах первоначально дается неправильное написание термина (в первых изданиях романа), а рядом — уточненная, исправленная форма указанного наименования (последнее издание): было — Нечбиен, есть — Ничбиен (ნიჩბიენ), Эоти — Эзати (ეზატე)⁷, Самшвиლე — Самшвилде (სამშვილდე), Черкела — Хчермела (ჩერქელა), Дикские горы — Лихские горы (ლიხის მთა), Борбала — Борбалто (ბორბალთო), Борисахо — Барисахо (ბარისახო), Гал Борн — Гол Борн (გობბორნი), Экалто — Икалто (იკალთო), Дсаиен — Дманнен (დმანნენ), гора Табор — гора Табори (თაბორის მთა)⁸, Бодорма — Бочора (ბოჭორმა), Цвицгали — Цишадали (ციხადალი), Дид-гори — Дидгори (დიდგორი), Мкинвар-Мта — Мкинвар-мта (მკივარ-მთა), Ташис-Карские теснины — Ташискарские теснины (ტაშისკარის ვიწროები), Хэоба — Хэоба (ხეობა), Картагети — Кертанети (კარტანეთი), Эртацмида — Эртацмида (ერთაყმიდა), Гонна — Гонно (გონო)⁹, Батами — Батуми (ბათუმი), Пашктейское ущелье — Пашкеское ущелье (პაჩქესის ხეობა), г. Хра —¹⁰ — р. Хра и (მდ. ხრამი), Сшицаро — Цишцаро (წიჭყარო), ахалцхские горы — Ахалицхские горы (ახალციხის მთები), Пиркикельское Тушети — Пиркикитское Тушети (პირიქის თეთი)¹¹, Арабаули — Арабули (არაბული)¹², Тионети — Тианети (თიანეთი), Месхийские горы — Месхетские горы (მესხეთის მთები), Ингур — Ингурн (ინგურნი)¹³, Унардское ущелье — Унарданское ущелье (უნარდაის ხეობა), Лажини — Ложини (ლოჯინი)¹⁴, Кастильские горы — Кенильские горы

⁷ Село в Каспском р-не, см. «Грузинская ССР. Административно-территориальное деление», Тб., 1966, стр. 58.

⁸ Гора в Тбилиси, из недр которой вытекают горячие серные источники. См. «150 лет Тбилиси» (юбилейный сборник), Тб., стр. 138; В а х у ш т и, География Грузии, под редакцией Т. Лемоури и Н. Берданишвили, Тб., 1941, стр. 52.

⁹ Старая форма написания. См. В а х у ш т и, География Грузии, стр. 134, 142, 176.

¹⁰ Ферма без характерного для грузинского языка окончания на гласные.

¹¹ В отдельных изданиях встречается и формы — Перекительское, Прикикское (последнее написание встречается в окончательном издании романа).

¹² Хсевурское общество. В последнем издании эпопеи имеются неправильные написания ряда Пшавских обществ, напр. Габидлаурское вместо Габидлаурское (или Габидлаурта) (გაბიდაურთა), Цоцкоаульское вместо Цоцколаурское (или Цоцколаурта) (წიჭკოლაურთა).

¹³ Предпочтительней форма — Ингурн (ближе к грузинскому произношению).

¹⁴ Правильнее транскрипция — Лочини (ლოჯინი).

(ქსოლის მთები)¹⁵, Ламинская гора—Ломисская гора (ლომისის მთა), Глухорский перевал—Клухорский перевал (ქლუხორის უღელტეხილი), Саганлуг—Соганлуги (სოგანლუგი) и т. д.

Существенному изменению подверглось и написание целого ряда географических наименований иноязычного происхождения, в большом количестве включенных в сюжетную ткань произведения. Так, например, было Керман-шах — в последнем издании — Керманшах (ქერმან შახი), Хоросан—Хорасан (ხორასანი), Кашемир—Кашмир (კაშმირი), Хуррем-Абад—Хорремабад (ხორემაბადი), Агча-Кала—Агджа-Кал (აგჯაყალა), Гебрарабад—Гебраабат (გებრააბადი)¹⁶, Иурашен—Иорашен (იორაშენი), Кескер—Кескар (ქესქარი), Шерван—Ширван (შირვანი), Гурджи-багаз —Гаджи-багаз (გურჯი ბაგაზი)¹⁷, Зендеруд—Заендеруд (ზაენდერუდი), Ах-Ахмед—Аг-Ахмед (აგ ახმედი).

В произведениях научной, художественной и переводной литературы, на страницах газет и журналов часто можно встретить различное написание одного и того же географического наименования. Это вызвано тем, что большое количество иноязычных (и не только иноязычных) наименований до настоящего времени все еще не унифицированы, что мешает выработке единой нормы написания для значительного количества терминов.

Поэтому написание таких городов, как Трабзон, Эрзурум, Тебриз, Исфахан¹⁸ и некоторых других, встречающиеся на страницах много-томной эпопеи А. Антоновской «Великий Моурави» в разных формах и вариантах, не дает нам права, имея в виду вышесказанное, для сколько-нибудь серьезных упреков в адрес автора, тем более, что роман, как известно, создавался в течение трех десятков лет и в отдельные периоды этого долгого времени какая-то из существующих форм была более употребительна, чем иная другая.

Вот в какой последовательности изменялось написание городов в отдельных изданиях (а иногда и в отдельных книгах одного и того же издания) эпопеи: Арзрум — Арзарум—Эрзурум; Трансеонд—Трансеунд—Трабзон; Табриз—Тавриз—Тебриз; Исфагань—Исфаган.

В русских печатных изданиях и в разговорной речи названия некоторых исторических областей и рек Грузии имеют двойную форму написания и произношения. Например, Кахетия—Кахети, Имеретия—Имерети, Хевсуретия—Хевсурети, Картлиния—Картли; Арагва—Арави, Лиахва—Лиахви, Алазани—Алазани, Иора—Иори и т. д.

В разных изданиях эпопеи Антоновская пользуется то одной, то другой формой написания некоторых вышеупомянутых географических наименований; однако, если во всех изданиях романа названия исторических областей Грузии употребляются автором в основном, как мы полагаем, в правильной, соответствующей грузинскому произношению форме — Кахети (კახეთი), Картли (კარტლი), И-срети (ივრეთი), Хевсурети (ხევსურეთი), Абхазети (აფხაზეთი)¹⁹ и т. д., то в написании ряда

¹⁵ Правильно — Ксилисские горы (ქსილის მთები). См. Г. Джамбурия, Георгий Саакадзе. Тб., 1964, стр. 32.

¹⁶ Правильно — Гебраабат (с характерным окончанием на -абат).

¹⁷ Вахушти употребляет — Гурджи-Багаз (გურჯი ბაგაზი). См. Вахушти, География Грузии, стр. 141.

¹⁸ Написания городов даны по «Малому Атласу мира», Москва, 1966.

¹⁹ В некоторых изданиях «Великого Моурави» (второй книга первого издания) Антоновская употребляет формы — Хевия, Итнулетия и совершенно неприемлемое написание — Имерели (в значении исторической области Грузии — Самегрело). В последующих изданиях

грузинских рек писательница в первых изданиях „Великого Моурави“ отдает предпочтение формам — Арагва, Лиахва, Алазань, Иора и т. д., а в последних изданиях, соответственно, предпочтительному написанию — Арагви (არაგვი), Алазани (ალაზანი), Иори (იორი) и т. д. Правда, в третьей книге окончательной редакции романа иная ступица наряду с предпочтительными формами Арагви, Риони, Иори, Алазани и т. д. почему-то сохранила форму с нехарактерным для грузинского языка окончанием — Лиахва, Большая Лиахва.

Написание некоторых топонимов в многочисленных изданиях эпопеи менялось неоднократно. Однако, ни одна из промежуточных форм не соответствовала правильно написанному термину. Так, например, Панклесское ущелье — Панкесское ущелье — Панкисское ущелье; Саганлуг — Соганлук — Соганлуги; Дикские горы — Дихские горы — Лихские горы; Упударисские горы — Упардисские горы — Упударисские горы; Лыхне — Лыхне — Лыхны; Сабаратиано — Сабаратино — Сабаратиано; Ольты — Ольтис — Ольту²⁰; Лоре — Лори — Лоре; Живвани — Дживвани — Живвали²¹; Агча-Кала — Агач-Кала — Агджа-Кала; Карейские равнины — Караяские степи — Карайские степи — Караязские степи²².

Имеются и такие случаи, когда писательница, дав вначале в одном из изданий романа правильное написание топонима, изменяет его затем на явно неправильную форму, вновь возвращаясь к первоначальному, иногда в более точной транскрипции, написанию в поздних (или в последнем) изданиях эпопеи²³.

Иногда различное написание одного и того же географического наименования встречается не только в пределах многочисленных изданий шеститомной эпопеи, но часто и в отдельных книгах того или иного издания. Например, в первой книге первого издания на стр. 42 дается написание Мкинвари-Мта, а на стр. 274 той же книги Мкинвари-мта; в третьей книге первого издания на стр. 212 Живвали, а на стр. 395 — Дживвани; в четвертой книге первого издания — Тпацети (325), Тпюцети (378); в четвертой книге второго издания «Заря Востока» на стр. 732 — Пшавети, а на стр. 735 — Пшави; в третьей книге последнего издания — Трапезонд (71) и Трапезунд (243), во второй книге последнего издания на стр. 455 то Джары, то Чари (ჯარე) и т. д.

Подобный разбой в написании некоторых идентичных географических наименований ничем не обоснован и в какой-то степени вносит

эти формы были замечены автором соответственно на — Хиви (ხვი), Мтиулету (მთიულეთი) и Самегрело (სამეგრელო), иногда вместо Самегрело писательница использует форму — Одиши (ოდიში), историческое название Самегрело.

В четвертой книге последнего издания «В. М.» встречается то форма — Пшавети, то — Пшави, из которых правильнее форма Пшави (ქაშვეთი). В таком написании употребляется этот термин в грузинской историко-географической и художественной литературе. См. В а х у ш т и, География Грузии, стр. 86, 87, 91, 102; Н. Б е р д з е и ш в и л и, В. Д о л д у а, М. Д у м б а д з е, Г. М е л и к и ш в и л и, Ш. М е с х и я, История Грузии, часть I, Тб., 1962, стр. 425; И. Д ж а в а х и ш в и л и, История грузинского народа, кн. IV, Тб., 1957, стр. 149.

²⁰ Предпочтительнее было бы дать грузинскую форму написания указанного топонима — Олтиси (ოლთისი). Этот населенный пункт находится в настоящее время на территории Турции. Ольту — турецкое название некоего грузинской местности.

²¹ Об этом топониме подробнее будет сказано ниже.

Для последние формы встречаются в окончательной редакции произведения.

²³ См. примеры — Сабаратиано, Лоре и Агджа-Кала (транскрипция — Агджа-Кал) более точно передает оттенок звучания термина, нежели — Агча-Кала).

диссонанс в основном правильно воспроизведенном географическом фоне произведения.

Выше нами были рассмотрены те неточности и несоответствия в написании целого ряда топонимов, которые встречаются в разных изданиях эпопеи «Великий Моурави» и которые в той или иной мере устраняются автором в более поздних (или последнем) изданиях произведения. В этом аспекте писательница проделала довольно трудоемкую и, безусловно, плодотворную редакторскую работу, о чем наглядно свидетельствует последнее, основательно исправленное, издание романа.

Однако и в окончательной редакции «Великого Моурави» имеются существенные неточности и спорные моменты в написании ряда грузинских и иноязычного происхождения географических наименований. Эти неточности весьма различного характера и происхождения. Некоторые из них являются результатом непосредственного использования автором сюжетной ткани произведения тех географических наименований, которые и неправильно написаны встречаются в отдельных исторических работах и источниках.

Выше мы уже говорили, что неточности в написании ряда географических наименований, имеющиеся в известной монографии Пл. Иоселиани «Жизнь Великого Моурава князя Георгия Саакадзе», в том же виде встречаются и на страницах отдельных изданий эпопеи. Некоторые из них, например, Ташишь-Карские теснины, Эрцацмииди, Агча-Кала, Гопна, Карайские степи и др., употреблявшиеся в ранних изданиях романа, со временем автором были устранены и заменены более правильными формами написания.

Часть же неправильно обозначенных топонимов, таких, как Викант-Бери, Желети, Казахия, Лоджиши, Квелта и некоторые другие — в неизменном виде сохранились и в последнем издании произведения.

Каково же в действительности правильное написание вышеупомянутых герминов?

Вместо Викант-Бери должно быть Киканат-Бери (კიკანათბერი). О Киканат-Бери упоминается в «Дидмоуравани» И. Тбилели²⁴ и в «География Грузии» царевны Вахушти²⁵; фигурирует это географическое наименование и в работе современного грузинского историка Г. Джамбури. Перечисляя села, входящие в феодальное владение Георгия Саакадзе, автор в числе других называет и Киканат-Бери. «В Атенском ущелье Саакадзе принадлежали села «...Хандиси (ხანდისი), Сикалети (სიკალეთი), Гведрети (გვედრეთი)... Киканат-Бери (კიკანათბერი)»²⁶.

Так же неверно написание термина — Желети, должно быть Жалети (ჯალეთი). Это местечко, где кахетинскому царю Теймуразу I, во время первого пашествия шаха Аббаса на Грузию, удалось взять верх над персами и вырваться из окружения²⁷. «Теймураз у Жалети одержал победу над отрядом кизилбашей и перешел в Картли», — пишет историк Д. Гвретишвили²⁸.

²⁴ И. Т б и л е л и, Дидмоуравани, Тб., 1939, строфа 223, 226 (употребляет название — Тикнабера — თიკნაბერა).

²⁵ В а х у ш т и, География Грузии, Тб., 1941, стр. 57.

²⁶ Г. Д ж а м б у р и я, Георгий Саакадзе, Тб., 1964, стр. 32.

²⁷ В а х у ш т и, Жизнь Грузии от 1469 до 1744 гг., Тб. 1913, Г. Д ж а м б у р и я, Георгий Саакадзе, Тб., 1964, стр. 91; Очерки истории Грузии, т. I, Тб., 1970, стр. 625.

²⁸ Д. Г в р и т и ш в и л и, Очерки по истории Грузии (XV—XVII века), часть II, Тб., 1965, стр. 301.

Для обозначения ханства, граничавшего с Грузией в средние века, правильно будет Казах (ყაზახი), а не Казахия²⁹.

Написанию Лоджини и Квелта предпочтение следует отдать транскрипции — Лочини (ლოჭინი³⁰ и Квелта (კველთა)³¹.

Помимо вышеприведенных примеров в последнем издании «Великого Моурави» встречается еще немало неточностей в написании как грузинских, так и иноязычного происхождения географических наименований.

Имеется

1. Китеки
2. Цадарети
3. Ахмети
4. Дуряч
5. Яглуджи
6. Чартали
7. Чоухи
8. Месабруци
9. Сабашцо

Должно быть

1. Кикети (კიკეთი)³²
2. Цодорети (წოდორეთი)³³
3. Ахмета (ახეტა)³⁴
4. Дуруджи (დურუჯი)³⁵
5. Яглуджи (იაგლუჯი)³⁶
6. Чартали (ჭართალი)³⁷
7. Чаухи (ჭაუხი)³⁸
8. Месабруни (მესაბრუნე)³⁹
9. Саабашно (სააბაშნო) или Саабашидзео (სააბაშიძეო)⁴⁰

²⁹ «В 1756 году он (Ираклий II, — Г. Г.) упразднил ханство в Казахе, поставив во главе этой области своего моурапа». История Грузии, учебное пособие под редакцией Н. А. Бердзенишвили, В. Д. Лондуа и Г. А. Меликишвили (на русском языке), стр. 366.

³⁰ «Мы охотились в Лочини, вылускали соколов. Тут я всадник приметил и забыл на время лова», «Дидмоуравинани», изд. «Заря Востока», 1941, стр. 35.

³¹ «В селе Квелта им попали на глаза старый священник Теодор». К. Григория, О чем поведала «Картлис цховреба», Тб., 1973 (на русском языке), стр. 97.

³² Населенный пункт недалеко от Тбилиси, входит в Коджорский сельсовет Гардабанского р-на, см. «Грузинская ССР. Админ.-террит. деление», составитель Ш. О. Гварамдзе, Тб., 1966, стр. 31.

³³ Село недалеко от Тбилиси, входит в Лисский сельсовет Гардабанского р-на. См. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 31.

³⁴ Крупный населенный пункт, районный центр. См. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 26.

³⁵ Река в Кахети. Течет по территории Кварельского р-на. См. Административную карту Грузинской ССР, 1939.

³⁶ Гора недалеко от Тбилиси. Упоминается в «Дидмоуравинани» И. Тбилиди, изд. 1939, строфа 149; в «Географии Грузии» Вахушти, стр. 48. Следует отметить, что во второй книге первого изданияписание топонима было правильным: «Это перегонялась на сочные пастбища высот Яглуджи царская баранта», стр. 92.

³⁷ Село в Душетском р-не. См. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 44; С. М а к а л а т и я, Мтиулет, Тб., 1930, стр. 66; В «Географии Грузии» Вахушти упоминается гора и ущелье того же названия — ჯართალს მთა, ჯართალს ხევი, стр. 65.

³⁸ Гора в Мтиулет. Главная вершина Гуламакарского хребта, высота 3356 м. См. С. М а к а л а т и я, Мтиулет, стр. 6; «Грузия» (краткий справочник-путеводитель), Тб., 1966, стр. 10; Административную карту Грузинской ССР, 1939.

³⁹ В «Географии Грузии» Вахушти пишет: «В местности зовется Месабруни (მესაბრუნე)». Здесь, напротив Чарн (ჭარნი) и в конце Караджки (ყარაჯიკი), воздвигли ханы высокие дворцы, ныне разрушенные, стр. 177. Действие эпитета, в котором Антоновская употребляет указанное географическое наименование (Меса-Сруни) также распространяется в районе Чарн-Белакани (ჭარ-ბელაქანი), однако, как мы видели, написание термина даст автором неверно.

⁴⁰ Удельное владение князей Абашидзе; известны такие владения как Сабратнано (საბრათნანო), Сацциано (საციციანო), Саджавахо (საჯავახო), Саперетло (საწერეთლო) и т. д. У Вахушти упоминается — Саабашно (სააბაშნო), «География Грузии», стр. 204. В «Истории Грузии» (учебное пособие), 1962, стр. 397 и «Очерках по истории Грузии» Д. Гвритишвили, стр. 465—Саабашидзео (სააბაშიძეო).

- | | |
|------------------------|--|
| 10. Мокшеви | 10. Мокшеви (მოქევი) ⁴¹ |
| 11. Книсишеви | 11. Книсишеви (კისისხევი) ⁴² |
| 12. Пас-гора | 12. Пасисмта (ფასის მთა) ⁴³ |
| 13. Брудсабзели | 13. Бруцсабзели (ბრუცაბძელი) ⁴⁴ |
| 14. Базардюз | 14. Базар-дюзи (ბაზარ-დუზი) ⁴⁵ |
| 15. Табасаранские горы | 15. Табасаранские горы (თაბასარანის მთები) ⁴⁶ |
| 16. Карагагач | 16. Карагадж (კარაღაჯი) ⁴⁷ |

В одном из эпизодов романа говорится о сожжении персидским отрядом нескольких грузинских деревень; среди них упоминаются села — Писи, Кутала, Джачви и др. Однако написание первых двух наименованных неверно. Правильное написание указанных топонимов мы встретили в списке деревень, который предвзвляет историко-географический текст царевича Вахушти. Все три села упоминаются в списке один за другим — Писс (ფისს), Тутала (ტუტალა), Джачви (ჯაჭვი)⁴⁸.

Существование же некоторых населенных пунктов, таких, как Танаки, Орота, Ашми, которые, если судить по контексту, где они упоминаются, должны находиться на территории Картли (а село Ашми недалеко от Носте) установить не удалось. Похожие наименования мы не встретим ни в современной номенклатуре, ни в списках сельбиц. Видимо, названия настолько искажены, что восстановить их в настоящее время невозможно.

Не совсем правильно воспроизведены в романе и наименования некоторых грузинских рек. Так, например, Антоповская пишет — Писс Проне и Алис Проне, Пшависхевская Арагни, Баралетис-цхали. Это неверно. Писс Проне и Алис Проне одно и то же⁴⁹. Под таким названием эта река нигде не встречается. Правильно будет писать просто Проне (ფრონე)⁵⁰ или же Западная Проне, т. к. есть еще и Восточная Проне. Давать же ей название от наименования отдельных деревень Пца (ფცა)⁵¹ и Али (ალი)⁵² неправильно. Употреблять термин Пшависхевская

⁴¹ Село в Боржомском р-не, недалеко от Ацкури. См. Административную карту Грузинской ССР, 1939.

⁴² Село в Телявском р-не. См. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 53.

⁴³ Названия гор и вершин Антоповская в романе обозначает двойным образом. В ряде случаев она употребляет форму Ломта-гора (ლომთა გორა), Бочорме-гора (ბოჭორმა გორა), Демавенд-гора (დემავენდ გორა), в других — Мта-Бери (მთა ბერი), Мкишваримта (მკიშვარი მთა). В данном случае форма Пасисмта (ფასის მთა) предпочтительна т. к. более соответствует грузинскому звучанию термина.

⁴⁴ В «Географии Грузии» Вахушти имеется двойное написание топонима. Бруцсабзели (ბრუცაბძელი) и Брудсабзели (ბრუცაბძელი); чаще употребляется первое написание. В ранних изданиях «В. М.» встречалась и форма «Бруцсабзели».

⁴⁵ Гора в восточной части Кавказа, на границе Азербайджанской ССР и Дагестанской АССР. См. Г. И. Зардалашвили, Словарь географических наименований СССР, Тб., 1972, стр. 22; БСЭ, т. 13, стр. 286.

⁴⁶ Правильно-Табасаранские горы. См. БСЭ, т. 13, стр. 286.

⁴⁷ Село в Сигнахском р-не, входит в Клемо-Мачхаанский сельсовет. См. «Груз. ССР. Адм.-террит. деление», стр. 66; «Крестьяне осадили Телявскую, Карагаджскую, Кодальскую и другие крепости». «История Грузии» (учебное пособие), 1962, стр. 435.

⁴⁸ Вахушти, География Грузии, стр. 205.

⁴⁹ Есть Писс-цхали (ფისს წყალ) и Алис-цхали (ალის წყალი). См. Вахушти, География Грузии, стр. 79—80.

⁵⁰ Вахушти, География Грузии, стр. 81, 145.

⁵¹ «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 262.

⁵² Там же, стр. 174.

Арагви — пельзя. В действительности существует Пшавис-Арагви (ქშავის არაგვი)⁵⁴. Около Магароскарн (მაგაროსკარნი)⁵⁵ с ней сливается Хевсуретская Арагви (ხევსურეთის არაგვი) и в дальнейшем она известна также под именем Пшавис Арагви. Правильное написание третьего топонима Баралетис-цхали (ბარალეთის წყალი)⁵⁶. Следует отметить, что писательница не всегда верно воспроизводит некоторые грузинские словосочетания. Так, например, вместо Моуравис Сахли мы в третьей книге первого издания видим неправильное словосочетание Сахлис Моуравис⁵⁷; вместо Шервашидзе Абхазетис — Шервашидзе Абхазети⁵⁷ и т. д. Неточность — Баралети-цхалис того же происхождения, что и вышеприведенные неверные словосочетания.

Некоторые грузинские топонимы, встречающиеся в произведениях грузинской научно-исторической и художественной литературы, имеют двойную форму написания и произношения, напр., Ацквери (აწყურბი) — Ацкури (აწყური), Жинвани (ქიზვანი) — Жинвали (ქიზვალი), Тапаравани (თაფარავანი) — Паравани (ფარავანი), Гониа (გონია) — Гонно (გონო) и т. д. Из них формы — Ацквери, Жинвани, Гониа и т. д. более древние и чаще встречаются в историко-литературных источниках прошлых веков и начала нынешнего столетия⁵⁸; правда, указанные формы можно встретить и в некоторых трудах современных писателей и ученых⁵⁹. Написание же — Ацкури, Жинвали, Гонно и др. — это видоизмененные и в настоящее время более употребительные формы вышеупомянутых топонимов.

В некоторых случаях художник, творящий в жанре исторического романа, для того, чтобы добиться максимального эффекта в воссоздании географического колорита изображаемой эпохи, просто вынужден отдать предпочтение архаичной форме написания того или иного топонима. В «Великом Моурави» Антоновская умеренно, с большим художественным тактом и мастерством использует старогрузинскую географическую номенклатуру: ее нельзя упрекнуть ни в архаизации географического фона произведения, ни в его модернизации.

Единственно, в чем можно упрекнуть автора «Великого Моурави», это то, что в некоторых случаях в отдельной книге (или отдельном издании) произведения встречается и старая и видоизмененная формы одного и того же географического наименования, например, в четвертой книге повторного издания «Зари Востока» на стр. 266 имеется Ац-

⁵⁴ См. Административная карта Грузинской ССР. 1972.

⁵⁵ Село в Душетском р-не. см. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 42.

⁵⁶ В а х у ш т и, География Грузии, стр. 130.

⁵⁷ «Но умная Русудан предпочла дом, предложенный ей Мухраи-батони, пока строители воздвигают Сахлис-Моурави возле Алабрийских ворот». «Диди Моурави», кн. III, Тб., 1950, стр. 5.

⁵⁸ «Великий Моурави», кн. III, изд. «Лит. და ხელოვნება».

⁵⁹ И. Т б и л е л и. Дидмоуравиани, 1939, стр. 227; В а х у ш т и, География Грузии, 1941, стр. 91, 93, 124; А. П у р ц е л а д з е, Георгий Саакадзе и его время, 1911, стр. 317; П. И о с е л и а н и. Жизнь Великого Моурави князя Георгия Саакадзе, 1818, стр. 65, 56.

⁶⁰ Ив. Д ж а в а х и ш в и л и, История грузинского народа, т. IV, 1967, стр. 119-134, 137; т. III, стр. 242, 263; Д. Г в р и т и ш в и л и, Очерки по истории Грузии (XV—XVII века), часть II, 1965, стр. 42, 43; Ш. М е с х и я, История Грузии (краткий обзор), Тб., 1968, стр. 18.

хури⁶⁰, а на стр. 466 — Ацквери, в третьей книге первого издания на стр. 212 — Жинвали, а на стр. 395 — Жинвани⁶¹; в IV книге первого изд. — Топоравани⁶² (526), а в IV книге повторного издания «Зари Востока» — Паравани (623); во второй книге первого издания — Гониа (113), в третьей книге — Гонио (272), а в IV книге того же издания вновь Гониа.

Использование в таком виде (к тому же без комментариев) в отдельных книгах (или отдельных изданиях) эпоса обеих форм вышеуказанных, и аналогичных им, географических наименований, как мы думаем, неоправдано и может вызвать недоумение у читателя, не совсем хорошо знакомого с грузинской исторической географией.

В не совсем правильном написании даны в романе и названия некоторых мусульманских поселений, появившихся на территории Грузии во времена нескончаемых нашествий на страну иноземных завоевателей⁶³. Например, есть Оромашен — должно быть Ормашен (ორმაშენი)⁶⁴; Сарацли-Сарацло (სარაჩლო)⁶⁵, Лачбаднк-Лажбадин (ლავბადინი)⁶⁶, Ягупло — Якубло (იაკობლო)⁶⁷, Капанакчи-Капанакхи (ქაპანახჩი)⁶⁸, Караджали-Караджала (ყარაჯალი)⁶⁹.

Вызывает сомнение правильность написания таких географических наименований, встречающихся в последнем издании «Великого Моурава», как Варалейский лес, ущелье Круасани, озеро Кодени, аул Паравани (в Тушетии) и некоторые другие. Географический фон контекста, в котором они упоминаются автором — схожесть спорного написания с наименованием действительно существующих (и существующих в определенной области) топонимов, а в некоторых случаях и просто интуиция — вот те предпосылки, исходя из которых, мы берем на себя смелость высказать некоторые предположения о действительном наименовании указанных топонимов.

На территории Грузии лес, под названием Варалейский, нигде не встречается. Возможно это искаженная форма от топонимов Баралети, или же Каралети (კარალეთი). Однако область, где по контексту должен находиться упомянутый лес, несколько отдалена и от Баралети, и от Каралети. Лес должен находиться недалеко от Кватахевского монастыря. Поэтому существование в Грузии Варалейского леса весьма сомнительно. К тому же писательница в романе дает правильное написание обеих предположительных местностей.

«Недоступность замка привела князей к встречам вне Метехи, и само собой вышло, что днем аристократии стала выезжать на прогулку в ущелье Круасани»⁷⁰. По-видимому, автор имеет в виду Карсани

⁶⁰ Предпочтительнее транскрипция — Анкурри.

⁶¹ Встречается и форма — Дживвани (IV кн. первого издания, стр. 378).

⁶² Правильно — Тапаравани.

⁶³ Под первоначальным или измененным названием эти поселения существуют и поныне.

⁶⁴ Село в Дманисском р-не, см. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 40.

⁶⁵ Село в Болнискском р-не, см. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 29.

⁶⁶ Село в Марнеульском р-не, см. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 67.

⁶⁷ Село в Дманисском р-не, см. там же, стр. 31.

⁶⁸ Село в Болнискском р-не; в настоящее время называется с. Квемо Белниси (კვემო ბელნისი), см. Г. И. Зардалашвили, Словарь географических наименований СССР, 1972, стр. 171, Село Капанакчи есть и в Марнеульском р-не, см. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 67.

⁶⁹ Село в Лагодечском и Телавском р-нах, см. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 272.

⁷⁰ «Великий Моурави», изд. «Лит. და ხელოვნება», т. 1, 1965, стр. 383.

(კარსანი)⁷¹, местность к западу от Тбилиси, не доезжая до Мхета. Другого схожего наименования в окрестностях Тбилиси нет. Об этой местности упоминает и Вахушти в своей «Географии Грузии», Карсине мта (კარსის მთა)⁷².

В Мхетском р-не недалеко от бывшего села Кодманн (კოდმანი)⁷³, было и существует поныне соленое озеро того же названия. Вероятно все это и есть то озеро, которое Антоновская в третьей книге последнего издания употребляет в написании Кодени. К тому же следует обратить внимание и на то обстоятельство, что в контексте т. н. озеро Кодени упоминается как соленое.

В Тушетн села под названием Паранга — нет, есть бывшее село Парсма (ფარსმა)⁷⁴ (в Пирикитской Тушетн). Возможно, Паранга — это и есть Парсма, но только в сильно видоизмененном или же искаженном написании. Форма Паранга очень схожа с Перанга, однако, под этим названием мы знаем только гору Перанга (პერანკა)⁷⁵, которая находится почти на границе Западной и Восточной Грузии и ничего общего с Пирикитской Тушетн не имеет.

В целом, грузинские топонимы, употребленные автором в «Великом Меурави», даются с характерными для грузинского языка омонимиями на гласные. Однако, в ряде случаев писательница изменяет этому правилу, воспроизводит нетипичные для грузинской речи формы написания. Так, например, пишет Баснан вместо Баснани (ბასნანი), Шатнал вместо Шатнали (შატალი), Чорох вместо Чорохи (ჭოროხი), Поцхов — Поцхови (ფოცხოვი)⁷⁶ и т. д.

Нелишне отметить и тот факт, что большинство спорных географических наименований — Варалейский лес, ущелье Круасани, озеро Кодени и др., встречающихся в эпосе А. Антоновской «Великий Меурави», в грузинском переводе романа (переводчик Аристо Чумбадзе) в основном не употребляются — в контексте они просто-напросто опускаются, неуверенным в их достоверности, переводчиком.

Как выше уже указывалось, для романиста, пишущего на материале отдаленного прошлого много для себя народа, всестороннее овладение географической номенклатурой той страны и эпохи, о которой он повествует, в написании и использовании в сюжетной ткани произведения того или иного топонима в форме, максимально приближенной к соответствующему природе термина звучанию, дело весьма и весьма сложное, а подчас даже и непреодолимое. Однако на конкретных примерах этой огромной работы, проведенной известной советской писательницей А. Антоновской видно, что эти трудности ею преодолены, и более того, достигнутые в этой области успехи могут считаться принципиальными и служить даже своеобразным эталоном для многих писателей, работающих над материалом исторического прошлого других народов.

⁷¹ Село в Мхетском р-не, см. «Грузинская ССР. Адм.-террит. деление», стр. 74.

⁷² В а х у ш т и, География Грузии, 1941, стр. 61.

⁷³ Дается по списку бывших деревень. См. Г. И. З а р д а л и ш в и л и, Словарь географических наименований СССР, 1972, стр. 180.

⁷⁴ Там же, стр. 181.

⁷⁵ См. Административную карту Грузии, 1939.

⁷⁶ В ранних изданиях встречалась форма — Посхов.

ლილი ქუთათელაძე

იოანე იალღუზისძის ჩამატებული საბას
„სიტყვის კონაში“

იოანე იალღუზისძე (1770—1830), ეროვნებით ოსი, აღზრდილი იყო ერეკლე II-ს და გიორგი XIII-ის კარზე. ქართული ენისა და ქართული ტრადიციულ ლიტერატურაში მცოდნე იგი ზრუნავდა თავისი, ეროვნული ლიტერატურის შექმნაზე. ქართული ანბანის მიხედვით მას შეუდგენია ოსური ანბანი (1802 წ.), დაუწერია ოსური ენის სახელმძღვანელო და ქართულიდან ოსურ ენაზე უთარგმნია სასულიერო-საეკლესიო წიგნები¹.

იოანე იალღუზისძეს ეკუთვნის პოემა „იალღუზიანი“, რომლის მიზანს შეადგენს ეროვნული გმირის წარმოსახვა; ამასთანავე ჩვენება საკუთარი გენეალოგიისა.

იოანე იალღუზისძე ითვლება ოსური მწერლობის მამამთავრად. აღსანიშნავია, რომ იგი იყო რუსული ორიენტაციის მატარებელი და მონაწილეობდა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მომხდარ აჯანყებათა უმეტესობის ჩამქრობე-ქსპლიტაციებში. 1821 წელს მან მიიღო ჯილდოდ „გუბერსკი სეკრეტარის“ წინი².

განსაკუთრებით საყურადღებოა იოანე იალღუზისძის მოღვაწეობაში ის დიდი ინტერესი, რომელიც მას გამოუჩენია ქართული ლექსიკონის მიმართ. დევილი ქართული სასულიერო მწერლობის ნიმუშების მთარგმნელისათვის, უეჭველია, აუცილებელი იქნებოდა ქართული ლექსიკონი და იოანესაც უძებნია საბას „სიტყვის კონის“ სარწმუნო ცალი გადასაწერად და სახმარად.

... დიდითარე სურვილითა ვიძულებოდი აღრითევე გარდაწერად ამა სიტყვის კონისა, რომელ არს ლექსიკონი, რამეთუ მაქვნდა სამართლად ქონება ამისი საქიროებათა შერაცხვასა შინა: ხოლო დავეყენებოდი ამა მიზეზთაგან, ოდესმე არა შოენითა დედნისათა და ოდეს, დაღათუ ვიმოვნიდიცა, განა არა ეგრეთსა, რომელიცა ემასაყოფელად სთნებოდა გონებასა ჩემსა, რამეთუ ხილვანი არა

¹ ი. ი. „თეიმურაზ ბატონიშვილს წიგნთსაცავის კატალოგი“, 1948, ს. იორჯანიშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (A—1091, აკტობრადი). ამ ბიო-ბიბლიოგრაფიულ აკტობრაჟში ეკუთვნობთ: „ოსურის ენით ლიტურჯია (ე. ი. წირვა) და ქართლის ასოებით დაწერილი (იოანე იალღუზისძის) თარგმნილი ოსურსა ზედა ენასა ოსთავანისა იოანე იალღუზისძისაგან, ლიბერციის სეკრეტარისა. ესე იალღუზისძე იოანე, მეფემან ირაკლიან II-მან და ჰემან ჰისმან მეფემან გიორგი XIII-მან აღაზრდეიწეს ყოელსა ქართულისა საღმრთოსა წერილთა და ღრამატეკოსობითა რა ფილოსოფიითა, რა მან იწყო მეფეთა ეამსა თარგმანება საღმრთოსა წერილსა, და როსიის მმართველობასა ეამსა, აგრეთვე, ოსურსა ზედა ენასა სთარგმნა რაქუნნივე საღმრთოსა წერილთაგან“.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924, გვ. 204—205.

³ ტო. რუხაძე, ქართული ეპოსის „გარდამავალა ხანის“ ლიტერატურა, გვ. 197—199.

სრულებითა ნიშანთანი გარეაქცევდნენ მნებელობასა ჩემსაო“, — გადმოგვცემს იალღუზისძე მის მიერ გადაწერილ ერთ-ერთი ნუსხის ანდერძში (H—202).

სრული და სანდო დედნის ძიების დროს მას სმენია, რომ ასეთი აქვს იოანე ბატონიშვილის მეუღლეს — ქეთევანს: „... ხოლო შემდგომად მიზეზისა რომელთაზე დავეყევით ესრეთ ხვედრსა, რომელ ვიხილე ლექსიკონი მათისა უგანათლებულესობისა, ყოვლისა საქართველოს მეფის სძლის, წერეთლის ასულის ქეთევანისა, რომელიცა სთნა გონებასა ჩემსა და მანშიოდაცა არა სადა ყოფა საქართველოსა შინა უმკობებისა და უსრულესისა ლექსიკონისა; და მუნით გარდმოვსწერე ლექსიკონი ესე ფრიად სიმატლისა მეცადინეობითა...“.

ამ ანდერძიდან საყურადღებო ისაა, რომ იოანე იალღუზისძე დაეძებდა საბას „სიტყვის კონის“ სრულსა და შეურყვენელ დედანს. ასეთად მას ეგულებოდა ქეთევან წერეთლის ასულისეული ნუსხა, რომლის ვადასაწერად მოპოვება იოანეს მიჩნეული აქვს დიდ შენაძენად⁴.

საბას ლექსიკონის ნუსხების შესწავლამ გამოაკვლია, რომ იოანე იალღუზისძეს „სიტყვის კონის“ ოთხი ცალი გადაუწერია: 1807 წელს (H—202) გავრცობილი, ზოსიმესეული რედაქციისა; 1808 წელს (ქუთათისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის — № 72) ამავე რედაქციისა; 1812 წელს⁵ და ერთიე უთარილო (სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფ. ი. ბ. კ. № 253), იმავე გავრცობილი (ზოსიმესეული) რედაქციისა. ეს ნუსხა ბოლონაკლულია და ამის გამო თარიღის შემცველი ანდერძიც არ გააჩნია. როგორც უკვე გამოკვლეულია, სწორედ ეს ხელნაწერია იოანე იალღუზისძის მიერ ყველა სხვა დანარჩენზე ადრე გადაწერილი, სახელდობრ: 1800—1802 წწ.⁶.

1808 წლის ნუსხა (ქუთ. № 72) იოანე იალღუზისძეს ქეთევან წერეთლის დაკვეთით შეუსრულებია საგანგებოდ. საგანგებოდ იმ მხრივ, რომ მასში თავილი წელილიც შეუტანია. ამის შესახებ თვითონვე იუწყება ანდერძში: „ბრძანებითა მათის უგანათლებულესობისა საქართულშლოხსა მეფის სძლის, წერეთლის ასულის ქეთევანისათა. სრულ ვჰყავ ლექსიკონი ესე იოანე იალღუზისძემან და შევმარტეცა ეკლესიისა და მას შინა საღმრთოთა იგავით მოსწავებთა განმარტებამ. რომელიც წერილ არს თვისსა ადგილსა ენსა შინა. რომელიცა მოვიღეთ სხვისა წიგნისაგან...“

მართლაც, ენ-ის მასალაში, იქ, სადაც საბას განმარტებული აქვს: ე კ ლ ე ს ი ა შესაკრებელი (31.8 იერემია), იოანე ურთავს „სხვისა წიგნისაგან მოღებულ“ მისტაგოგიას. ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია თხზულება, რომელიც შეიცავს ასეთსავე განმარტებებს. ეს თხზულება სხვადასხვა რედაქციითა წარმოდგენილი ხელნაწერებში⁷. ერთგან მას ეწოდება: „განგებაჲ საიდუმლოთა კათოლიკე ეკლესიისა და სახისმეტყულებისა წესთა მისთა, განწესებული წესა ბასილი და წესა მაქსიმესი და სხუაჲთა მამათა მიერ თქმულისგან“ (A—450), მეორეგან: „წმიდათა შორის მამისა ჩწნისა ბასილი მთავარეპისკოპო-

⁴ დაწერილებით ამ საკითხზე იხ. ლ. ქუთათელაძე, „იოანე იალღუზისძის ლექსიკონგრაფიული ნაშრომები. I. ნაკვ., 1967, გვ. 52—54.

⁵ 1812 წლის ნუსხა არ ჩანს, მის შესახებ იხ. იქვე, გვ. 54.

⁶ იქვე.

⁷ ქუთათელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I. 1941, ოცნო ავტორები, გვ. 585.

სისა კესარია კაპადუკიელისა მოთხრობა ეკლესიაებრივი და საიდუმლოებითი“ (A—691, 137v).

საქიროლ მივიჩნიეთ გამოგვეკვლია: ხომ არ ჰქონდა ხელთ იოანე იალღუზისძეს ეს თხზულება და თუ ჰქონდა რომელი მათგანი? ამისთვის მივმართოთ დასახელებულ ხელნაწერებს:

A—450

ეკლესია არს ტაძარი ღმრთისა, სახლი ლოცვისა, შესაკრებელი ერისაჲ. გუამი ქრისტესი და სძალი წყლითა მით ნათლისღებისათა განწმენდილი...

კონქი სახე არს ქუაბისა მის ბეთლემისა სადაჲ იგი იშუაჲ უფალი ჩუშნი იესო ქრისტე და ყულად მიემსგავსების ქუაბსა მას, სადა დაეფლად გუამი უფლისა, ვითარცა იტყვს მახარებელი: ვითარმედ ქუაბი იყო გამოკუჭთილი.

წმტრაპეზი საკურთხეველისა სახე არს სუფევისა უფლისა, რომელსა ზედა მდებარე არს ჰემშარიტი იგი და ზეცისა პური ქრისტე, რომელი იგი უსისხლოდ დაიკლვის, ვითარცა კაცი და კორცსა და სისხლსა მისსა მისცემს მორწმუნეთა ცხოვრებად საუკუნოდ...

**A—691
(137v—150r)**

ეკლესიაჲ არს ტაძარი ღმრთისაჲ საყდარი წმიდაჲ, სახლი ლოცვისაჲ, შესაკრებელი ერისაჲ. სხეული ქრისტესი. სხეული უფლისაჲ, სძალი ქრისტესი. მიმწოდებელი ერისაჲ სინანულად და ედრებად წყლითა წმინათლისღებისა მისისაჲთა განწმენდილი...

კონქისათვის. კონქი არს მსგავსი ბეთლემისა ქუაბისაჲ, სადა იშუა ქრისტე და მსგავსი ქუაბისაჲ, სადა დაეფლად იგი. ვითარცა იტყვს მახარებელი: ვითარმედ იყო ქუაბი გამოკუჭთილი კლდისაგან და მუნ დადგეს იესო.

წმსა ტრაპეზი საკურთხევისათვის. წმიდაჲ ტრაპეზი არს, სადა დაიდვა საფლავსა შინა მისსა ქრისტე. რომელსა შინა მდებარე არს ჰემშარიტი და ზეციერი პური. საიდუმლოდ და უსისხლოდ მსხუერპლი ცხოველ-შემწირველი კორცისა და სისხლისა მისისაჲ, რომელნი საქმლად და სასუმლად ცხოვრებისა საუკუნოჲსა წინა დაუსხნა მორწმუნეთა...

იოანე იალღუზისძის
**რედაქცია
ქუთ. № 72**

ეკლესია სახე არს უხილავისა მის საუკუნოსა სოფლისა და ხილულისა ამის საწუთოჲსა სოფლისა, საყურთხეველი უხილავისა მის, ხოლო ტაძარი ხილულისა ამის...

კონქი. რომელ არს გუმბადი, სახე არს ქუაბისა მის ბეთლემისა, რომელსა შინა იშუა უფალი ჩუშნი იესო ქრისტე. და ყულად ქუაბისა მის კლდისაგან გამოკუჭთილისა ქრისტეს საფლავისა.

და ყულად ტრაპეზისაჲ იგი საყურთხეველისა და საფლავისაჲ სახე არს და საყდარისა მის, რომელსა იგი დაჯდა უფალი სერობად მოწაფეთა თანა თვისთა. და მისცა მათ საქმელად და სასმელად წმიდა კორცი და სისხლი თვისი...

საფსალმუნე სახე არს ლოდისა მის საფლავისა, რომელი გარდაავრება ანგელოზმან კარი-მისგან საფლავისა და ღაჯდა მას ზედა, ახარა მენელსაცხებლეთა მათ აღდგომა უფლისა...

ამეონისათჳს, რომელ არს საფსალმუნე. ამეონი არს გამომაჩინებელი სახესა წწისა ქრისტისა საფლავისა, რომლისადა გარდამავორებელი ანგელოზი კარისაგან მჯდომარე იყო მას ზედა, მკმობელი აღდგომისა უფლისსა მენელსაცხებლეთა მიმართ...

საფსალმუნე სახე არს ლოდისა მის ქრისტეს საფლავისა, რომელსა მჯდომარემან ანგელოზმან ახარა მენელსაცხებლეთა მათ აღდგომა უფლისა.

ხოლო აღმოსაველით დგომა ლოცვისა შინა და აღმოსაველით თაყვანისცემა განაწესეს წმინდათა მოციქულთა და რამეთუ მხე იგი სიმართლისა ქრისტე ღმერთი ჩუქნი გამოჩნდა კერძო ჩწნი და აღმოსაველისათა...

აღმოსაველით ლოცვისათჳს. აღმოსაველით ლოცვა მოცემულ არს, ვითარ და სახენიცა წმინდათა მოციქულთაგან და არს ესრეთ, ვინაჲთგან გონიერი მხე სიმართლისაჲ ქრისტე ღმერთი ჩწნი ქვეყანასა ზედა გამოჩნდა, კერძოთა გრძნობადისა მზისა აღმოსაველისათა...

ხოლო აღმოსაველით ლოცვა და თაყუანისცემა განაწესეს წმინდათა მოციქულთა, რამეთუ მენით არს ედემისა იგი სამოცხე და რამეთუ უფალსა აღმოსაველ უწოდენ სახელად წინასწარმეტყუქლნი წმინდანი.

მღვდელნი სახელ არიან ზეცისა ძალთა ქერობინთა, ვითარცა იგინი ორითა ფრთითა იფარვენ პირთა მათთა, ეგრეთვე ესენი შესამოსლითა მათ საიდუმლითათა...

სამღვდლო მსახურისათჳს. მღვდელნი ვიდრემე მსგავსებისაებერ ქეროვიმთა და სერაფიმებრთა ძალთაჲსა არიან შესამოსელთა მიერ მსგავსად ფრთეთასა დაფარულნი...

ხოლო მღვდელნი და დიაკონნი სახე არიან სერაფიმთა და ანგელოზთანი და შესამოსელნი იგი მათნი ფრთეთა მათთანი; და ოღარი იგი მთეფაქლისა მის, რომელი მოსდუა მღვდელთმოძღუარმან უფალსა, რომლითა იგი შიიზიდვიდეს მას წინაშე პილატესა...

ხოლო დიაკონნი სახედ არიან ანგელოზთა. წულილაჲდითა მით ფრთითა, რომელი მკართა ზედა მათთა არს, ვითარცა სულნი გონებრნი მსახურობენ და უმწერობენ.

დიაკონთათჳს. ხოლო დიაკონნი მსგავსად ანგელოზებრივთა ძალთაჲსა, წულილთა ორართა მიერ სელისათა. ესე იგი არს ფრთეთა...

ხოლო ომფორი მოასწავებს ცხოვარსა მას წარწყმედულსა, რომელი მოიძია მწყემსმან და იტვრთა მკართა თჳსთა ზე-

ხოლო ომფორი იგი ეპისკოპოსისა, ცხოვარსა მას წარწყმედულსა მოასწავებს, რომელი მოიძია უფალმან მწყემსმან

ომფორისათჳს. ომფორი არს სახედ ამრონის შესამოსლისა, რომელი ემოსა სჯლსცა შინა მყოფთა მღვდელთ-

კეთილმან და იტვრთა მკართა ზედა თვსთა, რამეთუ ეპისკოპოზი სახე არს ქრისტესი და საქმესა მისსა აღასრულებს.

მთავართა სუღართა გრძელთა მიერ, მარცხენესა მკარსა ზედა დამდებელნი უღლისაებრ ქრისტეს მცნებათაჲსა და აღღებისაებრ ჭვარისა და შედგომისა.

და. რამეთუ ეპისკოპოსი სახე არს ქრისტესი და საქმეთა მისთა აღმასრულებელი.

როგორც ზემოთ მოყვანილი ვრცელი მაგალითებიდან ჩანს, იოანე იალღუზისძეს «ეკლესიისა და მას შინა საღმრთოთა იგავით მოსწავებთა განმარტება» აუღია თხზულების იმ რედაქციიდან, რომლის სათაურია: «განგებაჲ საიდუმლოთა კათოლიკე ეკლესიისა და სახისმეტყულებისა წესთა მისთა» (A—450).

როგორც ვნახეთ, ი. იალღუზისძეს საბას „სიტყვის კონის“ მისგან გადაწერი ერთ-ერთი ცალსათვის ზემოთ განხილული «განგებაჲ საიდუმლოთა ეკლესიისა...» გამოკრებით და შემოკლებით დაურთავს. დედანში ცალკეულად განმარტებულნი ზოგან გაუერთიანებია, გადაუბამს (მაგ., მლუღელნი და დიაკონნი და შესამოსელნი... და ოლარი) და ისე დაუკავშირებია ერთიმეორესთან. რომ მთლიანი თხრობის სახე მიუტია. მაგალითად, ომფორის განმარტება ექვს არ იწვევს იმ მხრივ, რომ იალღუზისძეს გამოუყენებია პირველი ტექსტის რედაქცია. მას იგი იმდენად შეუმკიდროვებია, რომ „შეიძლება ითქვას, მიუღია მისტაგოგიის ახალი, მოკლე რედაქცია».

იოანე იალღუზისძისგან ლექსიკონის „შენამატს“ ეკუთვნის აგრეთვე, როგორც თვითონვე აღნიშნავს. ამავე ცალის ბოლოს დართული: „სამნი ესენი ფრინველთა, ხილთა და ნადირთა ცნობანი“. ეს დანართი ყვავილის მსგავსი სამი ნახაზითაა წარმოდგენილი. მცენარის ძირი აღნიშნულია ბოლქვის ან მიწის მსგავსი წრით. რომლისგანაც აღმოცენებულია ღერო, დამთავრებული ხუთფოთლოვანი გამოსახულებით. სამისგან: ერთში ჩაწერილია ფრინველთა, მეორეში — ხილთა, ხოლო მესამეში — ნადირთა სახელწოდებანი. უთი ფოთლის ელიპსური გამოსახულების წვეროებზე დასმულია რიცხვები (ანბანური) შემდეგი თანმიმდევრობით: ა, ბ, დ, მ, ივ (1, 2, 3, 4, 8, 16). ძირიდან. დამატებით, გამოსულია კიდევ ორი ღერო, რომლებზედაც ფოთლის მსგავსი 30 გამოსახულებაა წვეროებით ერთიმეორეზე გადაბმული. მათგან შექმნილია წყე --- ხუთფოთლოვანი მთავარი ნახაზის ირგვლივ. ფოთლები დანომრილია 1-30 (ა—ლ) და თითოეულში ჩასმულია იგავე სახელწოდებანი, რაც ძირითად გამოსახულებაში (იხ. ილუსტრაციები). ამ ნახაზების ავტორი, იალღუზისძე, ან ღერძში გვაუწყებს, რომ ეს არის ცნობა ფრინველთა, ხილთა და ნადირთა შესახებ. მათი გაფორმებაც ისეთია. რომ რაღაც სისტემის შთაბეჭდილებას ტოვებს. სპეციალისტების ნაწილმა აღნიშნული სქემები კარლ ლინეის სისტემის მიხედვით შექმნილად ივარაუდა, ზოგმა კი ორიგინალურ ნაშრომად. ამ საკითხთან დაკავშირებით გადავსინჯეთ დიდძალი სპეციალური ლიტერატურა⁸. ერთადერთი, რისი გარკვევაც მოხერხდა, ეს არის შემდეგი: ყვავილის მსგავ-

⁸ ერთ-ერთ ნაშრომში: Ботанико-зоологические исследования первых петербургских академиков. Академия наук СССР. История Естествознания в России. Москва, 1957, წყველით ცნობას: «... Паллас изобразил животный мир в виде дерева с ветвями отходящими от общего ствола. Причем ствол олицетворял собой группы, близко родственные»

სი მონახაზის ირგვლივ წრისებრივად განლაგებულ ფოთლებში ჩაწერილი რიცხვები 1--30 და მათთან სახელწოდებანი ფრინველთა, ხილთა თუ ნადირთა წარმოადგენს ძირითადი სქემის საძირკველს. სქემის ხუთი ფოთლის წვეროზე. როგორც აღწერის დროს აღინიშნა, მარცხნიდან მიყოლებით წარწერილია რიცხვები: 1, 2, 4, 8, 16. „საძიებელში“ ვირჩევთ რომელიმე სახელწოდებას. მაგალითად ვაშლს, იგი აღნიშნულია 5-ით. სქემის რიცხობრივ მაჩვენებლებიდანაც (1, 2, 4, 8, 16) ვიღებთ რიცხვებს, რომელთა ჯამი შეადგენს 5-ს. ასეთია. მაგ. 1 და 4. მართლაც, ვნახავთ, რომ „ვაშლი“ მოთავსებულია სქემის 5 ნაწილიდან მხოლოდ მათში, რომელნიც აღრიცხულია 1-ით და 4-ით.

ამრიგად, იოანე იალღუზისძის ამ სქემების მთელი არსი მდგომარეობს ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ნებისმიერად, ხუთად განაწილებულ მონახაზთათვის საძიებლის შედგენაში. ყოველივე ეს კი განკუთვნილია გონებრივ სავარჯიშო ამოსახსნელი თამაშისათვის და მიზნად ისახავს იმასვე. რასაც საბას ლექსიკონის სხვადასხვა ნუსხის ბოლოში (დაწყებული ლექსიკონის კოსტანტინეპოლური ავტოგრაფიდან — H.—1658) მიწერილი ტექსტები:


1. „მოურნე მარიამ გასწმენდს ვეცხლისაებრ ბერთა (თ)
2. „მუნედ არს მიუწვევენელ მოსაეთა მისთა მწედ ერთა (ი)
3. „კატი ზ. კენჭი კლ:

აღეკ ბეჟან. შავი ცხენი ქიტას მიეც“⁹.


შეეს არ იწვევს ის გარემოება, რომ იოანე იალღუზისძემ ამოსახსნელი გონებრივი სავარჯიშო (როგორც უკვე დადგენილია) სავანებოდ საბასვე „სიტყვის კონას“ დაურთო დიდი ლექსიკოგრაფის ნუსხებზე მიწერილი, ზემოთ ნაჩვენები ამავე დანიშნულების ამოსახსნელი თამაშის ანალოგიით. ამ დასკვნას. ვარაუდის სახით, შეიძლება დამატოს შემდეგიც: რაკი იალღუზისძემ ლექსიკონის ის ნუსხა, რომელშიაც აღნიშნული სქემებია შეტანილი, გადაწერა ქეთივან წერეთლის ასული დავალებით, გონებრივი სავარჯიშო დაურთო სურათად და სფეროდან, რომელშიაც ინტენსიურად მუშაობდა დამკვეთის მეუღლე იოანე და მისი ძმა — თეიმურაზი. იმ დროისათვის უკვე შედგენილია საბუნებისმეტყველო მოკლე ლექსიკონები: პირველისა — (ი). „სახელები ბალახთა, ხეთა და ცხოველთანი, ენითა სამით...“. ხოლო მეორისა (თ.) — „რაოდენიმე მუხლნი

„ГРУППЫ, а сами — группы, связанные лишь отдаленным родством...“ ეს სიტყვები პალასის ვნითარებელი აქვს ნაშრომში: «Elenchus Zoopylerum» (1766). ცნობა იგივეს მონიშნავს გამოიყურებოდა. ამის მსგავსი ძველი პერიოდის (XVIII-ისა და XIX-ის (დამოუკის) ცალკე ლიტერატურაში არაფერი ჩანდა. გვეყნათ ნასას, ამასთანვე შევხვდით მის შემოკლებულა და დასახლებული სტატიის ავტორს აკაემიკოს ბ. რაკიკოვს. მსუოვანი გენეოლოგებნებ-სმეტყველი დაინტერესდა იალღუზისძის სქემებით, ორიგინალურად გჩვენა. მათარგმნინა „ნაღირო ცნობა“. გამოიტყვა, რომ იალღუზისძის ნაღაწა ნაშრომს სისტემასთან არაფერი აქვს საერთო და არტულ რამე სისტემასთან. ავტ. ჯ. ბ. რაკიკოვს შეამოწმეთ ჩვენი, როგორც არასპეციალისტი, ვარაუდი: ზემ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ღეროზე აღმოცენებული ხუთი ფოთლის განოსახლება და მათში მოქცეული სახელწოდებანი ნ. ქეთივანის სიმბოლიკას წარმოადგენდა და თითოეულ მათგანში გავრცელებულ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს თავის მოყარზე მუთითობდა? მან ამ მხრივაც გადაათვალიერა სქემები, მაგრამ არც ეს ვარაუდი დადასტურდა, რაკ ჯ. ბ. რაკიკოვს გვიხსნათვის დამახასიათებელი ნადირი აღრიცხული აღმოჩნდა მორგესა და ზოგჯერ მესამე ფოთლის მაგარ მონახაზში. ისმის კითხვა: რა „შემტაც“ საბას ლექსიკონს იოანე იალღუზისძემ ამ სქემებზე როგორც უკიდურესი, კლდე-ბუნებში იყავსტრია — არაფერი გენეოლოგია.


⁹ ლ. ქეთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსთა შესახებ, 1957, გვ. 263—264.





Ներ. 1. Բուսի զարգացումը և զարգացման փուլերը.



სურ. 2. იოანე იაღლეზისძის „პერიფერული ცნობა“.



Ներ. 3. Դժճեց յաղլընեմունս ... ինձուս յնմունս:



სოციალიზმის შეყვანილი საცნობელად სხვათა და სხვათა ბალახთა და ხე-თა...“ თუ იოანე იალღუზისძეს ნახული და წაკითხული არ ჰქონდა, ის მაინც იკნებოდა მისთვის ცნობილი, რომ ისინი, განსაკუთრებით იოანე ბატონიშვილი, საბუნებისმეტყველო დარგით იყვნენ დაინტერესებულნი.

იოანე იალღუზისძის მიერ ქეთევანისთვის გადაწერილი „სიტყვის კონსი“ ეს ნუსხა ადრესატთან ვერ მოხვედრილა და იმავე წელს იგი შეუძენია დამკვეთის (ქეთევანის) ძმას დავით მიტროპოლიტს. ამაზე მიუთითებს მინაწერი: „ჩემ ვისყიდე ლექსიკონი ესე მე, ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტმან. წერეთელ სახლთუხუცის, თავადის ზურაბას ძემან დავით. ხოლო სასყიდელი წიგნისა ამის მ მანათით, რომელიც იქს იმერულ თეთრს მგ მარჩილს. არხეჩრი დავით“ (ხელრთვა ხვეულად).

ეს მინაწერი გვაფიქრებინებს, რომ იოანე იალღუზისძემ ქეთევან წერეთლის დავალება შეასრულა „შენამატეთა“ კი, მაგრამ ლექსიკონის გაგზავნა პეტერბურგში ვერ მოახერხა და ხელმოკლეობის გამო საფასით დაუთმო ქეთევანის ძმას. მას ამ ნუსხაზე დართულ ანდერძში აღნიშნული აქვს: „... ესრეთ ვიხარებ ყოვლითა გულისმოდგინებითა, დაღათუ არა მაქენდა ადგილი საკუთარი, რომელიცა ფრიად შეეწევის მყულროებასა გონებისასა, გარნა ძალისაებრ ვიმეცადინე სიმართლესა...“.

ამრიგად, იოანე იალღუზისძის მიერ გადაწერილი „სიტყვის კონსი“ ოთხი წუთსიდან ერთ-ერთზე (ქუთ. № 72) მოთავსებულ ანდერძში აღნიშნულ „შენამატათა“ რაობა გამოკვლეულია. ერთია ე. წ. მისტაგოგია ანუ „ეკლესიისა და მას შინა საღმრთოთა იგავით მოსწავებთა განმარტება“. რომლის წყაროდ ი. იალღუზისძეს გამოუყენებია A—450; ხოლო მეორე — სქემები „მფრინველთა, ბილთა და ნადირთა ცნობისათვის“, რომელიც წარმოადგენს, როგორც ჩანს, ძველად გავრცელებული თამაშობის, ანდა გონებრივი სავარჯიშოს ერთ-ერთ სახეს, იოანე იალღუზისძის მიერ საბას ლექსიკონის ნუსხებზე დართულს ამავე დანიშნულების (ზემოთ ნაჩვენები) სავარჯიშოების ანალოგიით.

P. S. ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც დავით რეპტორის ავტოგრაფებზე მუშაობის დროს ერთ-ერთ ნუსხაში ენაზე „გონებრივი სავარჯიშო-გააართობის“ ზუსტად ისეთივე, მხოლოდ უფრო ფერადოვანად და მხატვრულად შესრულებული, სქემები (იხ. სურ. 4,5), როგორც ზემოთ ვეაქვს განხილული (დავითისას აკლია „ნადირთა ცნობა“. აქვეა ანალოგიური ხასიათის სხვა ჩანახატები, რომელთა შესახებ სხვა დროს ვევექნება საუბარი). ისინი იოანე იალღუზისძის „დანართს“ (როგორც თვითონ უწოდებს „შენამატის“) წინაღობინდელია. ამის სამოწმოდ გამოდგება ღიათ რეპტორისევე ანდერძი, იქვე ხელის მტკვნის გამოსახულებაზე წარწერილი: „ღოთ, შეეფდ ცოდვილი დავით“. ასეთ ანდერძებს იგი თავის მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ურთულად ავტოგრაფულ ნუსხებს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 J. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

ილია ტაბალა

ახალი ცნობა ლუი XIV-ის მიერ სულხან-საბას მიღების შესახებ

დასაუღეთ ცეროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიურ მისიას ჩვენ მთელი მოხოგრაფია მიუძღვევით¹. მაგრამ აღნიშნულ წიგნზე მუშაობის პერიოდში ჩვენ ვერ შევძელით დაგვეზუსტებანა, თუ როდის მიიღო პირველად საფრანგეთის მეფემ ლუი XIV-მ ვახტანგ VI-ის მიერ დიპლომატიური მისიით დასაუღეთ ცეროპაში წარგზავნილი სულხან-საბა ორბელიანი.

ჩვენ მხოლოდ გამოთქვით ვარაუდი, რომ ლუი XIV-ს სულხან-საბა პირველად უნდა მიეღო 1714 წლის აპრილის 7-სა და 14-ს შუა პერიოდში². ამ შემთხვევაში ჩვენ ვეყრდნობოდით შემდეგს: ლუი XIV-ის სახელზე ვახტანგ VI-ის მიერ გაგზავნილი წერილი, რომელიც სულხან-საბამ საფრანგეთში ჩაიტანა, ვერსალში ეან რევერანმა ქართულიდან ფრანგულად თარგმნა³. 1714 წლის 7 აპრილს. ამასთანავე, ჩვენ ხვდით გეჟონდა ეან რიშარის 14 აპრილის წერილი, რომლითაც ის მიმართავდა თავის მინისტრს: „ვეხოვ თქვენს დიდებულებას, ნება დამართოს, რამდენიმე ხნით ჩამოვცილდე ბატონ სულხან-საბას, რათა გაემგზავრო ჩემი ოჯახის სანახავად“⁴. ეან რიშარის იმავე წერილში ნათქვამია: „ბატონი სულხან-საბა, ... რომელსაც სურს გაემგზავროს, რაც შეიძლება მალე რომში...“⁵. აქედან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: 1. სულხან-საბას ლუი XIV-სთან უკვე აღდგენია რომ არ ჰქონოდა, მას ეან რიშარი, როგორც მისი თარგმანი, ვერ ჩამოცილდებოდა; 2. რაკი სულხან-საბას რომში მიექარებოდა, მას უკვე ჰქონია შეხვედრა საფრანგეთის მეფესთან.

გარდა ამისა, ჩვენ მზღველოპაში გეჟონდა ეან რიშარის მიერ მარსელში გაღვრებისა და ვაქრობის გენერალური ინტენდანტის პიერ დ'არნუსადმი იმავე წლის 14 აპრილს მიწერილი წერილის პასუხი. პიერ დ'არნუს საპასუხო წერილიდან ჩანს, რომ ამ უკანასკნელს შეუტყვევია ეან რიშარის ზემოხსენებული წერილიდან საფრანგეთის მეფის მიერ სულხან-საბას „ქარგი მიღების შესახებ“⁶. საპასუხო წერილში პიერ დ'არნუს ეან რიშარს სწერდა: „... მე დიდი სიამოვნება ვიგრძენი, როცა ვაკვივე ხსენებული ბატონის — სულხან-საბას ქარგი მიღებისა და მეფის ბრძანებულების შესახებ, რომელიც გულისხმობს რომამდე მის გამგზავრებას სამეფო ხარჯზე“⁶.

¹ ი. ტაბალა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII სუე. პირველი ნეოთხეი), თბილისი, 1972.

² იქვე, ვი. 180.

³ იქვე, ვი. 181.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

Lundy 9. e Avril, 1714. Jour de la Vierge Marie

Le Roy tint le Conseil de Deposebar, & intruidit l'esper et la salut, et entre deux travailla avec M. de Pontchartrain.

Le matin le Marquis du Villars presenta entre les mains du Roy dans son Cabinet, le serment pour le Gouvernement de Provence dont le Roy lui a donne la survivance.

A pres l'esper M. Ademoiselle du Mayne recut son Exorcisme du septieme en haut dans la Chapelle, et par les mains du Cardinal de Rohan assiste du Cure de Sensailler, elle fut nommee Louise françoise, Monseigneur le Dauphin estoit le parrain, et Madame la Duchesse d'Orleans la marraine.

Il y a quelque jour qu'il est arrive icy un moine de l'Ordre de l'Oncle du Prince de Georgie qui vient demander la protection du Roy pour les Catholiques de ce pays la, il n'est point prout par ce qu'il a esté marie deux fois, il ne parle aucune langue d'Europe mais il a un missionnaire françois aupres de lui qui est son interprete.

სხვა საბუთი, რომელიც მიუთითებდა ლუი XIV-ის მიერ სულხან-საბას არცეულად მიღების თარიღზე, ჩვენ ვერ ვიპოვეთ.

1772 წლის აგვისტო-დეკემბერში პარიზში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მუშაობის დროს ჩვენ ვადავთვალე რეთ დანჯოს ბეშუარები⁷, სადაც აღწერილია ლუი XIV-ის ყოველდღიური საქმიანობა და მოხსენიებულია იმათა სახელები, ვისაც ლებულობდა ლუი XIV. დანჯოს ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მეფე დილით ადრე დგებოდა. საუზმის შემდეგ ან საბეჭო საბჭოს სხდომას ატარებდა ან მინისტრებს ლებულობდა. ან კიდევ თათბირობდა მინისტრ და სახელმწიფო მდივან (კანცლერ) გრაფ დე პონშარტრენთან. სადილის შემდეგ მიდიოდა მადამ დე მენტონის სახლში (სენ-სირის სახლი) და იქ ისმენდა მუსიკას. საღამოს ეკლესიაში ესწრებოდა წირვა-ლოცვოლო შემდეგ სეირნობდა.

აი, როგორ გამოიყურება ლუი XIV-ის სამეშაო დღე, როცა დანჯოს ჩანაწერებში მოხსენიებულია სულხან-საბას პიროვნება:

f. 229. Lundy 9 Avril 1714. Jour de la Nôtre Dame.

Le Roy tint le Conseil de Depesches, Entendit Vespres et le Salut, et entre deux travailla avec M^r. de Pontchartrain.

Le Matin le Marquis de Villars presta entre les mains du Roy dans son Cabinet, le Serment pour le Gouvernement de Provence dont le Roy lui a donné la Survivance.

Après Vespres Mademciselle du Mayne receut les Cérémonies du Baptesme en haut dans la Chapelle, et par les mains du Cardinal de Rohan assisté du Curé de Versailles, Elle fut nommée Louise Françoise, Monseigneur le Daufin es'cit le parain, et Madame la Duchesse d'Orleans la Maraine.

Il y à quelques jours qu'il est arrivé icy un Moine de S^t. Bazile oncle du Prince de Georgie qui Vient demander la protection du Roy pour les Catholiques de ce païs là, il n'est point prestre par ce qu'il à esté Marié deux fois, il ne parle aucune langue d'Europe mais il à un Missionnaire françois auprès de lui qui est son interprete⁸.

აი, მისი თარგმანი:

„ორშაბათი. 1714 წლის 9 აპრილი. ღვთისშობლის დღე.

„მეფემ მოიწვია საგანგებო საბჭო. შემდეგ მოისმინა ლოცვები „ჟამი“⁹ და „მისენი უფალო“¹⁰. საბჭოსა და ლოცვებს შუა მან ითათბარა სატონ დე პონშარტრენთან.

დილით მარკიზმა დე ვილარმა მეფეს თავის კაბინეტში გადასცა წერილობითი ფიცა პროვინციის მმართველისა, რომლის პოსტზეც მეფემ იგი სამუდამოდ დანიშნა.

„ჟამის“ შემდეგ ზემო სამწირველოში ქალიშვილ დე მენს ნათელიობის ცერემონილი შეუსრულეს კარდინალ დე როანის ხელდებით და ვერსალის ხუცესის თანდასწრებით. ქალიშვილს სახელდეს ლუიზა ფრანსუაზი. ნათლია

⁷ Mémoires et documents. France. Mémoires de Dangeau, 1714. Archives Ministère des Affaires Etrangères de la France, Paris, t. 124, გვ. 229.

⁸ იქვე.

⁹ „ჟამი“ — „ვესპერ“ (ლათინურიდან: ვესპერა — საღამო) — საღამოს ლოცვა.

¹⁰ „მისენი უფალო“ („სალუ“) — ნაშუადღევის ან საღამოს ლოცვა.

იყო მისი უსამღვდელოესობა უფლისწულ და ნათლიდელა -- ქალბატონი გრაფის ასული ორლენელი.

რამდენიმე დღეა, რაც აქ ჩამოვიდა წმ. ბასილის ბერი, საქართველოს მეფის ბიძა, რომელიც ითხოვს [საფრანგეთის] მეფის მფარველობას ამ ქვეყნის [საქართველოს] კათოლიკეებისათვის. ის არ არის მღვდელი, ვინაიდან ის იყო დაქორწინებული ორჯერ. ეს არ ლაპარაკობს ევროპის არც ერთ ენაზე, მაგრამ მას თან ახლავს ერთი ფრანგი მისიონერი¹¹, რომელიც მისი თარჯიმანია.

დანჯოს მემუარებში არ არის აღწერილი არც მიღების ცერემონიული და არც მოლაპარაკების შინაარსი. ეს მასალები სხვა დოკუმენტებში ინახებოდა¹².

დანჯოს მემუარების ეს ტომი ჩვენ გადაეთვალა იერეთ 1714 წლის დეკემბრის ბოლომდე, მაგრამ სხვაგან ვერსად შევხვდით რაიმეს სულხან-საბა ორბელიანის შესახებ. თუმცა, ცნობილია, რომ ლუი XIV მეორედ მაისში მიიღო სულხან-საბა ორბელიანი.

¹¹ იგულისხმება ვან რიშარი.

¹² რაც შეეხება ლუი XIV-სთან სულხან-საბას შეხვედრას და მოლაპარაკებას და ამისთან დაკავშირებულ მასალებს, საერთო სახელწოდებით: „საფრანგეთის მეფის ლუი დიდის გამოთქმები, რომელიც მოსდევს „ქრებული სიტყვებისა, წარმოთქმული საქართველოს თავადის მიერ სენ-სირის სახლში შესვლის დროს“, 128 ფურცელის მოცულობით (Traits de Louis le Grand, Roy de France, suivi d'un recueil des paroles que dit le prince de Géorgie en voyant la maison (de Saint-Syr)). XVIII^e siècle. Papier, 128 feuillets. 160 sur 210 millim. en velin). დღემდე ვერ აღმოვაჩინეთ. ის. ე. ტ ა ბ ა ლ ე ა, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

როგორც აქ მოხსენიებული მასალების საერთო სათაურიდან ჩანს, ლუი XIV სულხან-საბა მიიღო სენ-სირის სახლში.

ივოლა ქავიაშვილი

ქართული სასულიერო პოეზიის ისტორიიდან

ბი:რანა

აოცტი ქალის ბორენას სახელი იველი ქართული ლიტერატურის ისტორიას შემოუნანა ღეთისმშობლის პატარა ხატმა. რომელიც დაეცლია სვანეთში სოფ. ნესგუნში (მესტიის რაიონი, ლენჯერის სასოფლო საბჭო). ხატის ევოცხლის ზურგზე წარწერილი ლექსი ღეთისმშობლის საგალობელი ადგილზე ნახეს და შეისწავლეს პროფ. ა. ხახანაშვილმა, პ. კარბელაშვილმა, აკად. ე. თაყაიშვილმა, პ. ინგოროყვამ.

პროფ. ა. ხახანაშვილმა წარწერის ტექსტი ასე ამოიკითხა: „რომელმან ეგ ევას მიუზღე ელი, ჰქვი რაა გაბრიელს: ეარ უფლისა მჭევალი გეშენისა სტოვმრე ქოყენად მოვარი დაემხო ძალი პირველვე სსხლათა მათრალი ქალწულო მიჰსენ ბორენა ჭირმრავალი“.

შემდეგი პუბლიკაცია ეკუთვნის პ. კარბელაშვილს:

რომელმან ეგ ევას მიუზღე ელი
 ჰქვი რაა გაბრიელს. — ეარ უფლისა მჭევალი.
 მამინის სტუმრე ქეყენად მოვარი:
 დაემხო ძალი პირველ სსხლათა მათრალი.
 ქალწულო, მიჰსენ ბორენა ჭირმრავალი!¹

ლექსი გამოაქვეყნა აკად. ე. თაყაიშვილმა:

რომელმან ეგ ევას მიუზღე ელი.
 ჰქვი რაა გაბრიელს: „ეარ უფლისა მჭევალი“.
 მამინ ისტუმრე ქეყენად მოვარი.
 დაემხო ძალი პირველვე სსხლ-დამთრალი
 ქალწულო, მიჰსენ ბორენა ჭირმრავალი!²

უკანასკნელ გამოცემაში, რომელიც პ. ინგოროყვას ეკუთვნის, ეს ლექსი ასე იკითხება:

რომელმან ეგ ევას მიუზღე ელი.
 ჰქვი რაა ვაპოელს: „ეარ უფლისა მჭევალი“
 მამინ ისტუმრე ქეყენად მოვარი:
 დაემხო ძალი პირველვე სსხლ-დამთრალი!
 ქალწულო, მიჰსენ ბორენა ჭირმრავალი!³

1. A. X a x a n o v, Сванетские рукописные евангелия, МЛК, X. 1904, დაბატება. გვ. 37—38.

2. პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორის ევარიტ. „ივერია“, 26. VI. 1904, № 148.

3. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 315—316.

4. ხატის წარწერა გაომოუწერია და ბორენას სახელი სკეთობით შეეცვლია მღვდელ ა. ბაქვაძეს 1865 წელს. მისი ჩანაწერი 1964 წელს გამოქვეყნდა (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. II. შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ი. ნიკოლაძის მიერ. თბ., 1964, გვ. 28).

გამომცემელმა მისებურად ამოხსნა იამბიკოს პოეტური სახეები და ლექსის შინაარსი ასე მოგვარწოდა: „(შენ, დედაო მარიამ), რომელმან ევას. პირველ დედას, მიუზღე ვალი; რომელმან პრქეი გაბრიელ მახარებელს, რომ მე ვარო მსგავალი უფლისა; რომელმან ისტუმრე მაშინ ის, ვინც არ მოსულეყო ქვეყნად, — ქრისტე! — რომლის მიერ დაემხო ძალი ბოროტისა, რომელიც პირველითგანვე სისხლით იყო დამთვრალი (მას შემდეგ, რაც ქვეყნად პირველად დაინთხა უმანკო სისხლი კაენის მიერ); შენ ქალწულო მარიამ. მისხენ მე, ქირ-მრავალი (მრავალ მწუხარებათა განმცდელი) ბორენა“⁵.

დამოწმებული იამბიკო ქართული პოეზიის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ამიტომ იგი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს⁶.

რამდენიმე სიტყვა ავტორის ვინაობის შესახებ. თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი განიხილავდა ამ ლექსს, მის ავტორად ბორენა დედოფალს მიიჩნევდა. რა საბუთი ჰქონდათ მეცნიერებს ასეთი ვარაუდისათვის? საიდან ხანს, რომ პოეტი ქალი ბორენა დედოფალია?

პროფ. ა. ხახანაშვილი, — საბუთების წარმოდგენისა და საგანგებო მსჯელობის გარეშე, — ლექსის ავტორად XI საუკუნის მოღვაწე ქალს, ბაგრატ მეოთხის (1027—1072) მეუღლეს — ბორენა დედოფალს ვარაუდობდა. იგი წერდა: „Быть может названная здесь Борена супруга царя Грузинского Баграта IV, дочь Осетинского правителя“⁷.

მისგან დამოუკიდებლად ასეთივე აზრი გამოთქვა პ. კარბელაშვილმა. მისი სიტყვით, „ხელოვნება ხატის შექმნილობისა, პალეოგრაფიული ხასიათი ასობისა და კილო ამ ხუთმუხლოვანი იამბიკო-ლექსისა გვაფიქრებინებს, რომ მომქმედი ხატისა არის საქართველოს სამეფო ოჯახის შვილი და არა უგვიანეს XI საუკუნისა“. მკვლევარს „საქართველოს სამეფო ოჯახის შვილად“ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ბორენა დედოფალი მიაჩნდა.

ბორენა დედოფლის ავტორობა შესაძლებლად მიიჩნიეს აკად. ე. თაყაიშვილმა, აკად. კ. კეკელიძემ, პროფ. ს. ყუბანეიშვილმა (ბორენა დედოფლად მიიჩნია პ. ინგოროყვამაც. მის მოსაზრებას ცალკე განვიხილავთ), მაგრამ სათანადო საბუთები არავის არ წარმოუდგენია და საგანგებოდაც არ უმტკიცებია. თითქმის ყველა მკვლევარი უსაბუთოდ მიიჩნევდა ბორენას დედოფლად. რით შეიძლება აეხსნათ ეს მოვლენა?

დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ შეიძლება მას შემდეგი მიზეზები ჰქონდა: 1. როდესაც მეცნიერებმა ბორენას ლექსი იპოვეს და წაიკითხეს, მათ უპირველესად მოაგონდათ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ბორენა დედოფალი — მეუღლე ბაგრატ მეოთხისა; 2. სოფ. ნესეუტის

⁵ პ. ინგოროყვა, რუსთაველის იპოვება, წიგნში: თხზულებათა კრებული, 1, თბ. 1963, გვ. 626—627.

⁶ გარდა დასახელებული მეცნიერებისა, ბორენას იამბიკო ვაისცა აბო. კ. კეკელიძემ (იხ. მისი ქართული ლიტერატურის ისტორია. II, თბ., 1931, გვ. 542—543; III, თბ., 1951, გვ. 561; IV, თბ., 1960, გვ. 573). მართალია, მას ხაჯ დ. შაჰურაბი უნახავს. მაგრამ ხელი მიაწია პროფ. ხახანაშვილის ზემოდასახელებული წერილი. სადაც საკლებო იყო დაქუჩილი პოეზიულად. აკად. კ. კეკელიძის გამოცემის მხედრობა იმისთვის, რომ იმეორებდნენ გამოაქვეყნებდნენ. ს. ყუბანეიშვილმა (1947) ქართული ლიტერატურის ზედაპირზე. I, შედარებითი. ყუბანეიშვილის მიერ თბ., 1947, გვ. 351; ჩვენი სულგო. I, 1963, გვ. 47.)

⁷ А. Х а х а н ш в и. Сванетские рукописные памятники, МАК, X, 1901, დამატება, გვ. 38.

⁸ პ. კარბელაშვილი, სანეიმი ობის ივრეო, „ივერია“, 26.VI. 1901, № 148.

სატუ სავალობლის წარწერა ადილად აიხსნებოდა. თუ ტექსტის ავტორი დედოფალი იქნებოდა. ვანეიხილოთ ორივე შესაძლებელია მიზეზი.

რამდენსად აუცილებელია სავალობლის ავტორად ბაგრატ მეოთხის მეუღლის წინაყა? განა სხვა ბორენა ცნობილი არაა?!

წყაროებში ბორენა რამდენჯერმე გვხვდება. დავიმოწმებთ ზოგიერთ შემთხვევას.

1. „ქართლის ცხოვრების“ იმ მონაკვეთში, რომელსაც „მატიანე ქართლისა“ ეწოდება, აღნიშნულია, რომ „შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთ მეფისა ასული, და დორღოლელისა“⁹.

2. შიომღვიმის ტიპიკონის (XIII ს.) ცნობილ ხელნაწერში (H № 1349) მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის აღიარებულ მოღვაწეთა გვერდით ბორენა დასახელებულია სხვა გამოჩენილ ქართველ მეფე-დედოფლებთან ერთად (ბაგრატ მეოთხე, გიორგი მეორე, დავით აღმაშენებელი, გურანდუხტ დედოფალი, თამარი...)¹⁰. ჭერ კიდევ თ. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ეს ბორენა ბაგრატ IV მეუღლეა¹¹.

3. ბორენა დედოფალი, — გამზრდელი ცნობილი კალიგრაფის იოანე დეკანოზისა, — იხსენიება გრიგოლ ჩახრუხაისძის ანდერძში, რომელიც გელათის მონასტრისეულ ხელნაწერს (K № 25) შემოუნახავს¹². გრიგოლი ბევრ მკვლევარს „თამარიანის“ ავტორი, — XII—XIII საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე, — უგონა. პროფ. ი. ლოლაშვილმა გაარკვია, რომ ანდერძი XIV—XV საუკუნეთა მიჯნისაა. ე. ი. გრიგოლი გვიანდელი ხანის მოღვაწეა¹³. რაც შეეხება ბორენას, არაა გამორიცხული, რომ იგი ბაგრატ IV-ის მეუღლე იყოს.

4. ეგვევ ბორენა დედოფალი უნდა იხსენიებოდეს სინას მთის „სულთა მატრიანეში“¹⁴, აგრეთვე სინას მთის ერთ ხელნაწერში¹⁵, სადაც იგი ერუსალიმის ეპისკოპოსის მონასტრის მშენებლად და დასახელებული¹⁶.

5. რამდენიმე ბორენა იხსენიება ჭერის მონასტრის აღაპებში. სახელდობრ, XIII საუკუნის მიწურულში იერუსალიმში მოღვაწე ქალი (აღაპი № 307), მიქაელ ოდარიანის მეუღლე (აღაპი № 179, XIII—XIV სს.), აბუსერიძის სიღდარი (აღაპი № 12, XIV ს.), თურგლა ბიჭლა გიანის მეუღლე (აღაპი

⁹ ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგინილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაზრანიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, გვ. 295. იხ. აგრეთვე გვ. 314.

¹⁰ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. პუბლიკაციის ხელნაწერები (H კოლექციი): ე. კეკელიძის საერთო რედაქციით, III, შედგენილია და დასაბუქვად მომზადებულია ქ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1948, გვ. 304.

¹¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწვობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, თბ., 1892, გვ. 145.

¹² ქუთაისის საეკლესიო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, შედგენილია და დასაბუქვად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1953, გვ. 115—116.

¹³ ი. ლოლაშვილი, გრიგოლ ჩახრუხაისძის ეპისკოპოსისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 30. X. 1964, № 44 (1421).

¹⁴ ი. ჭავჭავაძის მიერ, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 243.

¹⁵ H. M a p p, Описание Грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940, გვ. 264.

¹⁶ ე. კეკელიძე, ქართველ ქალთა ელტერულ-საგანმანათლებლო ყვებები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 203—204.

25. XIV ს.), ყვარეუარეს ძეუღლე (აღაბი № 273, XIV ს.), ჭაუხ აფაქიძის ბეუღლე (აღაბი № 19, XIV—XV სს.)¹⁷.

საჯალთესის მოხმობა კიდევ შეიძლება. მაგრამ, ვფიქრობო, საკმაოდია. საკამათო არ უნდა იყოს, რომ ბორენა გავრცელებული სახელი იყო ძველ საქართველოში. ასე რომ, ჩვენთვის საინტერესო იამბიკოს ავტორი შეიძლება იყოს ყოფილიყო როგორც დედოფალი, ისე სხვა მწიგნობარი ქალი. ბორენას დედოფლობა გამოირიცხებული არ არის. მაგრამ არც აუცილებელია. ეს არ იყო აუცილებელი არც იმისათვის, რომ ასის საგალობელი ხატზე წაეწერათ. აქვს ერთი, ღვთისმშობლის საგალობელი შეიძლება ღვთისმშობლის ხატზე წაეწერათ მისი შინაარსის გამო, განუკითხავად იმისა, ავტორი დედოფალი იქნებოდა. თუ არა. მეორე. თუ ბორენას ხატის მომკვდინებლად მივიჩნევდით, მისი დედოფლობა აუცილებელი მაინც არ იქნებოდა. ცნობილია არაერთი ქედური ძეგლი (ხატი, ჭარი და სხვა), რომლის წარწერაში იხსენიება ქალი, მაგრამ არა დედოფალი. მაგალითად, მაცხოვრის ხატები შეამკეს. ვერცხლით. მოაქედინეს თამარ კილაძემ (XVI—XVII)¹⁸. ზვიადის დედამ თეონილა¹⁹. ანუსია ლაშხიშვილმა (XVII ს.)²⁰; ქართველი მანდილოსნების სახელები გვხვდება ღვთისმშობლის ხატზე (მართა), ევრცხლის თასსა (თეოდორა) და სვდარონზე (ელისაბედი) და სხვა²¹.

ამრიგად, არ არსებობს არაერთი მტკიცე მეცნიერული საბუთი იმისათვის, რომ საჯალთესის ავტორი ბორენა დედოფალი, კერძოდ საგრატ მეოთხის მეუღლე, მივიჩნიოთ.

საჯალთებელია იამბიკოს ქრონოლოგიის საკითხებიც: გასარკვევია ბორენას მოღვაწეობის ხანა, დასადაგენა ხატის წარწერის თარიღი.

მკვლევართა ნაწილი (ა. ხახანაშვილი, კ. კეკელიძე, ს. ყუბანეიშვილი და სხვ.), ხატის წარწერის ავტორად მიიჩნევენ ბორენა დედოფალს (XI ს.). მაგრამ არაღერის ამბობდა საკუთრივ წარწერის თარიღზე. ღვთისმშობლის ხატის შექმნის ხანაზე. პ. კარბელაშვილის აზრით, როგორც უკვე აღვნიშნეთ. თითქმის XI საუკუნეზე. მიუთითებს „ხელოვნება ხატის შექმნილობისა და პალეოგრაფიული ხასიათი ასობისა“. განსხვავებული პოზიცია დაიკავა აკად. ე. თაყაიშვილმა. იგი წერდა: „ხელოვნება ხატისა, თუმცა ცუდად დატული, მართლა შეიძლება მივაწეროთ კლასიკურ ხანას. მე-11—12 საუკუნეს. მაგრამ ხასიათი წარწერისა ყოველად შეუძლებელია მე-11 საუკუნეს ვაუთნოთ. ამიტომ ჩვენ გვჯონია, რომ წარწერა მერმინდელია, შეიძლება ძველიდან გადაწერილი, არა უადრეს მე-16, მე-17 საუკუნისა. ანდა აქ მოხსენებული ბორენა სხვა პირია და არა ბაგრატ მეოთხის ცოლი“²². აკად. გ. ჩუბინაშვილმა სოფ. ნესეგუნის ხატი XII—XIII საუკუნეების ძეგლთა შორის მოათავსა²³. საგან-

¹⁷ ე. მ. გ. რ. ვ. ე. ლ. მსახური იერუსალიმის ქართული კოლონიის (სტოიის) სოფლის (XI—XVII სს.) „თბ.“, 1962, გვ. 20—61, 95, 104, 107, 120, 123, 126, 171, 177

¹⁸ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი იაშენიშენისა. 30-11.

¹⁹ იქვე, გვ. 139.

²⁰ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა ჩაქვი. თბ., 1863, 69.

²¹ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სანთში 1919 წელს. გვ. 30, 80, 143.

²² იქვე, გვ. 316.

²³ Г. Чубинишвили, Грузинское чеканное искусство (исследование по истории грузинского средневекового искусства), текст. Тб., 1953, гв. 609; Иллюстрации. Тб., 1959, таб. XIII, гв. 425.

გებოდ შეჩერდა ხატის წარწერასა და მის ავტორზე, პ. ინგოროყვა²⁴. წარწერა მან მიიჩნია XIII საუკუნისეულად და ავტორის მოღვაწეობაც ამავე ხანით დათარიღა. მისი დასკვნით, იამბიკოს ავტორი არის ბორენა დედოფალი — მეუღლე ცოტნე დადიანისა, ასული შოთა რუსთველის ძმის — ტბელისა.

როგორც აკად. ა. ბარამიძე აღნიშნავს, „ბორენა დედოფლის ვინაობის შესახებ²⁵ ინგოროყვას გამოთქმული აქვს ფრიალ საყურადღებო მოსაზრებათ. ზოგი, რამ ამ მხრივ საეჭვოა, ზოგიც უბრალო ვარაუდი“. მისივე სიტყვით, პ. ინგოროყვა „საბუთიანად ამტკიცებს, რომ ლეთისმშობლის საგალობლის ავტორი უნდა იყოს მე-13 საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწისა და მამულოშვილის ცოტნე დადიანის მეუღლე ბორენა დედოფალი“²⁵.

განვიხილოთ პ. ინგოროყვას მოსაზრება და ვნახოთ, რამდენად საბუთიანია მისი მტკიცება, რამდენად საფუძვლიანია მისი მსჯელობა, რამდენად უამაყერბელია მისი დასკვნა.

თუ რამდენად აუცილებელია საგალობლის ავტორის დედოფლობა, ზემოთ უკვე ვნახეთ. ამჟერად სხვა საკითხები გვიანტერესებს: საიდან ჩანს, რომ ბორენა ჰეოეთის ბაგრატიონთა სახლიდანაა, რომ იგი ცოტნეს მეუღლეა, რომ იგი XIII საუკუნის მოღვაწეა?

პ. ინგოროყვას მოსაზრებით, გიორგი მთავარმოწამის ხატი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში, ჰერეთის ბაგრატიონთა კარის ეკლესიაში იყო დასვენებული შემდეგ მოხვედრილა დასავლეთ საქართველოში, ხობის ეკლესიაში, რომელიც ცოტნე დადიანის (1201—1260) ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა. ეს, საფიქრებელია, მოხდა ამ ოჯახების დანათესაების გზით. ჩანს, დადიანთა ოჯახში რძალად მიუყვანიათ ქალა ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახიდან. ამ ქალს მიუტანია სამეგრელოში გიორგის ხატი. ვინაა ეს ქალი? ქრონოლოგიურ მონაცემთა მიხედვით ის უნდა ყოფილიყო ან და შოთასი და ტბელისა დედა ცოტნესი. ან ასული ტბელისა — მეუღლე ცოტნესი. რადვან დედა ცოტნესი — ნათელი, მეცნიერის სიტყვით, ოდიშის არისტოკრატიული გვარეულობიდან იყო, მაშასადამე, ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახის წევრია ცოტნეს მეუღლე — ბორენა დედოფალი.

ამ მოსაზრების დეტალურ განხილვას აქ არ შეუვადგებით (სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა, რომ პ. ინგოროყვას მსჯელობა შოთა რუსთველზე, ჰერეთის ბაგრატიონთა სახლზე, გიორგი მთავარმოწამის ხატზე და სხვა საკითხებზე მოკლებულია ზეარ მეცნიერულ საფუძველს და კრიტიკას ვერ უძლებს), ოღონდ დავიმოწმებთ აკად. ა. ბარამიძის მართებულ დასკვნას: პ. ინგოროყვას „მონათხრობი შოთა რუსთველის, ტბელისა და ბორენას ნათესაური კავშირის შესახებ ძნელად დასაჭერებელი და მით უფრო ძნელად დასამტკიცებელი მაცოთური ვარაუდის სფეროს განეკუთვნება“²⁶.

რით მტკიცდება, რომ ბორენა ცოტნე დადიანის მეუღლეა? პ. ინგოროყვა ითმეებს აკად. ნ. მარის მიერ გამოცემულ ჯვრის მონასტრის „სულ-

²⁴ პ. ინგოროყვა, რუსთველისა და ბორენის შესახებ: თხზულებათა კრებული, I, გვ. 661—685, 736.

²⁵ ა. ბარამიძე, ინგოროყვა თხზულებათა კონკრეტული პირველი ტომის გამოქვეყნების გამო, წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1964, გვ. 472.

²⁶ იქვე, გვ. 413.

საბასა და დედასა მისსა შს ღწ, სლსა ნთლსა შს“. სლსა ნთლსა შს ღწ, სლსა თამთისა შს ღწ, სლსა ბარამისა შს ღწ“³⁸.

აღსანიშნავია, რომ ცოტნე დადიანისა და ბორენას ხსენებას ვხვდებით დაზიანებული ხელნაწერის რესტავრირებულ კიდეზე დაწებებულ ფურცელზე, სადაც იკითხება: „სლსა ცოტნე დადიანისსა, სლსა ბორენა [მსს] ღწ შწ, დომიტრისა შწ ღწ, სლსა მიქაელსსა შწ ღწ“³⁹. როგორც ვხედავთ, აქ არაა არავითარი მინიშნება ცოტნესა და ბორენას მეუღლეობრივ კავშირზე და რატომ მაინცდამაინც უნდა ვივარაუდოთ ასეთი კავშირის არსებობა? განა არ შეიძლება მათ შორის არავითარი კავშირი არ იყოს? ან ეგებ ბორენა დაა ცოტნესი? ცნობილია, რომ ცოტნეს ჰყავდა და, რომელიც გამოსახული იყო სობის ტაძრის კედელზე მშობლებთან და ცოტნესთან ერთად⁴⁰. აქ ისიც უნდა მოვიგონოთ, რომ აკად. გ. თაყაიშვილმა სვანეთში ნახა იოანე ნათლისმცემლის ხატი, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „წმიდაო იოანე ნათლისმცემლო, მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ქრისტესა ცოტნეს და ქობულს და ცოტნეს ცოლსა ვანელესა, ამინ“⁴¹. მკვლევარმა შესაძლებლად ცნო დასახელებული პირების ცოტნე დადიანად, მის მეუღლედ (ვანელე, ვანერე) და ძმად, ნათესავად (ქობული) მიჩნევა, მაგრამ ასეთი ვარაუდისათვის რაიმე რეალური დამატებითი საბუთი ვერ წარმოადგინა.

ამრიგად, ცოტნესთან ერთად იხსენიებიან ბორენა, ნათელი, თეკლა, ვანელე. ყოველთვის ნათელი არაა, ცოტნე სახელგანთქმული გმირი ცოტნე დადიანია, თუ არა. ჩვენ მიერ გამოყენებულ არც ერთ წყაროში არაა კონკრეტულად ნაჩვენები და მითითებული, თუ რა ნათესაური კავშირი აქვს ცოტნეს ამა თუ იმ ქალთან. ასე რომ, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. დღეს ცნობილი მასალებით პოეტი ქალის ბორენას აღიარება ცოტნე დადიანის მეუღლედ შეუძლებლად მიგვაჩნია.

პ. ინგოროყვა ბორენას თვლის რა XIII საუკუნის მოღვაწედ, მას აცხადებს არა მხოლოდ ნათესავად შოთა რუსთველისა, არამედ ვეფხისტყაოსნით დაელოებული შემოქმედდაც. ეს ფრიად საგულისხმო საკითხია. თუ მართლაც დადასტურდება, რომ ბორენა შთაგონებულია რუსთველის პოეზიით, იგი ვერ მიიჩნევა XIII საუკუნის უწინარესი ხანის პოეტად.

მოვეუსმინოთ მკვლევარს: „თუ ჩვენ დავუყვირდებით ბორენას ლექსის ფორმას, ზოგიერთ პოეტურ სახელსა და პოეტურ ხერხს, აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ შევხიშნოთ შოთას პირდაპირი გავლენა“⁴². ამ ზოგადი განცხადების შემდეგ პ. ინგოროყვა პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს იამბიკოსა და პოემის დასაწყისზე. „როგორც ჩანს, შემთხვევითი არაა, რომ ბორენას ლექსი იწყება პოეტური სიტყვის თავისებური მოქცევით: „რომელმან“, ასევე იწყება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი. შოთა: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა, ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერი-

³⁸ ი. ქ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 241, 245—246, 248—249.

³⁹ აღაპნი ჭუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გვ. XVIII. სხვათა შორის, კოლა ცო-ნე იხსენიება თველასთან ერთად (იქვე, გვ. XVII).

⁴⁰ ი. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, გვ. 134.

⁴¹ ი. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 172.

⁴² პ. ინგოროყვა, რუსთველიანის ეპილოგი, წიგნში: თხზულებათა კრებული, I, გვ. 687.

თა... ე. ღმერთი. ბორენა: „რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი“, — ე. ი. ღმერთისმშობელი. დედა მარიამ⁴³.

პ. ინგოროყვას მიერ ყურადღების გამახვილება „ვეფხისტყაოსნის პირველ სტროფზე ინტერესს მოკლებული არაა, მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად არა ვგეგნია რომ საქმარისი იყოს, რადგან მისი პირველადობის დამტკიცებისა და ბორენას მასზე დამოკიდებულების დასადასტურებლად არ გამოდგება. როგორც ცნობილია, რუსთველის პირველ სტროფს ზეერი პარალელი ეძებნება ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში. მოვიხმობო ჩამდენსამე მაგალითს:

რომელმან სიბრძნით დაქრთნა ცანი უფსკრულთა
და დააყუნა ქუეყანაჲ წყალთა ზედა...

რომელმან სიბრძნით დაჰბადა და შექმნა წყალთაგან
ქუეყანაჲ ესე...

რომელმან სიბრძნით დაჰბადა ცანი მალანი ძალითურთ
და შექმნა ქუეყანაჲ უოლითა თანა მკედრითურთ...

რომელმან დასაბამსა დაჰბადა საღმრთოთა ძალითა...

რომელმან დააღუძნე უფსკრულთა ზედა მტკიცედ სიყრცეჲ
ქუეყანისაჲ...

რომელმან შექმლედენ სახლყარნი ზღუათანი და
დაამტკიცენ ძალითა...⁴⁴

მაგალითების მოხმობა კიდევ მრავლად შეიძლება⁴⁵.

ქარგა ხანია აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ საუბრის დაწყება სიტყვით „რომელმან“ საქმოდ გავრცელებული და დამკვიდრებული ტრადიცია იყო. მას ბევრი ქართველი ჰიმნოგრაფი მიმართავდა და რუსულელიც ამ ტრადიციით უნდა იყოს შთაგონებული⁴⁶. საკითხავია, ბორენას არ შეეძლო ესაოკებლა ძველი ქართული სავალობლების მდიდარი საგანძურით და აუთოისებინა იქიდან ზოგიერთი ტრადიციული ფორმა თუ ხერხი?

პ. ინგოროყვა სწორად შენიშნავს, რომ ბორენა „არტისტულად ფლობს რითმას“, რაც მისი „მალალი პოეტური კულტურის მაჩვენებელია“. მეცნიერის სიტყვით, „შოთას პოეტური სამყარო ორგანულად შეთვისებულია ბორენას მიერ და შოთას რითმის პულსაცია ბუნებრივად იღვრება ბორენას სტრიქონებში“. ნათქვამის საილუსტრაციოდ ბორენას რითმება დაკავშირებულია შოთასთან (ვალი — ვალი: მოუვალი — წარმავალი, მომავალი: დამთრვალი — მთრვალი, არა მთრვალი: ქირ-მრავალი მრავალი, არ-მრავალი)⁴⁷.

⁴³ იქვე.

⁴⁴ პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია. I. თბ.: 1913, გვ. ია, როზ. სვკ. ტბ. უზ.

⁴⁵ ბევრი ანალოგიური ფრაზა გვხვდება პ. ინგოროყვას წიგნში: გიორგი მერჩულე. თბ.: 1954, გვ. 665, 677, 679, 683, 833 076, 079 და შმდ.

⁴⁶ გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ პარალელური მეთავე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944, გვ. 199—204; მ. ისიკე, „ვეფხისტყაოსნის“ და ქართული კულტურა, თბ., 1968, გვ. 368.

⁴⁷ პ. ინგოროყვა, რუსთველიანის ეპილოგი, წიგნში: თხზულებათა კრებული. კვ. 687—689.

რამდენადაც მართებულია მსჯელობა ბორენას პოეტურ ოსტატობაზე. რმდენად ხაძალადევი და არაღამაჭერებელია მისი რითმების წყაროდ ვეფხისტყაოსნის გამოცხადება. ამასთანავე, თუნდაც რომ აიშართლეს შეიცავდეს პ. ინგოროყვას ვარაუდი (რაც ჩვენ ძალიან გვეჭეკება) და ბორენა „ვეფხისტყაოსნით დავალებული და შთაგონებული იყოს, ეს ძინც არ მოწმობს ბორენასა და შოთა რუსთველის ნათესაურ კავშირს“⁴⁸.

ჩვენ არ ვთვლით ბორენას ვეფხისტყაოსნით დავალებულ შემოქმედად. შესაძლებელია მისი იამბიკო წინაე კი უსწრებდა რუსთველის უკვდავ ქმნილებას. თუ გაეითვალისწინებთ სპეციალისტთა დაკვირვებას ხატის ჰედერობაზე, თვით იამბიკოს ფორმას (იამბიკო ხუთეული), რომლის სათავეები XI ს. ბოლოსა და XII საუკუნის დამდეგზე აღრე არ უნდა ვეძიოთ, მეცნიერთა დაკვირვებას ასოთა პალეოგრაფიულ მოხაზულობაზე, ბორენას მოღვაწეობის ხანად ზოგადად XI—XIII საუკუნეები უნდა მივიჩნიოთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იამბიკოს ავტორი უფრო ბაგრატ IV მეუღლეა (საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი დიდ ინტერესს იჩენდა საეკლესიო ცხოვრებისადმი). კონკრეტულად ვინ იყო ბორენა, ამის ვადასაწყვეტად არსებული ცნობები საკმარისი არაა.

რამდენიმე სიტყვა საგალობელზე.

ბორენას საგალობელი ხუთმუხლოვან იამბიკოს წარმოადგენს. მან ადრევე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და შესაფერისი შეფასებაც დამისახურა. ჟერ კიდევ პ. კარბელაშვილმა უწოდა მას „მშვენიერი იამბიკო“; აკად. ა. ბარამიძის აზრითაც, იგი „საუცხოო, იჩინებული იამბიკური ლექსია“; მას ში „მ.ღალი ქეშმარიტი პოეზიაა“ (პ. ინგოროყვა).

რეგორც ცნობილია, იამბიკოები ძველ საქართველოში ადრეულ ხანაშივე იწერებოდა. რითმა საგალობელთა არ იყო, მაგრამ იშვიათად ისიც ჩანდა. რათმის ჩანასახს ვხვდებით X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფების საგალობლებში (მიქაელ მორტკელი, სტეფანე სანანოიძე, იოანე მტბევარი)⁴⁹. მიუხედავად ამისა, იამბიკური პოეზია დამძიმებული იყო არქაული სინტაქსითა და ხელოვნური ინტონაციით, რაც მისი გავრცელების არეს ზღუდავდა⁵⁰. შემდგომ ხანაში სასულიერო-საეკლესიო მწერლობის წიაღში, ხალხური პოეზიის ცხოველმყოფელი გავლენით, — მეიჭრა რითმა, რომელიც პირველად გვხვდება დიმიტრი პირველისა (1125—1156) და ბორენას ლექსებში. მათი იამბიკოებისათვის დამახასიათებელია მეტრული სისუფთავე, აქცენტური მხარის კრისტალიზაცია, ნამდვილი რითმა⁵¹.

⁴⁸ პროფ. ს. კაკაბაძე არ იწყნარებდა არც ძველ ვარაუდს იამბიკოს ავტორის ბაგრატ მეოთხე მეუღლეობის შესახებ და არც პ. ინგოროყვას მოსაზრებას პოეტ ბორენას ოდიშის დედოფლობა (კოტნეს მეუღლეობის შესახებ. მისი აზრით, პოეტი ჰალი ბორენა არის XIII—XIV საუკუნეთა მიქნის მოღვაწე, მეუღლე თურგლა ბიჭლაიანისა (ს. კაკაბაძე, რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, გვ. 218, 296—298, 315). პარტიკული მეცნიერის მსჯელობა იმდენად არაღამაჭერებელი და უსაფუძვლოა, რომ მასზე საგანგებო შეჩერება აუცილებლობად არ მიუჩნეოთ.

⁴⁹ ს. კაკაბაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 592.

⁵⁰ ა. გავრეღია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 212.

⁵¹ ს. კაკაბაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 592—593; ა. გავრეღია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 197, 211—212.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

პანტაფანა

ილია ჭავჭავაძე და ბლანტა ბანთავისუფლების საკითხი

1971 წელს გამოვიდა ოთარ ჟორდანიას წიგნი „რევოლუციური სიტუაციის საკითხისათვის საქართველოში XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს და 60-იანი წლების დამდეგს“¹.

ამ წიგნში განხილული ყველა საკითხის ირგვლივ მსჯელობას არ ვაპირებთ და აქვე დავსძენთ, რომ ო. ჟორდანიას შრომის მაღალი მეცნიერული დონე დავას არ იწვევს. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ერთი სადავო საკითხი, რომელსაც ავტორი სხვათა შორის იხსენიებს, მაგრამ განსაკუთრებით მიაქცევს მკითხველს ყურადღებას თავისივე მეორე შრომაში, რომელიც უფრო ადრე ჰქონდა გამოქვეყნებული². კერძოდ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ო. ჟორდანიას დასკვნები, რომლებიც მან გააკეთა ქართულ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი საგლეხო რეფორმის დებულების პროექტის ე. წ. „კრიტიკულ შენიშვნების“, შესახებ. როგორც ცნობილია, ეს დოკუმენტი 1864 წელს ანონიმურად იყო წარდგენილი ამიერკავკასიის საგლეხო კომიტეტში. მის ირგვლივ ნახევარი საუკუნე მიმდინარეობდა ქართველ მკვლევართა ძიება და დავა. გამოთქმულია რამდენიმე დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრი როგორც ავტორის ვინაობის, ასევე არსებითად დოკუმენტის პოლიტიკური ტენდენციების შესახებ. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საბოლოოდ დადგენილად იქნა მიჩნეული და აღიარებული, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი ილია ჭავჭავაძეა და იგი შედგენილია ერთადერთი პოლიტიკური ტენდენციით, რომელსაც მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების გაგებით რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება ეწოდება. ასეთ უჯვო დასკვნამდე მივიდა ბევრი ქართველი მკვლევარი, მაგრამ საკითხის ყველაზე სრულყოფილი მეცნიერული გამოკვლევით მკითხველთა წინაშე წაჩვენდა პროფესორი პ. რატიანი³. გვეგონა, რომ ამ საკითხზე დავას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. ო. ჟორდანიამ კვლავ სადავოდ გახადა უკვე ჰეშმარიტებად აღიარებული ფაქტები და მკვლევართა შორის კვლავ დაექვებისა და ცალკეული გამოკვლევებისადმი უნდობლობის განწყობილება შექმნა.

¹ ო. ჟორდანიას წიგნი გამოსცა გამოცემლობა „მეცნიერება“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საგამომცემლო საბჭოს რეკომენდაციით.

² ო. ჟორდანიას, XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დამდეგის საქართველოს პირველი რევოლუციური პერიოდის სიტუაციის ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტის შესახებ, კრებული: „საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბილისი, 1968, გვ. 129—170.

³ პრ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1965, გვ. 512—577.

ვფიქრობთ, რომ ო. ჟორდანიას კვლევა არასწორ საფუძვლებს დაემყარა, რამაც არასწორი დასკვნები გააქვთებინა. მას ვერ შეუძენია ის წინააღმდეგობები, რომლებსაც უშვებს მსჯელობაში.

ო. ჟორდანიას დასკვნები მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „კრიტიკული შენიშვნები“ და მეორე, დოკუმენტი, რომელიც „საერთო კრიტიკული შენიშვნების“ სახელითაა ცნობილი ერთისა და იმავე ავტორის ნაწარმოებია. მათი ავტორი თავადი ნიკოლოზ ჭავჭავაძეა. ორივე დოკუმენტის პოლიტიკური მიმართულება ლიბერალურ-მემამულურია. და მთავარი, რითაც გამაგრებულია ყველა ეს დებულება, მტკიცდება, რომ ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება საგლეხო რეფორმის ძირითად საკითხებთან უფრო რადიკალური ხასიათისაა, ვიდრე მითითებული დოკუმენტების ავტორისა.

აქ სწორია მხოლოდ ის, რომ „საერთო კრიტიკული შენიშვნები“ მართლაც ლიბერალურ-მემამულური ტენდენციების მატარებელი დოკუმენტია და მის ავტორად ილია ჭავჭავაძის აღიარება მიუტყვევებელი შეცდომა იქნებოდა.

ოვგორც ცნობილია, „კრიტიკული შენიშვნები“ წარდგენილი იყო ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში, რომელსაც ჰქონდა დავალებული სპეციალური დებულების შემუშავება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მზა წლის მანიფესტის განსახორციელებლად. შენიშვნები დაწერილი იყო რუსულად და ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში წარდგენილი სათაურით „Критические замечания по параграфам „Предварительного проекта местного положения о поземельном устройстве крестьян, владенных на помещичьих землях в Тифлисской губернии““⁴. ამ დოკუმენტის არსებობა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ ს. ავალიანის შრომის „Крестьянский вопрос в Закавказье“ გამოსვლის შემდეგ (ტ. I, ოდესა, 1912).

ს. ავალიანი იმ დროს ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო. დოკუმენტისათვის პირადად მას მიუყვლია და თავის ფუნდამენტურ შრომადი მისთვის დიდი ადგილი აქვს დათმობალი. ს. ავალიანს არჩევში მიუყვლია იმავე საკითხისადმი მიძღვნილი მეორე არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტისათვის. რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, „საერთო კრიტიკული შენიშვნების“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში როგორც „კრიტიკული შენიშვნები“, ასევე „საერთო კრიტიკული შენიშვნები“ ერთ პერაოდშია წარდგენილი და ორივე ხელმოწერულია. ამ შენიშვნების შესახებ პრავალ გამოკვლევაში მეცნიერები მიუთითებენ, რომ თითქოსდა არსებობდეს ხელის მოწერა „ნ. ჭავჭავაძე“, ფსევდონიმის თუ ანონიმის სახით, რაც არასწორია. ამ დოკუმენტების ორივე ხელსაღები დღესაც აღმოჩენილი არ არის. ს. ავალიანმა არჩევში მიაკვლია დოკუმენტების ასლებს, რომლებიც გადაწერილია ერთი და იმავე ხელით (ხელი ილიასი არ არის) და ორივე დამოწმებულია მინაწერით: „სწორია, თავადი ჭავჭავაძე“. ეს შენიშვნა გარკვეულად მიუთითებს, რომ დოკუმენტები ორიგინალი არ არის და მინაწერი გაცემებულია ასლის დამოწმების წესის დაცვით: „სწორია“ და ა. შ. არაა გამორიცხული, რომ თავის დროზე დოკუმენტებით დაინტერესდა რომელიმე სხვა ოფიციალური ორგანო, მაგალითად საპოქალაქო გუბერნატორის ან მეფის ნაცვლის კანცელარია, რომელმაც ორი-

⁴ ცხსა, განსჯობებული საკმეოა ფონდი, საკმე 123, ფურც. 171—216.

გინალები გაიხსოვია, და კომიტეტში დატოვებულია მათი პირები. საქმე იმა-
შა, რომ ორივე დოკუმენტი შეიცავდა მეტად მნიშვნელოვან კრიტიკულ შე-
სჯევებს. აყენებდა ისეთი შინაარსის მოთხოვნებს, რამაც კომიტეტში და მის
გარეშე (თავდაზნაურთა წრეში) დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამდენად
წარმოუდგენელია, რომ ისინი ოფიციალურად მარტო საგლებო კომიტეტში
განვიხილოთ: ორივე შენიშვნებით უდავოდ დაინტერესდებოდნენ სხვა — კომი-
ტეტზე მალა მდგომი თანამდებობის პირნი და ორგანოებო და გასაცნობად
მოითხოვდნენ ორიგინალს. არ არის გამორიცხული, რომ ეს დოკუმენტები
გახდა რუსეთის იმპერიის მთავრობის ან მაღალი თანამდებობის პირების
მსჯელობის საგანი და სათანადო კომენტარებით ან განკარგულებებით ჩაყრე-
ბულია პეტერბურგის რომელიმე მაღალი კანცელარიის საქმეებში და მომა-
ვლში მკვლევრებს მათი აღმოჩენის საშუალებაც მიეცეთ.

ეს ყოველივე მოსაზრებაა და მისი დადასტურება მომავლის საქმეა. ამჟე-
რად სარწმუნოდ შეიძლება ითქვას, რომ „კრიტიკული შენიშვნები“ და „სა-
ერთო კრიტიკული შენიშვნები“ გადაწერილია ოფიციალურად კომიტეტის
ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების მოხელის მიერ და ამაში რაიმე კერძო-
ინიციატივა. პირადი დაინტერესება გამორიცხულია.

ის ფაქტი, რომ „კრიტიკული შენიშვნები“ და „საერთო კრიტიკული შე-
ნიშვნები“ გადაწერილია ერთი ხელით და ორივე დოკუმენტს აქვს ერთი მი-
ნაწერი — „ნ. ჰავჭავაძე“, ბევრი მკვლევრის ერთგვარ ღებორიენტაციას იწ-
ვევდა და გამოითქვა აზრი: — თითქოსდა ორივე დოკუმენტის ავტორი ერთი
და იგივე პირია. კერძოდ მითითებულია, რომ მათი ავტორი იყო თბილისის
ოლქის სასამართლოს წევრი, ილიას ნათესავი და იმ პეროდში მისი ახლო მე-
ვობარი ნიკოლოზ ჰავჭავაძე.

მეტწიერთა რიგი გამოკვლევების შედეგად დღეისათვის გარკვეულია.
რომ „საერთო კრიტიკული შენიშვნებისა“ და „კრიტიკული შენიშვნების“
ავტორი ერთი და იგივე პირი არ არის. „საერთო კრიტიკული შენიშვნები“
ეკუთვნოდა თავად ზაალ ნოშრევანის ძე ჰავჭავაძეს. რომელსაც საგლებო რე-
ფორმის რეპულების შემუშავების დროს პირადად მოუხდა ამიერკავკასიის
ცენტრალურ საგლებო კომიტეტში მუშაობა ბატონყმური ურთიერთობიდან
გლუბათი განთავისუფლების საკითხებზე. იგი ს. ავალიანის წიგნის გამოსვლ-
სას და ამ წიგნის ირველიე ცხარე კამათის წარმოშობის პერიოდში ცოცხალი
იყო. მისი ცნობობა საზოგადოებისათვის მალე გახდა ცნობილი თვით ზ. ჰავ-
ჭავაძისაგან. მოგვიანებით კი მისი განმარტება პრესაშიც გამოქვეყნდა.⁵ ზაალ
ჰავჭავაძემ მასობრივ განმარტა თუ ვინ იყო „კრიტიკული შენიშვნების“ ავტო-
რი. „ის თავადი ჰავჭავაძე, რომელსაც იხსენიებს ს. ავალიანი. — პასუხობს
გან. თემის“ შეკითხვაზე ზ. ჰავჭავაძე, — ვახლავთ ჩვენი ცნობილი მწერა-
ლი თავ. ილია გრიგოლის ძე ჰავჭავაძე. მე და ილიას გარდა, არავინ სხვა ჰავ-
ჭავაძეს არ წარმოუდგენია მაშინ პროექტი ან კრიტიკული წერილი“. ზ. ჰავ-
ჭავაძის ეს განცხადება თითქოსდა საკმარისი უნდა ყოფილიყო საკითხის გარ-
კვერისათვის. გაუგებრობანი განსაკუთრებით გააღვივა ილიას წინააღმდეგ

⁵ გაზეთი „თემი“. 1914 წლის 2 ივნისი (№ 161).

⁶ პროფ. პრ. რატანს მიანიხი, რომ „საერთო შენიშვნების“ ავტორი ნ. ჰავჭავაძეა (იხ. პრ.
რატანის, ილია ჰავჭავაძე, 1965, გვ. 543). მას ვერ დავეთანხმებით: 1. ვახ. „თემში“ და-
ბეჭდილი ზ. ჰავჭავაძის ინტერვიუს გამო; 2. ჩვენ მიერ არქივში აღმოჩენილი ნიკო

პ. გელაშვილისა და ილიასადმი მტრულად განწყობილი პიროვნებების მიერ მატარებულმა დიდმა კამპანიამ, რათა საზოგადოება დაერწმუნებინათ ილიას თითქოსდა ანტიზალსტო მოღვაწეობაში. ცხადია, რომ ილიას მტრებს ამ აწყობდა „კრიტიკული შენიშვნების“ ილიასეულად მიჩნევა, რადგან ვინც ამ შენიშვნებს ღრმად ჩაწვდებოდა აშკარად დაიხსავდა მისი ავტორის მეტად ანტიზალსტურ განწყობილებას. ვეჩქრობთ გელიშვილისა და მისი ხელის-შეწყობათა კამპანია ერთგვარად დაეხმარა იმ გაუგებრობათა წარმოშობას. რომლებსაც ადგილი ჰქონდა წლების განმავლობაში და რომელთა რეკიდივე-ბისაგან ქართული ისტორიოგრაფიული ლიტერატურა დღესაც არ არის დან-ოფიქტო. ეს გაუგებრობანი გამოისატებოდა იმაში, რომ: 1. „კრიტიკული შე-ნიშვნებისა“ და „საერთო კრიტიკული შენიშვნების“ ავტორად თვლიდნენ ერთსა და იმავე პიროვნებას; 2. ამ დოკუმენტების შინაარსში ვერ ხედავდნენ ცალკეული საკითხებისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას; 3. მიუხედავად იგი დამაჯერებელი მტკიცებებებსა. კრიტიკული შენიშვნების“ ავტორად ილიას ცნობა სადავოდ მიიჩნდათ.

„კრიტიკული შენიშვნები“ უაღრესად რადიკალური და რევოლუციურ-დემოკრატიული დოკუმენტია. ამ დოკუმენტის ავტორის პოზიცია ბატონყმურ და ურთიერთობისადმი ვარკვეულია. მისთვის, გარდა იმისა, რომ ბატონყმური ურთიერთობა (როგორც სასტიკი უსამართლობისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის უსაშინელესი ფორმა) დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს, ამავე დროს უნდა მოხდეს მთელი რიგი სოციალური ძვრები, რომლებიც უზრუნ-ველყოფდნენ ადამიანების არა ფორმალურ განთავისუფლებას, არამედ მათ ვარანტირებს მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური უფ-ლებებით. უკრძოდ, „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი მოითხოვდა ბატონ-ყმური ურთიერთობის გაუქმების შედეგად პოლიტიკურ სფეროში კლასობ-რივი სხვაობას მოსპობას და ადამიანთა უფლებრივ თანასწორობას, ხოლო ეკონომიური სფეროში ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებულ გლეხის ატვილებელ მატერიალურ (პირველ რიგში მიწით) უზრუნველყოფას. „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორს აუცილებლად მიიჩნდა ბატონყმური ურ-თიერთობიდან განთავისუფლებული გლეხის მიერ იმ მიწის მიღება, რომე-ლიც მის გამკლებლობაში იყო ბატონყმური ურთიერთობის დროს, და გლეხის იმავე ეკონომიური (უფლებრივი) დამოკიდებულების სრულიად გამორიცხვა უაღვილი მებატონისაგან.

რადგან რევოლუციური და რადიკალური იყო „კრიტიკული შენიშვნები“ თავისთავად ცხადია, ილიას თავისი შეხედულებებისათვის ამ შენიშვნების გა-რეშეც დიდი უსამოყენების გადატანა მოუხდა. მან პრაქტიკულად განახორ-ციელა განთავისუფლებულ გლეხებზე საკუთარი მიწების უსასყიდლოდ გა-დაცემა⁷. ეს საყოველთაოდ ცნობილია და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ქაქავაძის ხელნაწერისა და შენიშვნების ტექსტის დედანთან სისწორის და მარჯვის გრაფი-კული ექსპერტისათ ამ ხელნაწერებს სხვადასხვა გრაფიკული სპეციფიკა აქვთ.

⁷ აქ შეიძლება მოვიგონოთ ილიას პასუხი კორესპონდენციაზე „ნუთუ“, რომელიც ვახუა „მო-გზაურში“ დაიბეჭდა. „მე და ჩემი მეუღლე, — პასუხობს ილია აღნიშნულ კორესპონდენციას, — შემამოწმინ ვართ, არც მე და არც ჩემს მეუღლეს არც ერთი ნაყუთი, არც ერთი ხიზანი არა ეყავის... მართალია, მე საკუთრივ ცოტა თუ ბევრი ყვები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განთა-ვისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლ-კარის მიდამო, მა-თი ზედრი ვენახები, უსასყიდლოდ დაუთმოე და ხელშეუხებელ საკუთრებად დაუბრუნეთ და ამით

არც იმის შესახებ ვაპირებთ სიტყვის გაგრძელებას თუ როგორმა მეცნიერულმა ანალიზმა გახადა უდავო, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი ილია ჭავჭავაძე და არა სხვა პიროვნება. მხოლოდ საკითხის სრულყოფისათვის მოკლედ შევეხებით იმ დებულებებს, რომლებიც ამის დასამტკიცებლად აქვს წამოყენებული პროფ. პ. რატიანს, აქვე უნდა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, რომელსაც შესაძლებელია არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ინტერესმოკლებული და საკითხის გარკვევისათვის საზიანო არ უნდა იყოს.

პროფ. პრ. რატიანს თავის გამოკვლევებში ფართოდ აქვს განხილული ყველა მანამდე შეკრებილი მასალა და გამოთქმული აზრი. მას არ გამოჩენია ის გარემოება, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ პირველი მკვლევარი სვ. ავალიანი მართებულად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ დოკუმენტის ავტორი იყო ი. ჭავჭავაძე და არა სხვა ვინმე; რომ ასეთივე აზრი გამოთქვა პრესაში შემდგომში ცნობილმა აკადემიკოსმა პ. ქავთარაძემ; რომ ამ აზრის სისწორე და ადასტურება აღნიშნული ისტორიის უშუალო მონაწილემ ზაალ ჭავჭავაძემ. ვაზ. „თემის“ რედაქტორ-გამომცემელმა, რომელთათვის სადავო არ იყო „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორის ვინაობა, დიდი შრომა გასწიეს მასალის შესაკრებლად. მათ სპეციალური შეკითხვებით მიმართეს სვ. ავალიანს. ზ. ჭავჭავაძეს, ქრ. მამაცაშვილსა და სხვა ამ საკითხში გათვითცნობიერებულ პირებს და დამაჩერებელი მასალის შეკრების შედეგად ცხარე პოლემიკა განაჩათეს პ. გულეიშვილის უხამსი ლექციების ირგვლივ, ყველა ამ პოზიციებზე მყოფ ვაჩეთთან და ცალკეულ პირთან და შექმნეს გარკვეული საზოგადოებრივი აზრი ი. ჭავჭავაძის სასარგებლოდ. გაზეთ „თემის“ თანამშრომელთა მიერ შეკრებილი მასალა შემდგომში ფართო ძიებას საფუძველი გახდა და მნიშვნელოვნად დაეხმარა საბჭოთა მკვლევრებს რიგი საკითხების დაზუსტება-გარკვევაში. „კრიტიკული შენიშვნების“ საკითხით მრავალი მკვლევარი დაინტერესებულია, მათ შორის არაქართველნიც⁸. რიგი მკვლევრებისა სპეციალურად ამასილებენ ყურადღებას „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორის ვინაობაზე. მათი ნაწილი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი დასაბუთებით ასკვნის, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი ი. ჭავჭავაძეა.

პროფ. პრ. რატიანსმა ამ თვალსაზრისით დეტალურად განიხილა: გრ. გიორგაძის, ვ. კოტეტიშვილის, ა. იოვიძის, მ. ჩხეტიას, პ. გუგუშვილის, ა. კიკვიძის, გ. მუკრელიშვილის, ი. ანთელავას და სხვათა გამოკვლევები. იმის გამო, რომ დასაქვლებულ მკვლევართა შორის აზრთა ერთიანობა არ არსებობს, გარკვეულად ვამოიყვარე რიგი საკითხები, რომლებმაც ხელი შეუწყო მეცნიერულად სწორი და დასაბუთებული დასკვნების გაკეთებას. კერძოდ, გარკვეულ იქნა, რომ 1. „კრიტიკული შენიშვნები“ და „საერთო კრიტიკული შენიშვნები“ თავისი პოლიტიკური ტენდენციებით ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებული დოკუმენტებია: „კრიტიკულ შენიშვნებში“ წამოყენებულია რადიკალურ-დემოკრატიული შინაარსის მოთხოვნები, ხოლო „საერთო კრი-

⁸ ვაჟაბი ყოილივე ბატონ-ყვრი ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმეთა შორის. ხიზნეცია მყადა... ხაზინა. შო-მოშვი ჭრა მათ მიერ ხმარებულ მამულს და მე მარტო მაშინ მივიდი, როცა ჩემი ხიზნეცია სხვა. მთ მიერ არჩეულ და მწწნებულ სახელმწიფო მამულში ვადაიყვანე და დავაბინავე. ჩემმა მეორეობამ... ის ე ვაზოიწილად მონაწილეთაგან მამული, რომ არც ერთი ხიზანი, არც ერთი ნაყმელი არ ირუნა“. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, გვ. 279.

⁹ მაკალითად ვ. დ. მოჩალოვი: «Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в.», 1959, გვ. 46.

ტიკულ შენიშვნებში“, მიუხედავად მისი კრიტიკული შინაარსისა. — ლიბერალური ხასიათის მოთხოვნები. გაირკვა, რომ ეს ორი დოკუმენტი არ შეიძლება ერთი პიროვნების ნააზრვეი იყოს და ეკუთვნის სხვადასხვა ავტორს: 2. „კრიტიკულ შენიშვნებში“ წამოყენებულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ხასიათის მოთხოვნებს ბევრი რამ აქვს საერთო ი. ჭავჭავაძის საჯარო გამოსვლებს დროს და გლეხთა განთავისუფლების საკითხთან დაკავშირებით პრესაში გამოთქმულ აზრებთან; 3. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულ ქართველ თავად-აზნაურთა შორის ერთადერთი პიროვნება, რომელიც რადიკალურ აზრებს საჯაროდ გამოთქვამდა, იყო ი. ჭავჭავაძე.

პოფ. პ. რატიანმა კვლევის შედეგებითი მეთოდის გამოყენებით დაასაბუთა, თუ ვისი ხელიდან გამოვიდა „კრიტიკული შენიშვნები“. ეს დასაბუთება ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს უღებდა ნაწევარსაუცუნოვან დაქას. სტილის მსგავსებას რომ თავი დავანებოთ, ილიას ცალკეულ შრომებში. ძირითადად კი ცნობილ „ცხოვრება და კანონში“ მონახულია „კრიტიკულ შენიშვნებთან“ არა მარტო ცალკეული დებულებების აზრობრივი დამსხვევა, არამედ — ფრაზოლოგიური და სახასიათო გამოთქმებისაც. პრ. რატიანი მთავარ კურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კრიტიკული შენიშვნებისა“ და „ცხოვრება და კანონის“ სოციალურ-პოლიტიკური კონცეფცია მთლიანად ემთხვევა საერთოდ ი. ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკურ კონცეფციას. „ცხოვრება და კანონში“, რომელიც უფრო გვიანი პერიოდის ნაწარმოებია, ვიდრე „კრიტიკული შენიშვნები“⁹ მსჯელობაა იმ უფლებრივ საკითხებზე, რომლებზეც იყო მსჯელობა და წამოყენებული მოთხოვნები „კრიტიკულ შენიშვნებში“.

ნეკლევარს მოყვანილი აქვს აზრობრივი, შინაარსობრივი და ფრაზოლოგიური დამსხვევისა და იდენტურობის შეიდი მაგალითი. აქედან უმეტესი „ცხოვრება და კანონიდან“ და ნაწილი ილიას ნაწარმოებებიდან — „ხიზნების საქმე“ და „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“.

„კრიტიკულ შენიშვნებში“ კატეგორიულადაა დაყენებული საკითხი, რომ ჰატონსმური ურთიერთობიდან განთავისუფლებულმა გლეხმა უნდა მიიღოს ის მიწა, რომელიც მის განკარგულებაში იყო და რომელზეც იგი „ცნობს თავის უფლებას“. „ყველაფერი. რასაც გლეხი ამჟამად ფლობს, — მითითებულია „კრიტიკულ შენიშვნებში“ — და რითაც ის სარგებლობს, მასვე უნდა დაუტოვოს“¹⁰. და შემდეგ: „ვლენებს არაფერი არ შეიძლება ჩამოეჭრას, მათ ისედაც ყველაფერი ჩამოჭრილი აქვთ. წარმოდგენილია ნებაყოფლობითი შეთანხმების იმედი ვიქონიოთ იქ. სადაც გლეხი ცნობს მიწაზე თავის უფლებას და სადაც ის უფლება მას ერთმევა“¹¹. ან კიდევ ასეთი აზრი: „სამართლიანი იქნებოდა საგლეხო ნაღვლად გვეცნო ის მიწები და ადგილ-მამულეები, რომლებსაც გლეხები უშუალოდ ფლობდნენ მანამდე, სანამ რუსეთში ვლენთა განთავისუფლების კანონი გამოვიდოდა — სახელდობრ 1861 წლის

⁹ როგორც აღნიშნული იყო, „კრიტიკული შენიშვნების“ ამერიკაყასის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში წარდგენა მოხდა 1864 წელს; „ცხოვრება და კანონის“ ბეჭდვა კი „ლეგიაში“ დაიწყო 1877 წელს და დათავრდა 1881 წლის დასაწყისში; „ხიზნების საქმე“ გამოქვეყნდა 1880—1886 წწ.

¹⁰ „საისტორიო მოამბე“, 1947, № 3, გვ. 275.

¹¹ იქვე, გვ. 285.

19 თებერვლამდე. ან საზოგადოდ ჩვენში საგლეხო რეფორმის გამოცხადებაამდე”¹².

თუ „კრიტიკულ შესწავლებში“ მოკლედ მოცემულია დახვეწილი და საბოლოო რედაქცია, როგორც ეს საჭიროდ მიაჩნდა მის ავტორს, „ცხოვრება და კანონში“ საკითხები უფრო ვრცლად და დეტალურადაა განხილული, მოცემულია მკაფიო მარჯობა-ს, როგორც ისტორიული წინამძღვრები და მისი განვითარების კანონზომიერი ძველდობა, ასევე გარკვეულია — რა პირობებში უნდა ყოფილიყო შექმნილი და სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ რა პირობები და... (იხ.)

ჩიხინსკის ბატონყმობის გადაყარდნას უდიდეს სოციალურ მოვლენად, რომლისაც „თოსპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქვლეცის მიზეზი“ და თავ „დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებებისა“, ილია უმჯავროდებდა მის ვაშო, რომ არ გამართლდა იმედები, რომლებიც მასთან ერთად „მცირემ, მაგრამ უკეთესმა, ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ ნაშისეუ აღიარო“. იმედი თანდაპირველი სიხარული არ გამართლდა იმოდენად, წყოს ილია, რომოდესადაც იმედი გვექონდა, გლეხი მისის ნაჭერი მიწების ბუნატრონედ არ იცხეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სარგობიერი იყო ყველასათვის“¹³.

იქნა ასევე შესაძლებელი, თუ რა უბედურება მოუტანა საზოგადოებას დედამიწის სხედანსეა კუთხეში ყოფილი საყუთრების წარმოშობამ, საზოგადოების კლასებად დიფერენცირებამ და საზოგადოებრივ-სათემო. მიწებს ცალკეულ პირთა ხელში გადასვლამ, ილია აღნიშნავს ხალხთა განვითარების ისტორიაში რა უსამართლობის დამყვიდრებას, რომლის დაძლევა საზოგადოებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი შეიქნა.

ილიას სიტყვასიტყვით იგივე აზრი აქვს გაშეოკებული შრომაში „ხაზ-სუბის საქმე“. როდესაც ანალიზს უკეთებს ხიზნობის ინსტიტუტის წარმოშობის ისტორიას და მიწის საერთო-სათემო სარგებლობიდან ყოფილი საყუთრებაში გადასვლას, „ინგლისში მოცდის ინგლისის სამეურნეო მიწები, — ამბობს ილია, — დაქვებულნი აქვთ სულ 30.700 სახლობასა, დანარჩენი სოფლის ხალხი-კი სულ უმანულოა თითქმის. ...ყველგან დიდკაცობამ ღონითა და მძღაფრობით დაიჩემა მიწები და უღონო გლეხნი ცარიელედ ვაიყვნა“¹⁴.

„ცხოვრება და კანონში“ ილია ეხება პროგრესულად განწყობილი საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულებას საკითხისადმი რა პირობებში უნდა განთავისუფლებულიყო ბატონყმურ ურთიერთობაში მყოფი გლეხი — და სინანულს გამოიკვამს, რომ მათი სურვილი არ განხორციელდა, ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო წესით თავსმოხვეული პირობების შედეგად ის მოწინავე ნაწილი დაქვებულნი შეიქნა გამოგნას ახალ პირობებთან შეფარდებული მოთხოვნები და ეთქვა: „თუ საქმე იმაზე მიდგავი, რომ უსათურად უნდა დაქვებულდეთო (მხედველობაშია ყმისა და ბატონის, მიწის მესაკუთრის განწყობება. — ვ. ე.). ისა სჯობიაო, ეხლავე ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარბის მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რათ, რაჟი გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეპატრონედ არ იცხეს, რასაკვირველია,

¹² იქვე, გვ. 284.

¹³ ი. ქვანიანი, თხზ. სრული კრებული, ტ. VI, გვ. 9—10.

¹⁴ იქვე, გვ. 124.

ას ახრი სამკობინარი იყო ყველასათვისა¹⁵. „კრიტიკულ შენიშვნებში“ და-
ყენებული საკითხი „ცხოვრება და კანონის“ შექმნის პერიოდისათვის განე-
ლილი ეტაპი იყო. მაგრამ ილია მას აქაც ეხება და დაბეჯითებით იმეორებს,
რომ ასე არ უნდა მომხდარიყო და, რადგან საკითხის ვადაქრა დაუსრულებ-
ლად ქიანერდება და ვერ განხორციელდა, იძულებული ვართ ერთგვარ „და-
იშობაზე წავიდეთო“. ეს დათმობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხებს
მიწები იმავე საზღვრებში და იმავე ფართობით უნდა დარჩენოდათ, როგორც
ბატონყმური ურთიერთობის დროს ჰქონდათ, მხოლოდ მათი გამოსყიდვის
საკითხი (რასაც „კრიტიკული შენიშვნები“ არ იზიარებდა) უნდა გადაწყვეტი-
ლიყო გლეხისათვის მაქსიმალური შეღავათებისა და ხელშეუხებლობის პრინ-
ციპით. ხოლო მემამულისათვის გაყიდვის სავალდებულო პირობის დაწე-
სებით.

ი. ქვეყანის მთელ შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს სამართლიანობის ის მაღალი პრინციპები, რომლებიც ძირითადად ფორმულირებული იყო „ადამიანის თავისუფლების დეკლარაციაში“ და რომელთაც იგი მაღალ შეფასებას აძლევდა. „სოფელი. — მსჯელობს ილია პოლემიკურ წერილში „ცხოვრება და კანონი“ — ერთს წოდებათა გაურჩეველს საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს: რომ სოფლის მმართველობასა და გამგეობაში წოდებათა ვარსკვლავი არ უნდა იყოს: რომ უფლება და მოვალეობა ერთნაირის თანასწორობით განაწილებულ უნდა იქმნეს სოფლის ყველა მკვიდრზე. იმისდა მუხებდავად. თუ მკვიდრი რომლის წოდებისაა“¹⁶.

იმავე პრინციპებს ემყარება „კრიტიკული შენიშვნები“. მასში კატეგორიულადაა საკითხი დასმული ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებული გლეხის მოქალაქეობრივი უფლებების საზოგადოების სხვა წევრების, მათ შორის ყოფილ მებატონეთა. უფლებებთან გათანაბრებისა და კანონის წინაშე საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო ჰუმანური და მაღალი დემოკრატიული საფუძვლებიდან გამომდინარე ვალდებულებების დაწესების შესახებ. „კრიტიკული შენიშვნების“ მიხედვით ამ საფუძვლების საწინააღმდეგოა „დებულების“ რიგი მუხლები. „დებულებით ყველა უფლება მემამულეს ეძლევა, ყველა მოვალეობა კი გლეხს ეკისრება“. „ცხოვრება და კანონში“ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ილიას მოჰყავს მაგალითი გერმანიისა და პრუსიის კანონმდებლობიდან. სადაც საზოგადოების განვითარების იმ ეტაპზე იგივე არასამართლიანი პრინციპებია გატარებული, რაც „დებულებაში“. ამის გამო ილია გერმანიისა და პრუსიის კანონმდებლობას ჩამორჩენილი ქვეყნის კანონმდებლობად მიიჩნევს. „უკანასკნელი საპროვინციოლო წესდება პრუსიისა, — წერს ილია, — მის გამო გაცნარებული ბასი პარლამენტში, ცხადად ამტკიცებს, — იქაური... მიწათმფლობელი თავადაზნაურობა სადა სცემდა: ყველა ტვირთი გლეხსაო, ყველა შვება ჩვენაო. დაწინაურებული თაობა-კი უუბნებოდა, შვებაც მიიღე გლეხთან ერთადო და ტვირთიყო“¹⁷.

შემდგომ ილიას სწორედ ამ დაწინაურებული თაობის სამართლიან პოზიციებზე აქვს მსჯელობა და მოჰყავს მაგალითები იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ უსამართლო, შეუფერებელი და პრაქტიკულად მიუღებელია „დე-

¹⁵ იქვე, გვ. 9—10.

¹⁶ იქვე, გვ. 101.

¹⁷ იქვე, გვ. 50.

„უღებურს“ ცალკეული მუხლები და მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ იქნა მიღებული. მისი აზრით, „თუ გლეხს იცოდა უფლება ამის, მასმასაღამე, შემამულეს დაეკისრება მოვალეობა უსალოოდ დაუთმოს ნაკვეთები მას, ვისაც აქვს უფლება“ („კრიტიკული შენიშვნები“)

ოვგორც ცნობილია, „კრიტიკული შენიშვნების“ მოთხოვნები არ იქნა გასიარებული „დებულებით“, რომელიც მიღებულ იქნა დიდი სჭაბაასისა და დავიდიარაასის შემდეგ: გლეხი ფაქტიურად მიწის გარეშე განთავისუფლდა. მიწა, რომელსაც ბატონყმური ურთიერთობის პირობებში ფლობდა გლეხი, მას უნდა შეესყიდა, მაგრამ ამ შესყიდვას ისეთი შეზღუდვები ახლდა, რომ შესყიდველს კაბალურ პირობებში აყენებდა. ილია და მისი თანამოაზრენი იძულებული შეიქნენ შერიგებოდნენ მიწის გამოსყიდვის პრინციპს, მაგრამ არ შეიძლებოდა შერიგებოდნენ პირობებს, რომლებიც თან ახლდა მიწის გამოსყიდვას. ბრძოლა ამ საკითხზე თუმცა უშედეგო. მაგრამ ხანგრძლივი აღმოჩნდა. ეს ბრძოლა საკმაოდ გამოსატყუელი არა მარტო „ცხოვრება და კანონში“, არამედ ილიას მთელ რიგ ნაწარმოებებში. „ერთის სიტყვით, იმ გზით (თუ სახით, — აღნიშნავს ილია „დებულების“ მიღებიდან ოთქმის თორმეტი წლის შემდეგ. — რა გზითაც და რა სახით ნაჩვენებია დებულებაში, გლეხის აწინდელის გარდასახადის გადაკვეთა ჭერ შეუძლებელია და მერე, თუნდაც შესაძლო იყოს. ერთს მხარეს მოვალეობას უმძიმებს და მეორეს ამით არას ნატებს. ჩვენ ასით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ წილსუდ-ქერას შევლა არა აქვს. არსაიღამ მოვევლება. შევლა აქვს და ძალიან აღვილიცა, ოღონდ კი მივმართოთ ჩვეულებას და იგი დაგვანახებებს ხსნის გზასა“¹⁸. აქ მარტო აზრობრივი დამთხვევა არ არის. სტილი, სიტყვათა წყობა და ფრაზეოლოგია აკავშირებს ორივე შრომაში გამოთქმულ აზრებს. „კრიტიკულ შენიშვნებში“ ვკითხულობთ: „ხალხის ჩვეულებამ ხომ შესძლო დაეწესებინა გადაკვეთილი ბეგარა მიწით სარგებლობისათვის, კანონმა რატომ არ უნდა სცეს პატივი ხალხის შეგნებას, მითუმეტეს მაშინ, როცა იგი თვითონ აღიარებს გლეხთა საქმის დამთავრების პრინციპად ნადელის სამუდამო მფლობელობას და ბეგარის უცვლელ გადახდას. რა საჭიროა დავეუშვათ გამოჩაყლისებრი საერთო წესიდან, როცა ამ გამოჩაყლისებს მხოლოდ ხალხის შევიწროება მოჰყვება და ამით კი არაფერ სარგებლობას მოუტანენ, ვისთვისაც ეს გამოჩაყლისებია დაშვებული“¹⁹.

გლეხის მიწათმოწყობის საკითხთან დაკავშირებით ფართო მსჯელობა აქვს ილიას მეორე კაბიტალურ შრომაში, რომელიც ხიზნების საკითხს ეხება. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხის მიწით უზრუნველყოფის საკითხზე მსჯელობისას ყოველთვის აღნიშნულია, რომ კანონმდებლობას საფუძვლად დაედოს ცხოვრებით შემუშავებული პირობები, რომლებმაც ადრევე გადაწყვიტეს და ადრევე დააწესეს მიწის მესაკუთრისა და გლეხის ურთიერთობის ნორმები და აუცილებელია ზოგიერთი ამ ნორმათაგანი უცვლელად იქნეს გამოყენებული; რომ ქართველი გლეხის დამორიდებულება მიწისაღმი და ის ურთიერთობა, რომელიც ისტორიულად შემუშავდა მეზატონესა და ნაყმეს. ან მიწის მფლობელსა და ხიზანს შორის, სპეციფიკურია და განსხვავდება იმ

¹⁸ ი. კ. ქვანიანი, თხზ. სრ. კრებული, ტ. VI, გვ. 23.

¹⁹ „სისტორიო მოამბე“, 1947, № 3, გვ. 275.

ურთიერთობისაგან, რომელიც არსებობდა რუსეთის სინამდვილეში და სხვა ხალხებში. ის, რის გამოყენებაც რუსეთის პირობებში შეიძლებოდა, საქართველოს არ გამოადგებოდა და ყოველი ასეთი ნაბიჯი საქმეს გაართულებდა და გააფუჭებდა.

„თუ თქვენ სავალდებულოდ გახდით გამოსყიდვას მხოლოდ გლეხობისათვის და მემამულეებს კი განთავისუფლებით სავალდებულო გაყიდვისაგან. — მითითებულია „კრიტიკულ შენიშვნებში“, — ამით ძალიან დიდ შეცომას დაუშვებთ, ვინაიდან, საქმის ისე წარმართვით თქვენ დაუშვებთ გლეხთა ჩაგვრის კიდევ ერთ ზედმეტ შესაძლებლობას“. ეს მოთხოვნა სამართლიანობის პრინციპებს ეწყარებოდა და ცხოვრების მიერ იყო ნაკარნახევი. ილიას შიერ ეს აზრი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებშია გამოთქმული და საყოველთაოდაა ცნობილი. სხვა ავტორი მის სიტყვასიტყვით გამეორებას მოერიდებოდა. ილიამ ეს აზრი შემდგომში უფრო გააღრმავა. „... ის კი არ უნდა ეფიქრათ, — წერს ილია „ცხოვრება და კანონში“, — გლეხი მამულის სყიდვას არ ინდომებსო. ფიქრი მებატონისა უნდა ჰქონოდეთ, რომ იგი მამულს არ გაჰყიდდა. ამის წამალი უნდა მოეპოებინათ“²⁰. და შემდეგ: „ყველაზედ უმთავრესი მიზეზი, რომელიც ნაყმევთა მამულების დახსნას ხელს უშლის და დიდად აბრკოლებს, ის არის, რომ ნაყმევი მამულს ვერ იყიდის, თუ მებატონე ამას არ მოიწადინებს“²¹.

„ღებულების“ პროექტის 170-ე მუხლის საფუძველზე მიწის არენდირების ერთ-ერთი ფორმის, ე. წ. „წილზედ-ჰერის“ დროს მიწის მესაკუთრეს ხება ეძლეოდა თავადაზნაურთა საჯუბერნიო საკრებულოს მემკვიდრეობით გაედიდებინა გადასახადი მიწაზე, თუ დაამტკიცებდა, რომ მიწა უფრო მეტ ნაყოფს იძლეოდა, ვიდრე პირველადი პირობა (ხელშეკრულება) ითვალისწინებდა. მოსავლის მეტნაკლებობა ბევრადაა დამოკიდებული გლეხის გამარჯობაზე და იმ გაუმჯობესებაზე, რომელსაც მიწა განიცდიდა განოყიერებითა და ცალკეული კულტურების თუ ჭიშების შერჩევით. მიწის ვაუჭობრებისასა და მალალ-ნაყოფიერებაზე ზრუნვა, გარდა მუყაითი შრომისა, ხარჯს და რისკს ითხოვდა, რომელიც განხორციელებოდა მხოლოდ გლეხის მალალი დაინტერესებითა და მყარი ანგარიშის პირობებში. მიწის გადასახადის არასიმყარე გლეხს მეთრნობისადმი ერთგული დამოკიდებულების სტიმულს უქარგავდა და ენებას აყენებდა არა მარტო ცალკეულ პირს, არამედ საერთო ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას. ამაზეა მსჯელობა „კრიტიკულ შენიშვნებში“ და ილიას სხვა ზემოდასახელებულ შრომებში. როგორც სხვა საკითხებზე, ილია ამ საკითხებშიც განუტრეილი და თანმიმდევრული იყო და ამიტომ უხდებოდა აზრის გამეორება თითქმის ყველა შრომაში, რომლებიც მიწათსარგებლობისა და მიწათმოქმედების საკითხს ცოტად თუ ბევრად ეხებოდა. „კრიტიკულ შენიშვნებში“ ღებულების 170-ე მუხლს არარეალურად მიიჩნევს, ითხოვს, რომ არ იქნეს მიღებული, რადგან „მას შეუძლია მხოლოდ გაუთავებელი დაეა და უკმაყოფილება გამოიწვიოს. მაგრამ ის განსაკუთრებით საშინელი იარაღი იქნება გლეხების წინააღმდეგ, რომლებსაც არასოდეს არ ექნებათ იმის იმედი, რომ მათი ვალდებულებანი ერთხელ და სამუდამოდ განისაზღვრება და, მაშასადამე, არ შეიცვლება, და თუ მათში ეს იმედი მოისპო, მაშინ არ შეიძლება მოველოდეთ, რომ მათ ექნებათ რაიმე მისწრაფება თავიანთი კეთილდღეო-

²⁰ ი. ქვეყანა და გლეხთა განთავისუფლების საკითხი, ტ. VI, გვ. 28.

²¹ იქვე, გვ. 31.

ბის გაუმჯობესებისაკენ. იმიტომ, რომ როგორც კი ისინი თავიანთ მიწას გააუმჯობესებენ და მისგან მეტ სარგებლობას მიიღებენ, მაშინვე ამ მუხლას ძალოთ. მენამუღლები მოუმატებენ ფასს თავიანთ მიწას, და გლეხი ხელცარიელი იპარჩება, და მთელი მისი შრომა, მთელი მისი მოღვაწეობა, სრულებით გაქარწყლდება²².

თითქმის სიტუაციით იგივე აზრია გამოთქმული „ცხოვრება და კანონი“. ცხოვრების პრაქტიკის საკითხი აქ უფრო ფართოდაა გაშუქებული, რადგან საკითხი ენება მიწის გირავნობის მეორე სახესაც, რომელიც „მეოთხედობის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ილიას აზრით, გირავნობის არამყარი უფლებრივი მდგომარეობა მანვე შედეგის მომტანია, „რადგანაც აქ ნაშრომის ნაყოფში, ცოტად თუ ბევრად, სხვასაც წილი უდევს, გლეხს არ ექნება ისეთი ხალისი, ისეთი თავგამომეტებითი მხნეობა შრომისათვის, როგორც იმას, რომელიც თავის საკუთრებაზედ მუშაობს. მაშასადამე, შრომა გლეხისა იმოდენად ნაყოფიერი არ უნდა იყოს, რამოდენადაც ეგ შესაძლოა. ეს ერთი მეორე. — მიწის განოყიერებისათვის... გლეხი ხარჯს ვერ გაიმეტებს, იმიტომ რომ ამ ხარჯში მონაწილე არ უდგება და წილი კი სრულად მიიქვს²³. მსჯელობას ილია ამთავრებს ჯონ სტუარტ მილის აზრის მოშველიებით და ასკვნის: „გადაკვეთილს ღალას კი ის სიკეთე მაინც მოსდევს, რამ ბევრია თუ ცოტაა. გლეხს ხელს არ უშლის მამულის გაკეთებისათვის ხარჯი გასწიოს, უფრო მეტად იმუშაოს, უფრო მეტი მხნეობა და მეცადინეობა იხმაროს, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მომატებულის ხარჯისა და შრომის მონაგები სრულად მისია. აქ ღალას მიწის ქირის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და არა შრომის ნაყოფის გაწილადებისა. აქ შრომა, ცოტად თუ ბევრად, თავისუფალია, და რამოდენადაც თავისუფალია, იმოდენად ყოველად-შემძლებელიც არის²⁴“.

„კრიტიკული შენიშვნების“ თითქმის ყველა მუხლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გლეხის და ნაბატონარის ყველა შემდგომი ურთიერთობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩაყენებულ იქნეს ისეთ პირობებში, რომ ორივე მხარეს ერთმანეთისადმი არაერთი სპარეტენზიო არ დარჩეთ და ამან არ გამოიწვიოს საზოგადოების ამ უდიდესი მონაპოვრის, ბატონყმობის გაუქმების რეალური პირობების დარღვევა. ილიასათვის აშკარაა, რომ ადგილი ექნება: ნაბატონართა მხრიდან თავისი უპირატესობის შენარჩუნების ტენდენციებს და საერთოდ გლეხების ეკონომიურ შეზღუდვათა რეციდივებს. ყოყლოჩინა თავდაზნაურის დაუოკებელი ვენებების გამოვლინებას და სხვ. თუ რაოდენ სწორი იყო „კრიტიკულ შენიშვნებში“, „ცხოვრება და კანონი“, „ხიზნების საქმესა“ და ილიას სხვა ნაწარმოებებში გამოთქმული აზრი და რა დროული იყო ამ მიმართებით საზოგადოების გაფრთხილება — ეს თვალნათლივ გაირკვა, როგორც კი „ღებულებამ“ მოქმედება დაიწყო. წარმოიშვა უამრავი ქონებრივი დავები, რომელთა გადაწყვეტა სასამართლო წესითაც კი თითქმის შეუძლებელი გახდა. ეს დავები გაგრძელდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სანამ მიწა არ გადაიქცა საერთო-სახალხო საკუთრებად და არ მოისპო კერძო პირის მიერ მისი ხელყოფის შესაძლებლობა. „კრიტიკული შენიშვნების“ უკანასკნელ პუნქტში, სადაც მსჯე-

²² „საისტორიო მოამბე“, 1947, № 3, გვ. 311.

²³ ი. ქვანიანი, თხზ. სრული კრებული, ტ. VI, გვ. 16.

²⁴ იქვე, გვ. 19.

ლობაა „დებულების“ 178—198-ე პარაგრაფებზე, ვკითხულობთ: „ბეგარის... შეტანის უზრუნველყოფის წესები საშინელ უკმაყოფილებას გამოიწვევს, რომლის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია. საესებით უარეყოფ რა საეკლდებულო ურთიერთობას, რომლისაგანაც ყველა ეს უსიამოვნება იზადება, მე უნდა დავსძინო, რომ გლეხთა საკითხის გადაწყვეტა სულ სხვა საწყისს უნდა დაეფუძნოს — სახელდობრ იგი უნდა დაეფუძნოს გლეხისა და მემამულის ინტერესთა საბოლოო გათიშვის საწყისს, მათ შორის უნდა გაწყდეს ყველა ძაფი, რომელიც ნაბატონარსა და ნაყმევს იძულებით ერთმანეთთან აკავშირებს. სხვა გამოსავალი არ არის და გლეხთა საკითხის ყოველგვარი გადაწყვეტა, — სხვა საწყისებზე დაფუძნებული არ იქნება საბოლოო გადაწყვეტა: ეს იქნება მხოლოდ გაგრძელება, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით, იმავე ბატონყმური მდგომარეობისა, რომლის მოსპობა დროთა ვითარებაში ისევე აუცილებელი იქნება, როგორც აუცილებელი იყო ძველი ბატონყმობის მოსპობა. თავიდან რომ ავიცილოთ გლეხთა საკითხის თავიდან გადაწყვეტა და ხელახალი დაყენება, მე აუცილებლად მიმაჩნია ეხლაც გადაწყდეს იგი საბოლოოდ და, მოისპობა რა ყოველგვარი შეხლა-შემოხლა განთავისუფლებულ და განმანთავისუფლებულ წოდებათა შორის, დადგინდეს მემამულის საეკლდებულო ურთიერთობისაგან გლეხისა და მისთვის ბოძებული ნადელის საბოლოოდ ჩამოშორების პირობები. ასეთი ჩამოშორება უნდა მოხდეს გლეხისათვის განკუთვნილი ნადელის გამოსყიდვის გზით. გამოსყიდვა უნდა მოხდეს მთავრობის დახმარებით და გლეხების სახსრებით²⁵.

„ცხოვრება და კანონში“ გლეხისა და ნაბატონარის დამოკიდებულების საკითხს ასეთი ინტერპრეტაცია აქვს: „გამწვლეებისათვის ორი გზა იყო: ერთი ის, რომ მუბატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა (მხედველობაშია ხელმისაწვდომი სესხის გაცემა. — ვ. ე.), ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ. ვალდაეკეთათ რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო, თუ არჩევანზედ მივარდნილიყო სამე. მაგრამ არამც თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედაზურიც სრულად უარპყო“²⁶. ამ ამონაწერიდან ნათელი ხდება, თუ რაოდენ ემთხვევა ილიას აზრები „კრიტიკულ შენიშვნებში“ დასმულ საკითხს, მაგრამ „ცხოვრება და კანონში“ მოცემულია უფრო ფართო მსჯელობა; დებულება არგუმენტირებულია პრაქტიკით მიღებული გამოცდილების მიხედვით და წამოყენებულია ახალი საკითხები, რომელიც ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში. პროფ. პრ. რატიანი „ცხოვრება და კანონში“ გატარებულ აზრებს ილიასა და საერთოდ „თერგდალეულთა“ პროგრამა-მინიმუმად თვლის. ასეთი განსაზღვრა სადავოდ მიგვაჩნია: 1. გლეხთა ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებისადმი თავისი დამოკიდებულებისათვის თვით ილიას არ მიუცია ასეთი განსაზღვრა და 2. „თერგდალეულთა“ გუნდის წევრებში ცალკეული საკითხისადმი თანმიმდევრული, ერთიანი დამოკიდებულება არ არსებობდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. პრ. რატიანის დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, და ეს მოკვანილი მაგალითებით უკვე იყო ილუსტრირებული, რომ მან დეტალური და მეტად შრომატევადი კვლევის საფუძველზე ზუსტი ფორმულირება გაუქეთა ილიას

²⁵ „საისტორიო ზეამბე“, 1947, № 3, გვ. 313.

²⁶ ი. ჰავაჯაძე. თხზ. სრული კრებული, ტ. VI, გვ. 10.

მიერ ცალკეული საკითხებისადმი დამოკიდებულების პოლიტიკურ შინაარსს, თავი მოუყარა და ერთ მთლიანობაში ჩამოაყალიბა ყველა საკითხი, რომლებთანაც ილიას ჰქონდა პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამოკიდებულება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც მსჯელობს პროფ. პრ. რატიანი. იგი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში ერთ-ერთ მწვევე საკითხად გადაიქცა, თუ რა ფართობის მიწის ნაკვეთი უნდა მიეღო ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებულ გლეხს. რუსეთში მიღებული ღონისძიებების შესაბამისად საქართველოში გლეხთა განთავისუფლების დებულების მე-8 მუხლის საფუძველზე, გლეხისათვის (კომლზე) განისაზღვრება მაქსიმუმ ოცი დღიური მიწა. იქ, სადაც უზემოსავლიანი, ე. წ. „სარწყავი“, მიწები იყო. გლეხისათვის უფრო მეტი ნორმა დაწესდა (ნადელი“ განისაზღვრება ათ დღიურით), მაგრამ ეს ნორმაც ერთგვარად მოსათმე-ლი იყო: ათი დღიური მიწა ოჯახის გამოსაკვებად ასე თუ ისე საქმარისადაა მიჩნეული.

ბატონყმობის გადაყრდნის შემდეგ მიწათსარგებლობის საკითხთან დაკავშირებით ბევრი მოუგვარებელი საკითხი ჩჩებოდა, რადგან სადავო გახდა არა მარტო მიწათმფლობელთა პირადი საკუთრების მიწათსარგებლობის საკითხი. არამედ იმ მიწებისაც, რომლებიც საკუთრების სხვა ფორმას ეკუთვნოდა და სხვა კატეგორიის მიწებად ითვლებოდა. ასეთი მიწები იყო საეკლესიო და სამონასტრო, ე. წ. „სათემო“, „სახასო“, „სახელმწიფო“ და „სასოფლო“. ბატონყმური ურთიერთობის პირობებში, საკუთრების რა ფორმაც არ უნდა ჰქონოდა მიწას, მისი დამუშავება რეგულირდებოდა საყოველთაოდ აღიარებული ადამთბრივი სამართლის ნორმებით, რაკლებიც თაობიდან თაობას ვადაცემოდა, შესისხლბორცებოდა და რომელთაც რაიმე „მასობრივ გაუგებრობათა“ რეციდივები არ შეიძლება მოჰყოლოდა. სულ სხვა პირობები შეიქმნა რეფორმის შემდგომ პერიოდში. გამოვლინდა მიწების მასობრივად დატაცების ტენდენციები. რისკვანაც განსაკუთრებით ზარალდებოდა ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებული და ზაზანის პირობებში ნამყოფი გლეხი. იმ თვითნებობას, რომელიც ამ მიმართებით ვლინდებოდა, ხელი შეუწყო მოქმედი კანონმდებლობის არასრულყოფამ, რაზეც თავიდან იყო ყურადღება მიქცეული „კრიტიკულ შენიშვნებში“ და ისეთი ლიბერალური შინაარსის დოკუმენტშიც კი, როგორიც ზაალ კავკავაძის „საერთო კრიტიკული შენიშვნები“ იყო. მოქმედი კანონმდებლობის და მისგან გამომდინარე ყველა ინსტრუქციის, დებულების, წესდებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტის არასრულყოფა იყო ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომლის წინააღმდეგ ილია წლების განმავლობაში ილაშქრებდა და ამ საკითხმა გამოხატულება პოვა მის რიგ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით კი „ცხოვრება და კანონში“, „კერძო და სათემო მიწათმფლობელობაში“ და ხიზნების მიწათმოწყობის საკითხისადმი მიძღვნილ შრომებში. „კრიტიკულ შენიშვნებში“ ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობაა მე-5, მე-6, მე-19, 59-ე, 63—78-ე, 139-ე პარაგრაფებში. იმავე აზრების მთლიან განმეორებასა და დამთხვევას აქვს ადგილი (თანაც არა უბრალო დამთხვევას, არამედ დიდი ისტორიული ექსკურსებითა და დასაბუთებით) ილიას დასახელებულ შრომებში.

როგორც აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ასეთი საკითხი იყო მიწის ნაკვეთის ოდენობა, რომელიც აუცილებელი იყო გლეხის უზრუნველსაყოფად. „დღე-

საც დაჩვენილი და ძველ გუჯარბში აოველთვის ხმარებული სიტყვა „საკომლო“ იმის საბუთია, — აღნიშნავს ილია „კერძო და სათემო მიწათმფლობელობაში“, — რომ მამულის კერის საქმეშია ცნიშნა ამოღებული კომლი ყოფილა და სხვა არა-რა. „საკომლო“ ნიშნავდა ცალკე კომლის მიერ დაქვრივს და მის სამყოფს მამულსა და მამულის უდიდეს ზომასაც. სხვადასხვა ადვილას ეს „საკომლო“ სხვადასხვა ზომისა იყო: ზოგან ათი დღიური, ზოგან ოცი, ზოგან ორმოცი და სამოციცა. აშკარადა სჩანს, რომ ეგ „საკომლოს“ სიდიდე იმაზედ იყო დამოკიდებული, — სად რამდენი მამულია საქმარისი ცალკე კომლის სარჩენად და სახელმწიფო და სასოფლო სამსახურის გადასახდელად“. იქვე სქოლიოში აქვს გადმოცემული: „აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ არსად არ შეგვხვდრია, სადმე „საკომლო“ ათს დღიურზედ ნაკლები ყოფილიყოს და სამოცზედ მეტი. ზოგნი ამბობენ ოთხმოცი დღიურიც ყოფილა თურმე“²⁷. ასეთივე ნორმებზე აქვს მსჯელობა ილიას ხიზან გლეხთა დასაბინაველად საკითხის სამართლიანად ვადაწყვეტის აუცილებლობაზე მსჯელობისას²⁸.

ხიზან გლეხთა დაბინავების საკითხი ისეთივე მტკივნეული იყო, როგორც ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებული გლეხისა. მათი დაბინავების საკითხში ილია რაიმე სხვაობას ვერ ხედავს, მაგრამ ხიზანის საკითხის ვადაწყვეტა უფრო რთულ საქმედ მიაჩნია. იგი აღნიშნავს, რომ ბატონყმური ურთიერთობის პირობებში მიწათსარგებლობის საკითხი მიწის მეპატრონესა და ხიზანს შორის სხვა უფლებრივი ნორმებით რეგულირდებოდა, ვიდრე ბატონსა და ყმას შორის. „ხიზნების საქმის ფარგალში, — წერს ილია, — უფრო ცოტა ხალხია მოყოლილი, ვიდრე ბატონყმობაში, მაგრამ თვით საქმე კარსებითად და ბუნებრივად უფრო ძნელი გადასაწყვეტია, ვიდრე ბატონყმობის საქმე. ბატონ-ყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმე იყო. საცა ცხადი და აშკარა უსამართლობაა, იქ სამართლიანობის პოვნა ყველასათვის ადვილია“²⁹.

„კრიტიკულ შენიშვნებში“ დასმული რიგი საკითხი მეორდება „ხიზნების საქმესთან დაკავშირებით“ 1881 წელს შედგენილ დოკუმენტში, რომელიც შემდეგ შესწორებით დაიბეჭდა კავკასიის იურიდიული საზოგადოების ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში“. „კრიტიკული შენიშვნების“ 170-ე მუხლში ვკითხულობთ: „იმ დროს, როდესაც ხალხის ადათებს შეუძლიათ მიწათ სარგებლობისათვის მუდმივი ვალდებულებების დაწესება, ხალხის შეგნებას რატომ არ უნდა სცეს პატივი კანონმა. მითუმეტეს როდესაც ნადელის მუდმივობას და მისთვის ვალდებულების მუდმივად მოხდას, თვითონვე აღიარებს გლეხთა საკითხის საბოლოო ვადაწყვეტად“³⁰.

საგლეხო რეფორმის დებულების პროექტის „კრიტიკულ შენიშვნებზე“ მსჯელობა ამჯერად საკმარისად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ გამოყენებული მასალა სრულ წარმოდგენას იძლევა, რომ „კრიტიკული შენიშვნებისა“ და „ცხოვრება და კანონის“, „ხიზნების საქმისა“ და „კერძო და სათემო მიწათმფლობელობის“ ავტორი ერთი და იგივე პირია.

²⁷ ი. შავჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. VI, გვ. 187.

²⁸ იქვე, გვ. 124.

²⁹ იქვე, გვ. 136—137.

³⁰ „სახსტორიო ზოანსკ“, 1747, № 3, გვ. 312.

ო. ჟორდანიას გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ი. ჭავჭავაძეს თვლიან ავტორად „კრიტიკული შენიშვნებისა“, რომელიც აღიარებს მიწაზე მემამულის საკუთრების უფლებას და მოითხოვს ამ უფლების განუხრელად გატარების აუცილებლობას. მკვლევარი ფიქრობს: რადგან დოკუმენტში მემამულის უფლებების დაცვაზეა მსჯელობა, ეს დოკუმენტი აუცილებლად ლიბერალური ან უფრო უარესი ტენდენციის გამოვლინებაა, რასაც ილია არაერთა შემთხვევაში არ დაუშვებდაო. მისი აზრით, „კრიტიკული შენიშვნები“ ილიას არ ეკუთვნის და ყოველგვარი კომენტარი ზედმეტად მიაჩნია. ვფიქრობთ, არათუ ზედმეტი, აქ კომენტარი აუცილებელია.

რეფორმასთან დაკავშირებით გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის გარკვევის დროს გვერდის ავლა საკითხზე, რომელიც მემამულეთა შემდგომ უფლებებს ეხებოდა, შეუძლებელი იყო. ერთის მდგომარეობის შეცვლა ცვლიდა მეორის მდგომარეობას და საკითხთა კომპლექსში ერთ-ერთი კარდინალური საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდარაყო, იყო მემამულეთა საკუთრებაში მყოფი მიწების საკითხი. ჩვენში დებულების ირგვლივ მსჯელობის დროს არსებობდა რუსეთის სინამდვილეში მისი გატარების უკვე საკმაოდ გარკვეული, საკანონმდებლო წესით რეგლამენტირებული და დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც სახელმძღვანელოც იყო და სავალდებულოც. გაეხსენოთ ის აუცილებლობა. რამაც აიძულა ალექსანდრე მეორე და მისი მთავრობა რეფორმა მიეღო. გაეხსენოთ თვით რეფორმის შინაარსი, რომელიც არსებული პოლიტიკური სისტემის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა.

1861 წლის შემდეგ რუსეთში მიწის საკუთრების საკითხის გადაჭრისათვის სულ ცოტა სამი უდიდესი რევოლუცია გახდა საჭირო და მაშინ დებულების განხილვის დროს არც ერთი პოლიტიკური მიმართულების თუ ტენდენციების მქონე პირს (რასაკვირველია, თუ იგი საქმეში გარკვეული იყო და საქმისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას იჩენდა) არ შეეძლო ხელაღებით ემსჯელა მიწაზე მემამულეთა საკუთრების გაუქმების შესახებ. ასეთი გამოსვლა მის ავტორს სერვანტესის გმირის დონეზე დააყენებდა და კეთილმოსურნეთა სიბრაულის ღიმილს გამოიწვევდა. „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი გარკვევით მიუთითებს, რომ იგი ისწრაფის საკითხების შესაძლებლობის ფარგლებში გადაჭრას.

კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარი სახელმწიფო ურყევად იცავდა მიწაზე მემამულეთა საკუთრების უფლებებს. რამდენად შესაძლებელი იყო ამ პირობების დარღვევა იმ ისტორიულ ეტაპზე, ამაზე მსჯელობა ამჟამად უზერსულიცაა.

ილიას უკვე მითითებულ შრომებში მიწაზე მემამულეთა საკუთრების უფლებებზე არაერთხელაა მსჯელობა და არსად გაკვრივდა კი არ არის მინიშნებული იმაზე, რომ ეს უფლებრივი მდგომარეობა ხელაღებით შეიძლება დაირღვეს.

აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე. რომელმაც უდავოდ ხელა შეუწყო გაუგებრობას. ო. ჟორდანიას ხანგრძლივი კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „კრიტიკული შენიშვნები“ წარდგენილია 1864 წლის 6 აპრილს, ხოლო „საერთო კრიტიკული შენიშვნები“ იმავე წლის

ნ მაისს³¹. მკვლევარი დასძენს. რომ ერთსა და იმავე საკითხზე დოკუმენტების სხვადასხვა დროს წარდგენა არის მტკიცების საფუძველი, რომ ამ დოკუმენტების ავტორი სხვადასხვა პირია. მაგრამ თელის, რომ ეს მტკიცება ამჟამად არ გამოდგება, რადგან ორივე დოკუმენტი ერთისა და იმავე პოლიტიკური მიმართულებისაა და მათ შორის თითქოსდა სხვაობა არ არსებობს. რამდენად სწორია ეს დასკვნა, ამის შესახებ მსჯელობა უკვე გეჭონდა. აღრევე მიუთითებთ გრაფიკულ ექსპერტიზაზე, რომელიც ჩვენ მიერ იქნა ჩატარებული. ექსპერტიზამ გაარკვია, რომ კვლევის საგნად გადაქცეული ორი დოკუმენტის პირი ნიკო ჭავჭავაძის ხელით არ არის შესრულებული. საერთოდ განსხვავებული ხელია და ნ. ჭავჭავაძეს არ ეკუთვნის არც ის მინაწერები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ დოკუმენტების კომიტეტში წარდგენის თარიღს. ექსპერტიზის მიხედვით, ორივე მინაწერი 1864 წლის მაისის თვეზე მიუთითებს, ხოლო რაც შეეხება დღეს, მისი „ნ“ რიცხვად გამოცხადება დამაჩერებელი არ არის, რადგან იგი შესაძლებელია რუსული წინდებული B (ქართული -შა) იყოს და არა თარიღი „ნ“. კომიტეტის საქმეთა მმართველის თუმანიშვილის მიერ ორივე დოკუმენტი აღწერილობაში ერთადაა შეტანილი 1864 წლის მაისის თვეში³².

წარმოდგენილი მტკიცებები, ვფიქრობთ, ცხადყოფენ, რომ ო. ჟორდანიას ცდუნება დოკუმენტების წარდგენის თარიღის საკითხშიც, რაც იწვევს მის დენოტაციურებას სხვა საკითხების გარკვევის დროს.

„კრიტიკული შენიშვნების“ ის ადგილები, რომლებსაც ო. ჟორდანიას ცალკე გამოყოფს და უპირისპირებს ილია ჭავჭავაძის ცალკეულ შრომას. სრულიადაც არ განსაზღვრავს „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორის ტენდენციებს. ო. ჟორდანიას მიერ ტექსტიდან ამოღებული ადგილები მოწყვეტილია დოკუმენტის მთლიან შინაარსს და კვლევის ასეთი წესით წარმართვა მხოლოდ გაუგებრობას იწვევს.

³¹ ო. ჟორდანიას კრებული „საქართველოსა და კავკასიის ილია ჭავჭავაძის შრომები“ (თბილისი, 1968, გვ. 170).

³² საქართველოს სსრ ცნობა, ფ. 220, საქმე 1116, ფ. 171—240.

მიხეილ ჯაბაშვილი

გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ლექსიკონისა და მისი
შესავალი ჟერილის შესახებ

1972 წელს გამოვიდა პროფ. გრ. ზარდალიშვილის მიერ შედგენილი „სსრ კავშირის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი“. ამ ლექსიკონში თავმოყრილია საბჭოთა კავშირის ქალაქების, დაბების, მთების, მდინარეების, ტბების და სხვა გეოგრაფიული ერთეულების სახელწოდებანი, რომელთაც ახლავს მათ გეოგრაფიულ გარემოზე მოკლე მითითება. ლექსიკონს დართული აქვს სსრ კავშირის ქალაქებისა და დაბების შეცვლილ სახელწოდებათა სია, აგრეთვე საქართველოს ნასოფლარების სია.

ავტორის ჩანაფიქრი უდავოდ კარგია. მართლაც, ამ წიგნის გამოსვლამდე ქართულად არ გვექონდა საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ცოტად თუ ბევრად სრული სია. მასში წარმოდგენილი ბევრი სახელწოდება ქართულად დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული. ასევე დამაკმაყოფილებელია ამ სახელწოდებათა განმარტება. თითოეულ მათგანთან მოცემულია ცნობები, თუ რომელ რესპუბლიკაში, მხარეში ან ოლქში მდებარეობს ესა თუ ის დასახლებული პუნქტი, მთა, ტბა, მიედინება მდინარე და ა. შ.

ყოველი ასეთი გამოცემა მისასალმებელია, მით უმეტეს, რომ არა ვართ ენებუცხებელი საცნობო ხასიათის ლიტერატურით.

მაგრამ ლექსიკონს ახლავს რიგი სერიოზული ნაკლი, რომელთაგან გვინდა შევხებთ სამს, ჩვენი აზრით მთავარს:

1. ლექსიკონში შესული ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი მცდარად არის ქართულად გადმოცემული. მაგალითად: ცალკეულ სახელწოდებებში გ-ს მაგივრად არის ღ: Аргунь — არღუნი (მდინარე ჩიტის ოლქში), Газимур — ღაზიმური (მდინარე იქვე), Тенгиз — თენღიზი (ტბა ყაზახეთის სსრ-ში). კ-ს ნაცვლად ქ: Аккерман — აქერმანი (ქალაქი ოდესის ოლქში), Акмолинск — აქმოლინსკი (ქალაქი ყაზახეთის სსრ-ში), Нижнее Кушто — ქვემო ქიუტო (ტბა კარელიის ასსრ-ში). Кувандык — ქუვანდიქი (ქალაქი ორენბურგის ოლქში); ან ყ: Казыр — ყაზირი (მდინარე კრასნოიარსკის მხარეში), Казалинск — ყაზალინსკი (ქალაქი ყაზახეთის სსრ-ში), Казаникольское — ქანანიოლსკოე (დაბა ბაშკირეთის ასსრ-ში); ტ-ს მაგივრად თ: Татарка — თათარკა (დაბა მოგილიოვის ოლქში), Татарск — თათარსკი (ქალაქი ნოვოსიბირსკის ოლქში); კს კომპლექსი გადმოცემულია ღს-თი: Бунакск — ბუნიაკსკი (ქალაქი დაღესტნის ასსრ-ში) და ბევრი სხვა.

უნდა იყოს: არღუნი, ვაზიმური, აქერმანი, ქვემო კიუტო, ქუვანდიქი, ყაზირი, ტატარსკი, ტატარკა, რადგანაც ეს სახელწოდებები ან რუსულია, ან რუსულის გზით გვაქვს მიღებული (როგორც ცნობილია, რუსული ბგერები

Г. К. Т ქართულში გადმოიცემა შესაბამისად გ, კ, ტ-თი). ასევე რუსული სახელწოდებებია (თუმცა ისინი გვხვდება ყაზახეთსა და ბაშკირეთში) — აკმოლინსკი, კაზალინსკი, კანანიკოლსკოე (ამაზე მიუთითებს მათი დაბოლოებები) და კ ბგერის გადმოცემა ჭ-თი, მით უმეტეს ყ-თი გაუგებრობის შედეგია. თუ ზოგი მათგანი ქართველი მკითხველისათვის უცნობია, აკერმანი და აკმოლინსკი მაინც საკმარისად გავრცელებული იყო ქართულში და ყოველთვის სწორად გამოითქმოდა (ჩოდის, სად, რა მომენტში გაჩნდა აქერმანი, აკმოლინსკი?). რაც შეეხება Тенгиз-ს, ამ სახელწოდების ტბა ყაზახეთშია; სიტყვა თურქული წარმოშობისა და ცნობილია, რომ თურქულად არის „თენგაზ“ (მაშ, საიდან მივიღეთ ქართულში ღ?)¹.

კიდევ უფრო ძნელი ასახსნელია ლ „ბუინაღსკი“-ში. ქალაქის სახელწოდება Буинакск წარმოდგება დაღესტნელი რევოლუციონერის ფსევდონიმის Буинакский-დან (რომელიც, თავის მხრივ, მიღებულია სოფლის სახელ ბუინაკი-დან). მაშასადამე, ქართულად უნდა „ბუინაქსკი“ (ასეც ვეცოდით აქამდე).

2. თანხმოვანფუძიან სახელწოდებებში სახელობითი ბრუნვის დაბოლოება -ი გამოყოფილია დედისით. ამ წესს, თავისთავად კარგს, მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, ფუძისეული ი რომ უღედისოდ ყოფილიყო. მაგრამ ხშირად რეთ სიტყვებშიცაა -ი გამოყოფილი, როგორცაა იუჟნი (რუს. Южный, გვ. 144), ალექსანდრო-ნეჟსკი-ი (Александро-Невский), ჩეხოქსარი-ი (Чебоксары), ჩაიკოვსკი-ი (ტბა პერმის ოლქში) და სხვ.

3. ლექსიკონში 800-ზე მეტი ნასოფლარის სახელია შეტანილი. როგორც ჩვევია, ამ სიაში ყველაფერი რიგზე ვერ არის.

ა) ზოგი ადგილის სახელი დამახინჯებულია. მაგ., არის აბაბუნა, უნდა იყოს აბაბუნნი, აერილახევი წარმოდგენილია აგრილახევის სახით, ესაჩუს ნაცვლადაა ესაჩო, ხოლო გარბანის მაგიერ კარბანი, უნდა იყოს კვირიწმინდა და არის კვირისი. ბ) ნასოფლარებად არის შეტანილი მთელი რიგი სოფლები, სადაც ამჟამად ხალხი ცხოვრობს (ზოგ მათგანში ზამთარ-ზაფხულ, ზოგში კი ზაფხულობით); ასეთებია: ხეესურეთში — ამაღა, გორგინწმინდა (გორწმინდა), სახილე; ფშაში გოგოლაურთა, გომეწარი, ყოფჩა, ცაბურთა; თუშეთში — ილიურთა, ქუმელაურთა, ხისო, ჯვარბოსელი და სხვ. სადაწქროკალა დაუსახლებელი ადგილის სახელია ხეესურეთში და არა ნასოფლარი². რა საპირაოა საქართველოს ნასოფლარების რიცხვის ასე ხელოვნურად გაზარდა?

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლისა, თავის დანიშნულებას ეს ლექსიკონი მაინც შეასრულებს, რადგან მასში შესულ გეოგრაფიულ სახელთა უმეტესობა, ვიმეორებთ. დამაკმაყოფილებლად არის ტრანსკრიბირებული და ახსნილი.

ამ სტატიის დაწერა გამოიწვია არა იმდენად თვით ლექსიკონმა, რამდენადაც ამ ლექსიკონს წამძღვარებულმა პატარა წერილმა — „ქართული გეო-

¹ სხვათა შორის, ჩვენში ვავრცელებული მამაკაცის საკუთარი სახელი „თენგაზი“ იგივე თურქულ სიტყვაა.

² ღშავე-ხეესურეთისა და თუშეთის „ნასოფლარებიდან“ სწამდელურში მხოლოდ ორი გამოღვა ნასოფლარი: გუდაანთა და დადიურთა. ამის შესახებ ცნობები მოგვაწოდეს პროფ. უთურგაძემ და უფრ. მეცნ. თანაშრ. ალ. ქინჭარაულმა, რომლებიც კარგად იცნობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს.

გრაფიული ტერმინოლოგიის შესახებ³, რომელმაც შეიძლება ბევრი ვაუგებ-რობა გამოიწვიოს.

წერილში ავტორი გადმოსცემს თავის მოსაზრებებს სხვადასხვა გეოგრაფიული სახელის ქართული დაწერილობის თაობაზე. სრულიად ბუნებრივია, რომ გეოგრაფიის სპეციალისტს თავისი შეხედულება ჰქონდეს ამგვარ საკითხებზე და მსჯელობდეს მათ შესახებ, მაგრამ გაკვირვებას იწვევს შემდეგი გარემოება: წერილი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ავტორის გულისწყრომით ყველა იმათ მიმართ, ვისაც კი რამე კავშირი აქვს გეოგრაფიულ სახელთა ქართულად გადმოცემასთან.

დაეუგდოთ ყური ავტორს: „გ ა ნ ა მ ო ს ა თ მ ე ნ ი ა, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი დღემდე არ გაგვაჩნია? ს ა ო ც ა რ ი ა, რომ დღეს. როდესაც... გვაქვს გეოგრაფიის... ინსტიტუტი, გეოგრაფიული საზოგადოება, რამდენიმე გეოგრაფიული ფაკულტეტი და კათედრა. გვყავს ასობით მაღალკვალიფიციური მეცნიერ მუშაკი, ეს საქმე მინც მოუგვარებელია“ (გვ. 5)⁴.

ამგვარად. პროფ. გ. ზარდალიშვილის პირველი (თუ შეიძლება ასე ითქვას. „მოკლე“) მახვილი მიმართულია თავისი კოლეგებს — გეოგრაფების წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც შემდეგ ირკვევა. წერილის ავტორი გაჭაყრებული ყოფილა, პირველ ყოვლისა. ენათმეცნიერებზე (თანაც არა რომელიმე ცალკეულ პიროვნებაზე. არამედ, ს ა ე რ თ ო დ. ენათმეცნიერებზე), რომელთაც ეკითხებათ ზოგჯერ რამ რუსული და უცხოური გეოგრაფიული სახელწოდებების ქართულად გადმოცემისა და, საერთოდ, გეოგრაფიული ნომენკლატურის ენობრივი მოწესრიგების საქმეში.

მე-ნ ვერაღზე ვკითხულობთ: „ვ ე რ ა და ვ ე რ გ ა მ ო ი ძ ე ბ ნ ა ს ა ე რ თ ო ე ნ ა ენათმეცნიერებთან, რომელთა დიდი ნაწილი ტრადიციას იმოწყებს და არ სურს ზოგიერთი სიახლის შეტანა არსებულ მკვლარ გეოგრაფიულ სახელწოდებებში“.

ჯერ ერთი, არავითარი დისკუსია (არც რომელიმე სესიაზე, არც რაიმე ბეჭდვით ორგანოში) ამ საკითხებზე გეოგრაფებსა და ენათმეცნიერებს შორის არ ყოფილა. პირიქით, ისინი ხშირად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და მათ შორის ყოველთვის ურთიერთგაგებაა. ამის საუკეთესო დადასტურებაა „გეოგრაფიის ტერმინოლოგია“. რომელიც 1967 წ. გამოიცა კახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის გრიფით. უფრო ადრე ამ ორი ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერებმა ერთობლივად განიხილეს და დააზუსტეს საქართველოს სსრ რუკაზე დატანილ გეოგრაფიულ სახელწოდებათა რუსულ-ქართული ლექსიკონი. მეორეც, ტრადიციას (ბევრ წევრ ფაქტორთან ერთად), რა თქმა უნდა, ითვალისწინებენ ენათმეცნიერებიც (არა მხოლოდ მათი „დიდი ნაწილი“, არამედ ყველა, ვისაც ამ საკითხებზე მუშაობა უხდება), გეოგრაფებიც, ისტორიკოსებიც, ოღონდ ტრადიცია არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი კრიტერიუმი სიტყვის მართლწერის დადგენისას.

აქი თვით პროფ. გრ. ზარდალიშვილიც ჯეროვანი ყურადღებით ეკიდება ტრადიციას, წერილის ის აბზაცი, რომლიდანაც ციტატა მოვიყვანეთ, იწყება შემდეგი სიტყვებით: „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციას. ზოგჯერ

³ [ლოკლისათვის მას უეუღან „წერილად“ მოვიხსენიებთ.

⁴ საზი აწაც რა ჩემოთაც უეუღან ჩვენია. — მ. ქ.

ვიკით. რომ ესა თუ ის გეოგრაფიული სახელწოდება თავისი გამოთქმით არ შეესაბამება სინამდვილეს. მაგრამ რადგანაც ის დამკვიდრებულია ჩვენს ლიტერატურაში, არ ვცვლით“ (გვ. 6). ცოტა ქვემოთ წერია შემდეგი: „ტრადიციას ანგარიში უნდა ვაწყოსო“ და ამ სიტყვებს მოსდევს სრულიად შეუსაბამო დასკვნა: „ამრიგად, ტრადიცია ხომ რაღაც ურყევი არ არის? ან რა დაჰედება, თუ ზოგიერთი მცდარი ტრადიცია დაირღვა? მით უმეტეს, რომ როგორც წესი, გეოგრაფიულ (და, საერთოდ, საკუთარ) სახელთა შესახებ დავა იწყება იქ, სადაც ტრადიციას ეხებებით(?)“. იმავე გვერდზე ბოლო აბზაცში ვკითხულობთ: „ეგრეთ წოდებული ტრადიციის გამო დღესაც არასწორად იწერება მთელი რიგი საკმაოდ ცნობილი და პოპულარული სახელწოდებები, განსაკუთრებით ისეთი სუფიქსიანი რუსული სახელწოდებები, როგორც *Стаповой хребет*, *Авачииская сопка* და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ავტორს მოჰყავს მხოლოდ ორი მაგალითი და აქედან მსჯელობს ერთზე; რატომ არის ამ კონტექსტში *Авачииская сопка* დასახელებული და რა იგულისხმება სიტყვებში „და ასე შემდეგ“. გაუგებარია. ამ ორ სახელს სხვადასხვაგვარი მიდგომა სჭირდება ქართულად გადმოღებისას (მაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ ეს სახელები არც პოპულარულია და არც რაიმე ტრადიციის მქონე ქართულში).

რაც მთავარია, მსჯელობა მცდარია; გრ. ზარდალიშვილი განაგრძობს: „რატომღაც „სტანოვოი ქედი“ ქართულად ისევე იწერება, როგორც რუსულად. სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს ფუძესთან *стан* (*туловище*) და სუფიქსთან *овий*. ქართულად კი უნდა ითქვას არა სტანოვოი, არამედ „სტანის ქედი“ (გვ. 6—7). რატომ? საიდან გამოდის? დასაბუთება არა ხანს.

ჩერ ერთი, რუსულში არის სამი ომონიმიური სიტყვა *стан*. თითოეულ მათგანს აქვს რამდენიმე მნიშვნელობა და რატომ მაინცდამაინც *туловище* უნდა მივიჩნიოთ ქედის სახელწოდების ამოსავლად? მეორე: განა *стан*-ის მნიშვნელობა *туловище* საბუთად გამოდგება, რომ ქართულად ვთქვათ „სტანის ქედი“? და მესამე: ამ ქედის სახელწოდება *становой* ნიშნავს „მთავარს, ძირითადს“⁵. მისი ქართულად თარგმნა არ არის მიზანშეწონილი („მთავარი ქედი“ ან „ძირითადი ქედი“ — არ გამოდგება) და გვექნება „ქედი სტანოვოი“ (სტეები, მოიძებნება ასეთები: შდრ. შავ., „ტბა სულოჩი“ და მისთ).

რაც შეეხება *Авачииская сопка*-ს. ქართულად სწორია „ავაჩის სოპკა“. რადგანაც სახელწოდება მოცლებულია მდ. *Авача*-ს სახელიდან.

მართო ამ ორი გეოგრაფიული ერთეულის კი არა. ჭერჭერობით ბევრი სხვა პუნქტის, მთის, მდინარის და მისთ. სახელწოდებებს წერდა სხვადასხვაგვარად. და მართო ქართულში არ არის ასეთი მდგომარეობა. ისეთ ენებშიც, როგორცაა: ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული და სხვ., ბევრი გეოგრაფიული სახელწოდება გვხვდება ორ-ორი და მეტი დაწერილობითაც.

სხვათა შორის, პროფ. გრ. ზარდალიშვილმაც იცის ეს გარემოება და, თუ წერილის დასაწყისში გამოთქვამდა განცვიფრებას — აქამდე როგორ ვერ მოხერხდა ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების დადგენაო, იქვე, იმავე გვერდზე, სრულიად საწინააღმდეგოს წერს (და თანაც ძალიან გაზვიადებულად

⁵ «*Становой хребет* — горная цепь на Дальнем Востоке. Название из нарицательного обозначения главной оси гор (становой — «основной»), от которой отходят перечные хребты» (В. А. Никонов, Краткий топонимический словарь, М., 1966).

წარმოგვიდგენს საქმის ვითარებას): „გეოგრაფიული ნომენკლატურის სრულად ათვისება(?) საქმოდ რთული საკითხია და დღეისათვის საქმოდ ძნელია თუნდაც მიახლოებით დაზუსტებულ იქნას(?) ყველა გეოგრაფიული სახელწოდება. ხშირად ისიც არ ვიცი, როგორ გადმოვეთ... მშობლიურ ენაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული სახელწოდებანი“.

„ყველაზე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული სახელწოდებანი“ ქართულში არ მოითხოვს არავითარ დაზუსტებას.

პროფ. გრ. ზარდალიშვილი შემდეგ ამბობს: „მარტო ტრადიციით ვერ ვინელმძღვანელებთო“ და განაგრობს: „ისე რომ ვწეროთ რიგი სახელწოდებები, როგორც თუნდაც ხუთი-ათი წლის წინ, მაშინ სრულ ჩამორჩენილობას დაგვწამებენ. აი, მაგალითად, თუ ჩვენ თვალწინ რა სისწრაფით იცვლება საქმოდ ცნობილი და თათქმის ტრადიციად ქცეული გეოგრაფიული სახელწოდებები:

| წ ი ნ ა თ | ა ხ ლ ა |
|---------------|-------------------|
| ბენარესი | ვარანასი |
| ქონკონგი | სიანგანი |
| პონდიშერი | პუტუჩერი |
| კანტონი | გუანჩოუ |
| მუელნი | შენაჩი |
| დალნი | ლიუილა |
| ბოსორჩი | ბოლაზი |
| მდ. ზერაჟშანი | ზარაჟშანი |
| ქ. ბეჟუვატი | ბეჟაბალი და ა. შ. |

აქ უკვე ტრადიცია უძღურიაო, — დასკვნის ავტორი (გვ. 7). მერედა, ვინ ამბობს, რომ მარტო ტრადიციით ინელმძღვანელებთო?

ცალკეულ გეოგრაფიულ ერთეულებს (ქალაქებს, სოფლებს, სახელმწიფოებსაც კი...) სხვადასხვა მოსაზრების გამო ზოგჯერ უცელიან სახელებს. ყველა რუკაზე. ცნობარში, ლექსიკონში, ენციკლოპედიაში და მისთანებში. ბუნებრივია, აისახება ყოველი ასეთი ცვლილება: ასეა ყველა ენაზე, ასეა ქართულშიც. „თუ არ შევეცალეთ, ჩამორჩენილობას დაგვწამებენო“ — განა ვინ-მე არის ახალი სახელწოდებების ლექსიკონებში შეტანის წინააღმდეგი? ჩვენ უფრო მეტს ვიტყვი და გავზრდით ამ სიას. მაგალითად, როგორც ცნობილია, კონგოს რესპუბლიკას (დედაქალაქი კინშასა) 1971 წლიდან ეწოდება ზაირის რესპუბლიკა, სოლო ცვილონის რესპუბლიკას — შრი ლანკის რესპუბლიკა. ეს ხომ სახელწოდების მართლწერის საკითხი არ არის?

თვით პროფ. გრ. ზარდალიშვილის აქ მოყვანილ სიაში ზოგი რამ დასაზუსტებელია. მაგალითად. დალნის „ლიუილა“ კი არ დაერქვა, არამედ „დალიანი“; ლიუილა საერთო სახელია იმ ადმინისტრაციული რაიონისა. რომელზეც შედის დალიანთან ერთად ქ. ლიუშენი (ყოფ. პორტ-არტური) და ზოგი სხვა პუნქტი (იხ. დილა საბჭოთა ენციკლოპედია, მე-3 გამოც., ტ. 7. გვ. 521). ბოსფორის თურქულად ეწოდება Karadeniz Boğazi. რაც ნიშნავს „შავი წდვის სრუტეს“, ძველად ქართულში „ბოლაზი“ იხმარებოდა „ნავსადგურის“ მნიშვნელობით. მაგრამ „ბოსფორი“ რომ „ბოლაზად“ შეცვლილიყოს ქართულში, ჩვენ არ გვსმენია.

ზერაჟშანი და ზარაჟშანი არ არის ერთი და იგივე. პირველი ეწოდება საქმოდ ცნობილ მდინარეს, რომელიც მიედინება ტაჭიკეთსა და უზბეკეთში.

ხოლო მეორე — ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტს უზბეკეთში (დიდი საბჭ. ენციკლ., ტ. 9, გვ. 368 და 513).

სრულიად განსხვავებული ტიპის მაგალითებია თავმოყრილი წერილის მომდევნო აბზაცში, სადაც სიტყვასიტყვით შემდეგი წერია: „განა ჩვენ თვალწინ არ იქნა გასწორებული ისეთი სახელწოდებები“. *„Тифлис — თბილისი(!!), პირენეები — პირენე, ავაჩინის სოპკა — ავაჩის სოპკა, ბარაბანის სტეპი — ბარაბის სტეპი, ნენეტა ნაც. ოკრუგი — ნენთა ნაც. ოკრუგი. ჩილი — ჩილე და სხვ.“*

რუს. Тифлис გასწორდა „თბილისად“⁹⁸.

რაც შეეხება „ავაჩის სოპკას“, მკითხველი ვერ გაიგებს — „გასწორდა“ ეს სიტყვა თუ არა; წერილის ავტორი მე-6 გვერდზე ამბობს, რომ «ევრეთ წოდებული ტრადიციის გამო დღესაც არასწორად იწერება „ავაჩინის სოპკაო“», აქ კი მე-7 გვერდზე გვეუბნება, „ავაჩინის სოპკა“ გასწორდა „ავაჩის სოპკადო“!

ასევე აქ: პირენეები გასწორდა პირენე — ფორპითო. ხოლო ქვემოთ (მე-8 გვერდზე): არასწორად დამკვიდრდა ქართულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში უცხოური წარმოშობის რიგი მთების სახელწოდებანი მრავლობით რიცხვშიო (და მოყვანილია „პირენეების“ მსგავსი მაგალითები: ანდები, აპენინები, კორდალეგები და სხვ.). პროფ. გრ. ზარდალიშვილის აზრით უნდა იწერებოდეს: აპენინი, კარპატი, კორდილიერა, ბესციდი, სიაანი, და ა. შ. (გვ. 8). საბუთი? **ა რ ა ვ ი თ ა რ ი.**

საქმე ის არის, რომ გეოგრაფიულ ლიტერატურაში ასეთ სახელწოდებებს ჯერჯერობით ისე წერენ, რომელ ავტორსაც როგორ მიაჩნია მართებულად; ასევე პრენსაშიც. ჩვენი აზრით, აქ მხოლოდობით რიცხვს გაშართლება არა აქვს. ყველა ასეთი სახელწოდება მიკუთვნებული აქვს მათათა სისტემებს, მთაგრეხილებს, რომლებიც შედგება მრავალი ქედისა და მთისაგან და ვრცელდება ასეული და ათასეული კილომეტრების მანძილზე.

პროფ. გრ. ზარდალიშვილი შემდეგ წერს: „რუსულ-ქართულ ლექსიკონში მოთავსებულ საკუთარ სახელთა სიაში ასევე შეცდომით არის შეტანილი ალპები, მაგრამ ანდის მთები, პირენეს მთები, აპენინის მთები, კარპატის მთები, კორდილიერის მთები, როგორც ვხედავთ. ზოგი სწორია, ზოგი კი — არასწორი“ (გვ. 5). გრ. ზარდალიშვილის მიახლოებით ამ სიაში „არასწორი“ გამოდის მხოლოდ ერთი — „ალპები“, მაგრამ სინამდვილეში „ალპებიც“ სწორია და „ალპის მთებიც“ „კარპატებიც“ და „კარპატის მთებიც“. განა ასევე არ არის რუსულად: *Апеннинские горы* და *Апеннины. Балканские горы* და *Балканы*?

მე-7—8 გვერდზე პროფ. გრ. ზარდალიშვილი წერს: „როგორც დაინახეთ, სწორი დაწერალობა ლექსიკონებშიაც კია შეტანალო. მაგრამ საბოლოოდ მათი გამართვა ვერ მოხერხდა. რასაც წინ უდგას ხოლმე ერთი „საფრთხობელა“. რომელსაც მეტწილად ენათმეცნიერები მოიშველიებენ ხოლმე. ეს საფრთხობელა ტრადიციას, რომელსაც სწორად... „ვეტოს“ ძალა ენაჭება. ტრადიციასა და უნდა ვწეროთ ქართული ენისათვის შეუფერებელი „ალპები“.

⁹⁸ 1926 წელს მოწესრიგდა საქართველოს რიგი გეოგრაფიული სახელწოდების რუსული დაწერალობა. მათ შორის Тифлис შეცვალა ქართულთან უფრო ახლო მდგომარე ტიპის თბილისი. ამასთან ერთად აღიწერა შემოღობული იქნა სახელმწიფო ქარსული საწვინო სარეზერვუარო „თბილისი“ ადრე ცნობილი „თბილისი“. ეს გამოდის განა ზემო მოყვანილი ციტატაც?

„ნიდერლანდები“. „გრენლანდია“ და არა მართებული „ალპის მთები“, „ნიდერლანდი“, „გრენლანდი“. მაგრამ ტრადიცია ხომ თაობიდან თაობაში გადამავალ წეს-ჩვეულებას, გინდა სიტყვა-ხმარებას ეწოდება და ტრადიციის რანგში(!) მხოლოდ მრავალი ათეული წლის განმავლობაში დამკვიდრებული მოვლენა უნდა მოვაქციოთ... ნამდვილი კურორტული მდგომარეობა გვაქვს. ზოგიერთ სახელწოდებას ეწერთ „ია“ სუფიქსით (ისლანდია, შოტლანდია, გრენლანდია, ახალი ზელანდია, ირლანდია, პოლანდია), ხოლო უმეტესობას კი „ი“ სუფიქსით: გოტლანდი, ნიუფაუნდლენდი, ნიდერლანდი, ტაილანდი, პორტლანდი, კენსლენდი და სხვ. ყველა მათგანის დაბოლოება ლანდ (ლუნდ) ქვეყანას ნიშნავს და თითქოს ერთნაირი დაბოლოება უნდა ჰქონდეს, მაგრამ ნორედ მკდარი ტრადიციის გამო ადგილი აქვს აღრევას. ასეთი სახელწოდებები შენოვიდა... რუსულიდან და ჩვენ მზამზარეულად გადმოვიღეთ და ეწერთ ისე, როგორც წერენ რუსები, თითქოს არაფის აზრად არ მოუყა წყლის და წარმოთქვას ტაილანდია, ნიდერლანდია, ნიუფაუნდლენდია, გოტლანდია. საესებოთ სამართლიანი იქნება ქართული ენის ბუნების შესაბამისად ეწეროთ და წარმოთქვათ გრენლანდი, ისლანდი, შოტლანდი, ირლანდი, ახალი ზელანდი და ა. შ.“

განვიხილოთ ეს ამონაწერი თავიდან: სწორი დაწერილობა ლექსიკონებშიაც კია შეტანილი (გამოდის, რომ ლექსიკონებში სწორად თუა რამე, გასაკვირია!), მაგრამ მათი საბოლოოდ გამართვა ვერ მოხერხდაო. როგორ შევეუთანებოთ ერთმანეთს ამ წინადადების თავი და ბოლო? (ერთი მხრივ, სწორი დაწერილობა: ლექსიკონებში, მეორე მხრივ, მათი გამართვა საბოლოოდ ვერ მოხერხდა!). ნამდევ: „ენათმეცნიერები იშველეებენ ტრადიციას. რომელიც საფრთხობელაა და რომელსაც ხშირად „ვეტოს“ ძალა ენიჭებაო“. თუ სიტყვები სწორად არის ლექსიკონებში, თუ პროფ. გრ. ზარდალიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი გამოიცა, რა „ვეტოზეა“ ლაპარაკი?

წერილის ამ მონაკვეთში ერთად არის მოქცეული სრულად სხვადასხვა ტიპის სახელწოდებები: ალპები, ნიფერლანდები და გრენლანდია.

ალპები და მსგავსი სახელწოდებები ზემოთაც იყო მოყვანილი და მათზე აქ აღარ შევხერხდებით. „ნიდერლანდი“ ვერ გაუთანაბრდება „გრენლანდიას“, „ისლანდიას“. „შოტლანდიას“ და მისთანებს. აქ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: ნიფერლანდი თუ ნიფერლანდები („ნიდერლანდია“ არასოდეს არ ყოფილა). ამ ქვეყნის სახელწოდებას სპეციკლისტები, აგრეთვე გაზეთები, ხან ერთი ფორმით წერენ, ხან მეორით (ისე, რომ ენათმეცნიერები და მათი ე. წ. „ვეტო“ არაფერ შეუაშია). ჩვენი აზრით, მხოლოდობითში უნდა იყოს („ნიდერლანდი“) და რაკი პროფ. გრ. ზარდალიშვილიც ამავე აზრისაა, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

რაც შეეხება გრენლანდიას, ისლანდიას, შოტლანდიას, პოლანდიას და მისთანებს, ძველთაგანვე ასეა შემოსული ქართულში და ჩვენ ახლა არაერთარი საფუძველი არა გვაქვს შევეცვალოთ მათი ფორმა. ბევრზე ბევრი უცხო სიტყვა (მათ შორის გეოგრაფიული საკუთარი სახელები) ქართულში შემოსულია რუსულის გზით და ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაეწიოს (ეწვევა კიდევაც). ნასესებმა სიტყვამ შეიძლება ერთი, ორი და მეტი ენაც „გამოიაროს“, სანამ ქართულში შემოვიდოდეს და „თან წამოილოს“ ამ შუალედურ ენებში შექმნილი ელემენტები (ასევეა სხვა ენებში).

შემდეგ: „ტრადიცია ხომ თაობიდან თაობაში გარდამავალ... სიტყვახმარებას ეწოდება... და მრავალი ათეული წელი იგულისხმებათ“. განა აქ სწორედ ასეთი შემთხვევა არა გვაქვს? მართლაც, გუშინ და დღეს ხომ არ გაჩენილა ქართულში „შოტლანდია“, „გრენლანდია“, „ისლანდია“ და მისთ. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ჟერ კიდევ მე-19 ს.-ში იხმარებოდა ასე. მოვიგონოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის წერილები უცხოეთზე. სადაც ირლანდიაც მრავალგზის არის ნახსენები და ბევრი სხვა მსგავსი სახელწოდებაც.

ასლა რაც შეეხება ე. წ. „უჩროზულ მდგომარეობას“. რაც თურმე იმით გამოიხატება, რომ ზოგ სახელწოდებას ვწერთ „ია“ დაბოლოებით (ისლანდია, შოტლანდია...), ხოლო უმეტესობას „ი“ დაბოლოებით (გოტლანდი, ნიუფაუნდლენდი...).

ამ ტიპის სახელთაგან -ი დაბოლოების მქონეა სულ ხუთიოდე: გოტლანდი, ნიუფაუნდლენდი, კვინსლენდი, ჰორტლენდი, ტაილანდი — ე. ი. ისინი, რომლებიც გრ. ზარდალიშვილს მოჰყავს (შეიძლება მოიძებნოს კიდევ რამდენიმე, რომლებიც იშვიათად შეგვხვდება). ხოლო „ია“-თი ბოლოვდება (ე. ი. *მოვანფუნდია) გაცილებით მეტი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენს ნებაზე ყველაფერს ვერ გავაერთვებთ. მერედა, მართო „ლენდ“-ით გაფორმებული სახელები ხომ არ არის გასათვალისწინებელი. თუ ჩვენ სიტყვის შემოსვლის გზას (ამ შემთხვევაში — რუსულს) უგულვებელყოფთ, მაშინვე დადგება ბევრი ისეთი სახელწოდების შეცვლის საკითხი, როგორცაა: შვეიცარია, იაპონია, ნორვეგია (ქვეყნები). ვენა, ენგვა, ლოზანა, მილანი, ტურინი... (ქალაქები). სენა, რონა, გარონა, ელბა (მდინარეები). ესენი ხომ ყველანი რუსული გზით გვაქვს მიღებული?

უფრო მეტსაც ვიტყვით: იმ ტიპის სახელებშიც კი, რომლებსაც ინგლ. land დაბოლოება აქვს, არ არის ერთგვარობა. რუსულში (და აქედან — ქართულში) ზოგი — ინგლისური გამოთქმის მიხედვითაა შემოსული: Финляндия-ланд ნიუფაუნდლენდი, Кви́нсленд კვინსლენდი, Портленд პორტლენდი⁷, ზოგიც — ინგლისური დაწერლობის მიხედვით: Готланд გოტლანდი, Таиланд ტაილანდი.

როგორც ჩანს, ეს სხვაობა შეწყნარებულია გრ. ზარდალიშვილის მიერ. სოლო რაც შეეხება „ქართული ენის ბუნებას“. რომელიც ასე ხშირად მოჰყავს არგუმენტად წერილის ავტორს, საიდან ჩანს, რომ ეს „ბუნება ვერ იტანს“ „ია“ დაბოლოებას (თანაც, ათეული და ასეული წლების წინათ დაშვებულს)?

პროფ. გრ. ზარდალიშვილი, ეხება რა ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონს, წერს: „გაუგებადია, რომელ პრინციპებს ემყარება [ამ ლექსიკონში] მოტანილი სახელწოდებები, გარდა ამისა გამოტოვებულია ბევრი დიდი ქალაქის სახელწოდება“ (გვ. 8) და ავტორს არც ერთი მაგალითი არ მოჰყავს ამ თავის ბრალდების დასასაბუთებლად (უკვე მერამდენედ!).

აქად, ვ. თოფურიას რედაქციით გამოცემულ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (შემდგენლები ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი) გეო-

⁷ და არა „პორტლანდი“ (როგორც გრ. ზარდალიშვილი წერს). სინტერესოა ამ სიტყვის ბედი: თუ ქალაქის სახელად გამოითქმის იგი როგორც „პორტლენდი“, ამ ქალაქიდან ერთგვარმა ცემენტმა მიიღო სახელწოდება — „პორტლანდცემენტი“ (ასეა დაშვებული ტექნიკურ ლიტერატურაში).

გრაფიული სახელწოდებები წარმოდგენილია ქართული სალიტერატურო ენის მოთხოვნათა დაცვით; ლექსიკონის ავტორები იმასაც ითვალისწინებენ, რომ ცალკეული სახელები გვხვდება სხვადასხვა დაწერილობით; ზოგჯერ მოცემულია პარალელური ფორმები; მაგ., ტრამზონი // ტრაპიზონი. ზოგჯერ ნახევრება, თუ ორი ფორმიდან რომელს ეძლევა უპირატესობა; მაგ., ტიმოთესუბანი (// კიმოთესუბანი). „ლექსიკონის აგებულებაში“ ვკითხვლობთ: „უცხოური პირთა და გეოგრაფიული სახელების დაწერილობები დღევანდელ ვითარებას ასახავს“ (გვ. 020) ისე, რომ „გაუგებარია, რომელ პრინციპებს ემყარებაო“ — პროფ. გრ. ზარდალიშვილის ლიტონი განცხადებაა.

შემდეგ ორთოგრაფიული ლექსიკონიდან შეტყობის ნიმუშებად ჩამოწერილია ორ სვეტად რვა გეოგრაფიული სახელწოდება:

| | |
|---------------|--------------------------------|
| ა რ ის | უ ნ და ი ყ ო ს |
| აქმოლინსკი | ცელინოგრაღი |
| აქტიუბინსკი | აქტუბინსკი |
| ბურიატთა ასსრ | ბურიატეთის ასსრ |
| დერბენტი | დერბენდი (ქე. ქართ. დარუბანდი) |
| კარელა | კარელის ასსრ |
| კაშკა-დარია | ყამქა-დარია |
| ნახიჩევანი | ნახჭევანი |
| ტუვის აო | ტუვის ასსრ (1961 წლიდან) |

სინამდვილეში აქაც სხვადასხვა ტიპის მაგალითებია ერთად მოქცეული.

აქმოლინსკი ორთოგრაფიულად უნაკლოა (გულინოგრაფი ამ ქალაქის ახალი სახელია). აქტიუბინსკიც ერთი იმ სახელწოდებათაგანია, რომელშიც ქართული ორთოგრაფიის მიხედვით არაფერი სადავო არ შეიძლება იყოს. მტკიცედ დადგენილი წესია, რომ რუს. **Ю** იუ-დ გადმოღის (იხ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 25). გარდა ამისა, **АКТИУБИНСК** არის რუსული სახელწოდება და ჩვენს ენაში რუსულიდან არის შემოსული (შდრ. დაბოლოება -**ИНСК**). ამიტომ უნდა აქტ... და არა აქთ...

რუს. **Дербент**-ის შესატყვისად დღეს „დარუბანდს“ ვერ დაწვევთ, რადგანაც ახალ ქართულში ეს უეანასკნელი აღარ იხმარება; მაშასადამე, უნდა გადმოვიღოთ, როგორც არის: „დერბენტი“. ჩვენს ნებაზე ცალკეულ ბგერებს ვერ შეეცვლით. ნტ კომპლექსი ქართულისათვის უჩვეულო არ არის.

კაშკა-დარია რუსულის გზით არის მიღებული; თუ გვინდა დავიცვათ ამ სიტყვის თურქულენოვანი გამოთქმა (რასაც თავისი გამართლება ექნება), მივიღებთ კაშკა-დარიას და არა ეაშკა-დარიას.

რაც შეეხება ამ სიაში შეტანილ სხვა სახელწოდებებს, ისინი ორთოგრაფიულ ლექსიკონში წარმოდგენილია იმ ფორმით, რომლითაც ლექსიკონის შედგენის დროს ოფიციალურ დოკუმენტებში იყო შესული.

წერილში შემდეგ ვკითხვლობთ: ორთოგრაფიულ ლექსიკონში შეტანილ „საქართველოს რიგ გეოგრაფიულ სახელწოდებებშიც აღრევაა. ასე. მაგალითად, ლექსიკონში დასახელებულია აქვიტანიის დაბლობი (საფრანგეთი) და მოხსენებული არ არის ქვემო და შიდა ქართლის ვაკეები“ (გვ. 9).

ჯერ ერთი ლექსიკონში აკვიტანია (სწორი დაწერილობით) და არა „აკვიტანია“. როგორც ცნობილია, ლათ. **qu** გადმოიცემა კვ კომპლექსით (იხ. იგივე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, გვ. 47). მეორეც,

გაუგებარია, რატომ არის მიჩნეული აკციტანიის დაბლობის შეტანა აღრე-
ვად საქართველოს რიგ გეოგრაფიულ სახელწოდებებში?

ცოტა ქვემოთ: „ჩამოთვლილია საქართველოს სოფლები, მაგრამ არა ყველა, ამასთანავე დასახლებულია ზოგიერთი ნასოფლარი, თუმცა მითითებული არ არის, რომ ეს ნასოფლარია (მაგ., ილიურთა, ჭვარბოსელი, ხისო, ქუბელაურთა და სხვ.). სამწუხაროდ, ჩამოთვლილია ბევრი არარსებული სოფელი, მაგალითად, გაჩიანი, ქუციანი, არჭევანი, კაცხალიეთი და სხვ. არ არის მითითებული, რომ ზოგიერთი დასახლებული პუნქტი წარმოადგენს დაბას“ (გვ. 9).

ყველა სოფელი არც უნდა იყოს ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში. მასში შეტანილია მთავარი დასახლებული პუნქტები და დანარჩენებიდან ისეთები, რომლის მართლწერა შეიძლება სადავო იყოს.

რაც შეეხება ვითომდა არარსებულ სოფლებს, ისინი ორთოგრაფიულ ლექსიკონში არის იმიტომ, რომ შესულია ოფიციალურ დოკუმენტში — „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში“ (1966 წ.), როგორც სოფლები ახმეტის რაიონში. და თუ როგორი ნასოფლარებია ილიურთა, ჭვარბოსელი და სხვ., ამაზე წერილის დასაწყისში გვქონდა ლაპარაკი.

ორთოგრაფიულ ლექსიკონში შეტანილ „არარსებულ სოფლებში“ გრ. ზარდალიშვილს მოჰყავს „ქუციანი“, რომელიც დასახლებულ ლექსიკონში არ არის.

დასასრულ, ერთხელ კიდევ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ პროფ. გრ. ზარდალიშვილის ლექსიკონი ძირითადად დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მასში, სამწუხაროდ, შეტანილია ავტორისეული გაუმართლებელი, შეუმოწმებელი სიახლებები. არაკვალიფიციური გვეჩვენება სარევენზიო ნაშრომის ავტორის მსჯელობა რიგი გეოგრაფიული სახელის ორთოგრაფიასთან დაკავშირებით. გაუგებარია მისი საყვედურები ენათმეცნიერთა მიმართ ზოგადად, ვისიმე დაუსახლებლად, გაუგებარია მით უფრო, რომ წიგნის რედაქტორია ენათმეცნიერი პროფ. ალ. ლლონტი.

P. S. წერილს მოსდევს „გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონის სტრუქტურა“, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: „თავისი შინაარსის მიხედვით „სსრ კავშირის გეოგრაფიული სახელწოდებების ქართული ტრანსკრიფციის ლექსიკონში“ მოცემულია ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი გეოგრაფიული სახელწოდებების დადგენილი მართლწერა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული გეოგრაფიული მეცნიერების, არამედ მთელი ქართული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის“.

ჭერ ერთი, რას უწოდებს პროფ. გრ. ზარდალიშვილი „დადგენილს“? სად, ვის მიერ არის დადგენილი? და, მეორეც: ცოტა უხერხული ხომ არ არის ავტორი თავის შრომაზე ამბობდეს — დიდი მნიშვნელობა აქვს „...მთელი ქართული მეცნიერების შემდგომი განვითარებისთვის“?

ქრონიკა და ინფორმაცია

დისკუსია ქართული ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკის საკითხებზე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ამა წლის 9—10 აპრილს გაიმართა დისკუსია თემაზე „ქართული ლიტერატურისმცოდნეობა და კრიტიკა 1973 წელს“. მოხსენებები წაიკითხეს ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა გ. შეთყაყრმა, გ. ახვლედიანმა, რ. ბარამიძემ, ნ. ალანიამ, დ. იუბუაძემ, ვასაძემ, ლ. თეთრაძეშვილმა, შ. დუმბაძემ, ი. ლორთქიფანიძემ, შ. ნატრაშვილმა, ვ. ზუტაშვილმა. ერთ მეტყველები სისრულათ განიხილეს ყველა ის ლიტერატურული პრობლემა, რომელიც 1973 წელს დაისტამბა. მოხსენებების შემდეგ გაიმართა ახრთა გაცელა-გამოცელა. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა შ. ჯავთარიამ ილაპარაკა ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემებზე, კერძოდ ხელნაწერთა აღწერილობის VII ტომზე; აგოეთვე თავისი მოსაზრება გამოთქვა ალ. კალანდაძის ნაშრომზე „ლიტერატურულ ნარკვევებზე“ და ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემაზე „რუსთაველი“-ლოგოს საკითხებზე“.

ახლავარდა მეცნიერმა ნ. ხედელოძემ თავისი გამოცელა დაუთმო არეოპაგიტის საკითხებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ცანავამ ილაპარაკა უმთავრესად იმ ფილკლორულ მასალებზე, რომლებზეც სახევა ვერ პოვა მოხსენებებში. მან კარგი შეფასება მისცა ვ. ეიხსალაძის მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ „ქართულ თქმულელებსა და ლეგენდებს“. პროფ. შ. ჩიქოვანამ კი დისკუსიის მონაწილეთა უურაღებმა გაამახვილა აქარული ფილკლორისა და ფშაველი ხალხური მითქმელის ყრუე გიორგის ყაფიებზე. ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის დ. გოგოჭუბის გამოცელა ფილკლორის საკითხებს შეეხებოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ყათედრის გამგე პროფ. ლ. მენაბდე ძველ ქართულ მწერლობასა და რუსთაველილოგიის საკითხებს შეეხებოდა. მან გულსტიციული გამოთქვა იმის გამო, რომ ამ ორი სამეცნიერო დარგის შესახებ მოხსენებებში ვერ მოახერხა დასშული საკითხების სრული სახით წარმოდგენა. პროფ. ლ. მენაბდემ მოიწონა ლიტერატურის ინსტიტუტის

თარსნობა დისკუსიის მოწყობის შესახებ. ასეთი უსუსუსია საგრანობლად უწყობს ხელს მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობის განვითარებას. დიდი სარგებლობა მოაქვს ახრთა გაცელა-გამოცელას.

ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ნ. კლანავა ტექსტოლოგიის საკითხებს შეეხო. კერძოდ, მან ილაპარაკა მ. ყავახიშვილის თხზულებათა აყადმიწერა გამოცემის III ტომის შესახებ. ნ. კლანავამ ყურადღება მიაქცო მ. მეოკეილაძის ყრცელ ნაშრომს „რომანი და ეპიკა“, რომელიც მოხსენებლის აზრით, ვარსაწილი წლის გამოცემათა შორის ყრ-ფრთ საყურადღებო წიგნად მიაჩნევა. სინტერესო იყო ა. ს. პუშკინის სახ. ობილისის პუბლიკაციური ინსტიტუტის ყათედრის გამგის პროფ. ა. გაწერელიას გამოცელა. მან ყრცლად ილაპარაკა იუ. ლოლაშვილის ახალ ნაშრომზე არეოპაგიტის საკითხებზე, რომელშიც ავტორი ავიტარებს სყეპტიყერ თელასზარის პეტრე იბერიელის ეინაობის თაობაზე. პროფ. ა. გაწერელამ მძაფრი კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ი. ლოლაშვილის ამ ნაშრომის გარშემო.

ლოლაშვილია ნაშრომის ნაკლოვან მხარეებზე ილაპარაკა ვ. ზუტაშვილმა. მან ბიკრიტყად მხარი დ-ეკირა მომხსენებლის რ. ბარამიძის კრიტიკულ შენიშვნებს ი. ლოლაშვილის წიგნზე.

ი. ლოლაშვილის სიტყვა არსებითად განმარტებებს წარმოდგენა იმ შენიშვნებზე, რომლებიც მისი ნაშრომის გარშემო გამოითქვა.

დისკუსია საბოლოო სიტყვით შეაყამა ინსტიტუტის დირექტორმა აყადმიწილმა ა. ბარამიძემ. მან დადებით მოკლედ მიჩინა ასეთი დისკუსიების მოწყობა, რომელიც ურადიდ უწყობს ხელს ქართული ფილკლოგიური მეცნიერული აზროვნების სწორი გზით წარმართვას, სხვადასხვა მეცნიერული პრობლემის წამოჭრას და გადაწყვეტი. ა. ბარამიძემ კრიტიკულად შეაფასა რიგი მოხსენებდა და კამათში გამოუსული პირებს მოსაზრებანი. განსაკუთრებით ყრცლად განიხილა ი. ლოლაშვილის მყდარი თელასზარისი არეოპაგიტის საკითხებზე.

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1962 წლის 27 სექტემბრის დადგენილებით აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ირაკლი აბაშიძე (თავმჯდომარე), ილია აბულაძე, შალვა ამირანაშვილი, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე, ვუკოლ ბერიძე, ნიკო ბერძენიშვილი, ივანე გიგინეიშვილი, ისიდორე დოლიძე, მამია ებრალიძე (სწავლული მდივანი), ვარლამ თოფურია, პავლე ინგოროყვა, გიორგი ლეონიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი წერეთელი.

პოემის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადებისათვის შეიქმნა მთავარი რედაქცია: ირაკლი აბაშიძე, ილია აბულაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე გიგინეიშვილი, მამია ებრალიძე, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი (მთავარი რედაქტორი).

შეიქმნა კომისიის აპარატი: გამოიყო მეცნიერ თანამშრომელთა რამდენიმე საშტატო ერთეული. ამასთან ერთად აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტიდან კომისიაში სამუშაოდ გადმოიყვანეს რამდენიმე თანამშრომელი.

კომისიამ თავის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა პოემის აკადემიური გამოცემის მომზადების ძირითადი პრინციპები.

1963 წლის აგვისტოდან მამია ებრალიძე განთავისუფლდა კომისიის სწავლული მდივნისა და მთავარი რედაქციის წევრის მოვალეობისაგან. კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ და მთავარი რედაქციის სწავლულ მდივნად დაინიშნა სარგის ცაიშვილი, კომისიის სწავლულ მდივნად — რობერტ თაგაური. 1966 წლის მარტიდან კომისიის სწავლულ მდივნად დაინიშნა გურამ კარტოზია.

კომისიამ თავიდანვე ფართო მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო, რათა განხორციელებულიყო პოემის აკადემიური გამოცემა იმ გეგმით, რაც წარმოდგენილია აკად. გიორგი წერეთლის წერილში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“ („მნათობი“, 1962, № 2).

მოსამზადებელი სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა.

პირველი რიგის ამოცანად იქნა დასახული სალექსიკონო მასალის ამოწერა ქართული მწერლობის ძეგლებიდან. კომისიის თანამშრომლებისა და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების მიერ დამუშავდა ძველი ქართული მწერლობის ყველა გამოქვეყნებული ტექსტი, მთელი რიგი ხელნაწერი კრებულები, დიალექტოლოგიური ტექსტების დიდი ნაწილი. ლექსიკური ერთეულები ამოწერილია ცალკე ბარათებზე ვრცელი კონტექსტით. ამოწერილი სალექსიკონო მასალა ანბანის რიგზე დალაგდა. დღეისათვის კომისიის განკარგულებაშია ქართული ენის ლექსიკური მარაგის ამსახველი მდიდარი კარტოთეკა, რომელიც სამ მილიონამდე ბარათს შეიცავს.

რედაქციულად შესწავლილ იქნა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მთელი მეკვიდრეობა. მუშაობის შედეგები ასახულია სარგის ცაიშვილის მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ (ტ. I, 1970 წ.; ტ. II, 1971 წ.). გამოიყო ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფები (პოემის ძირითად ნაწილში — ოთხი რედაქცია, დანართში — პირობით, ორი რედაქცია), რის საფუძველზეც, აკად. გიორგი წერეთლის წინადადებით, ახალი ლიტერები მიეკუთვნა ტექსტის დადგენისათვის მნიშვნელოვან ხელნაწერებს. ახალი ლიტერები (ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გათვალისწინებით) მიეცა აგრეთვე პოემის ძირითად გამოცემებს (ლიტერების ცხრილი იხ. ქვემოთ).

მომზადდა რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია. ცალკეული სტროფების მიხედვით დალაგდა ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების ამსახველი მასალა.

ხელნაწერთა ვარიანტების სრული, ამომწურავი ნუსხის შესადგენად „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ძირითადი ხელნაწერი სტროფობრივ გადაწერილ იქნა ცალკე ბარათებზე. ამასთან ერთად პოემის ძირითადი ხელნაწერები შესწავლილ იქნა ენობრივად. გაირკვა მათი ორთოგრაფიულ-გრამატიკული თავისებურებანი.

როგორც ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენაში, ისე ხელნაწერთა გადაწერასა და ენობრივ შესწავლაში კომისიის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ ხელშეკრულებით მოწვეული პირები.

რუსთველის დაბადების 800 წლის იუბილესათვის კომისიაში მომზადდა და 1966 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ მასობრივი გამოცემა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა, გურამ კარტოზიამ; რედაქტორები: გიორგი წერეთელი, ირაკლი აბაშიძე). იმავე წელს გამოვიდა ამ ტექსტის მინიატურული გამოცემაც. კომისიაში მომზადებული ტექსტი, რომელიც მოიწონა რუსთველის საიუბილეო კომიტეტმა, საფუძველად დაედო 1966 წლის საიუბილეო გამოცემას, რომელშიც სარედაქციო კოლეგიამ მცირეოდენი ცვლილებები შეიტანა.

1968 წელს, მას შემდეგ, რაც წინასწარი სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულდა, კომისია შეუდგა უშუალოდ ტექსტის დადგენას. კომისიის აპარატის თანამშრომლები (სარგის ცაიშვილი, გურამ კარტოზია, ცოტნე კიკვიძე, ნანა ავალიშვილი, მანუჩარ ანთაძე, გიორგი არაბული, ელისო ბილანიშვილი, ეფემია გვრიტიშვილი, ლუცინა გუგუშვილი, ლეილა თუშმალიშვილი, ლია კიკნაძე, ნანა კოტეტიშვილი, ბაბო მასხარაშვილი, ეკატერინე ტურაბელიძე, გალაქტიონ დლოტი, შალვა დლოტი, თინათინ ცქიტიშვილი, ნათელა ცქიტიშვილი, ნანი წაქაძე) აკად. გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით ადგენდნენ ძირითადი და ჩანართი სტროფების ტექსტს, ურთავენდნენ მათ კრიტიკულ აპარატს: ვარიანტების ნუსხას, ტექსტოლოგიურ შენიშვნებს, საილუსტრაციო მასალას — პარალელებს ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებიდან. დადგენილი ტექსტის პროექტი წარედგინებოდა მთავარ რედაქციას, რომელიც თავის სხდომაზე განიხილავდა და ამტკიცებდა მას.

იმის გამო, რომ კომისიას გამოაკლდნენ მთელი რიგი წევრები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1969 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით დაამტკიცა კომისიის ახალი შემადგენლობა: ირაკლი აბაში-

ძე (თავმჯდომარე), სარგის ცაიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), შალვა ამირანაშვილი, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე, ალექსანდრე გვახარია, ივანე გიგინეიშვილი, მაგალი თოდუა, გაიოზ იმედაშვილი, ივანე იმნაიშვილი, პავლე ინგოროყვა, გურამ კარტოზია (სწავლული მდივანი), ნიკო ქეცხოველი, ცოტნე კიკვიძე, დავით კობიძე, იოსებ მეგრელიძე, შოთა მესხია, ელენე მეტრეველი, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, შოთა ძიძიგური, გიორგი წერეთელი.

დამტკიცდა მთავარი რედაქციის ახალი შემადგენლობაც: გიორგი წერეთელი (მთავარი რედაქტორი), ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე გიგინეიშვილი, გურამ კარტოზია, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი (სწავლული მდივანი), შოთა ძიძიგური.

1968—1973 წლებში კომისიამ მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის პირველი ტომი. იგი შეიცავს პოემის 258 სტროფის (162 ძირითადისა და 96 ჩანართის) კრიტიკულად დადგენილ, დასაბუთებულ ტექსტს, რომელსაც ახლავს „ვეფხისტყაოსნის“ 53 ძირითადი ხელნაწერისა და 22 ძირითადი გამოცემის ვარიანტები. ვარიანტული წაკითხვები სრულად არის მოცემული და სათანადოდ არის კვალიფიცირებული. ტექსტის ცალკეულ წაკითხვებს (როგორც მიღებულს, ისე უარყოფილს) დართული აქვს ვრცელი ტექსტოლოგიური შენიშვნები, ფართოდ არის გამოყენებული საილუსტრაციო მასალა — პარალელები ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებიდან. ტექსტს უძღვის პოემის ძირითად ხელნაწერთა დახასიათება, ბიბლიოგრაფია ძველი ქართული მწერლობის იმ ძეგლებისა და დიალექტოლოგიური ტექსტებისა, საიდანაც კომისიის თანამშრომლებისა და მოწვეული პირების მიერ ამოწერილ იქნა სალექსიკონო-სასიმფონიო მასალა, რომელსაც ეყრდნობა კომისიის პოემის ტექსტის დადგენისას. ტომს დაერთვის ფერადი ფოტოები „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ხელნაწერთა თითო გვერდისა და თარხანმოუარავეული (უორდროპისეული) ხელნაწერის 22 მინიატურისა, რომელთაგან 21 პირველად ქვეყნდება (ერთი მინიატურა, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, 1966 წ. გამოაქვეყნა ელენე მაჭავარიანმა). აღნიშნულ ტომს 1975 წელს გამოსცემს გამომცემლობა „მეცნიერება“.

1969 წელს, როგორც ნიმუში, დაიბეჭდა პოემის პირველი თხუთმეტი სტროფის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ვარიანტებითა და ტექსტოლოგიური შენიშვნებით.

კომისიის თანამშრომლებმა აკად. გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობითა და რედაქციით მოამზადეს აგრეთვე შრომა „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში. რითმათა სიმფონია და სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები“, რომელიც 1973 წელს გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერება“. წიგნს უძღვის აკად. გიორგი წერეთლის გამოკვლევა, რომელშიც ახლებურად არის გაშუქებული „ვეფხისტყაოსნის“ ლექსთწყობის ძირითადი საკითხები. დიდი მეცნიერის ეს უკანასკნელი შრომა, რომელმაც სპეციალისტთა საყოველთაო აღიარება მოიპოვა, კვლევის ახალ პერსპექტივებს შლის ქართული ლექსის შესწავლის საქმეში.

აკადემიკოს გიორგი წერეთლის გარდაცვალების (1973 წ. 9 სექტემბერი) შემდეგ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა

1973 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცა მთავარი რედაქციის შემდეგი შემადგენლობა: ალექსანდრე ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), ირაკლი აბაშიძე, ივანე გიგინეიშვილი, გურამ კარტოზია (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი), ცოტნე კიკვიძე, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე). შოთა ძიძიგური.

მთავარმა რედაქციამ 1973 წლის 7 დეკემბრის სხდომაზე იმსჯელა მომავალი მუშაობის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მუშაობა გაგრძელდება იმ პრინციპების მიხედვით, რაც კომისიას იმთავითვე ჰქონდა შემუშავებული და რაც აჯად. გიორგი წერეთლის ცნობილ წერილშია გადმოცემული.

ამასთან გადაწყდა, რომ უფრო სისტემატური ხასიათი მიეცეს მთავარი რედაქციის მუშაობას: სხდომები გაიმართოს ორ კვირაში ერთხელ. მთავარი რედაქციისათვის განსახილველი და დასამტკიცებელი ტექსტის პროექტის შედგენა დაევალოს გურამ კარტოზიას, ცოტნე კიკვიძეს, სარგის ცაიშვილს კომისიის თანამშრომლებთან ერთად. მთავარმა რედაქციამ დაადგინა, რომ შედგეს ყოველი სხდომის მოკლე ანგარიში ოქმის სახით. ოქმების შედგენა დაევალოს გურამ კარტოზიას.

იმისათვის, რათა დაჩქარდეს მუშაობის ტემპი, 1974 წლის თებერვლიდან კომისიაში ჩამოყალიბდა თანამშრომელთა სამი ჯგუფი: ა) სარგის ცაიშვილი (ხელმძღვანელი), მანუჩარ ანთაძე, გიორგი არაბული, ნანა კოტეტიშვილი, თინათინ ცქიტიშვილი; ბ) გურამ კარტოზია (ხელმძღვანელი), ელისო ბილანიშვილი, ლია კიკნაძე, ბაბო მასხარაშვილი, ეკატერინე ტურაბელიძე; გ) ცოტნე კიკვიძე (ხელმძღვანელი), ნანა ავალიშვილი, ეფემია გვრიტიშვილი, ლუცინა გუგუშვილი, ნათელა ცქიტიშვილი.

ჯგუფები დამოუკიდებლად ამზადებენ მთავარი რედაქციისათვის პოემის ცალკე მონაკვეთების დადგენილი ტექსტის პროექტს.

მთავარი რედაქციის წევრები შეთანხმდნენ, რომ „მაცნეში“ პერიოდულად გამოქვეყნდეს მთავარი რედაქციის მუშაობის მოკლე ანგარიში სხდომათა ოქმების სახით. წინამდებარე ნომრიდან ვიწყებთ ამ ოქმების პუბლიკაციას.

ოქმებში ყოველ სტროფთან აღნიშნულია, თუ რა განსხვავებაა შეტანილი პროექტში 1966 წლის საიუბილეო გამოცემასთან (II) შედარებით. იმ შემთხვევაში, როცა სტროფს საიუბილეო გამოცემა არ იცნობს, შესაძარებლად მოხმობილია 1956 წლის გამოცემა (ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო სოლ. ყუბანიევილმა. თბ., 1956). არ არის ნაჩვენები მხოლოდ ორთოგრაფიული ხასიათის სხვაობანი: უმარცვლო უნი და ჯარი ვინისა და ხანის ნაცვლად, აგრეთვე განსხვავებანი ერთნებიანი კომპოზიციის დაწერილობაში (მაგ., პირმზე — პირ-მზე).

სპეციალურად არ არის მითითებული (ზოგი გამონაკლისის გარდა), სტროფი ძირითადად იქნა ჩათვლილი თუ ჩანართად. ამის გარკვევა ადვილია სტროფის ნომრის მიხედვით. ჩანართი სტროფის ნომერში მძიმეა წარმოდგენილი. მაგ., ნომერი 171,1 ნიშნავს, რომ სტროფი ჩანართია და მოსდევს ძირითად 171-ე სტროფს; ნომერი 176,2 ნიშნავს, რომ სტროფი ჩანართია და მოსდევს ასევე ჩანართ 176,1 სტროფს.

ვეფხისტყაოსნის ძირითად ხელნაწერთა და გამოცემათა ლიტერები

ა) ხელნაწერები

(ფრჩხილებში მიწერილია შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ლიტერები)

| | |
|--|--|
| A ¹ — ახალციხური ფრაგმენტი (ა) | C ² — Q 779 (M) |
| A ² — H 599 (E) | C ³ — H 757 (A) |
| A ³ — Q 930 (R) | C ⁴ — H 54 (B) |
| A ⁴ — W 27 (Z) | C ⁵ — P 10 (X) |
| A ⁵ — S 3077 (N) | C ⁶ — H 1839 (D') |
| A ⁶ — H 3249 (S) | C ⁷ — Q 1335 |
| A ⁷ — S 1418 (P) | C ⁸ — Q 483 (E') |
| A ⁸ — K 383 (A') | D ¹ — H 461 (J) |
| A ⁹ — S 2829 (F) | D ² — W 17 (T) |
| A ¹⁰ — Q 261 (I) | D ³ — S 4499 (K) |
| A ¹¹ — H 740 (Y) | D ⁴ — K 205 (O) |
| A ¹² — საქ. ლიტ. მუზ. 12904 (R') | D ⁵ — Q 796 (G') |
| A ¹³ — Q 1075 | E ¹ — S 1727 (H') |
| B ¹ — Q 1082 (D) | E ² — H 66 (N') |
| B ² — A 363 (L) | F ¹ — აზიის ხალხთა ინსტ. ლენინგრ. განვ. |
| B ³ — K 215 (Q) | M 48 (S') |
| B ⁴ — S 1675a (C') | F ² — Q 279 |
| B ⁵ — H 2610 (H) | F ³ — A 1123 (M') |
| B ⁶ — S 4988 (G) | F ⁴ — H 422 |
| B ⁷ — H 3061 (V) | F ⁵ — Q 768 |
| B ⁸ — S 5006 (U) | F ⁶ — S 5207 (X') |
| B ⁹ — Q 799 (O') | F ⁷ — ი. გრიშაშვილისა (V') |
| B ¹⁰ — S 4527 (F') | F ⁸ — S 2525 (P') |
| B ¹¹ — საქ. ლიტ. მუზ. 10768 (Q') | F ⁹ — S 2315 (K') |
| B ¹² — H 412 (I') | F ¹⁰ — H 783 (J') |
| B ¹³ — საქ. მეცნ. აკად. ბიბლ. ა2K 25239 — | F ¹¹ — ბორჯომის მუზ. № 2854 |
| ვ. ასლანიშვილისეული (L') | F ¹² — A 654 (U') |
| C ¹ — H 2074 (C) | |

ბ) გამოცემები

- a — ეახტანგ შევექვისა. თბ., 1712.
- b — მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ფალავანდიშვილისა. თბ., 1841.
- c — დ. ჩუბინაშვილისა. თბ., 1860.
- d — გ. ქართველიშვილისა. თბ., 1888.
- e — დ. კარიჭაშვილისა. თბ., 1903.
- f — ს. კავაბაძისა. თბ., 1913.
- g — ი. აბულაძისა. თბ., 1914.
- h — დ. კარიჭაშვილისა. თბ., 1920.
- i — ი. აბულაძისა. თბ., 1926.
- j — ს. კავაბაძისა. თბ., 1927.
- k — კ. ჭიჭინაძისა. თბ., 1934.
- l — საიუბილეო გამოცემა. თბ., 1937.
- m — მ. წერეთლის ხელნაწერი. ბერლინი, 1938 (დაცულია შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში).
- n — შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა. თბ., 1951.
- o — პ. ინგოროვსკისი. თბ., 1953.
- p — ა. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძისა. თბ., 1957.
- q — მ. წერეთლისა. პარიზი, 1961.

- რ — ბ. ინგოროყვას ხელნაწერი. თბ., 1965 (ფოტოპირი დატულია „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიასში).
- ს — ა. შანიძისა და ა. ბარამიძისა. თბ., 1966.
- ლ — „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა. თბ., 1966.
- უ — საიუბილეო გამოცემა. თბ., 1966.
- ყ — ბ. ინგოროყვასი. თბ., 1970.

1978 წ. 21 დეკემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. შეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 163; 164; 165. პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ და ს. ცაიშვილმა კომისიის თანამშრომლებთან ერთად.

სტროფი 163 („დაწერა, თუ „ჩემნო ვმანო...“).

საიუბილეო გამოცემასთან შედარებით, პროექტში ცვლილება შეტანილი არ არის. პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად, ოღონდ ვარიანტებიდან ამოღებულ იქნა ზე და ნ ფორმის, როგორც ეულგარულის, კვალიფიკაცია.

სტროფი 164 („მიწაყა თქუენი ავთანდილ...“).

საიუბილეო გამოცემასთან შედარებით, პროექტში შეტანილია შემდეგი ცვლილება: მეორე ტაეში ვიქმ შეცვლილია ვიქ ფორმით. პროექტი დამტკიცდა უცვლელად.

სტროფი 165 („საქმე რამე შიე თავისა ზე სადმე გარდასახუწელი“).

საიუბილეო გამოცემასთან შედარებით, პროექტში შემდეგი ცვლილებაა: პირველი ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად წერტილია დასმული.

რედქციამ პირველი ტაეპის ბოლოს აღადგინა მძიმე, მეორე ტაეპის (დავყო მარტოდ და ღარიბად ესე წლუელი მე წელი) ბოლოს კი მძიმის ნაცვლად დასვა წერტილ-მძიმე.

მსჯელობის საგანი გახდა მეორე ტაეპში დადასტურებული პარალელური ფორმები მ ა რ ტ ო დ და მ ა რ ტ ო . რედქციამ ძირითად ტექსტში აღტოვა მ ა რ ტ ო დ (წინააღმდეგვა ი. გიგინეიშვილი).

1974 წ. 11 იანვარი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ჯ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. შეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 166; 167; 168; 169. პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ და ს. ცაიშვილმა კომისიის თანამშრომლებთან ერთად.

სტროფი 166 („მე შერმაღინ დამიგვლია...“).

საიუბილეო გამოცემასთან შედარებით, პროექტში ცვლილებები შეტანილი არ არის. რედქციამ მეორე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასვა წერტილ-მძიმე. მსჯელობის საგანი გახდა მესამე ტაეპის წაკითხვა.

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპში წაკითხვა — ვ ა რ დ ს ა რ ზ რ ე ი დ ე ს , ა რ ა ჯ ნ ო ბ დ ე ს — იუსტ. აბულაძის კონიექტურაა. ხელნაწერებში გვაქვს ვ ა რ დ ს ა ზ რ ე ი დ ე ს , ა რ ა ჯ ნ ო ბ დ ე ს , რაც უნდა აღდგეს კიდევ პოემის ტექსტში. ჩვენ სრულად არ გვაქვს გათვალისწინებული დაზრდა ზნის ყველა მნიშვნელობა.

შ. ძიძიგური: დაზრდა და კ ნ ო ბ ა აქ, შეიძლება, სინონიმური მნიშვნელობით, მართლაც, არ იხმარებოდეს. შეიძლება, ასეთი აზრია გადმოცემული: ვარდს ზრავდეს, მაგრამ არ აქნობდეს.

დაადგინეს: პროექტში წარმოდგენილი წაკითხვა დარჩეს უცვლელად.

სტროფი 167 („თქუენცა იცით, გამიზრდია...“).

საიუბილეო გამოცემასთან შედარებით, პროექტში შემდეგი ცვლილებაა: პირველი ტაეპის ბოლოს წერტილის ნაცვლად წერტილ-მძიმეა. პროექტი დამტკიცდა.

სტროფი 168 („ესე წიგნი გაასრულა წულანმან და სიტყუა-ნაზმა“).

საიუბილეო გამოცემასთან შედარებით, პროექტში ცვლილება შეტანილი არ არის.

იე. გიგინეიშვილს საკვიროდ მიაჩნია, რომ ერთნებიანი კომპოზიტები „ვეფხისტყაოსანში“ ერთად დაიწერეს. ამ წინადადებას მხარი დეკლარირეს შ. ძიძიგურმა, ე. შეტრეველმა, ა. ბარამიძემ, ც. კიკვიძემ.

დაადგინეს: პირველი ტაეპის ბოლოს კომპოზიტი ერთად (უღეფისოდ) დაიწეროს: ს ო ტ უ ქ ა ნ ა ზ მ ა . შემდგომშიც უღეფისოდ დაიწეროს ერთნებიანი კომპოზიტები.

რედაქციის წევრებმა არ გაიზიარეს ი. გიგინეიშვილისა და ე. მერტრეველის წინადადება, რომ პირველ ტაეში ნაცვლად წყლიან მან ფორმისა იკითხებოდეს წყლიან მან (წყლიანმა და სიტყუაწაზმა).

სტროფი 108 („ზობანა: „წადით ყუელაკი, აქა მომტრედ არვინ მინა“).

საუბილეო გამოცემასთან შედარებით, პროექტში ცვლილება შეტანილი არ არის.

რედაქციამ დაამტკიცა წარმოდგენილი პროექტი, ოღონდ მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასვა წერტილი.

რედაქციას საჭიროდ მიაჩნია შემდგომ სპეციალურად იქნას განხილული თინათინა და მისი მსგავსი შედგენილი შემასმუნლების დაწერილობის საკითხი.

ი. გიგინეიშვილი თვლის, რომ პირველ ტაეში ნაცვლად სიტყვისა მომტრედ უნდა იკითხებოდეს მემტრედ.

დაადგინეს: ჩერჩერობით ღარჩეს მომტრედ. როცა ი. გიგინეიშვილი წარმოადგენს სათანადო საილუსტრაციო მასალას, დაუბრუნდეთ მომტრედ || მემტრედ ფორმათა საკითხს.

რედაქციის წევრებმა აზრი გამოთქვეს ვარიანტული წაკითხვების კვალიფიკაციის შესახებ.

ი. გიგინეიშვილი: მე წინააღმდეგი ვარ, რომ ვარიანტულ წაკითხვებს მიეცეთ კვალიფიკაციები (ველგარული, გვიანდელი, არქაიზებული და ა. შ.). XII—XIII საუკუნეთა ენობრივი ნორმების გადაწყვეტა ძნელი საქმეა. შესაძლებელია შეცდომა დაუშვათ ამა თუ იმ ფორმის დაფასებისას. ნეიტრალურობის დაცვა სჭირს ვარიანტების ჩვენებისას.

ე. მერტრეველი: კვალიფიკაციები საჭირო არ არის. თვით შკითხველს მიეცეთ საშუალება ვარიანტებში გარკვევისა.

ც. კიკიძე: კვალიფიკაციების მიწერით ჩვენ მკითხველებს უნდა მივაწოდოთ ჩვენი თვალსაზრისი ამა თუ იმ ენობრივი ფორმის შესახებ, რაც ასახავს ჩვენი ცოდნისა და ინფორმაციის დღევანდელ დონეს.

გ. კარტოზია: კვალიფიკაციების მოშლა უბრალო ტექნიკური ოპერაცია კი არ არის, არამედ ძირფესვიანად შეცვლის გამოცემის ხასიათს და ეწინააღმდეგება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის იმ პრინციპებს, რაც რედაქციას მიღებული აქვს და რის მიხედვითაც რომზადლა პირველი ტომი.

ს. ცაიშვილი: აკადემიურ გამოცემაში კვალიფიკაციები აუცილებელია. ეს თავის დროზე დააწყებდა რედაქციამ.

ა. ბარამიძე: დადგენილი პრინციპები არ უნდა შეიცვალოს. ყოველ კერძო, კონკრეტულ შემთხვევისას ვიმსჯელოთ, მისაღებია თუ არა ესა თუ ის კვალიფიკაცია. ხოლო, საერთოდ, მიეცეთ თუ არა კვალიფიკაციები, ამაზე ნუ ვიდავებთ.

რედაქციამ განხილულ სტროფთა ვარიანტებიდან ამოიღო კვალიფიკაციები: sic! და დაუმატა: ე უ ღ გ არ უ ლი (ყუელაკისა 166კ, საგონებლათ 169კ), გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი (სხე 167გ), ა ნ მ ე ტ ი (ძამა 167ი). უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო ს ნ ა ც ვ ლ ა დ გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მიეწერა ფორმებს: მოგფენინოს 165კ, გმართებთ, გმართებსთ 167კ.

1974 წ. 26 იანვარი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მერტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 170; 171; 171,1; 172. პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, ც. კიკიძემ და ს. ცაიშვილმა კომისიის თანამშრომლებთან ერთად.

სტროფი 170 („იგი ეელი გაირბინა...“).

საუბილეო გამოცემასთან შედარებით, პროექტში შემდეგი ცვლილებებია: წერტილი-მძიმეა დასმული: პირველი ტაეპის ბოლოს — წერტილის ნაცვლად, მესამე ტაეპის ბოლოს — მძიმის ნაცვლად.

გ. კარტოზია განმარტავს, რომ პროექტში მიღებულია სტროფის იმგვარი წაკითხვა და გაკვება, რაც კომისიის: 1968 წლის გამოცემაში (და აქედან — საუბილეოში) არის მოცემული. სტროფის შინაარსი ასეთია: ის ეელი გაირბინა, ლაშქარს მოშორდა. ეინ სულიერი ნახავს ან ეინ წაეჩხუბება? მას (ე. ი. აეთანდლის), რომელსაც მახვილი ეერას აენებს, თავისივე მკვლელი (ე. ი. თინათინი) გაყევა. მისგან (თინათინისგან) აკიდებული ჰქონდა კაეშნის მძიმე ტვირთი.

ა. ბარამიძემ აღნიშნა, რომ მას კომისიის გამოცემის წაკითხვა უფრო მისაღებად მიაჩნია, ეიღრე სხვა გამოცემებისა. მეოთხე ტაეპში მისგან აუცილებლად თინათინს გულისხმობს, ამიტომ ეს წყობა უფრო სწორია.

შ. კიძივერი: მეორე ტაყში (ვინმე ნახა სულიერმან, ანუ ვინმე წაეკილა?) წაიღების, წახუბების აღმნიშვნელი ზნა საესებით გასაგები არ არის. იქნებ წაიღება აქ ნიშნავს შეხედრას. შდრ. რა წაეკილა = რა შეგეშთხვა, რა შეგხუდა.

7. გიგინეიშვილი: მე მგონია, აქობებს, რომ ადგილი შევენაცელოთ მეორე და მესამე ტაყების საართო სიტყვებს და ბ და ვ ტაყები ასე წაეთხოვით: „ვინმე ნახა სულიერმან, ანუ ვინმე გაეკილა? ვის მახშილი ვერას აენებს, მისი მკლელი წაეკილა“. წაეკილა გავიგოთ. როგორც გაეკილა (= გაჰყვა). ცნობილია, რომ წა პრევერბი ქართულში ხშირად იხმარება გას მნიშვნელობით.

ს. ცაიშვილი: წაეკილება გაეკიღების, გაეკიღის მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ არ იხმარება.

გ. კარტოზია: შემოთავაზებულ წაეთხოვას მისი მკლელი წაეკილა ხელნაწერები მხარს არ ჰქვარენ, კონვეტურაა. ყველა ხელნაწერში შესიტყვება მისი მკლელი (ან დამახინჯებული ვარიანტი მისი მკლავი) დაკეშირებულია გაეკილა ზნაათან. დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი მიღებულ იქნას უცვლელად.

სტროფი 171 („რა ლაშქართა ინადირეს...“).

საიუბილეო გამოცემასთან შედარებით, პროექტში ცვლილებები არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფი 171,1 („ღმერთი, ლომო, შენად ნაცვლად...“).

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 172) შედარებით, პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ცხსამე ტაყის ბოლოს მძიმის ნაცვლად წერტილ-მძიმეა დასწული. საიუბილეო გამოცემაში სტროფი ძირითადად არის მიჩნეული, აქ კი ჩანართად არის ჩათვლილი შემდეგი მოსაზრებების გამო:

1) სტროფი არ არის A და D რედაქციის ხელნაწერებში, გარდა A⁸A¹⁰A¹²D⁴D⁵-ისა. აქედან A⁸-ში აღდგენილია, A¹⁰-ში შემდეგაა მიწერილი სხვა ხელით ქვემო აშიაზე და, როგორც ჩანს, მომდინარეობს A-დან; ამ გამოცემიდანვე უნდა იყოს შესული A¹²-შიც, რომელიც, საერთოდ, ვახტანგისული გამოცემის გავლენას განიცდის (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. I, თბ., 1970, გვ. 208—209; ტ. II, თბ., 1971, გვ. 70); D⁴-ში სტროფი აღდგენილია; D⁵ კი, როგორც გარკვეულია, მომდინარეობს D⁴-დან (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963, გვ. 88—89; შდრ. s გამოცემა, გვ. 019).

2) სტროფი არ არის C²-შიც, რომელიც სტროფული შედგენილობით გარკვეულ ნაწილში A რედაქციის ხელნაწერთა გავლენას განიცდის (იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. I, თბ., 1970, გვ. 205; შდრ. მ. კარბელაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ პარიზული ხელნაწერი: შ. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ისტ. ინსტიტუტის XXIX სამეცნიერო სესია (თეზისები), თბ., 1969).

3) სტროფი ენობრივად გაუმართავია: ა) ე ს მ ც ა ლ ა ნ ე რ გ ე ე დ ე ს — აქ მ ც ა ნ ა წ ი ლ ა ე ზ ნ ი ს კ ე შ ი რ ე ბ ი თ ი ს ფ ო რ მ ა ს თ ა ნ უ ა დ გ ი ლ ა; მ ც ა ნ ა წ ი ლ ა ე ს ნ ა ც ვ ლ ა დ ც ა - ს წ ა კ ო თ ხ ე ა ც (როგორც nr-შია) შინაარსობრივად მიუღებელია. ბ) გ ა ი ა რ ა ა ქ ა თ კ ი დ ე ს — ენობრივად გაუმართავი ფრაზაა.

4) სტროფი ნაწილობრივ წინა სტროფების პარაფრაზირებაა (შდრ. ყოვლგან რბოდეს სამებარად, 171, — დარბოდეს და სხუანით სხუათა...; ლაშქარაგან გაეკილა, 170, — გაიარა აქათ კოდეს) და მისი ამოღება თხარბაში შინაარსობრივ ხარკუსს არ ქმნის.

ა. ბარამიძე: სტროფი, უდავოდ, საეჭვოა. ჩვენს გამოცემაში (s) მხოლოდ პირობით ევაქან დატოვებული პოემის ძირითად ტექსტში. მე ვემხრობი კ. ჰიჭინაძის განცხადებას, რომ უფრო დიდი დანაშაულია პოემას დაეკლოთ ერთი ნამდვილი სტროფი, ვიდრე დაეუბატოთ ათეული საეჭვო. თუ ოღონდ ექვი მაინც გვაქვს, სჭობს, რომ დაეტოვოთ, კომენტარებში კი მიუეთითოთ ამის შესახებ.

ბ. გიგინეიშვილი: ექვს არ იწყებს პროექტში წარმოდგენილი საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ სტროფის ჩანართობას, ოღონდ უნდა ამოვიღოთ ბოლო არკუმენტი, სტროფი წინა სტროფების პარაფრაზს წარმოადგენსო. მაგრამ, საერთოდ, სტროფების ამოღება საძნელო საქმეა, საზოგადოებრივი თეატრალის თეატრალის თეატრალის თეატრალის თეატრალის ტექსტის დღეგნისას. ამიტომ სტროფი ჭკვიერობით დარჩეს ძირითად ტექსტში და შემდეგ კვლავ დაუბატუნდეთ მისი ჩანართობის საკითხს. ამასთან მართებულად მიმაჩნია სტროფში სტრიქონთა რიგის შეცვლა, ისე როგორც ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაშია (პირველი ტაყი გალიტიანოთ ბოლოში).

ს. ციხელი: სტროფის ჩანართობას ამტიკებს ის ფაქტი, რომ იგი არ არის ორ უფლებას (A და D) რედაქციაში და C² ხელნაწერში, რომელიც ამ რედაქციის ხელნაწერთან პროტოგრაფიდან უნდა იყოს გადაწერილი. სტროფი ჭერჭერობით ჩაეთვალოთ ჩანართად. შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდეთ ამ საკითხს. რაც შეეხება ტაქების თანმიმდევრობის შეცვლას, ასეთი რამ ხელნაწერთა ჩვენების საწინააღმდეგო მოქმედება იქნება.

გ. კარტოზია: ტაქების ამგვარი წყობა პირვანდელი წყობის დამახინჯების შედეგი კი არ არის. არამედ სტროფის ჩანართობის ერთ-ერთი დამატებითი საბუთია. ტაქის გადასმით და სტროფის გამართვით კი ჩვენ ხელს შეუწყობთ ჩანართი სტროფის ძირითად ტექსტში დამკვიდრებას ამიტომ ტაქის გადასმა არ არის მიზანშეწონილი.

დადგენის: სტროფი დროებით გადატანილ იქნეს ჩანართებში. შემდგომ კვლავ დაუბრუნდეთ მისი წამდგობის საკითხს. ტაქების რიგი დარჩეს ისე, როგორც წარმოდგენილ პროექტში.

სტროფი 172: „წეომადინ ერთგან შეყარა...“.

საიუბილეო: გიგეშასთან (სტრ. 173) შედარებით. პროექტში შემდეგი ცვლილებაა: წერტილ-შემკვეთი: „ერთგ ტაქის ბოლოს -- წერტილის ნაცვლად და მესამე ტაქის ბოლოს ნაცვლად.“

რედაქციამ უარტყია წარმოდგენილი პროექტი, ოღონდ მეორე ტაქის ბოლოს წერტილ-ნაცვლად დადგინა წერტილი.

გარდა ამისა განხილულ სტროფთა ვარიანტებიდან რედაქციამ ამოიღო კვალიფიკაციები: აგრეთვე: „...ან დელი (მოსახემდეს 171,1₂), შეცდომით (დიდებულლები 172; იტვირებს 172; ეღვლები 172), უმართებულ (დიდებულობი 172).“

1974 წ. 8 თებერვალი

დადგენის: სტროფი. ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ე. მეტრეველი, ს. ციხელი, ნ. ციხელი.

გამხილულ სტროფებში: 172.1; 173; 174; 175; 176; 177, პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ. ც. კვიციანი, ს. ციხელი კომისიის თანაშემწეობითან ერთად.

სტროფი 172.1 („წერმადინ უთხრა: „მართალ ხართ...“).

1956 წლ. გიგეშასთან (სტრ. 247) შედარებით, პროექტში შემდეგი ცვლილებებია: დამოუკიდებელი (დამოუკიდებელი), გაერქმნათ (გაერქმნათ), დაეწილდეთ (დაესწილდეთ); პირველი და მეორე ტაქებში ბოლოს წერტილ-შემკვეთის ნაცვლად მძიმეა დასმული.

სტროფი 173: „წეომადინ ჩანართად შემდეგი მოსაზრებების გამო: 1) მას არ იცნობს A რედაქციის ხელნაწერი ხელნაწერი და C² (შდრ. 171,1-ის კომენტარი); 2) დარღვეულია რიტმი; არც უნდა იყოს დაბალი შაირით დაწერილი სტრიქონები. ზოგიერთ ხელნაწერში (A¹A²D¹D²) არც კვამლად დარღვევის გასწორებისა.

გიგინეიშვილი: სტროფში პირველი ტაქა დაბალი შაირით არის ნაწერი, დანარჩენი სხვა ტაქები -- მღვრი. საჭიროა პირველი ტაქი გასწორდეს D¹D² ხელნაწერების მიხედვით (მჭრემ უთხრა: „მართალ ხართ. თუცა ცრემლსა თვალთა მიღლეთ). მთელი სტროფი მაღალი შაირით დაეწილდეთ.

ა. ბარამიძე: სტროფში, ც. კვიციანმა შენიშნეს, რომ აღნიშნული ხელნაწერები, საერთოდ, ნარედაქციული ნუსხებია და ისინი, ალბათ, არც ამ ტაქში იცავენ ძველ წაკითხვას. ასევე ნასწორებია ნუსხებია A¹A². ამიტომ ამ ხელნაწერების მიხედვით სტროფის გაწართვა არ იქნება მოსალოდნელი.

დადგენის: დარჩეს პროექტში წარმოდგენილი წყობა პირველი ტაქისა: „წერმადინ უთხრა: „მართალ ხართ. თუცა ცრემლსა თუღლთათ დამიღლეთ“.

სტროფი 173 („ეკოცლთა ჰადრებს: „თუცა ყოფა...“).

პროექტში, საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 174) შედარებით, ცვლილებები შეტანილი არ არის. პროექტი წვედელად იქნა მიღებული.

სტროფი 174 („ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს“).

პროექტში, საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 175) შედარებით, ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: პირველი ტაქში მძიმე უნდა გადაისყვას: დიონოსი, ბრძენი ეზროს. ასე აკონტრასტულია ეპოქების თვალსაზრისით. ვარიანტებში უნდა აისახოს, თუ როგორ სეამენ სასებენ მასან გამოცემები (დიონოსი, ბრძენი ეზროს თუ დიონოსი ბრძენი, ეზროს). რაც შეეხება ტაქის შინაარსს, ამჯერად რე უმისყველებთ მასზე, შემდეგ სპეციალურად დაუბრუნდეთ ამ საკითხს.

გ. კარტოზია: პროექტში წარმოდგენილი წაითხვა ტაეპისა, ე. ი. ბ რ ძ ე ნ ს ი ტყეის მიხ-
ნევა დ ი ო ნ ო ს ი ს მსახურელად, უფრო მართებული ჩანს. შდრ. პოემის სხვა ადგი-
ლი, სადაც დ ი ო ნ ო ს ი (დ ი ე ნ ო ს ი) ისევ ამ ეპითეტით არის მოხსენებული: ამ საქმესა
დაფარულსა ბ რ ძ ე ნ ი დ ი ე ნ ო ს გააცხადებს. 1478ი.

დაადგინეს: შეიტყავის ტაეპში მძიმის ადგილი: დიონოსი, ბრძენი ეზროს.

სტროფი 175 („ავთანდილ იგი მინდორი...“).

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 176) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა. რედაქციის წევრებმა გადაწყვიტეს შემდგომში კვლავ და-
უბრუნდნენ მეოთხე ტაეპის (თქმა: „თუ მე მასმცა ევახელ, აწ ყხელაა ცრემლსა ვლჭრა
არა“) წაითხვისა და გაგების საკითხს.

ა. ბარამიძეს და ე. მეტრეველს მიაჩნიათ, რომ მ ა ს (მ ა ს მ ც ა ევახელ) გულისხმობს
ტარიელს. სხვების აზრით, აქ თინათინი იგულისხმება.

სტროფი 176 („ახალმან ფიფქმან დათოვია...“).

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 177) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

შ. ძიძიგური: მესამე ტაეპის (თქმის: „ჰიირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი ანასა) სა-
რითმო ა ნ ა ს ა ს ი ტყევაში გურჯეველია ნ თანხმონის არსებობა. პრევერბებთან ამ ნ-ს
ბმარება დ. გურამიშვილის ენაში ინდივიდუალური მოვლენა ჩანს. არც ძველ ქართულში,
არც თანამედროვე დოკუმენტებში ასეთი ფორმები არ გვხვდება.

ი. გუგუნიძე: პრევერბების შემდეგ ნ-ს დართვა მხოლოდ დ. გურამიშვილს როდ-
ახანათებს. ეს მოვლენა სხვა ავტორებთანაც დასტურდება.

დაადგინეს: დარჩეს წაითხვა ა ნ ა ს ა (=ა-ნ-სა).

ა. ბარამიძეს მიაჩნია, რომ მეოთხე ტაეპში (მოეშორდი ლხინსა უქელასა, ჩანგსა, ბარ-
ბთოსა და სანას!) უ ქ ე ლ ა ს ა ს ტყეის შემდეგ, მძიმის ნაცვლად, უნდა დაიწეროს ორწერტი-
ლი ა ნ ტ რ ე. ი. გიგინეიშვილი მომხრება ტირეს დაწერისა.

შ. ძიძიგურს, ს. ცაიშვილს, ც. კიკვიძეს მიაჩნიათ, რომ უ ქ ე ლ ა აქ განმარტავადებელი
სიტყვა არ არის. ლ ხ ი ნ ი უ ქ ე ლ ა, ჩ ა ნ გ ი, ბ ა რ ბ ი თ ი და ნ ა ერთგვაროვანი წევრე-
ბია. ამიტომ უ ქ ე ლ ა-ს შემდეგ მძიმე უნდა დარჩეს.

დაადგინეს: დაჩრდეს მძიმე.

სტროფი 177 („ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო კნებოდა“).

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 178) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: პირველ ტაეპში მის მ ზ ი ს ა გა ყ რ ი ლ ი განკერძობული განსახლე-
რება და ამიტომ მძიმეებით უნდა გამოიყოს.

შ. ძიძიგური: მართლწერის წესების მიხედვით, მძიმეები აქ თქმვა საჭიროა, მაგრამ
ლექსში არ ხმარობენ და ნურც აქ დაწერათ.

დაადგინეს: ტაეპის წაითხვა დარჩეს უცვლელად.

განსილულ სტროფთა ვარიანტებიდან რედაქციამ ამოიღო კვალიფიკაციები: დ ა მ ა ხ ი ნ -
ქ ე ბ უ ლ ი (შერამიძე 172,1; გუგარ მისცა [=გუგარამისცა] 173; ოთხთა კმით [=ოთხთხმით]
175), უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო (თვალთად 172,1; დაჭმორჩილდეთ 172,1), შ ე ც ლ ო მ ი თ (თა-
ჯანი სცა 173; ოთხთა ახმე, ოთხ ამოქმე 175).

1974 წ. 22 თებერვალი

სსსრ-ის დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტ-
რეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 174,1; 174,2; 176,1; 176,2; 177,1; 178, 179; 180; 181; 182; 183.
პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, ც. კიკვიძემ, ს. ცაიშვილმა კომისიის თანამშრომლებთან
ერთად.

სტროფი 174,1 („ტარიას ძებნად ავთანდილ...“).

პროექტში, 1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 250) შედარებით, შემდეგი ცვლილებაა: პირ-
ველი და მეორე ტაეპების ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვლად დასმულია მძიმე და ტირე.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფი 174,2 („მეიდილოდა, მეუბნობდა...“).

პროექტში, 1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 251) შედარებით, შემდეგი ცვლილებაა: მი-
ბნობდა (მიუბნობდა), პირსა მზესა (პირსა, მზესა), მადლობს (მამადლობს); პირველი და მეო-
რე ტაეპების ბოლოს მძიმეა წერტილ-მძიმის ნაცვლად.

ს. ცაიშვილმა აღნიშნა, რომ განსახილველი ჩანართი სტროფები, რომელთა ჩანართობა ექვს არ იწვევს, არ არის სწორედ იმ ხელნაწერებში, სადაც არ არის სტროფი -ღმერთი, ლომო...". ესეც მოწმობს ამ უკანასკნელი სტროფის ჩანართობას.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფი 170,1 („მოგონის მისი მეჭულეი...“).

პროექტში, 1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 254) შედარებით, შემდეგი ცვლილება: ფიცხლა (ფიცხლად), დამრჩა (დამრჩეს); პირველი ტაეპის ბოლოს მძიმეა (წერტილ-მძიმის ნაცვლად). მეორე ტაეპის ბოლოს კი — მძიმე და ტირე (ორწერტილის ნაცვლად); მესამე ტაეპის ბოლოს მოშლილია ტირე და მხოლოდ კითხვითი ნიშანია დატოვებული.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ პირველი ტაეპის ბოლოს მძიმეს მიეწერა ტირე. ამოიწვერა ტაეპი გამოყოფა, მესამე-მეოთხე ტაეპები კი დაუკავშირდა პირველს.

სტროფი 176,2 („საუბრელი მოგონის...“).

პროექტში, 1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 255) შედარებით, შემდეგი ცვლილება: გარდ-მოსეტყა (გამოსეტყა); პირველი ტაეპის ბოლოს დასმულია მძიმე და ტირე (წერტილ-მძიმის ნაცვლად), მეორე ტაეპის ბოლოს კი — მძიმე (წერტილ-მძიმის ნაცვლად).

რედაქციამ პირველი ტაეპის ბოლოს ორწერტილი დასვა (მძიმისა და ტირეს ნაცვლად). ხოლო მეორე ტაეპის ბოლოს — ძახილის ნიშანი (მძიმის ნაცვლად); ძახილის ნიშანი დასვა; მესამე ტაეპის ბოლოსაც (წერტილის ნაცვლად).

სტროფი 177,1 („ოგი პირად მსგავსი მზისა...“).

პროექტში, 1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 257) შედარებით, შემდეგი ცვლილება: მსგავსი მზისა (მზისა მგზავსი), რომს, ჩინელთა (პრომს — ჩინელთა); მეორე ტაეპის ბოლოს მძიმეა (წერტილ-მძიმის ნაცვლად), მესამე ტაეპის ბოლოს კი — წერტილ-მძიმე (მძიმის ნაცვლად).

პროექტი დამტკიცდა, ოღონდ მეოთხე ტაეპში, ნაცვლად წაკითხვისა მ აღ რ ი ბ ს კ ე ი თ ხ ა ე ს მ ა შ რ ი ე ე ლ თ ა, მიღებულ იქნა მ აღ რ ი ბ ს კ ე ი თ ხ ა ე ს, მ ა შ რ ი ე ე ლ თ ა (მძიმე დასვა).

სტროფი 178 („მუნ ექვს, ცრემლი მტირალსა სდის ზღუათა შესართავისად“).

პროექტში, საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 179) შედარებით, შემდეგი ცვლილება: პირველი და მეორე ტაეპების ბოლოს წერტილ-მძიმეა (წერტილის ნაცვლად).

პროექტი მიღებულ იქნა. რედაქციის წევრებმა იმსჯელეს პირველი ტაეპის შინაარსის შესახებ.

შ. ძიძიგურმა და გ. კარტოზამ აღნიშნეს, რომ ზღუათა შესართავისად ნიშნავს „ზღუათა შესართავის მსგავსად“.

ს. ცაიშვილი: აქ გვაქვს პოეტური ლიცენცია. ნანათესაობითარი ვითარებითი ნახმარია სახელობითის ნაცვლად (ზღუათა შესართავისად = ზღუათა შესართავი). შდრ. მომეც მიყნურთა სურვილი, სიუჟეტდმდე გასატანისა. 2ჰ, სადაც გასატანისა = გასატანი.

ი. გიგინეიშვილი: შეუძლებელია აქ ლიცენცია ვკონდეს. ყერ ერთი, შესართავისად პირველ ტაეპშია და სტროფში რითმა მის მიხედვით არის გამართული. შემდეგ, სდის ზღუათა შესართავისად სხვაგანაც გეხედება პოემაში (1241). ეს რუსთველისთვის ბუნებრივი გამოქმდა. პოეტი ლიცენციას არ გამოიხრებდა. ამასთან ერთად ღნდა აღიწინოს, რომ ეს ფრაზა შორდება პოემის სხვა ადგილებში დადასტურებულ შესიტყვებას: ატირდა ცრემლითა, ზღუათა შესართავითა (218; 834), სადაც ზღუათა შესართავის სხვა სიტყვის (ცრემლის) მსაზღვრელია 178 (და 1241) სტროფში კი ზღუათა შესართავის მსაზღვრელად ვერ ჩათვლით.

გ. კარტოზა: ზღუათა შესართავი 178 (და 1241) სტროფშიც მსაზღვრელია, ოღონდ მასთან საზღვრული სახელი გამოტოვებულია, იგულისხმება. ტაეპის აზრი ასეთია: სდის ცრემლი ზღუათა შესართავი ცრემლის მსგავსად.

სტროფი 178 („ყოელი პირი ქუეყანისა...“).

პროექტში, საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 180) შედარებით, ცვლილება არ არის.

შ. ძიძიგური: მეორე ტაეპში („ასერ რომე ცასა ქუეშე არ დაურჩა, არ იარა“) სარიტმოდ სიტყვა მეორე თურმეობითში უნდა იყოს და არა წყვეტილში. ე. ი. არ იარას ნაცვლად უნდა წაკითხოსოთ: არ ეარა, როგორც გვაქვს ზოგიერთ ხელნაწერში.

გ. კარტოზა: აქ ეა კომპლექტი. მართლაც, უფრო ძველი უნდა იყოს. ეა > ი უფრო საკულეებელია, ვიდრე პირიქით. მაგრამ ეს შესწორება საკამარისი არ არის ტაეპის გამართვისათვის. სტროფში მაინც რჩება ტაეტოლოგიური რითმა (ა. მოარა, ბ. ეარა). მეორე ტაეპის ბოლო ორი სიტყვა სხვაგვარად უნდა დავკოთ: არ ეარა, მთ წინ კი მძიმე ამო-

ვილიო. როგორც იცნე გამოცემებში გვაქვს: ასრე რომ ცასა ქვეშე არ დაურჩა არე არა. ეს ს-შნაჲ: ცის ქვეშ არ დაურჩა არაერთარი აღგილი.

დაადგინეს: მიღებულ იქნას წაიოთხა: არ დაურჩა არე არა.

სტროფი 180 („მიხტდა რასმე ქვეყანასა...“).

პროექტში. საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 181) შედარებით, შემდეგი ცვლილება: მეორე და შესამე ტაქების ბოლოს მძიმის შემდეგ დასმულია ტრუ. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფი 181 („მას მიხტდა წერიი სადგურად...“).

პროექტში, საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 182) შედარებით, ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფი 182 („ზედ წაადგა. შეექცევის...“).

პროექტში, საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 183) შედარებით, შემდეგი ცვლილება: მესამე ტაქში შორისდებული ე ა წარმოდგენილია იოტით: ე ა ზ.

ბ. გავრეიშვილი: მეორე ტაქში („თუნი ესხნეს ორანიდა, ამად სულთქამს. არა იშობს“) წაიოთხა არა იშობს მიუღებელია. იშობს მწუხარების გამოხატეული ზნაა, ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეს ხელნაწერებში დადასტურებულ ვარიანტს: ა მ ა დ ი შ ო ბ ს.

გ. კარტოზია: იშობს ზნა ნაწარმოებია იშ შორისდებულსაგან, რომელიც პოემის სობოთად ტექსტში ორგან გეხედება და ორგანვე აღტაცების. სიხარულის გამოხატეულია (იშ. თავი ეიხსენ მე რულად! 1194; ერთგულთა შექმნეს ეება, მტერთა -- ხსენება იშ ი ს ა. 327). ამიტომ უცვლელად უნდა დარჩეს ტაქში წაიოთხა ა მ ა დ ს უ ლ თ ქ ქ ა მ ს, არა ი შ ო ბ ს.

ბ. გავრეიშვილი: ფაქმანის ნათქაში (იშ, თავი ეიხსენ მე რულად!) იშ აუცილებლად აღტაცებას. სიხარულს არ გამოხატავს. მეორე შემთხვევაში კი (მტერთა -- ხსენება იშ ი ს ა) მას ასეთი მნიშვნელობა. მართლაც, აქვს. იშ შორისდებული პოემაში, როგორც ჩანს, ორივე მნიშვნელობით იხმარება: გამოხატავს სიხარულსა და მწუხარებასაც. 182-ში მწუხარების გამოხატეული უნდა იქნას.

გ. კარტოზია: ექვი არ არის, რომ იშ ფაქმანის ნათქაშეშე მხოლოდ სიხარულს გამოხატავს. ქაშნაგორის მოყლა ფაქმანისათვის სისიხარულო ამბავა, იშ - ეეფხისტყაოსანში მხოლოდ სიხარულს გამოხატეულია.

დაადგინეს: ღარჩეს წაიოთხა: ამად სულთქამს, არა იშობს.

სტროფი 183 („საგონებელი შეექმნა...“).

პროექტში. საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 184) შედარებით. ცვლილება არ არის.

ბ. კეკელიძე: მეოთხე ტაქში (მისი ეერა ეცნა კორადცა, ვარ ეისთა გზათა მქულეველად?) ეთხებით წინადადების ნაცვლად უფრო თხრობითია მოსალოდნელი (შდრ. მესამე ტაქში: ე ი ე ა ე რად დღეთა მღვევლად). ამიტომ მეორე კავშირებითის ნაცვლად ზნა წყვეტილში უნდა დაეცენოთ (ე ც ა ნ). ტაქის ბოლოს ე კითხვითი ნიშნის ნაცვლად დაესვათ წერტილი.

გ. კარტოზია: ამეთ სწორება საჭირო არ არის. მეოთხე ტაქში კითხვითი წინადადება კონტრექტიო საესებით ვასაგებია. ოღონდ იშისათვის. რომ მესამე და მეოთხე ტაქებში ერთ წინადადება არ იქნას ვაგებული. მესამე ტაქის ბოლოს მძიმის ნაცვლად წერტილ-მძიმე ეეება.

დაადგინეს: ეოთხე ტაქის წაიოთხა ღარჩეს უცვლელად. მესამე ტაქის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაესვათ წერტილ-მძიმე.

რედუქციამ იმსკლა ტექსტის დადგენისათვის მოსაზრებელი სამუშაოების წარმოების წესებ. იშისათვის, რომ დაჩქარდეს მუშაობის ტემპი და გაზარდოს მთავარი რედაქციისათვის სობოთებული სტროფების რიცხვი, რედაქციამ მოიწონა ს. ცაიშვილის წინადადება, რომ ჩაიკარდებდეს კომისიის თანამშრომელთა სამი ჯგუფი: გ. კარტოზიას, ბ. კეკელიძის,

ცაიშვილის ხელმძღვანელობით. თითოეული ჯგუფი დამოუკიდებლად მოამზადებს პოემის საკუთარი მონაცემების დადგენილი ტექსტის პროექტს.